N25 (524) 24/VI-30/VI-2010 ფასი 1 ლარი

გზა

ქართული პროზის საგანძური

ტომი №17
ლევან გოთუა

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი
აკა მორჩილაძე

ექსკლუზივი

ვინ დამართა ლექს-სენს ნევროზი

ვისი გაშარჟეგა გადაწყვიტა ანრი ჯიხაძემ

„წინ დაძაბული და აზარტული დღეები მელის“

ანი სირაძე: „ეს ყველაფერი საშინლად მახსენდება“

ავღანეთიდან დაბრუნებული ქართველი ჯარისკაცების ექსკლუზიური ინტერვიუ

„ჩვენი ქალები იქაურებს ჩხრეკდნენ“

ვინ დგას წარმატებული მამაკაცის ზურგს უკან

„შუა ქალაქში“ მე არ შემიქმნია“

ISSN 1987 - 5029

ჰიპოკრატეს ფიცს შეწირული აფხაზი ექიმის ტრაგედია

როდენი – წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!

მისი დროული მიღება თავიდან აგაცილებთ წონაში მატებასაც

- ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი პროდუქტი
- ხელს უშლის ნახშირწყლების სხიმებში გადასვლას
- ხელს უწყობს სხიმების ბოლომდე დანვას
- აკვეთებს მადას ენერგიის მომატების ფონზე
- ნორმამდე დაჰყავს სიმსუქნის ჰორმონი ლეპტინი და ქოლესტერინი
- ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე და შლეკები
- აწესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას

მოგვაკითხეთ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. №28 ან მიმართეთ „ნეოფარმის“ და „ჯი პი სის“ საფთიაქო ქსელს, როგორც თბილისში, ასევე ქუთაისსა და ბათუმში.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
99 00 14; 895308405;
893 668318; 899 21 02 32
e-mail - promoita@mail.ru
nikosaniltd@mail.ge

მილების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

კიდევ ერთი სიურპრიზი BEKO-სგან

18 ივნისიდან საქართველოში BEKO-ს მაღაზიათა ქსელის რიგით 37-ე მაღაზია გაიხსნა, სადაც 5 ადამიანი დასაქმდება და მყიდველს 350-მდე დასახელების საქონელს შესთავაზებს. სავაჭრო ცენტრ „თბილისი ცენტრალში“, BEKO-ს ახალგახსნილ მაღაზიაში განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო. იმ დღეს ბრენდის ხელმძღვანელობამ ერთდღიანი ფასდაკლება მოაწყო და მყიდველს თავის პროდუქციაზე მნიშვნელოვანი ფასდაკლება შესთავაზა... მისივე განცხადებით, წლის ბოლომდე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში სულ 45 მაღაზიის გახსნა იგეგმება.

მეჰმედ მელექი:

— „თბილისი ცენტრალის“ შენობაში, მთელ საქართველოში ყველაზე დიდი მაღაზია გავხსენით, სადაც BEKO-ს, GRUNDIG-ისა და Blomberg-ის საქონელი გაიყიდება. ამჟამად ჩვენ 36 მაღაზია გვაქვს, მაგრამ ეს არის პირველი მაღაზია თბილისში, სადაც მყიდველისთვის გერმანული ბრენდიც — GRUNDIG და Blomberg იქნება ხელმისაწვდომი. ამ ბრენდების დამონტაჟება საკმაოდ ძვირი, 300 ათას დოლარამდე დაგვიჯდა, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ეს გაამართლებს. ჩვენ არ ვჩერდებით და წლის ბოლომდე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში 45 მაღაზიის გახსნას ვაპირებთ... ალბათ მყიდველს გაუჩნდება შეკითხვა — რატომ შევაჩერეთ არჩევანი ამ ორ გერმანულ ბრენდზე? მოგეხსენებათ, რომ BEKO მსოფლიოში ძალზე პოპულარული ბრენდია, მას დიდ ბაზარზე 37% აქვს დაკავებული, მაგრამ ჩვენ გვინდა, უფრო მეტად — 50%-მდე გავზარდოთ დაფარვის არეალი. მყიდველს ვთავაზობთ თითქმის ყველა სახის საყოფაცხოვრებო ტექნიკას ძალიან მისაღებ ფასებში. საკმაოდ მრავალფეროვანი საქონელი გვაქვს — თმის საშრობი ფენი, სარეცხი მანქანა, ღუმელი, ტელევიზორი, 4-კარიანი მაცივარი — ანუ მყიდველს BEKO-ს მაღაზიათა ქსელში, საერთო ჯამში, 370-მდე მოდელის საქონელს ვთავაზობთ... სამწუხაროდ, ფასდაკლება მხოლოდ ერთ დღეს გვქონდა, რაც ჩვენთვის, ბიზნესის თვალსაზრისით, მომგებიანი არ ყოფილა, მაგრამ ჩვენს კლიენტს დაუვიწყარი საჩუქარი გავუკეთეთ და ვპირდებით, რომ სიურპრიზებით მომავალშიც გავანებივრებთ.

№25 (524)
24 - 30 ივნისი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
ეგზა

■ მინიატიურები 5
ვენაცვალე „ჯაბულანს“ და „ფაჩიკოს გარმონს“!!!
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ საზრდო 8
■ მტერ-მოყვარე 10
■ სამშვიდობო მისია 14
■ ფაქტი და კომენტარი 16
■ წარმატების ფორმულა 18
ოკეანის გაღმა ნასწავლი გიჟი გურული
და მისი ცხოვრების მიზანი
■ თამბა 21
■ ფსიქოპორტრეტი 22
„ნევროზი მაქვს ამდენი პრობლემისგან...“
■ გემოვნება 24
■ ვარსკვლავები 26
შოუბიზნესის შინაბერა ვარსკვლავები
■ სულის სიმტკიცე 28
რატომ აითვალწუნა ლილი იოსელიანმა
ცეცილია წუწუნავას „მდგმური“
■ ემიგრანტი 30
ვის მიუძღვნა ვრცელი სტატია
ქართველების გერმანელმა სიძემ
■ კრიმინალი 32
რა გახდა 10 წლის არაბი ბიჭუნას
სიკვდილის მიზეზი?
■ სიტუაცია 34
როგორ მივითვისე ავიაკატასტროფაში
დაღუპული მილიონერების ქონება
■ პობი 36
ფაიფურში გაცოცხლებული
ფერადი ყვავილების სამყარო
■ ისტორიის ლაბირინთები 38
როგორ დაიდო „გეორგიევსკის ტრაქტატი“
■ სოლისტი 41
„ჩემთვის ყველაზე დიდი სიამოვნება
ანსამბლ „რუსთავში“ სიმღერაა“
■ ავტო 42

ქვეყანა

ჰიპოკრატეს ფიცს შეწირული აფხაზი ექიმის ტრაგიკული ამბავი

„მამა სრულიად აპოლიტიკური ადამიანი იყო. შეიძლება, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ის კომპარტიის წევრი არასდროს ყოფილა. ამის გამო არაერთი საყვედური მოუსმენია, მაგრამ იმდენად კარგი სპეციალისტი იყო, მთელი აფხაზეთი ხელისგულზე ატარებდა. დიდი და პატარა პატივს სცემდა...“

8

სახე

„ნევროზი მაქვს ამდენი პრობლემისგან...“

— ბაზარშიც დადიხარ?
— ჰო, დამყავს ოჯახი, ძალიან არ მსიამოვნებს, მაგრამ... მე გარეთ ველოდები, მანქანაში, მაგრამ რომ დავინახავ, მძიმე ჩანთები მოაქვს ცოლს ან დედას, ხომ უნდა დავეხმარო!

18

ცხოვრება

რა გახდა 10 წლის არაბი ბიჭუნას სიკვდილის მიზეზი?

როგორც გარდაცვლილის დედა ამბობს, ბავშვს დაზიანებები ვიზუალური დათვალიერებითაც აღენიშნებოდა: მუხლები გაშავებული და გადაჭრილი ჰქონდა, თითი — მოტეხილი, კისერს ვერ უფიქსირებდნენ, ხოლო სახეზე, მარჯვენა მხარეს სილურჯე აღენიშნებოდა.

28

ეგზაკნილები

კანფეტივით გოგო ანუ არ გაინძრე!

„გადავწყვიტეთ, მთაში წავსულიყავით კარვით, ერთი დღით, მაგრამ ერთი კვირა ვერ დავბრუნდით. გზა აგვერია და თურქეთის საზღვარს მივადექით. გადავიპარეთ ჩუმად ანტალიაში და მაგრად დავისვენეთ, თან 3 ათასი ევრო ვიპოვეთ ზურგჩანთაში და თაფლობის თვეც გამოგვივიდა მაგარი“.

76

- **საკითხავი ქალებისათვის** 44
- **ანტიდეპრესანტი** 46
- **ეს სამყაროა** 46
- **ტაძარი** 48
  იერუსალიმის ეკლესია — დედა ყოველთა ეკლესიათა
- **ჯანმრთელობა** 50
  თავის ტკივილის ხშირი მიზეზი
- **პროფესია** 52
  ზაზა ხატიაშვილი: ძალიან მინდა, ადვოკატთა კორპუსი ფეხზე დავაყენო
- **წერილი ციხიდან** 54
  ქვეყანაში ნაპოვნი ფულით სავსე სკივრი და „შავი სამყაროს“ „თეთრი“ მხარე
- **ნამდვილი ამბავი** 56
  ძველი სახლის მისტიკა...
- **თინეიჯერული პონტები** 57
  ხალხის ნერვებზე „მოკაიფე“ წყვილი და რა პონტი „ეძრობა“ ღამის კლუბებში
- **წვეთი პოეზია** 60
- **მინირომანი** 61
  რას იტყვის ხალხი
- **ავტოპორტრეტი** 62
  ლალი მოროშკინა. მე პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (დასასრული)
- **ფანტასტიკური დეტექტივი** 65
  რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ მიცვალებულთან (გაგრძელება)
- **რომანი** 68
  სვეტა კვარაცხელია. ძლიერი სუსტი ქალი (გაგრძელება)
- **რეალური** 73
  ULTRIX (გაგრძელება)
- **გზავნილები** 76
  კანფეტივით გოგო ანუ არ გაინძრე!
- **ყველა ერთისათვის** 80
- **მობილი-ზაცია** 82
- **მოზაიკა** 86
- **თარიღი** 87
  მსოფლიოში პირველი — თბილისის საბავშვო რკინიგზის იუბილე და „პიონერფილმელების“ ახალი ფილმი
- **მუნდიალი** 88
- **შეჩერებული წამი** 91
- **ერუდიტი** 92
  „ოლღა ბებიასთან ვიმეგობრებდი“...
- **გასართობი** 94
- **ასტროლოგია** 96
- **სკანვორდი** 97
- **საფირმო კროსვორდი** 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com

რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო

ფაიფურში გაცოცხლებული ფერადი ყვავილების სამყარო

„ერთ დღესაც, გადავწყვიტე, ყვავილების სიყვარულით რაიმე განსაკუთრებული გამეკეთებინა. მანამდე ამ საქმეში გამოცდილება არ მქონდა, მაგრამ ფაიფურის მიმართ სიყვარული ყოველთვის იყო ჩვენს ოჯახში.“

36

ადამიანი

„შავი სამყაროს“ „თეთრი“ მხარე

„ჰო, ქურდი გახლავართ და არც არაფერს ვნანობ. მთავარია, რომ საკუთარ თავთან პირნათელი ვარ, რადგანაც გაჭირვებული, საცოდავი კაცის ჯიბეში ხელი არასდროს ჩამიყვია... ხომ არ გგონიათ, რომ უპატრონო, უინტელექტო და გონებაშეზღუდული ადამიანი ვარ“.

52

ბიბლუსი

— ევროპამაც ვერაფერი გიშველა, ქალად ვერ გაქცია, — შინაურულად გადაეხვია მას ლაშა.

— მე კი მეგონა, რომ ეს ევროპის კი არა, კაცის საქმე იყო, — თმა სიყვარულით მოუჩეჩა მაკამ და პირდაპირ სამზარეულოსკენ გაქანდა.

ქალს ლაშაც ფეხდაფეხ მიჰყვა.

60

ტაიმ-აუტი

„ოლღა ბებიასთან ვიმეგობრებდი“...

„მართლა მყავს ოლღას მსგავსი ბებია. მათ შორის ბევრ საერთოს ვპოულობ. ოღონდ ჩემი ბებია თბილისელია“.

86

ვენაცვალე „ჯაბულანს" და „ფაჩიკოს გარმონს"!!!

შესავლის ნაცვლად არის ხალხი, ვინც ჰოლანდიის ნაკრებს იმიტომ გულშემატკივრობს, რომ მიხელსის „ტოტალური ფეხბურთის" ფანია ჯერ კიდევ კრუიფის დროიდან; არის ხალხი, ვინც რემბრანდტს ან ვან გოგს ეთაყვანება და რატომღაც, აუცილებლად მიიჩნევს, რომ მათ გამო დღევანდელი ჰოლანდიის ნაკრების შავ-შავი ბიჭებიც თავისიანებად უნდა აღიქვას; ზოგს „სასაცილო ბალახი" უყვარს და თან ჰგონია, რომ ამ მცენარის სამშობლო — ჰოლანდიაა, ამიტომ სულ ხითხით-ხითხითით უყურებს მატჩებს; ისეთებიც ვიცი, ჩვენი ქვეყნის პირველი ლედის „ხათრით" რომ ქომაგობენ „ნარინჯისფრებს", — ჩვენი მძახლები არიანო...

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ძალიან გამაკვირვა იმ ხალხის სიმრავლემ, რომლებსაც ჰოლანდიის ნაკრების ყველა წევრი პედერასტი ჰგონია და ამის გამო უნდა მათი გაჩემპიონება!

რა კარგი რამეა ეს „ფეისბუქი" — ნორმალურების გარდა, ათასი კრეტინი დაბოდიალობს იქ და „საპროვოკაციო მასალაა", რამდენიც გინდა. ზემოთ ნახსენები ჰოლანდიის „ბალელშიკებიც" იქ გავიცანი...

საკუთრივ ფეხბურთს რაც შეეხება, ერთი რამ ვერ გავიგე: ეს „ჯაბულანი" მაინცდამაინც არგენტინელებს რატომ მოერგო? „ჯაბულანი" ხომ იცით, რა არის? მსოფლიოს ჩემპიონატის ახალ ბურთს ჰქვია და უკლებლივ ყველა „ჩასვრილი" გუნდის მწვრთნელი — ფრანგების, იტალიელების, ინგლისელების, გერმანელების (სერბებთან წაგების შემდეგ) — სწორედ ამ ბურთს აბრალებს დამარცხებას(?)

აბა, მაგათ რომ პუტინს „მისტრალი" მიჰყიდეს, კარგი იყო?! და მერკელიც რომ თვალებს უუუუუნებდა?! და ბერლუსკონი რომ ნაშებში ეპატიჟებოდა?! ჰოდა, „ჯაბულანის" ბრალი თუა, ვენაცვალე „ჯაბულანს"!

ერთი მხრივ, მიხარია, ჩვენი „მოღალატე მეგობრები" რომ ისჯებიან, მაგრამ კარგ ფეხბურთს რომ ველოდი ოთხი წელი?!. ასფალტისა არ იყოს, „მარტო არგენტინა ვჭამოთ?!"

კარგი, მერვედფინალების იმედზე ვიყოთ...

ახლა საქართველოში მიმოვიხედოთ:

ცხონებული ბებიაჩემი მეუბნებოდა, — გლახა ენა გაქ და რაცხას რომ იხუმრებ, გადააფურთხე სამჯერ, არ ახდესო...

ამ ორი თვის წინ, გარემოს დაცვის სამინისტროზე რომ ვხუმრობდი, დამავიწყდა გადაფურთხება და ისეთი პირი უჩანს, საერთოდ გაუქმებას უპირებენ; მინისტრს არა უშავს — ან იმღერებს, ან სხვა სამინისტროს ჰიმნს დაუწერს, ან რადიოში იმუშავებს, მაგრამ მაგის მეტყეველებს რა ეშველებათ?! უფრო სწორად, ტყეებს რა ეშველება? — როგორც წესი, უმუშევრად დარჩენილი მეტყეველები ბრაკონიერები ხდებიან...

მიშამაც მანერვიულა ორშაბათს: ძალიან გადაღლილი იერი ჰქონდა და თვალებიც შესივებული... დასვენება უნდა მაგას, ბათუმი მოუხდება, რახანია არ ყოფილა?!.

ოპოზიციაშიც ვერ არის საქმე „ყოჩაღად" — სად ალასანია, უსუფაშვილი და გამყრელიძე და სად, ვიღაც ფაჩიკო, რომელიც ან არსებობდა, ან — არა, მაგრამ რატომღაც ამეკვიატა: „ალიანსი" რომ დაიშალა, პირველად ეს გამოთქმა გამახსენდა — „დაიშალა ფაჩიკოს გარმონივით"... ისე, „პირველწყაროში" ალბათ „აიშალა" (გარმონი) იქნებოდა, მაგრამ სიტუაციას ასე უხდება ახლა.

რა საინტერესოა ცხოვრება — აი, ვიღაც ფაჩიკო, რომელსაც გარმონიც კი არ უვარგოდა, ისტორიას თუ არა, ქალაქურ სლენგს მაინც შემორჩა და დღევანდელი ოპოზიციისა თუ ხელისუფლების... კარგი, მოვრჩეთ, თავიანთი გაჭირვება ეყოფათ...

ამასობაში ვანოს სამინისტრომ ვინმე მამა-შვილი ტიტანიძეები „გასკვანჩა", რომლებიც სოლომონ II-ის შთამომავლებად ასაღებდნენ თავს, მიუხედავად იმისა, რომ ცხონებულს საერთოდ არ ჰყავდა შვილები. „ლეიტენანტ შმიდტის" შვილებისა არ იყოს, ილფისა და პეტროვის „ოქროს კერპიდან", გულუბრყვილო მონარქისტებს რა დალევს საქართველოში?! ჰოდა, უხდიდნენ ტიტანიძე-„ბაგრატიონებს" „საქველმოქმედო საწეროებს" ჩოხოსნებიც და პიჯაკოსნებიც...

ამასობაში, ინგა გრიგოლიამ თავისი პირველი სეფე-სიტყვა სჭექა თბილისის საკრებულოში, ოოოდნავ კი მოსუქებულა, მაგრამ უხდება. თანაც, იქ ყვირილს სხვანაირი ჯანი უნდა...

ჰო, კინაღამ დამავიწყდა: მთავრობამ გაგვიმხილა, — გეხუმრეთ, ეს გზები მართლა ბიუჯეტის ფულით კი არ დაგვიგია, ვალი ავიღეთ და თქვენ უნდა გადაიხადოთო! კარგა გვარიანი გადასახადიც დაგვიწესა და ვისაც აუცილებელი საქმე არ გექნებათ, ჯობს, შინ იჯდეთ, არგენტინის თამაშს უყუროთ და ჩემი „პროვოკაციები" იკითხოთ...

P.S. ანეკდოტი, ზემოთ რომ გელაპარაკეთ, იმ ტიპებისგან.

ერთმანეთს ხვდება ორი გულშემატკივარი-პედერასტი და ასეთი საუბარი იმართება:

— შენი საფეხბურთო ოცნება რა არის?

— ისეთ გუნდში ვთამაშობდე, რომელსაც ყველაფერი ცისფერი ეცმება, ბურთიც ცისფერი იქნება და ბალახიც... შენ?

— მე კი ყოველდღე წარმოვიდგენ ხოლმე: ჩვენს ქალაქში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალია, ბოლო წუთი, ანგარიში 0:0, პენალტი დაინიშნა და მე ვურტყამ! მივედი, ბურთი გავასწორე, დავარტყი და ავაცილე!!!

— მერე?! — შეშინებული ეკითხება პირველი.

— მერეა მთავარი — მთელი სტადიონი, ყველა ჩემი ნაცნობი ერთხმად ღრიალებს: „პიდარასტო! გამოხვალ და რიგრიგობით გიხმართ!!!" მე კი თავს ვუკრავ და ვიღიმი...

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

მწერლის „ახალი“ ხელნაწერი აუქციონზე



მარკ ტვენის აქამდე უცნობი ხელნაწერი ნიუიორკში გამართულ აუქციონზე 242 ათას დოლარად გაიყიდა. 65-გვერდიან ხელნაწერს, რომელიც მწერლის ახალგაზრდობის დროინდელი მოკლე მოთხრობებისა და ესეებისგან შედგება, „ოჯახური ჩანახატი“ ეწოდება და ეძღვნება ავტორის ქალიშვილს — სიუზის, რომელიც 24 წლის ასაკში მენინგიტისგან გარდაიცვალა. ვაჭრობის დაწყებამდე „ოჯახური ჩანახატის“ გაყიდვას აუქციონის ორგანიზატორები 120-160 ათას დოლარად ვარაუდობდნენ. ხელნაწერის ახალი მფლობელის ვინაობას არ ამჟღავნებენ. „ოჯახური ჩანახატი“ იმ დოკუმენტების კოლექციაში შედიოდა, რომელიც ცნობილ ამერიკელ ჟურნალისტსა და ფილანთროპ ჯეიმს კოპლის ეკუთვნოდა. აუქციონზე გამოტანილი კოპლის კოლექცია, მარკ ტვენის ხელნაწერის გარდა, მარია კიურის, ალბერტ აინშტაინის, ჩარლზ დიკენსის, მახათმა განდისა და სხვა გამოჩენილი ადამიანების წერილებს შეიცავს. ■

პოლიცია ველოსიპედს ეძებს

მერილენდის შტატის სამართალდამცველები, მათ შორის, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან ბრძოლის დანაყოფის დეტექტივები, ჯორჯ ბუშის ქალიშვილის, ჯენისა და მისი მეუღლის გატაცებულ ველოსიპედს ეძებენ. მძარცველებმა ველოსიპედი წყვილის ავტოფარეხიდან მოიპარეს. პოლიციამ მეზობლების დაკითხვის შედეგად მხოლოდ ის გაარკვია, რომ „ტრეკის“ მარკის, ქალისა და მამაკაცის ორი ველოსიპედის ფასი 3.500 დოლარს შეადგენს. ■

შეყვარებულ წყვილს კოცნისთვის პატიმრობა მიუსაჯეს

საუდის არაბეთის სასამართლომ ახალგაზრდა მამაკაცს ოთხთვიანი პატიმრობა და გამათრახება იმის გამო მიუსაჯა, რომ მან სავაჭრო ცენტრში გოგონას აკოცა. „ამორალური საქციელის“ ჩადენის დროს ახალგაზრდას სამართალდამცველები წაადგნენ თავს. მსჯავრდადებულს ორი წლის განმავლობაში სავაჭრო ცენტრებში შესვლაც აუკრძალეს. შეყვარებულ გოგონას უახლოეს დღეებში გაასამართლებენ. ■

რუსები გოგონებს პუტინს, ბიჭებს კი — ედინაია როსიას არქმევენ

რიაზანის ოლქში დაბადებულ ბიჭს მშობლებმა ედინაია როსია დაარქვეს. როგორც ბავშვის მამამ ჟურნალისტებს უთხრა, ეს სახელი ბავშვს იმიტომ დაარქვეს, რომ მმართველ ძალას დიდ პატივს სცემენ. მისივე თქმით, მათი სოფლის მოძღვარმა მშობლების გადაწყვეტილება დადებითად შეაფასა და ლოცვა-კურთხევა მისცა. აღსანიშნავია, რომ ამავე ოჯახში რამდენიმე წლის წინ დაბადებულ გოგონას პუტინი დაარქვეს. ■

კრემლის სახელისუფლებო ტრიუმვირატი

პრეზიდენტისა და პრემიერის მმართველი ტანდემი შესაძლოა, ტრიუმვირატად იქცეს. გაზეთი Financial Times ეჭვობს, რომ ქვეყნის მართვაში პუტინთან და მედვედევთან ერთად, კიდევ ერთი გავლენიანი ადამიანი — ვიცე-პრემიერი იგორ სეჩინი მონაწილეობს. გამოცემა მას „რუს რიშელიეს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ აქამდე სეჩინი კულისებში მოქმედებდა, ახლა კი ეკონომიკის მოდერნიზაციაზე, Юкос-ის საქმეზე, ნავთობისა და გაზის სფეროში რუსეთის შეთანხმებებზე საჯარო განცხადებები გააკეთა, რომელიც ლიბერალურ შეხედულებებს ეყრდნობა, რაც რუსეთის ხელისუფლების იმიჯის ცვლილებით აიხსნება: დასავლურ პრესაში წერენ, რომ ბოლო დროს რუსეთის პრეზიდენტი და პრემიერი ცდილობენ, რუსეთი, ერთი მხრივ, დასავლეთისთვის სანდო პარტნიორად, მეორე მხრივ კი — მსოფლიო პოლიტიკის ჯიუტ და შეუვალ მოთამაშედ წარმოაჩინონ. პოლიტოლოგთა ნაწილის აზრით, იგორ სეჩინი 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ერთ-ერთ კანდიდატადაც შეიძლება მოგვევლინოს; ამასთან, სეჩინი მოულოდნელად კი არ დაიკავებს პრეზიდენტის სავარძელს, არამედ პუტინთან და მედვედევთან ერთად, ჯერ სახელისუფლებო ტრიუმვირატის წევრი გახდება. ■

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა სათუნა ბახტურიძემ

„ქართული პროზის საგანძური“

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!



აკა მორჩილაძე



ვასილ გარნოვი



თამაზ გიგილური



ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან" ერთად
შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

ქართული კლასიკისა და თანამედროვე პროზის რჩეული ნიმუშები

ტომი №17 - ლევან გოთუა

წიგნის ფასი 3 ლარი!

ეს ფასი ძალაშია მხოლოდ 24-ივნისიდან - 1 ივლისამდე!

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

№1 გურამ დოჩანაშვილი
№2 მიხეილ ჯავახიშვილი
№3 ნოდარ დუმბაძე
№4 ილია ჭავჭავაძე
№5 გურამ რჩეულიშვილი
№6 ვაჟა-ფშაველა
№7 რეზო ჭეიშვილი
№8 აკაკი წერეთელი
№9 გურამ გეგეშიძე
№10 დავით კლდიაშვილი
№11 ოტია იოსელიანი
№12 გრიგოლ აბაშიძე (წიგნი-I)
№13 გრიგოლ აბაშიძე (წიგნი-II)
№14 არჩილ სულაკაური
№15 ნიკო ლორთქიფანიძე
№16 გოდერძი ჩოხელი

გამოიწერეთ გზა და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ

„ ელვა.ჯი “ ტელ: 38 26 73; 38 26 74

ქვეყანა

„ვფიქრობ, ყველაზე სრულყოფილად აკა მორჩილაძის პროზას კინოსპექტაკლი მოიხდენს“

„ქართული პროზის საგანძურს“ კიდევ ერთი ტომი შეემატა: ამჯერად მკითხველმა ჟურნალ „გზასთან“, ერთად მწერალ ლევან გოთუას მოთხრობების კრებული მიიღო. მომავალ ხუთშაბათს კი „პალიტრა L“ და ჟურნალი „გზა“ ძალზე პოპულარულ თანამედროვე მწერალს, ბესტსელერების ავტორს — აკა მორჩილაძეს შეგახვედრებთ. „საგანძურის“ მე-18 ტომი დაეთმო რომანს — „შენი თავგადასავალი“, რომელსაც 2003 წელს, ლიტერატურულ კონკურს „საბას“ პირველი პრიზი მიენიჭა. ოდნავ მოგვიანებით ავტორმა ცალკე წიგნად გამოსცა ამ ნაწარმოების კომენტარები: „სიზმრების ახსნა მეტისმეტად ერთგულ მკითხველისათვის“. „ქართული პროზის საგანძურის“ მე-18 ტომში ორივე წიგნი, ავტორისავე სურვილითა და გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის“ ხელშეწყობით, გავაერთიანეთ და ჩვენი მკითხველი „შენს თავგადასავალს“ სრულყოფილი სახით მიიღებს.

ირმა ხარშილაძე

აკა მორჩილაძეზე (გიორგი ახვლედიანზე) საუბარი კი ბატონ დავით ანდღულაძეს ვთხოვეთ — პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ რეჟისორს, რომელმაც მწერლის ნაწარმოები სცენაზე გააცოცხლა. სპექტაკლს (ისევე, როგორც აკა მორჩილაძის პირველ რომანს) „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ ერქვა და 1999 წელს, როდესაც მწერალი ჯერ კიდევ არ იყო ისეთი პოპულარული, როგორიც დღესაა, საკმაოდ წარმატებულად გადიოდა სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრის სცენაზე.


გიოს ნაწარმოებების ხიბლი მაინც — თემატიკა და მაღალ მხატვრულ დონეზე მისი ხორცშესხმაა

— ბატონო დათო, რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც აკა მორჩილაძის რომანი?

— იმხანად ახალი დანიშნული ვიყავი სანდრო ახმეტელის თეატრის ხელმძღვანელად და ძალიან მინდოდა, თანამედროვე ქართულ სიუჟეტზე დადგმული სპექტაკლით გახსნილიყო ახლად რეკონსტრუირებული თეატრი. გიო ახვლედიანის ანუ აკა მორჩილაძის პროზა კი უპირველესად, მისი მხატვრული ღირებულებისა და კონკრეტული ნაწარმოებების პრობლემური თემატიკის გამო ავირჩიე. მართალია, სპექტაკლს „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ ვუწოდე, მაგრამ აკა მორჩილაძის ორი რომანი დავუდე საფუძვლად: „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ და „გასეირნება ყარაბაღში“. ამ ნაწარმოებების გაერთიანება თითქოს რთული წარმოსადგენი იყო, მაგრამ მთავარ გმირებს შორის ისეთი სულიერი სიახლოვე აღმოვაჩინე, საბოლოოდ, ინსცენირებაც სრულყოფილი მივიღე. თავდაპირველად გიოს ვერც წარმოედგინა თეატრის ენაზე მისი პროზის „ამეტყველება“. ნაწარმოებებზე ბევრს ვსაუბრობდით, ვმსჯელობდით და მათში წამოჭრილ საკითხებზე საერთო შეხედულებებმა დაგვამეგობრა კიდეც. ხოლო როდესაც სარეპეტიციო ოთახში ინსცენირება ვუჩვენეთ, ერთი შენიშვნაც არ მოუცია და სრულად მომენდო. ორივე ნაწარმოები, განსაკუთრებით კი „გასეირნება ყარაბაღში“, საკმაოდ მძაფრსიუჟეტიანი და დინამიკურია, მაგრამ თუ ჩაუღრმავდები, აღმოაჩენ, რომ მარადიულ თემებზეა აგებული, — ეს გიოს სტილია. ხშირია სლენგი, რაც ზოგიერთს შეიძლება, არც მოსწონს, მაგრამ ეს პერსონაჟებისთვის ორგანული ენაა, ყურს არ ჭრის და ხელოვნურიც იქნებოდა, მაგალითად, „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლების“ ერთ-ერთ გმირს, მამუკა ჭყოიძეს თავანკარა ქართულით რომ ელაპარაკა. გიოს ნაწარმოებების ხიბლი კი მაინც — თემატიკა და მაღალ მხატვრულ დონეზე მისი ხორცშესხმაა. სპექტაკლში ბევრი მსახიობი დავაკავე და ძალიან მნიშვნელოვნად*

და წარმატებულად მიმაჩნია რამდენიმე სამსახიობო ნამუშევარიც. შეუძლებელია, არ გამოვყო არცთუ დიდი ხნის წინ ტრაგიკულად დაღუპული მსახიობი — გოგა გორგასანიძე, რომელმაც მთავარი გმირის ძალზე საინტერესო სახე შექმნა. ასევე მინდა ვახსენო თათარი და სომეხი ბოევიკების როლების შემსრულებელი — მიშა სეთურიძე. ძალიან სერიოზული ნამუშევარი იყო რუსუდან კობიაშვილისთვის იანას სახე; საინტერესო იყო ბესო მეგრელიშვილი, შემდეგ კი — იმავე როლში, მამუკა მაზავრიშვილი. ბრწყინვალედ ითამაშა აზერბაიჯანელი ქალის როლი ნელი ბადალაშვილმა; საინტერესო იყო მაია ზედგინიძის მიერ შექმნილი, ქეთას სახე... ასე რომ, სპექტაკლი მალევე იქცა ჰიტად და 8 სეზონ-ნახევარი სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში სრული ანშლაგით მიმდინარეობდა. სამწუხაროა, რომ ეს სპექტაკლი აკა მორჩილაძის ნაწარმოების ერთადერთი თეატრალური დადგმაა... სხვათა შორის, გიო პიესებსაც წერს. ვერ გეტყვით, რატომ აღარ დაიდგა აკა მორჩილაძის ნაწარმოებები სცენაზე, იმას კი გაგიმხელთ, რომ რამდენიმე წელია, მის ერთ-ერთ საუკეთესო რომანს (ოღონდ ჯერ ვერ გაგიმჟღავნებთ, რომელს) „ვუტრიალებ“ და უეჭველად დავდგამ. თეატრიც კი შერჩეული მაქვს.

— აკა მორჩილაძემ იცის ამის შესახებ?

— „მიახლოებით“ იცის (*ალბათ*)... ინსცენირებას რომ დავამთავრებ, რასაკვირველია, ვუჩვენებ. გიოს არც ადრე შევუზღუდავვარ და ახლაც, ალბათ, საკუთარი პროზის ინსცენირების გაცნობას რეპეტიციაზე ამჯობინებს... საკმაოდ საინტერესო გამოვიდა გიოს ნაწარმოებების ეკრანიზაციაც. რეჟისორ ლევან თუთბერიძის „გასეირნება ყარაბაღში“ (პირველ ნაწილს ვგულისხმობ) ეკრანზე რომ ვნახე, თავდაპირველად, 10-15 წუთის განმავლობაში თითქოს რაღაც დანაკლისის გრძნობა მქონდა, თუმცა მალევე მივხვდი, რომ ჩემი სპექტაკლი „გამომყოლოდა“: იქ ხომ ორი ნაწარმოები გავაერთიანე და ფილმშიც, როგორც ჩანს, სწორედ მეორეს ვეძებდი (*ალბათ*). სამწუხაროდ, სრულყოფილად ვერ ვნახე ასევე ლევან თუთბერიძის სერიალად გადაღებული „ქაღალდის ტყვია“, შესაბამისად, ვერც შევაფასებ. საერთოდ კი საინტერესოდ მიმაჩნია აკა მორჩილაძის ნაწარმოებების სცენასა და ეკრანზე განხორციელება, რადგან ძალზე საინტერესო პერსონაჟები ჰყავს და საინტერესო ამბებიც ხდება. მეტსაც გეტყვით: ვფიქრობ, ყველაზე სრულყოფილად, აკას პროზას კინოსპექტაკლი „მოიხდენს“. ეს ჟანრი, რომელიც სატელევიზიო სპექტაკლს უახლოვდება და თეატრისა და კინოს ენითაა ნასაზრდოები, 1980-იანი წლების საქართველოში ძალიან პოპულარული იყო, ახლა კი, კარგა ხანია, მიივიწყეს. არცაა გასაკვირი, — კინოსპექტაკლი კი არა, თეატრია დღეს დაკნინებული და ღირებულიც არაფერი შეიქმნება, ვიდრე დამოკიდებულება — ის თეატრია კარგი, რომელსაც მეტი თანხა შემოაქვს — არ შეიცვლება... მეც ვრისკავ ალბათ, ამ ვითარებაში კვლავ გიოს პროზას რომ ვეჭიდები, მაგრამ გამბედაობა და რისკი ყოველ ახალ სპექტაკლს ესაჭიროება. ვნახოთ, ვეცდები, ამჯერადაც წარმატებული ინსცენირება და დადგმა გამომივიდეს.



სცენა სპექტაკლიდან „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“

— ბატონო დათო, ვიმედოვნებთ, ინსცენირებას მალე დაასრულებთ, ასე რომ, მოუთმენლად ველით ახალ სპექტაკლს.

— მე კი გიოსგან ყოველთვის საინტერესო ნამუშევრებს ველი და მიხარია, რომ ასე ნაყოფიერად მუშაობს...

P.S. სამწუხაროა, რომ თავად მწერლის მოსაზრებას ვერ ვისმენთ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ან თუნდაც სცენასა და კინოში განხორციელებულ მის ნაწარმოებებზე: ცნობილია, რომ აკა მორჩილაძე ყოველთვის გაურბის ინტერვიუს. ამასთან დაკავშირებით, დავით ანდღულაძემ გაიხსენა: ერთხელ ბატონ ოთარ ჭილაძეს შევხვედე და ვკითხე, — რატომ არ გამოთქვამდა საჯაროდ საკუთარ მოსაზრებებს? — რაზეც მიპასუხა: „ჩემს ნაწარმოებებში ყველაფერს ვამბობ, ეს კი ნიშნავს, რომ ჩუმად არ ვარ“. რეჟისორმა ისიც დასძინა: გიოც არასდროს ერევა საზოგადოებრივ ფუსფუსში, სათქმელს თავისი პროზით გვეუბნება და ძალიან სწორადაც იქცევაო. ■

ფიგურინი
- მსუნაგეული და ეფექტური
საშუალება ჭარბი წონის
ტოქსინისთვის

~ სწრაფად და უსაფრთხოდ ახდენს
სხეულის ტოქსინს

~ აკვეთებს მადას და არ საჭიროებს
მკაცრ დიეტას

~ შლის სხიმებს, ზედმეტი ფიზიკური
დატვირთვის გარეშე

სრულყოფილი სხეულის ფორმულა!

დოზირება:
წონის გათვალისწინებით მიიღება 1 კაფსულა ორჯერ დღეში ან 2 კაფსულა ორჯერ დღეში, (კურსი 1 თვიდან 6 თვის ჩათვლით). პრეპარატი არ გამოიყენება ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში. სიფრთხილით ინიშნება ნაღვლ-კენჭოვანი დაავადების დროს. გთხოვთ მითითებულ დოზას ნუ გადაჭარბებთ.

გვერდითი მოვლენები:
მომატებული მგრძნობელობა პრეპარატში შემავალი რომელიმე კომპონენტის მიმართ.

უკუჩვენება:
ორსულობა და ლაქტაცია.
18 წლამდე ასაკი.

ყოველი კაფსულა შეიცავს:
პარკოსანი გუარას თესლები-30მგ.
ლოხა ბასმა (ნატურალური რკინის წყარო)-50მგ.
მრგვალფოთლიანი მრავალძარღვა-30მგ.
მჟავე ემბელიას ნაყოფი-20მგ.
დარფილფილის ნაყოფის მშრალი ექსტრაქტი-20მგ.
კოჰა-20მგ.
სამყე-250მგ.
ინდური ტყვიაბალახა-25მგ.
აკაცია კატეხუს მშრალი ექსტრაქტი-15მგ.
ტრიპალა (ემბელია, ტერმინალია ბელერიკა, ტერმინალია ჩებულა)-100მგ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. გვერდით მოვლენებზე დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ ექიმს.

PSP ჭსპ
ჩემი ოჯახის აფთიაქი
აღმაშენებლის 148/III

აჯანტა ფარმა ლიმიტედი ინდოეთი

ჰიპოკრატეს ფიცს შეწირული აფხაზი ექიმის ტრაგიკული ამბავი

„ანწი რაღა აზრი აქვს მისი გმირობის აღიარებას?!.“

ქართულ-აფხაზური ომის უცნაურობები არაერთხელ ყოფილა ჟურნალისტების გაოცების მიზეზი. ამ ორი ერის მტრობის ფენომენს არაერთხელ გაუკვირვებია თავად აფხაზებიცა და ქართველებიც, რასაც საფუძველი ნამდვილად ჰქონია. 1992-93 წლების ომის დროს, ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოში, როგორც უამრავი სხვა საკითხი, სამხედრო სამედიცინო სფეროც იმდენად მოუწესრიგებელი იყო, რომ სრული დატვირთვით მოქმედ საავადმყოფოებსა და მედპუნქტებში უამრავი შემზარავი ფაქტი ხდებოდა. ჩვენი აფხაზი რესპონდენტი ირინა აშუბა სოხუმის ერთ-ერთ კლინიკაში მომხდარ ამბავს გვიყვება: აფხაზეთში აღიარებულმა ექიმმა დაჭრილი ქართველი პაციენტი არ მიატოვა და ამის გამო, ის მისმა თანამემამულეებმა ჯერ აწამეს და შემდეგ დახვრიტეს.

ზური დაპირისპირება ღვივდებოდა, როგორი იყო მამათქვენის პოზიცია?

— მამა სრულიად აპოლიტიკური ადამიანი იყო. შეიძლება, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ის კომპარტიის წევრი არასდროს ყოფილა. ამის გამო არაერთი საყვედური მოუსმენია, მაგრამ იმდენად კარგი სპეციალისტი იყო, მთელი აფხაზეთი ხელისგულზე ატარებდა. დიდი და პატარა პატივს სცემდა... ერთხელ მამას აფხაზმა მეგობრებმა მოაკითხეს და დახურულ კარს მიღმა მესმოდა, რომ ძალიან მწვავე თემაზე საუბრობდნენ. იმ დღეს პირველად გავიგე სიტყვა „მოჰაჯირი“ და დავინტერესდი. იმ დროს, ქართველებსა და აფხაზებს შორის პირველი ტყვია უკვე გავარდნილი იყო. დედაჩემს ვკითხე, რაზე ელაპარაკებოდნენ მამას-მეთქი? — ეს ბავშვების საქმე არ არისო, — მიპასუხა... ამ დროს, არც ისე პატარა ვიყავი — მეცხრე კლასში ვსწავლობდი. ქართველებსა და აფხაზებს შორის შეცვლილ და დაძაბულ დამოკიდებულებასაც ვხედავდი. რაღაცები მათი საუბრიდან მოვისმინე, ზოგიც სხვებს ვკითხე და მივხვდი, რომ მამას არცთუ ისე კარგ საქმეს — აჯანყებული აფხაზების მობილიზებას, თურქეთში წასვლასა და, საჭიროების შემთხვევაში, იქიდან ე.წ. დამხმარე რაზმების ჩამოყვანას სთხოვდნენ. მოგვიანებით გავიგე, რომ მამამ ამ „დიად“ „ეროვნულ“ საქმეში მონაწილეობაზე უარი

გაგრძელება იხ. გვ. 12

ლალი პაპასკირი

— ქართულ-აფხაზურ ომამდე სოხუმში ვცხოვრობდით. მამაჩემიც სოხუმში დაიბადა და გაიზარდა. უამრავ საინტერესო რამეს მიყვებოდა ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობებზე, ზოგს კარგს და ზოგსაც — ცუდს. ინტელიგენტი ადამიანი იყო. სამედიცინო განათლება ლენინგრადში ჰქონდა მიღებული და უამრავი ქართველი კოლეგა და მეგობარი ჰყავდა. იმ დროს ლენინგრადის სამედიცინო უნივერსიტეტი მთელ საბჭოთა კავშირში აღიარებული იყო და იქ სასწავლებლად ყველა რესპუბლიკიდან ჩადიოდნენ... უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მამა სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში წლების განმავლობაში ქირურგად მუშაობდა და მას ყველა დიდ პატივს სცემდა. ძალიან ხშირად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, თბილისშიც ჩადიოდა. ყოველთვის სათამაშოები ჩამოჰქონდა და ამბობდა, თბილისში ერთი კარგი მაღაზიაა — „ათასი წვრილმანი“ ჰქვია და მართლა ათასი რამის შეძენა შეიძლებაო. დახუნძლული ბრუნდებოდა იქიდან და რაღაცნაირი, თბილი ღიმილით იტყოდა, — რა თეთრი ხალხია, კაცო, ეს თბილისელები, მზე არ ეკარებაო!.. ოჩამჩირეში ერთი აფხაზი ექიმი, გვარად მარშანია ცხოვრობდა (სამწუხაროდ, სახელი არ მახსოვს); მისი ოჯახის უფროს წევრებს შორის, თავადები — ემხვარები იყვნენ და 1921 წელს ჟორდანიას მთავრობას ლევილში გაჰყვნენ... მამას ის კაცი სახლშიც ხშირად მოჰყავდა და მაშინ ჩემთვის სრულიად გაუგებარ საკითხებზე საუბრობდნენ... მამაჩემის სურვილით, სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა თბილისში უნდა გამეგრძელებინა და პირველი და ერთადერთი აფხაზი ვიყავი, ვინც ქართულ ენასა და ლიტერატურაში კერძო მასწავლებელთან ემზადებოდა. მამის გადაწყვეტილება ყველას უკვირდა, მათ შორის მის მეგობრებსაც; ხშირად ეუბნებოდნენ, — რას აწვალებ, ზურაბ, ამ ბავშვს? ყველა, დიდი რუსეთისკენ მიიწევს და შენ თბილისში რაღა დაგრჩენიაო?! — რაზეც ღიმილით პასუხობდა, — იქ ბევრ კარგ რამეს სწავლობს ადამიანი, ისეთს, რასაც რუსეთის ვერც ერთ ქალაქში ვერ ისწავლისო... მასა და სერგო ბაღაფშს ბევრი საერთო მეგობარი ჰყავდათ. ორივე კარგად თამაშობდა კალათბურთს. მეგობრობდნენ. ამ კაცის მაგალითით დავრწმუნდი იმაში, რომ სანამ ადამიანი პოლიტიკაში წავა, სულ სხვანაირია, პოლიტიკა რადიკალურად ცვლის ადამიანებს.

„მამასთან აფხაზი მეომრები შევარდნილან, მაგრამ მას ქართველი პაციენტი არ მიუტოვებია“...

— **როცა ქართულ-აფხა-**

„მსოფლიო დეტექტივების სეიფი“

ყოველ ორშაბათს! ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად
თითო კრიმინალური საქმე!

ცნობილი ავტორები,
კლასიკა და ბესტსელერები

ჯეიმს ჰედლი ჩეიზი
დათარსული კაცი
საქმე №1



21-დან 28 ივნისამდე
საქმე №2 ართურ კონან დოილი
• მოწამლული სარტყელი
• შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი



ფასი 2 ლარი!
(ჟურნალთან ერთად 3 ლარი)

დასაწყისი იხ. გვ. 10

„ინტელიგენტი კაცი იყო, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე ბევრს მიყვებოდა“...

თქვა ერთი მარტივი მიზეზით — პოლიტიკა არ იყო მისი მოწოდება. სხვათა შორის, ერთი პერიოდი, როცა მეც ავყევი ჩრდილოეთიდან დაბერილი, სუსხიანი ნიავის ქროლას და, აფხაზური ენის სახელმწიფო ენად დაკანონების მოთხოვნით ქუჩაში ახალგაზრდა აქტივისტებთან ერთად გავედი, შინ დაბრუნებული, მამამ თავის სამუშაო კაბინეტში შემიყვანა, სია მომცა და მითხრა, — სოხუმის ეროვნული ბიბლიოთეკიდან ეს წიგნები გამოიტანე და წაიკითხეო.

— **დაუჯერეთ?**

— არა, რა თქმა უნდა! ძალიან აჟიტირებული ვიყავი და იმის წარმოდგენაზეც კი შევწუხდი, რომ მე, დამოუკიდებელი აფხაზეთის მოთხოვნით გაერთიანებული აქტივისტების ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი, ქართულ ბიბლიოთეკას მივადგებოდი წიგნების გამოსატანად... მამა ძალიან მშვიდი და უკონფლიქტო ადამიანი იყო და ხმის აუმაღლებლად მითხრა, — ქართველები და აფხაზები საუკუნეების განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ, მათ შორის მცირე დაპირისპირებები ყოფილა, მაგრამ მასშტაბურ სისხლის ღვრაში არ გადაზრდილა; ახლაც ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგება, თუ საქმეში რუსეთი არ ჩაერევაო... დღემდე ყურებში მიდგას მამის ხმა. არაერთი რჩევის მიუხედავად, მას არ დავუჯერე, სისტემატურად ვაცდენდი გაკვეთილებს და თანატოლებთან ერთად, ძალიან ბევრ სარისკო საქმეზე დავდიოდით. ლეონ მეფის ღირსეულ შთამომავლებად მოგვქონდა თავი და, ბრძოლის ჟინით დამუხტულები, თავგანწირვისთვის მზად ვიყავით. სამწუხაროდ, ბევრი ჩემი თანაკლასელი სკოლის მერხიდან პირდაპირ ფრონტზე წავიდა და გამოუცდელობის გამო, პირველივე დღეებში დაიღუპა. იდეოლოგიას ახალგაზრდებში უდიდესი გავლენა და მნიშვნელობა აქვს და ჩვენ ყველანი — ჩემი სკოლელები, თანატოლები და ზოგადად აფხაზური მოსახლეობა, არასწორი იდეოლოგიის მსხვერპლად ვიქეცით.

— **ამის თქმის საფუძველს აფხაზეთში შემდგომ განვითარებული მოვლენები გაძლევთ?**

— დიახ... იმ ომში ჯანმრთელობა და სულიერი სიმშვიდე დავკარგე. მეთერთმეტე კლასის მოსწავლე გოგონა მეომრებთან ერთად, შტაბში ვიჯექი და მეომრებს ჭრილობებს ვუმუშავებდი. ყველაფრის დეფიციტს განვიცდიდით — გადასახვევი მასალის, ტკივილგამაყუჩებლის, წყლის, საჭმლის, — მაგრამ რაღაცნაირად, ერთად ვიყავით, ერთმანეთის ტკივილს ვიზიარებდით და ამ ფონზე, მამაჩემი საოცრად უცხო მეჩვენებოდა.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ საერთო აფხაზურ სულისკვეთებას არ იზიარებდა... ბიჭებისგან ისიც ვიცოდი, რომ დაჭრილებს სათანადოდ უვლიდა, მაგრამ საავადმყოფოში მიყვანილ ქართველებსაც არ აკლებდა ყურადღებას და მის მიმართ მაინც გამიჩნდა აგრესია: მის ხალხს ასე სჭირდებოდა მისი პროფესია, ის კი ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული რჩებოდა...

— **თქვენი თანამებრძოლი აფხაზები როგორ აფასებდნენ მის ასეთ პოზიციას?**

— ეს ომი მთელი წელი გრძელდებოდა, ამ ხნის განმავლობაში ჩემს ხელში უამრავ დაჭრილს გაუვლია, უამრავი უბედურება, სისხლი და დაჭრილი ვნახე, მაგრამ მამაჩემის მიმართ აუგი სიტყვა არავისგან მსმენია. ყველა, ვინც კი გაიგებდა, რომ მისი შვილი ვიყავი, აღფრთოვანებას გამოხატავდა, — გენები მაინც თავისას შვრებაო, — ამბობდნენ; ყველა ღირსეულად მოიხსენიებდა. მაშინ პატარა ვიყავი და თვითკმაყოფილი იდიოტივით ვუყურებდი ყველაფერს.

— **რას გულისხმობთ?**

— მეგონა, ეს პატივისცემა ჩემი თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგად მოვიპოვე, ანუ ჩემი უცნობი თუ ნაცნობი თანამებრძოლები მე მიწევდნენ ანგარიშს და ამიტომაც ვერ იმეტებდნენ მამაჩემს გასაკიცხად... მას შემდეგ, რაც სოხუმი ხელმეორედ ავიღეთ, დაბომბვაში მოვყევი და მხრისა და მუცლის არეში მძიმე ჭრილობა მივიღე. მინდოდა მეთხოვა, მამასთან წამიყვანეთ-მეთქი, მაგრამ მისთვის თვალებში ჩახედვის მომერიდა. ბიჭებს არც კი უფიქრიათ, ისე დავტოვეთ იქაურობა და დროებით, სოჭში — მამაჩემის რუს კოლეგასა და პაციენტთან წავედით. ის კაცი თვალის ექიმი იყო. თავის დროზე, ვენების პრობლემა ჰქონდა და მამამ რამდენიმე ოპერაცია გაუკეთა... ერთი სიტყვით, მისი ოჯახის წევრებთანაც მრავალწლიანი ურთიერთობა გვაკავშირებდა და უკვე ჩვენი ოჯახის ახლობლებად ითვლებოდნენ... დედა იქიდან ყოველ საღამოს ურეკავდა და ეხვეწებოდა, ჩამოდიო, მაგრამ მამას სამსახური არც ერთი დღით არ დაუტოვებია, თეთრი ხალათი არც კი გაუხდია. სოჭელი ახლობლები სამსახურსაც ჰპირდებოდნენ. იცით, რა მახსოვს?.. როცა სოხუმის ასაღებად გადამწყვეტი ბრძოლები მიმდინარეობდა, ჩვენი რუსი მასპინ-

ძელი ექიმი მას დღეში რამდენჯერმე ურეკავდა, მაგრამ მხოლოდ მესამე დღეს შეძლო ტელეფონთან მისვლა. ისიც კი ვიფიქრე, შეიძლება, მოკლეს კიდეც და არ გვიმხელენ, თორემ ერთხელ როგორ ვერ შეძლო ტელეფონთან მოსვლა-მეთქი?!. ბოლო საუბრის შემდეგ, მამის მეგობარმა ტელეფონის ყურმილი რომ დაკიდა, თვალებგაბრწყინებულმა, დიდი სიამაყით თქვა: „ონ ჩესნი ჩელოვეკ“.

— **დედათქვენის პოზიცია როგორი იყო?**

— მათ უზომოდ უყვარდათ ერთმანეთი და დედას შეეძლო, ქმრის ნებისმიერი ნაბიჯი სწორად შეეფასებინა. რამდენჯერმე შევეკამათე და ვუთხარი, — მრცხვენია, რომ მოღალატე კაცის შვილი ვარ-მეთქი, — რაზეც დედამ გამაჩუმა, — ის თავისი საქმის ერთგულიაო. სხვათა შორის, დედაც აფხაზი მყავს და მისი ნათესავებიც იბრძოდნენ... თავის მართლებას არ დავიწყებ, მაგრამ ჩვენს ოჯახში იმდენად საბრძოლო განწყობილება სუფევდა, რომ ძნელი იყო, ამ ყველაფრის მიმართ გულგრილი დარჩენილიყავი, ამიტომ, დღემდე მიკვირს — როგორ ახერხებდა მამა ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნებას ისე, რომ მისთვის შენიშვნაც კი არავის მიეცა. მით უფრო მიკვირს, რომ ჩემი ხალხის ფიცხ და ზოგჯერ დაუნდობელ ხასიათს კარგად ვიცნობ...

— **ვიცი, რომ მისი სიკვდილის მიზეზი სწორედ ეს მტკიცე ხასიათი გახდა...**

— დიახ... 25 სექტემბერს სოხუმისთვის გადამწყვეტი ბრძოლები მიმდინარეობდა, მამა კი, თავის ქართველ კოლეგებთან ერთად, ისევ საავადმყოფოში იყო და დაჭრილებს არ შორდებოდა. ერთ-ერთი ვერსიით, 26 აგვისტოს გამთენიისას იქ აფხაზი ბოევიკები შესულან და მამის წამოყვანა მოუნდომებიათ, მაგრამ ის ამ დროს საოპერაციოში ყოფილა და სანამ ოპერაცია არ დაუმთავრებია, არ გამოსულა. ამბობენ, რომ ამასობაში, მანქანაში მსხდომი აფხაზი დაჭრილი გარდაიცვალა. გაბოროტებულმა მეომრებმა მამა ჯერ აწამეს და მერე დახვრიტეს. მეორე ვერსიით, უკვე სოხუმის დაცემის დღეს მამამ ქართველი დაჭრილი არ მიატოვა და „ბაგრამიანის“ ბატალიონის წევრები ჯერ დაჭრილს „წაეხმარნენ სიკვდილში“, მტრის სიცოცხლეზე მზრუნველი ექიმი კი საავადმყოფოს კიბეზე დახვრიტეს... მამას გვამი სოხუმის აღებიდან 10 დღის შემდეგ იპოვეს ახლობლებმა. დედამ მეუღლის ცხედარი გასისხლიანებული, ჯიბის საათით იცნო, რომელიც სულ თან ჰქონდა. მანამდე იმედი გვქონდა, ღვაწლმოსილ ექიმს მოსაკლავად არ გაიმეტებდნენ... მას შემდეგ, რაც მამის ცხედარი ვიპოვეთ, არაერთი ვერსია გავრცელდა, მისი სიკვდილი ქართველებსაც დაჰბრალდათ და ერთი პერიოდი, მჯეროდა კიდეც, რომ ქართველის ტყვიით იყო მოკლული, მაგრამ მერე, როცა ყველაფერი ჩაწყნარდა, სიმართლე ითქვა... გაპარტახებულ და გადამწვარ აფხაზეთში დავბრუნდი, თუმცა იმის განცდა, რომ მის დამოუკიდებლობაში ჩემი წვლილიც იყო შეტანილი, სიამაყეს მგვრიდა. სულ რამდენიმე თვეში მივხვდი, რომ არანაირი დამოუკიდებლობა არ არსებობდა. ამ იდეას შეწირული ადამიანების სიცოცხლე, გადარჩენილების თავგანწირვა, შიმშილი, წამება და უბედურება — ყველაფერი წყალში ჩაიყარა... ერთი სიტყვით, აფხაზეთში ვეღარ ვიცხოვრებდი და დედას ვთხოვე, — აქაურობას გავეცალოთ-მეთქი. არ ვიცი, ახლა ვინ ცხოვრობს ჩემს სახლში და აღარც მაინტერესებს. ამას წინათ მითხრეს, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მამა-ჩემის სახელობის ქირურგიული განყოფილება გაუხსნიათო, მაგრამ აწი რაღა აზრი აქვს მისი გმირობის აღიარებას?!.

■

ჯარისკაცის სტანდარტული დღე ავღანეთში
და წყლის წყაროს მაძიებელი „მეამბოხეები“...

ამ ცოტა ხნის წინ ავღანეთიდან ქართველი ჯარისკაცები სამშობლოსა და საკუთარ ოჯახებს, საბედნიეროდ, მშვიდობით დაუბრუნდნენ. ვინც იმ დღეს აეროპორტში იმყოფებოდა, ძალზე ემოციური შეხვედრების მომსწრე გახდებოდა.

თეა ხურცილავა

საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-2 ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის ერთი გაძლიერებული ასეული, 173 კაცის შემადგენლობით, ავღანეთში, ქალაქ ქაბულში 6 თვის განმავლობაში ასრულებდა სამშვიდობო მისიას. ქართული ასეული ფრანგული კონტინგენტის შემადგენლობაში შედიოდა (აქვე დავძენთ, რომ ჩვენი ჯარისკაცები ასევე, ავღანეთის სამხრეთით — ჰელმენდის პროვინციაშიც იმყოფებიან.). ამ ასეულის სამხედრო მოსამსახურეებს საკმაო გამოცდილება აქვთ მიღებული — სამშვიდობო მისიას ერაყშიც ასრულებდნენ. მათი ახალგაზრდა მეთაური — კაპიტანი ***ანტონ ძუთათელაძე*** *შეიარაღებულ ძალებში 1995 წლიდან მსახურობს. მას აეროპორტში მონატრებული დედა დახვდა...*

— ბატონო ანტონ, ავღანეთში წასვლამდე ჯარისკაცებმა სპეციალური მომზადება გაიარეს, არა?

— დიახ, ეს რამდენიმე თვით ადრე განხორციელდა. გარკვეულმა ნაწილმა მომზადება საფრანგეთში გაიარა და ამის შემდეგ ქვედანაყოფი ავღანეთში გაემგზავრა. 173 მოსამსახურე ასრულებდა მისიას. ჩემი ასეული ავღანეთამდე ერაყშიც არის ნამყოფი, ასე რომ, ბიჭებს საკმაო გამოცდილება აქვთ. მოტივირებულიც არიან: ჩვენს ქვეყანას ვემსახურებით.

ბაზის ტერიტორიაზე ყველა შემსვლელს ჩხრეკენ

— დაკისრებულ ამოცანებს როგორ გაართვით თავი?

— ავღანეთში რასაც ვასრულებდით, ეს ნამდვილად საინტერესო იყო. ბევრი რამ შევისწავლეთ, ქვედანაყოფმა დიდი პრაქტიკა გაიარა და გამოცდილება გაიმდიდრა. ქაბულის გარეუბანში, ცენტრიდან 10 კილომეტრის დაშორებით ვიყავით დისლოცირებული. ჩვენს მოვალეობაში ბაზის დაცვა შედიოდა; ქვედანაყოფს აგრეთვე, საპატრულო რაიონი ჰქონდა გამოყოფილი, რომლის პატრულირებას 24 საათის განმავლობაში ვახორციელებდით. გვქონდა ურთიერთობა მოსახლეობასთან, რათა მისგანაც საჭირო ინფორმაცია მიგვეღო.

— მერე, როგორი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდათ?

— ქართულ კონტინგენტს მოსახლეობასთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ სამხედრო ფორმით გვცნობდნენ და ხშირად ისმოდა შეძახილები: „ქართველებო, ქართველებო!“ ჩვენი ჯარისკაცები ხშირად ასაჩუქრებდნენ ბავშვებს, რამდენიმეჯერ საქველმოქმედო აქცია ჩავატარეთ და საკმაოდ კარგად გაგვიცნო მოსახლეობამ. ქართველი ჯარისკაცებიც კმაყოფილები იყვნენ.

— რომელი ქვეყნის სამხედრო ნაწილები შეცვალეთ?

— ტერიტორიას, რომლის დაცვა დაგვევალა, ჩვენს ჩასვლამდე საფრანგეთის ეროვნული ლეგიონი იცავდა. ჩვენ კი ახლა ისევ ქართველმა სამხედროებმა შეგვცვალეს. მადლობა უფალს, ამ 6-მა თვემ კარგად ჩაიარა და უდანაკარგოდ დავბრუნდით.

— სად იყო მისიის შესრულება უფრო რთული — ავღანეთში თუ ერაყში?

— ორივე შემთხვევაში ერთნაირი პრობლემის წინაშე ვიდექით.

— „ცხელ წერტილში“ მოხვედრამდე ჯარისკაცები ფსიქოლოგიურად ემზადებიან?

— როცა კაცი ჯარში მოდის, კარგად აქვს გათავისებული, სად მიდის და რისთვის. ჩვენმა ჯარისკაცებმა იცოდნენ, რა ამოცანები ექნებოდათ შესასრულებელი და რამდენად მნიშვნელოვანია ეს ჩვენი ქვეყნისთვის.

— როგორ პირობებში იყავით? კვება როგორი გქონდათ?

— ჯარისკაცს იქ ყველა პირობა აქვს შექმნილი. დასვენების დროსაც და სამსახურის პერიოდშიც ყველაფრით უზრუნველყოფილნი იყვნენ.

— როგორც ვიცი, ასეულში ქალებიც იყვნენ. მათ რა ფუნქცია ეკისრებოდათ?

— 8 მანდილოსანი იყო. ცენტრალურ შესასვლელში იქ მცხოვრები ქალების ჩხრეკა უხდებოდათ.

— მოსახლეობა ბაზაში შემოდიოდა?

— იყო კატეგორია, რომელიც ბაზის ტერიტორიაზე მუშაობდა და მათი ჩხრეკა ჩვენს მანდილოსნებს ევალებოდათ.

— ბატონი ანტონ, რამდენად მკაცრი მეთაური ხართ და დასჯის რა მეთოდს მიმართავთ ხოლმე?

— ჯარისკაცმა დაკისრებული მოვალეობა მაღალ დონეზე უნდა შეასრულოს. ყოველთვის ვითხოვ, პროფესიონალები

იყვნენ, საკუთარი თავი წარმოაჩინონ ისე, როგორც ეს ქართველ სამხედროს შეეფერება. რაც შეეხება დასჯას — მეთოდი უამრავია. ჩემი საყვარელი მეთოდი — ვარჯიშით დასჯაა, ეს ჯარისკაცისთვისაც სასარგებლოა და ჩემთვისაც, რადგან ვარჯიში ფიზიკურ კონდიციებს აუმჯობესებს.

— რაიმე კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებთ?

— გვიან ღამით შევიტყვეთ, რომ საგუშაგოს მოპირდაპირე მხარეს, 200 მეტრში ორი ადამიანი რაღაცას თხრიდა. ეს საეჭვოდ მივიჩნიეთ. ათეულს ვუხმე და წავედით. მივეპარეთ და ორი მამაკაცი ავიყვანეთ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ორი საწყალი გლეხი დავაკავეთ — ღამის 2 საათზე თურმე არხი გაჰყავდათ: იმ ტერიტორიაზე მწვავედ დგას წყლის პრობლემა; გლეხებს განაწილებული ჰქონდათ სამუშაო და განსაზღვრული ჰქონდათ დრო — სამუშაო ვის როდის უნდა შეესრულებინა. რა თქმა უნდა, შევაშინეთ...

ვიცე-პოლკოვნიკ ***ლევან სიხარულიძის*** *ავღანეთში 8 თვით გაჩერებამ მოუწია. ის ქართული ქვედანაყოფის მეკავშირე-ოფიცერი იყო, ინტეგრირებული საფრანგეთის ბატალიონის შტაბში. ბატონ ლევანს აეროპორტში მონატრებული ცოლშვილი დახვდა.*

— ბატონი ლევან, რა ფუნქციის შესრულება გიხდებოდათ და როგორ გაიხსენებთ ავღანეთში გატარებულ დღეებს?

— სამსახურის თვალსაზრისით, ეს მისია ჩვენთვის ძალზე სასარგებლო და აუცილებელი იყო. ჩემი უპირველესი ვალდებულება — ქართულ და ფრანგულ ქვედანაყოფებს შორის ურთიერთობა გახლდათ. კონტაქტი უნდა ყოფილიყო მაქსიმალურად გამართული, სწორედ ნატოს მუდმივმოქმედი, ოპერატიული პროცედურების შესაბამისად. ასეც ხდებოდა. ჩვენი ასეულის საქმიანობა საბრძოლო-სამეთვალყურეო კოშკურებზე მორიგეობა, მთავარი კარიბჭის დაცვა, პატრულირება გახლდათ. ყველაფერი განისაზღვრებოდა მოქმედი ოპერატიული პროცედურებით და ბუნებრივია, ამის მიხედვით დაგეგმვა, ასეულამდე გეგმის დაყვანა, ამოცანების დასახვა, მისი შესრულება, მასზე კონტროლი.

— იქნებ აღწეროთ, როგორი იყო თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე?

— ყველას ერთნაირი, სტანდარტული დღე გვქონდა: დილა ფიზიკური მომზადებით იწყებოდა; ყველაფერი განაწესის მიხედვით მზადდებოდა — იქნებოდა ეს ბანაკის დაცვა საბრძოლო-სამეთვალყურეო კოშკურებიდან, მთავარი გასასვლელის დაცვა თუ 24-საათიანი პატრულირება.

— როგორც ვიცი, ერაყში სამხედრო კონტინგენტთან მოძღვარი იმყოფებოდა; ჯარისკაცებმა ქართული ტაძარიც ააგეს. თქვენ თუ გქონდათ სპეციალურად გამოყოფილი სალოცავი ადგილი?

— ჩვენთან ერთად მამა იოსები იმყოფებოდა. გვქონდა სალოცავი კუთხე — მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სამლოცველო. მისი კურთხევა მოხდა. ფრანგების დახმარებით, მაგრამ ჩვენი ძალებით, მოვაწყვეთ ეს სამლოცველო, სადაც ყოველდღე წირვა-ლოცვას ჩვენი ასეულის მოძღვარი, მამა იოსები ატარებდა... ასეულისთვის ყაზარმები და შტაბი ფრანგულმა მხარემ გამოყო. დამატებით, დასასვენებელი შენობა გვქონდა, სადაც ტელევიზორით, კომპიუტერით, ტელეფონითა და გასართობი საშუალებებით სარგებლობა შეგვეძლო. იყო ასევე სპორტული მოედანი, სადაც „ნატოელებს“ ფეხბურთის თამაშის შესაძლებლობა აქვთ.

— თავისუფალი დრო გრჩებოდათ?

— რა თქმა უნდა, ასეული დაკავებული იყო, მაგრამ გარკვეული დროის მონაკვეთი თავისუფალი გვქონდა. მორიგეობის შემდეგ, ყველა თავისი საყვარელი საქმით იყო დაკავებული: ზოგი — სპორტით, ზოგი — პირადი საქმეების მოწესრიგებით. ოჯახთან კავშირი ინტერნეტით შეგვეძლო.

— ეს თქვენთვის პირველი მისია იყო?

— ნატოში საკმაოდ დიდხანს მომიხდა სამსახური. 3-ჯერ, ხანმოკლე მისიით, კოსოვოში ვიყავი მივლინებული, იქ განთავსებული ქვედანაყოფის ინსპექტირების მიზნით. კოსოვოში გერმანულ ქვედანაყოფთან ურთიერთობამ მომიწია, ავღანეთში — ფრანგულთან. სამხედრო სამსახური მკაცრია და ოპერაციების დროს დიპლომატიას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება. ბუნებრივია, ფრანგი მეთაური ფრანგებთან უფრო მკაცრია, ვიდრე ქართველებთან, — ისევე, როგორც ჩვენი მეთაური ქართველი ჯარისკაცების მიმართ გაცილებით მომთხოვნია. ერთი სიტყვით, ყველანი იმ ჩარჩოში ვექცეოდით, რომელსაც ნატოს წესდებების შესაბამისად ითხოვდნენ. საბედნიეროდ, არანაირი დანაკარგი არ გვქონია.

მოვაწყვეთ ეს სამლოცველო, სადაც ყოველდღე წირვა-ლოცვას ჩვენი ასეულის მოძღვარი, მამა იოსები ატარებდა...

— იქნებ, რომელიმე ოპერაცია გაიხსენოთ?

— 2009 წლის დეკემბერი იყო. მთავარ ღერძზე, სადაც ყოველთვის ჩვენი მეკავშირეები მოძრაობდნენ, თავიანთი პატრულით, მეამბოხეთა შემოღწევის ფაქტი დააფიქსირეს. მაშინვე, უზარმაზარი სამხედრო მანქანა ამოქმედდა. ჩვენი ასეულის მეთაურმა მიიღო დავალება, აღნიშნულ ზონაში პატრულირება მოეხდინა, რადგან ეჭვი იყო, რომ მეამბოხეებს გამთენიისას შეიძლებოდა, გზა დაენაღმათ. საბოლოოდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ამ დღეს პირველად მომეცა საშუალება, მენახა (და თავადაც მიმეღო მონაწილეობა), თუ რეალურად როგორ ხდება ქვედანაყოფის მართვა ციფრული ტექნიკის საშუალებით. ჩვენს ასეულთან ერთად, ოპერაციაში ფრანგული და თურქული ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ. რა თქმა უნდა, რუკები და შესაბამისი მოწყობილობები გვქონდა. ჩვენ ეკრანზე ვუყურებდით, თუ როგორ მოქმედებდა ქართული ქვედანაყოფი, რას აკეთებდნენ ფრანგები და თურქები. ბუნებრივია, საჭიროების შემთხვევაში, ძალიან ადვილი იყო განკარგულების გაცემა, რომ რაღაც ცვლილება მომხდარიყო, თუ ამის აუცილებლობა იქნებოდა.

— სხვა ქვეყნის სამხედროებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— ყველანი ერთი ამოცანის შესასრულებლად ვიყავით და დამოკიდებულება ჩვენ შორის ძალიან მეგობრული იყო. თუ რაიმე უბედურება მოხდებოდა, ეს მოგვივიდოდა ყველას, ამდენად — მთელი იმ მრავალეროვნული ქვედანაყოფის პრობლემა გახლდათ, რომელიც აღნიშნულ ბაზაზე იყო განლაგებული.

— ქალაქ ქაბულში მოსახლეობა რა პირობებში ცხოვრობს?

— განვითარებადი ქვეყანაა, მთელი რიგი დამახასიათებელი პრობლემებით. ცხოვრების ის წესი, რომლითაც ცხოვრობენ, მათთვის მისაღებია. ქალაქში მიმდინარეობს მშენებლობები, დასავლეთიდან ახალ-ახალი ინვესტიციები შემოდის; სწორედ ამის საფუძველზე ხდება ქაბულის განვითარება, მისი კეთილმოწყობა. ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი...

— რა მოგცათ იქ გატარებულმა დღეებმა?

— კარგად გავიცანით ის მუდმივმოქმედი პროცედურები, რომლითაც ნატო მოქმედებს. პატრულირება ნატოს სტანდარტების თანახმად, არა უბრალოდ თეორიულად შევისწავლეთ, არამედ პრაქტიკულად ვახორციელებდით; ამის მიხედვით დგებოდა მოხსენებები, ბრძანებების დაწერა და სხვა ამოცანების გადაჭრა.

■

„აღარც ოპოზიციის იმედი მაქვს და აღარც „პოზიციის“

„ოპოზიციონერი ლიდერები მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწევენ“

თბილისის საკრებულოს ოპოზიციონერ დეპუტატებს უახლოეს მომავალში ხალხისთვის ანგარიშის ჩაბარება მოუწევთ — ამის თქმის საფუძველს მათ მიერ საზოგადოებისთვის მიცემული დაპირებები იძლევა. მართალია, პოლიტიკური ექსპერტები ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ საკრებულოში მოხვედრილი 11 ოპოზიციონერი, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას წამოადგენს, გაერთიანების შემთხვევაშიც კი ვერ მოახერხებს თავიანთი ამომრჩევლების ინტერესების დაცვას, მაგრამ ხალხის დიდი ნაწილი იმედს ჯერ კიდევ არ კარგავს; თუ საერთოდ, რა სიახლეებს ელიან ახალი საკრებულოსგან, ამის გარკვევას როგორც ცნობილ ადამიანებთან, ასევე სხვადასხვა ფენის მოქალაქეებთან გასაუბრებისას შევეცადე...

ხათუნა ბახტურიძე

ნინო ბურდული, *მსახიობი:*

— მართალია, საკრებულოში ძალზე ცოტა ოპოზიციური ძალა შეევიდა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ სოციალური პრობლემების მოგვარებას მეტ-ნაკლებად მაინც მოახერხებენ.

მარიკა ლორთქიფანიძე, *აკადემიკოსი:*

— იმედი მაქვს, ადამიანები, რომლებიც წინასაარჩევნოდ უხვ დაპირებებს გვაძლევდნენ, საკრებულოში რაღაცას მაინც გააკეთებენ. სხვა თუ არაფერი, სოციალურ პრობლემებს მაინც მოაგვარებენ.

ელისო ჩაფიძე, *ჟურნალისტი:*

— საკრებულოში პოლიტიკურ ძალთა ბალანსი უფრო მეტად რომ ყოფილიყო დაცული, ოპოზიცია უფრო მეტი რამის გაკეთებას შეძლებდა. იმედი მაქვს, ახალი საკრებულოს პრიორიტეტი — ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა, მათი გამოკვება, სწავლა, ჯანმრთელობა იქნება და არა ხიდებისა თუ ესტაკადების მშენებლობა. როდესაც ქვეყანაში მოსახლეობის უმრავლესობა ღატაკია, არ შეიძლება, ერთსა და იმავე მოედანზე 2-3 წელიწადში ერთხელ სხვადასხვა ტიპის ძეგლებს დგამდე... არჩევნების მეორე დღესვე ხელისუფლებამ არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო: ვგულისხმობ დოლარის კურსის თამაშს. საარჩევნოდ დახარჯული თანხა ეგრევე ჯიბიდან ამოგვიღეს. ვგულისხმობ ახალ საგადასახადო კოდექსს, რომელიც ბენდუქიძემაც კი გააპროტესტა. მედიასთან დაკავშირებითაც სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის. სააკაშვილი უკვე 60-წლიან მმართველობაზე ალაპარაკდა.

დიმა ჯაიანი, *რეჟისორი:*

— იმ ოპოზიციონერებს, რომლებიც საკრებულოში შევიდნენ, „ნაციონალები“ არაფერს შეეკითხებიან. ეს ყველაფერი, პიარი და აფერისტობაა. აღარც ოპოზიციის იმედი მაქვს და აღარც „პოზიციის“; ეს ქვეყანა ჩვენ, ხალხმა უნდა გადავარჩინოთ. რატომ არ აპროტესტებს ოპოზიცია, აგვისტოში თბილისში გეი-აღლუმის ჩატარება რომ იგეგმება?! ამის მოთმენა აღარ შეიძლება.

ლელა ცეცხლაძე, *ექიმი:*

— საკრებულოში ისეთი აქტიური და პრინციპული ადამიანები შევიდნენ (მხედველობაში მყავს თინა ხიდაშელი და ინგა გრიგოლია), რომ დარწმუნებული ვარ, იბრძოლებენ და შედეგებსაც მიაღწევენ.

კახა მაძაცარია, *მუშა:*

— დარწმუნებული ვარ, ახალი საკრებულო სიახლეებს შეიტანს ჩვენს ცხოვრებაში. სხვა თუ არაფერი, ტელეეკრანებიდან საინტერესო დებატებს მაინც მოვისმენთ...

იაგო ლაცაბიძე, *ეკონომისტი:*

— დარწმუნებული ვარ, საკრებულოში შესული ოპოზიციონერი ლიდერები მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწევენ. მართალია, „ნაციონალებზე“ ცოტანი არიან, მაგრამ რეიტინგულები არიან და ვფიქრობ, უმრავლესობას მათი აზრის გათვალისწინება მოუწევს.

თამარ მაისურაძე, *დიასახლისი:*

— არჩევნებში ხმა „ქრისტიან-დემოკრატებს“ მივეცი, იმიტომ, რომ დაბალი ტარიფების იდეა ძალიან მომეწონა. მართალია, უმრავლესობით ვერ მოვიდნენ, მაგრამ ინგა გრიგოლია ისეთი აქტიური ადამიანია, უმცირესობიდანაც შეძლებს დანაპირების შესრულებას.

თუ რამდენად საფუძვლიანია საზოგადოების ნაწილის იმედები და რა ბერკეტები შეიძლება ჰქონდეს საკრებულოში უმცირესობით მოსულ ოპოზიციას, — ამის შესახებ ექსპერტი ***გია ხუსაშვილი*** *გვესაუბრება.*

— ბატონო გია, თქვენი აზრით, რამდენად წარმატებულად მოახერხებს ოპოზიცია საკრებულოში საკუთარი პოზიციების დაცვას?

— საკრებულოში რეალურ ბრძოლას არ ველი. სპექტაკლი კი ნამდვილად, ხშირად დაიდგმება და ბრძოლის ინსცენირების მოწმენიც გავხდებით. საკრებულოს სტატუსი ისედაც არ იძლევა რეალური პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას... გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრი ოპოზიციონერი იქ საკუთარი კეთილდღეობის მოწყობაზე ზრუნვას დაიწყებს.

— საზოგადოება ახალი საკრებულოსგან, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე მეტად, სოციალური პრობლემების მოგვარებას ელის...

— მოხარული ვიქნები, თუ ამ კუთხით რაღაც მაინც მოგვარდება, მაგრამ ჩვენ არ გვყავს ისეთი ხელისუფლება, რომელიც 11 კაცის „ფაფხურს“ ყურადღებას მიაქცევს... ჩემი აზრით, საკრებულოში ყველა სცენარი წინასწარ იქნება შეთანხმებული და კიდევ ერთხელ ვნახავთ, თუ როგორია ვირტუალური დემოკრატია. დებატები საკრებულოში იქნება ისეთივე ფასადური და ყალბი, როგორიც „ქრისტიან-დემოკრატების“ დაპირებები.

— რის საფუძველზე ამბობთ, რომ მათი დაპირებები ყალბი იყო?

— თეორიული შანსიც კი არ არსე-

ბობს, რომ გაზის ფასი 5 თეთრი გახდეს, წყლის კი — 10 თეთრი. დაკვირდით, საერთოდ აღარ ლაპარაკობენ „ქრისტიან-დემოკრატები“ ამ საკითხზე.

— ფიქრობთ, რომ დღეს არსებული ტარიფები მოსახლეობის შემოსავლის ადეკვატურია?

— ეს ტარიფები ნამდვილად არ არის მოსახლეობის შემოსავლების ადეკვატური, მაგრამ დღეს არსებულ პირობებში უბრალოდ შეუძლებელია ტარიფების ასე დარეგულირება. ეს გია ჭანტურიამაც მშვენივრად იცის. „ქრისტიან-დემოკრატებს“ იმას კი არ ვედავები, რომ ტარიფების საკითხი უნდა მოგვარდეს, არამედ იმას, რომ არარეალურ ციფრებს ასახელებენ. სოციალურ სატყუარად ტარიფის გამოყენება არაკეთილსინდისიერი საქციელია. სხვათა შორის, არჩევნებამდე ისინი იმასაც გვპირდებოდნენ, რომ ტარიფებთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელს შეიტანდნენ. მეც ვპირდები მათ, რომ ამ პირობას არ დავივიწყებ და კვირაში ერთხელ მაინც შევახსენებ. თუ მათ ტარიფებზე პირდაპირი ზემოქმედების თავი არა აქვთ, სასამართლოში მაინც შეიტანონ სარჩელი... ძალიან საინტერესო სასამართლო პროცესი იქნება. აუცილებლად დავესწრები ყველა სხდომას და „ქრისტიან-დემოკრატებს“ დავუჭერ მხარს.

— საკრებულოს სხვა ოპოზიციურ ძალებზე რას იტყვით?

— „ალიანსი“ ნამდვილად შეეცდება, პრინციპულად დააყენოს საკითხები, მაგრამ რა გამოუვათ, ეს ნამდვილად არ ვიცი. მინიმალურ შედეგებს მაინც თუ მიაღწევენ, ესეც კარგი იქნება.

— საკრებულოში ოპოზიციური ძალების გაერთიანებას კონკრეტულ თემებზე მსჯელობისას გამორიცხავთ?

— საკრებულოში შესული ოპოზიციური სპექტრი იმდენად განსხვავებული მსოფლმხედველობისაა, რომ მათ შორის რაიმე ტიპის გაერთიანებას, პრაქტიკულად, გამოვრიცხავ.

აპირებენ თუ არა „ქრისტიან-დემოკრატები“ მოსახლეობისთვის წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას და რა მექანიზმებს გამოყენებენ ამისთვის? — ამ კითხვებით საკრებულოში „ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენელს, ***ინგა გრიგოლიას*** *მივმართეთ.*

— ჩვენ საკრებულოს პირველივე სხდომაზე დავსვით კითხვა, თუ რას აკეთებდა ძველი საკრებულო 4 წლის განმავლობაში და რატომ იყო ის ყველაზე ჩაკეტილი სტრუქტურა? ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს ჩაკეტილი სტრუქტურა ხალხისთვის გაიღოს. ადამიანები ხშირად მეუბნებოდნენ, რომ დიდი მცდელობის მიუხედავად, საკრებულოში შეღწევას ვერ ახერხებდნენ. კარგი იქნება, თუ მოსახლეობას მიაწვდით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საკრებულოს სხდომებზე რეგლამენტით დასწრება ნებისმიერ ჩვენს თანამოქალაქეს შეუძლია. ჩვენ აუცილებლად გავაგრძელებთ ბრძოლას ტარიფების შესამცირებლად. სამწუხაროდ, უმრავლესობაში ვერ მოვედით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი დანაპირების შესრულებაზე უარს ვიტყვით. უგულავამ პირველივე სხდომაზე გვითხრა, ტარიფების თემას საკრებულო არ წყვეტსო. ეს ჩვენც ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ ამ ინიციატივით გამოსვლა ხომ შეგვიძლია?! როდესაც საკრებულოს სხდომაზე ტარიფების შემცირების საკითხი დავაყენე, უმრავლესობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მზად არიან, ამ თემაზე იმუშაონ და საზოგადოების რომელიღაც ფენისთვის მაინც მოხერხდეს გადასახადების შემცირება. ხელისუფლება ამ მიმართულებით სულ მცირე დათმობაზეც რომ წამოვიდეს, დიდი გამარჯვება იქნება.

— ტარიფებთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის შეტანას აღარ აპირებთ?

— გია ჭანტურია ამჟამად თბილისში არ იმყოფება. ამ საკითხს ექსპერტებთან ერთად ავწონ-დავწონით და სარჩელსაც შევიტანთ. ვიბრძოლებთ ყველანაირი მექანიზმით და გამოვიყენებთ სასამართლოს, პოლიტიკურ ტრიბუნას, როგორც პარლამენტში, ისე საკრებულოში. ვფიქრობ, რომ ეს უკვე ძალიან სერიოზული მექანიზმებია იმისთვის, რომ ხელისუფლებას რაღაცის გაკეთება აიძულო. წინასაარჩევნო დაპირების შესრულებას უფრო იოლად შევძლებდით, უმრავლესობაში რომ მოვსულიყავით, მაგრამ ამ არჩევნებზე ხელისუფლებაც ჩვენ გვებრძოდა და ოპოზიციაც. ვისაც არ ეზარებოდა და ვისაც „ექსპერტი“ ერქვა, ყველა ჩვენ გვაქილიკებდა.

— ქილიკის მიზეზი ის გახდა, რომ თქვენ მიერ შემოთავაზებული ტარიფები ოპოზიციურად განწყობილმა ეკონომიკურმა ექსპერტებმაც კი არარეალურად მიიჩნიეს.

— ეს მათი პრობლემაა. იმის მაგივრად, რომ მხარში ამოსდგომოდნენ ადამიანს, რომელიც ტარიფების გაიაფებას ითხოვდა, თავზე ლაფს ასხამდნენ. შედეგიც ადეკვატური იყო... რას გვედავებიან?! ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოში ტარიფები ხელოვნურად არის გაზრდილი. ვინც საწინააღმდეგოს ამბობს, თავად არის დასაცინი. შეუძლებელია, ქვეყანაში, სადაც საარსებო მინიმუმი 138 ლარია, ადამიანს გაზსა და წყალში ამდენ ფულს ახდევინებდნენ. საქართველოში თუ ვინმე იტყვის, რომ ტარიფი მაღალი არ არის, მართლა დასაცინი იქნება. ვისაც ეს ფასები მოსწონს, თავად იხადოს.

— ეკონომიკური ექსპერტები არ უარყოფენ, რომ ქვეყანაში ტარიფების საკითხი მოსაგვარებელია, მაგრამ მიაჩნიათ, რომ გაზის დისტრიბუციისა და მიწოდების ხარჯები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ გაზის ფასი მომხმარებლისთვის 5 თეთრით შემოიფარგლოს.

— არ მოგატყუებთ და საერთოდ არ მადარდებს, ვინ რას ფიქრობს. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, რომ დანაპირები შევასრულოთ. თუ ტარიფების შემცირებას საზოგადოების რაღაც ნაწილისთვის მაინც მოვახერხებთ, ამას გამარჯვებად ჩავთვლით.

— როგორ ფიქრობთ — საკრებულოში ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისას ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებიც დაგიჭერენ მხარს?

— კი, იმიტომ, რომ ისინი ჩვენი პოტენციური პარტნიორები არიან. თანაც, მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს.

— იმ ადამიანებთანაც შეძლებთ თანამშრომლობას, რომლებიც ამბობენ, რომ „ქრისტიან-დემოკრატები“ ხელისუფლებასთან არიან გარიგებულნი?

— ჩვენ საკრებულოში პირველივე დღეს დავუსვით ხელისუფლებას მწვავე კითხვები... თავის მართლებას აღარ ვაპირებთ... იმედი მაქვს, დანარჩენ ოპოზიციასთან ერთად, შეთანხმებულად ვიმუშავებთ. არის თემები — სოციალური პრობლემები, ჯანდაცვა და ტარიფები, რომლებზე მუშაობის დროსაც აუცილებელია, დაივიწყო შენი პარტიული და პირადი ინტერესები.

■

ფეხსაცმლის მაღაზია „ტორალი“ გთავაზობთ
100%-იანი ესპანური
ქალის,
მამაკაცის და
ბავშვის
ფეხსაცმელების ფართო არჩევანს, ხელმისაწვდომ ფასებში, 30 ლარიდან.
სიახლე!

მის ქეთევან წამებულის გამზ.№92 (მისანთან)
ტელ 77 65 82; 858 68 55 48

სახე

ოკეანის გაღმა ნასწავლი გიჟი გურული და მისი ცხოვრების მიზანი

„შუა ქალაქში“ მე არ შემიქმნია“...

ის თითქმის ყველა წარმატებული პროექტის სათავეში არის ხოლმე. ცხოვრების მიზნად სწავლა და მუდმივი განვითარება დაისახა. მიზანმიმართული და შრომისმოყვარეა და საკუთარ გუნდშიც ასეთ ადამიანებს უყრის თავს. ოკეანის გაღმა ნასწავლი DAVITI GOGICHAISHVILI დღეს „ღამის შოუს სტუდიის“ მთავარი მენეჯერი გახლავთ. აქვს საკუთარი პრინციპები, რომელთაც არასდროს ღალატობს...

დამოუკიდებელი ცხოვრება ადრეულ ასაკში დაიწყო და საკმაოდ საინტერესო გზა აქვს გავლილი. ინტერვიუზე მისი დაყოლიება ძალზე რთულია. ჩვენი დიდხნიანი მეგობრობის მიუხედავად, სასაუბროდ ამჯერადაც ძლივს დავითანხმე...

ლალი ფაცია

— დათო, მიზანმიმართული ბავშვი იყავი?

— მახსოვს, რომ ბავშვობაში მათემატიკაში ნიჭიერი ვიყავი. 4 წლის ასაკში სამნიშნა რიცხვების ზეპირად დაჯამება-გამოკლება შემეძლო, რითაც ჩემი ნათესავები გაოცებულები იყვნენ. მიხაროდა, როცა ზეპირ ანგარიშს მთხოვდნენ და მეც შეუცდომლად ვპასუხობდი... უკვე მოზრდილი, ილია ვეკუას სახელობის მათემატიკურ სკოლაში გადავედი სასწავლებლად. საგამოცდოდ პედაგოგთან არც მოვმზადებულვარ. გამოცდაზე რომ შევედი, გარეთ მამაჩემი მელოდებოდა; 15 წუთში რომ დავბრუნდი, ეგონა, ჩავიჭერი, — არადა, გამოცდა უპრობლემოდ ჩავაბარე... თავიდანვე მქონდა შემოქმედებისადმი მიდრეკილება. ზაფხულობით, სოფელში რომ ვიყავი, ბავშვები პატარა სპექტაკლებს ვდგამდით, რომლებშიც აქტიურად ვმონაწილეობდი. სცენა რაღაც, ბუნებრივად მიტაცებდა...

— არადა, როგორც ვიცი, ოჯახში მსახიობი არავინ გყავს: დედა ექიმია, მამა — ფსიქოლოგი (უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი)...

— კი, ასეა... ახლა კი, რასაც ვსაქმიანობ, ეს ამერიკაში სწავლის შედეგია. შემიძლია ვთქვა, რომ ამერიკამ ბიძგი მისცა იმ ყველაფერს, რისი გაკეთებაც მინდოდა, რადგანაც მანამდე ბევრ ადგილას ვმუშაობდი და საკუთარ თავს ვეძებდი...

— რა როლი მიუძღვით მშობლებს შენს ცხოვრებაში?

— ჩემს ცხოვრებაში მამაჩემს დიდი როლი აქვს. მისი პროფესია დამეხმარა იმაში, რომ ჩემი ასაკის ადამიანებში გაცილებით ადრე გავხდი დამოუკიდებელი ადამიანი, ვიდრე ამას სხვემა მიაღწიეს. მიმაჩნია, რომ მათ ცხოვრებაზე მშობლებმა ცუდი გავლენა მოახდინეს — შვილებს საკუთარ აზრებს ახვევდნენ თავს, რაღაცების კეთებას აიძულებდნენ... ჩემს შემთხვევაში ასეთი რამ არ ყოფილა. საერთოდ, რთულად აღსაზრდელი ბავშვი ვიყავი. მშობლებს ამ საკითხში სწორი მიდგომა რომ არ გამოეჩინათ, ალბათ ძალიან აგრესიულ ადამიანად ჩამოვყალიბდებოდი...

— რაში გამოისატებოდა შენი რთულად აღსაზრდელობა?

— მაგალითად, ჩავიკეტებოდი ტუალეტში და სანამ ველოსიპედს არ მიყიდდნენ, იქ არავის ვუშვებდი... ჩემს ძმას დავდევდი და რაღაცებს ვუშავებდი. მისთვის თითიც კი მომიტეხია. ერთხელ სახლში ჩავიკეტე და დედამამას შინ არ ვუშვებდი. მეუბნებოდნენ, — შემოგვიშვი, საათი უნდა ვნახოთ, სამსახურში გვაგვიანდებაო. მაშინ საათის ცნობა არ ვიცოდი და ასეთი რამ მოვიფიქრე: იყო სატელეფონო მომსახურების სერვისი — დარეკავდი 05-ზე და ავტომატი რუსულად ზუსტ დროს გაცნობებდა. მეც, რაც ავტომატმა მითხრა, ის „ვუთარგმნე“: „პიატნადცატ ჩესოვ სოროკ მინუტ“ (*იცინის*)... ახლა ამ საქციელზე კი გვეცინება, მაგრამ მაშინ არც ისე სასაცილო იყო. მოკლედ, რთულად აღსაზრდელი, ჯიუტი, გიჟი გურული ბავშვი ვიყავი!..

— ჰოდა, ის ჯიუტი, გურული ბავშვი გაიზარდა, ჩაირიცხა სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე და ბავშვობაში სცენის მიმართ გამოხატული ინტერესი იმაში გადაიზარდა, რომ უნივერსიტეტის „კავეენის“ გუნდში დაიწყო თამაში, არა?

— კი, ასე იყო. ჯერ საფაკულტეტოზე გამოვდიოდით, შემდეგ, ნაკრები შევქმენით და მისი კაპიტანიც ვიყავი. სათამაშოდ რუსეთშიც

ვიყავით წასული. იურმალაში დიდ წარმატებებს მივაღწიეთ. ნიჭიერი ხალხი შევიკრიბეთ... კარგი დრო იყო. ნაცვლად იმისა, რომ ქუჩაში, ბირჟაზე ვმდგარიყავით, მზესუმზირა გვეჭამა და ერთმანეთთან გვეჩხუბა, რაღაც ინტელექტუალური გზა ვიპოვეთ. უნივერსიტეტის კლუბში ვათენ-ვაღამებდით...

— ერთხანს, როგორც ეკონომისტი, ბანკშიც მუშაობდი. ის რა ეტაპი იყო შენს ცხოვრებაში?

— მართალია. ბანკში საერთაშორისო განყოფილების ეკონომისტი ვიყავი. იქაც ბევრი რამ ვისწავლე. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს არჩევანის წინაშე დავდექი: ან „რადიო 105“-ში მუშაობა უნდა ამერჩია, ან — ბანკში. მიუხედავად იმისა, რომ ბანკში გაცილებით მეტი ხელფასი მქონდა, მაინც რადიომ უფრო მიმიზიდა, რადგანაც იქ უფრო შემოქმედებითად ვიხარჯებოდი...

— დღევანდელი გადასახედიდან, ამ ნაბიჯს ხომ არ ნანობ?

— არა. არც ერთი სახის განათლება და პრაქტიკული გამოცდილება, რასაც ცხოვრებაში იღებ, არსად დაიკარგება, ოდესღაც მაინც გამოგადგება. იციან ხოლმე თქმა: „ამდენი წელი რა მინდოდა იქ, ტყუილად დავკარგე“. არ არის სწორი. ცოტა ხნის წინ როტერდამის უმაღლეს ბიზნესსკოლაში ჩავაბარე და ახლა „ემბიეის“ (ბიზნესადმინისტრირება) ვითვისებ. ეს არის მსოფლიოს მასშტაბის სკოლა ბიზნესლიდერებისთვის, რომლებსაც დრო არა აქვთ იმისთვის, რომ იქ ჩავიდნენ, 2 წელი იცხოვრონ და ხარისხი მიიღონ. ამიტომ, 6 კვირაში ერთხელ, როტერდამში 4-4 დღით ჩავდივარ...

— როდის ამთავრებ?

— 2011 წლის ივნისში. ბანკში მუშაობის გამოცდილება და ის ცოდნა, რომელიც ეკონომიკურ ფაკულტეტზე სწავლისას შევიძინე, ჩემთვის ახლა ძალიან გამოსადეგია. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში მედიამენეჯმენტს ვსწავლობდი, ახლა ამ ცოდნის გაფართოებას ვცდილობ.

— „რადიო 105“ ვახსენეთ. საზოგადოებამ სწორედ ამ რადიოდან გაგიცნო. შენ იყავი — ექსცენტრიკული, პროვოკაციული და ავანტიურისტი „დიჯეი დათო“. ეს ყველაფერი ნიღაბი იყო თუ შენი რეალური სახე?

— რთული შეკითხვაა... ადამიანები ყოველთვის რაღაც ნიღაბს ვატარებთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ნიღბისგან ძალიან შორს ვართ... ის იყო საქმე-გართობა, რომელიც იმ ეტაპზე სხვა რაღაცებს ვამჯობინე...

— სწორედ ამ „გართობამ“ მოგიტანა პოპულარობა...

— კი, და იმ პერიოდს ძალიან კარგად ვიხსენებ. რადიოში მისვლა მიხაროდა, სადაც გვიანობამდე ვრჩებოდით, რომ რაღაც შეგვექმნა...

— ამერიკაში გამგზავრებამდე, ტელევიზიის „I არხზე“ გია ჭანტურიასთან ერთად, „მუსიკალური ოქტაგონი“ მიგყავდა. ის პერიოდიც კარგად გახსოვს?

— კი, მაგარი იყო. მაშინ ტელევიზიაში პირველად შევდგით ფეხი. „მუსიკალური ოქტაგონი“ სერიოზული გადაცემა იყო, რომელიც „პრაიმ-ტაიმში“ გადიოდა ეთერში და პოპულარობა მოგვიტანა. მე და გია მუშაობის პროცესში ძალზე მოტივირებულები ვიყავით, რადგანაც ტელევიზია სულ სხვა მასშტაბია... ამ გადაცემის რეჟისორი, ნუგზარ ჩხაიძე საოცრად გვახალისებდა და დიდ სტიმულს გვაძლევდა საიმისოდ, რომ ჩვენი თავი მეტად დაგვეხარჯა. ჩემთვის ისიც სერიოზული სწავლის ეტაპი იყო.

— და დადგა „ჟამი ამერიკაში გამგზავრებისა“... რა აღმოაჩინე იქ?

— სხვათა შორის, დიდი არაფერი, რადგანაც მანამდეც ძალიან მიყვარდა ამერიკული კულტურა, პატივს ვცემდი მათ ფასეულობებს, ადამიანურ თავისუფლებას, ღირსებას, ცხოვრების წესს... ჩემი თავი ამერიკამდეც მქონდა ნაპოვნი და ვამბობ, „ქართველი ამერიკელი“ ვარ-მეთქი! იქ ჩასვლა ძალიან გამიხარდა.

— არც იმედგაცრუება გქონია?

— იმედგაცრუება მქონდა გარკვეული კატეგორიის ქართველების გამო, რომლებიც იქ ცხოვრობენ. მაგრამ მათთან შეხება, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არ მქონია, — მათ შესახებ მხოლოდ ამბები მესმოდა...

— რა კატეგორიის ქართველებზეა ლაპარაკი?

— რომლებიც იქ წლების მანძილზე ცხოვრობენ, მაგრამ ინგლისური ენა არ იციან, მანჰეტენი არ უნახავთ, საკუთარი მიკროსამყარო აქვთ, რომელშიც ჩაკეტილები არიან...

— ამერიკიდან რომ დაბრუნდი, ტელეპროექტი — „ღამის შოუ“ მოამზადე. მიგაჩნია, რომ წარმატებული პროექტი იყო?

— კი. ეს პროექტი ამერიკაში დაიწყო. ერთხელაც, დავწერე პროექტი და განვაცხადე, რომ მინდოდა, გვიანი ღამის კომედიური ტოქშოუს ფორმატის ქართული გადაცემის გაკეთება. ჩემი იდეა მოეწონათ და ვაშინგტონში, ამერიკის „ნაციონალური მაუწყებლების ასოციაციაში“ გამგზავნეს. სულ 300 პროექტი იყო წარდგენილი ამერიკის მასშტაბით. მათგან 15 აირჩიეს. იმ 15-ში ჩემი ნამუშევარიც მოხვდა. დღეს თვალს რომ ვავლებ ჩემს განვლილ ცხოვრებას, ვხვდები, რომ ბევრი რამ ახალგაზრდული სითამამით გამიკეთებია, რაც ხშირ შემთხვევაში, გამართლებულა... გარდა ამისა, ამერიკაში, უნივერსიტეტში „სტენდაფკომედის“ ფესტივალზე გავედი, რომელშიც კომედიური მონოლოგებით ამერიკელები მონაწილეობდნენ. 600-დან ფინალში 20 კაცი დავრჩით. იმ 600-დან ძალიან ბევრს მაყურებელმა ბოთლები დაუშინა (ამიტომ, ნუ გგონიათ, რომ მხოლოდ ქართველი მაყურებელია მკაცრი)... მოკლედ, ამ ფესტივალზე მე გავიმარჯვე!

— მაგრამ წარმატებულ პროექტზე მომუშავე გუნდი, სამწუხაროდ, დაიშალა... ჯგუფს გამოეყავი და მის რამდენიმე წევრთან ერთად, სხვა ტელეკომპანიაში დაიწყე მუშაობა.

— კი, სამწლიანი წარმატებული მუშაობის შემდეგ, „რუსთავი 2“-დან წამოვედით...

— გუნდის დაშლა, როგორც ვიცი, შენთვის მტკივნეული იყო. დღეს ის წყენა უკვე გავლილია?

— არა, ეს საკითხი ჩემთვის დღესაც მტკივნეულია და ის გულისტკენა, რომელიც მაშინ მომაყენეს, მთელი ცხოვრება გამყვება. სამწუხაროდ, ამაზე ხუმრობა არ შემიძლია. ეს არის ადამიანური ტკივილი, რომელიც არასოდეს გამინელდება. ბიჭების მხრიდან რაც მოხდა, ჩემთვის პრინციპულად მიუღებელი იყო... თუმცა ის 3 წელი ჩემთვის ძალიან საამაყოა!..

— მაგრამ იქიდან რომ არ წამოსულიყავი, ალბათ არ იქნებოდა პროექტი — „შუა ქალაქში“, არა?

— კი, ასეა... ჩემი, როგორც მენეჯერის პოზიცია ასეთია: თუ გამარჯვებაა, ეს არის გუნდის დამსახურება, მაგრამ თუ დამარცხებაა, ეს მენეჯ-



ერის ბრალია! როცა სერიალის — „შუა ქალაქში“ შემთხვევაში, კომპლიმენტებს მეუბნებიან, ვიცილებ, რადგანაც მე არ ვქმნი მას; მე მხოლოდ ატმოსფეროს ვქმნი, რომელიც შემოქმედებით ჯგუფს მის შექმნაში ხელს შეუწყობს... კარგი მენეჯერი ის არის, ვისაც სხვისი წარმატება ახარებს. თუ ამას მიაღწიე, ე.ი. რაღაც გამოგდის. ამიტომ, — მე შევქმენი „შუა ქალაქში“-მეთქი, — რომ ვთქვა, გადაჭარბებული ნათქვამი იქნება. მომწონს თვითკრიტიკული ადამიანები. როდესაც საკუთარ თავზე ხუმრობა შეგიძლია, მაშინ გაქვს მორალური უფლება, სხვაზეც იხუმრო...

— საერთოდ, ვის მიიჩნევ ნიჭიერ ადამიანად?

— ვაფასებ ადამიანებს, რომლებიც მიზანმიმართულები არიან და სწავლობენ იმას, რაც აინტერესებთ. ნიჭი ზოგს ღმერთისგან მოგვდგამს, ზოგი ამას სწავლობს...

— როგორ?

— ამერიკაში არის ერთ-ერთი ორგანიზაცია, რომელიც ბიზნესმენეჯერებს იუმორის გრძნობას გამოუმუშავებს.

— არადა, იუმორის გრძნობა ისეთი რამ არის, ან გაქვს, ან — არა...

ჩემი მენეჯმენტი თანაბარუფლებიანობაზეა დაფუძნებული

— კი, მაგრამ შეგიძლია, გახდე იუმორისტიც. იქ ასწავლიან სპეციალური წინადადებების სტრუქტურას, კონტექსტუალურ ხუმრობებს... ვინც იქ სწავლობს, პროფესიულ გამოწვევას „უშვერს“ თავს.

— გვითხარი, როგორია შენი წარმატების ფორმულა?

— ჩემი ფორმულა ასეთია: წარმატება = კარგი მომზადება + იღბალი. თუმცა ჩემს შემთხვევაში, იღბალი ნაკლებ როლს თამაშობს: არც ერთ გათამაშებაში არაფერი მომიგია...

— გინდა, რომ დიდი ფული გქონდეს?

— არა... ვფიქრობ, მდიდარი ის კი არ არის, ვისაც ბევრი ფული აქვს, არამედ ის, ვისაც ნაკლები სჭირდება. ფული პირობითი რამ არის; მენეჯმენტის ენაზე რომ ვთარგმნო — ის ძალიან მოკლევადიანი მოტივატორია. შეიძლება, მუშაობა დაიწყო ორგანიზაციაში, სადაც დიდი ხელფასი გაქვს, მაგრამ იქ მუშაობა იმდენად მოსაწყენი იყოს, რომ 2 თვეში სხვა სამსახურის ძებნა მოგიხდეს. „ბევრი თუ ცოტა ფული“ — პირობითი სიტყვებია, რადგანაც ჩემთვის „ბევრი“, ვიღაცისთვის შეიძლება, „ცოტა“ აღმოჩნდეს...

— ადამიანები დიდი ფულის შოვნისთვის ირჯებიან, რისკზე მიდიან... შენ რისთვის მოქმედებ? რა არის შენთვის მთავარი?

— მე პროცესისთვის ვმოქმედებ. მენეჯერებისთვის, პროცესი და შედეგი თანაბრად მნიშვნელოვანია. არის გამოთქმა — „მოგზაურობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დანიშნულების წერტილი“... თუ სამსახურში ვერ ახერხებ იმას, რომ ადამიანები, რომლებიც შენთან მუშაობენ, სამსახურით კმაყოფილები იყვნენ, მაშინ შედეგისთვის მუშაობ და მენეჯერი კი არა, „სტალინი“ ყოფილხარ!

— სტალინი ახსენე. შენ არა ხარ დიქტატორი მენეჯერი?

— მენეჯერის 4 ტიპი არსებობს: „მძღოლი“, ექსპრესიული, სალმიანი და ანალიტიკოსი. მე „მძღოლსა“ და ექსპრესიულს შორის ვარ ანუ დიქტატორის რაღაც ნიშნები მეც მაქვს, ამას არ უარვყოფ. მაგრამ მეორე მხარეც არის — შემიძლია, ჩემი დიქტატორობა იმით გავანეიტრალო, რომ ადამიანები გადაწყვეტილების მიღებაში ჩავრთო.

— ეი. ყველაფერი იმით ბათილდება, რომ საქმე, რომელსაც აკეთებ, ყოველთვის წარმატებულია?

— ყოველთვის არა. მიმაჩნია, რომ „კანდიდატს“, მიუხედავად იმისა, რომ კარგი პროექტი იყო, მაღალი რეიტინგი არ ჰქონდა. წარუმატებელი იყო ასევე „ცოცხალი შოუ“... თუ წარმატებას რეიტინგით ვსაზღვრავთ, ასეა...

— როგორ მიაღწია სერიალმა — „შუა ქალაქში“ წარმატებას?

— შრომით. წესებს ვიცავთ, ბიუროკრატები ვართ. ასე რომ, „შუა ქალაქში“ ყველაზე ბიუროკრატიული მანქანა და მისი გადაღებისას სტანდარტიზებული პროცესი მიმდინარეობს ანუ ყველაფერს თავისი დრო აქვს, ყველა სეგმენტი გათვლილია, ყველამ იცის, კონკრეტულად რას აკეთებს. გუნდი გამოირჩევა განუზომელი შრომისმოყვარეობით. არაფერს „ვახალტურებთ“. თითოეული ჩაწერის შემდეგ ყველაფერს განვიხილავთ ანუ — რომელმა რგოლმა შეგვარცხვინა ან გვასახელა. ჩემი ფორმულაა — „კომუნიკაცია არის მკურნალი“. თუ პრობლემა გაქვს, მითხარი; თუ ყველაფერი კარგად გაქვს და გიხარია, ესეც მითხარი. ადამიანებს გვავიწყდება ხოლმე ერთმანეთისთვის სიხარულის გაზიარება.

— სიხარულის გაზიარების შემთხვევაში, რა შეიცვლება?

— ადამიანი მეტად მოტივირებული ხდება. ადამიანები ერთმანეთს მადლობას არ ვეუბნებით, რაც ცუდია...

— როგორც ვიცი, „ჯიპასა“ და სახელმწიფო უნივერსიტეტში მედიამენეჯმენტს ასწავლი. კმაყოფილი ხარ იმ სტუდენტებით, რომლებიც აუდიტორიაში გყვანან?

— კმაყოფილი ვარ. კიდევ ერთი ანდაზა, რომელიც მენეჯმენტშია დამკვიდრებული: „თუ არ გჯერა, რომ ჩვეულებრივ ადამიანებში არის არაჩვეულებრივი შესაძლებლობები, მაშინ რა გინდა მენეჯმენტში?!.“ იციან ხოლმე თქმა, — სტუდენტმა რა უნდა გითხრასო?!. მაგრამ ლექციებზე სტუდენტების მიერ დასმული შეკითხვები და გაკეთებული კომენტარები საკმაოდ ჯანსაღია... სწავლებას ცოტა ეგოისტურად ვუდგები. პირველი ფაქტორი, რატომაც მიყვარს სწავლების პროცესი, ის არის, რომ თვითონაც ვვითარდები. არავის არაფერს ვასწავლი, მე ვაყალიბებ ატმოსფეროს, სადაც ერთმანეთისგან სწავლა შეიძლება...

— ოჯახში როგორი მენეჯერი ხარ?

— კიდევ ერთხელ ვამბობ: ჩემი მენეჯმენტი თანაბარუფლებიანობაზეა დაფუძნებული. არ ვგავარ იმ ქართველ მამაკაცებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ცოლი ყოველთვის სამზარეულოში უნდა იყოს, რომ გადაწყვეტილებები მხოლოდ მამაკაცმა უნდა მიიღოს. თუ ოჯახში სიმშვიდე გაქვს, მაშინ კარიერაშიც მიაღწევ რაღაცას. ყოველი წარმატებული მამაკაცის ზურგს უკან ჭკვიანი ქალი დგას... შვილი ჩემთვის და ეკასთვის (მეუღლე) ცხოვრების სხვა ეტაპს ნიშნავს...

— ჭეშმარიტი გოგიჩაიშვილია პატარა ნიკოლოზი?

— გიჟი გურულია! ორწლინახევრის არის და იმდენს ლაპარაკობს, რომ ყველას უკვირს. უკვე შეკითხვების დასმაც დაიწყო... საერთოდ, ჟურნალისთვის პირად საკითხებზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ ოჯახი ჩემთვის მაცოცხლებელი ძალაა!..

— მერე, იცლი ოჯახისთვის?

— კი. შაბათ-კვირა ჩემთვის ოჯახის დღეებია და ვცდილობ, სამსახურისთვის არაფერი გავაკეთო. სამაგიეროდ, კვირის დანარჩენი 5 დღე დილიდან ღამემდე სამსახურში ვარ. ჩემი საქმიანობა ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვს, მაგრამ ამის აღმდგენი ოჯახია და — პირიქით... ■

60-მეტრიან კაბაში „დაკარგული“ პატრიოტი
მომღერალი და უნიტაზის ქურდი რუსი ჯარისკაცი

ცოტა ხანში მაყურებელი იხილავს 16 წლის მომღერლის — ანი სირაძის კლიპს, რომელიც რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგაა მიმართული. იდეის, სიმღერის, კლიპის, არანჟირების ავტორი ანრი ჯოხაძე გახლავთ. კლიპის სიუჟეტი მძაფრი არაა, მასში საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ფაქტებია „გაშარჟებული“...

ეთო ყორღანაშვილი

— ამ კლიპის იდეა ანრის გაუჩნდა. მანვე გადაიღო, სიმღერაც მისია, ტექსტიც, არანჟირებაც... ერთ დღეს დავსხედით და ანრიმ მისამღერის ტექსტი თქვა: „არ მაღელვებს, ვოვა ხარ თუ — ვანია“... ყველაფერი აქედან დაიწყო.

— სიმღერას რა ჰქვია?

— „არ გვინდა ვანია“. პოლიტიკური ხასიათის კლიპია. არ გვინდა ვანია“ — რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ მიმართული ერთგვარი პროტესტია.

— კლიპში ეს პროტესტი როგორ გამოხატეთ?

— მძაფრად არ გამოგვიხატავს. ყველაფერს გაშარჟებულად გამოვხატავთ, „ხუმრობაში ვატარებთ“. მაგალითად, კლიპში არის უნიტაზის სცენა: ყველამ ვიცით, რუსი ჯარისკაცები უნიტაზებს რომ იპარავდნენ...

— კლიპში ვანიას როლს ვინ ასრულებს?

— ჩვენი მეგობარი — ბაჩო შარიქაძე რუსს ძალიან მივამსგავსეთ. ამიტომ, რუსი ჯარისკაცის (რომელიც ჩექმებს იცვამს, უნიტაზს იპარავს, Ducn-hunt-ს თამაშობს...) როლს სწორედ ის ასრულებს. ქორეოგრაფიული ელემენტებიც გამოვიყენეთ. ამაში ჯგუფი „მისტიკი“ დაგვეხმარა, რისთვისაც მის წევრებს დიდ მადლობას ვუხდი. ადრე პროფესიონალ მოცეკვავეებთან ერთად არ მიცეკვია, მაგრამ ჩემი წინა კლიპიც „თინეიჯერული“ იყო და იქაც „მოძრაობა“ მომიხდა. კლიპებს ძირითადად, რიტმულ სიმღერებზე ვიღებ (*იღიმის*).

— როგორც წელან მითხარი, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი პირველად მაშინ გამოთქვი, როცა „იურმალაში“ მონაწილეობაზე თქვი უარი...

— დიახ. აგვისტოს ომის პერიოდში თბილისში ვიყავი და იურმალაში წასასვლელად სერიოზულად ვემზადებოდი, კაბებიც შეკერილი იყო. ომი რომ დაიწყო, თბილისში დავრჩი. „იურმალა“ ოქტომბრისთვის გადადეს. რევზინმა მაია ყიფიანს დაურეკა და ჰკითხა: ხომ ჩამოხვალთო? რა თქმა უნდა, უარი ვუთხარით... ის პერიოდი ძალიან რთულად გადავიტანე. ყველა შეშინებული იყო. ომის გამო, ზოგი შავი ზღვის სანაპიროზე დარჩა და თბილისში ვეღარ ბრუნდებოდა. ეს ყველაფერი საშინლად მახსენდება! ქართველებმა ძალიან ბევრი ვინ-ერვიულეთ... ჩვენი სამშობლო გვიყვარდეს და გარეშე მტერს თავს ნუ დავაჩაგვრინებთ! — კლიპით სწორედ ამის თქმა გვინდა.

— ანრი ჯოხაძე რეჟისორის ამპლუაში როგორი იყო?

— რუპორით დადიოდა (*იცინის*). 500-ჯერ რაღაცის გამეორება არ უყვარს. მეც ყოველთვის ვცდილობ — რასაც მეტყვის, ზუსტად შევასრულო. ისეთი კონფლიქტი არასოდეს მოგვდის, რომ საბოლოოდ ვერ შევთანხმდეთ.

— ვატყობ, ანრისთან ხშირად თანამშრომლობ. დუეტიც გაქვთ ჩაწერილი, არა?

— კი, 2 დუეტი ჩავწერეთ. გარდა ამისა, ანრი ჩემი ოჯახის მეგობარია. ბებიაჩემის — ეთერ ჭელიძის სიმღერებს ხშირად ასრულებს: „მჯეროდა“ (რომელსაც ანრი ეკა კვალიაშვილთან ერთად მღერის), „მე მაინც მოვალ“ — ეს და კიდევ ბევრი სხვა სიმღერა სწორედ ეთერ ჭელიძისაა.

— ბებიის სიმღერებს თავადაც მღერი?

— კი, მის ბევრ სიმღერას ვასრულებ. პირველი სერიოზული კლიპი ბებიაჩემის სიმღერაზე — „მდინარე ხიდის ქვეშ“ — გადავიღე. მაშინ 9 წლის ვიყავი.

— მოდი, ისევ ახალ კლიპზე საუბარს დავუბრუნდეთ. კოსტიუმებზე ვინ იზრუნა?

— ქალბატონმა თინა სომხიშვილმა. კლიპში 60-მეტრიანი თეთრი კაბა მაცვია, მოცეკვავეები კი წითელ კოსტიუმებში არიან გამოწყობილი და ჩემს თეთრ კაბაზე საქართველოს დროშას ხატავენ. „არ გვინდა ვანია“ ერთ მიზანს — პატრიოტიზმის გაღვივებას ემსახურება! თინეიჯერებს სამხედრო ფორმებიც გვაცვია, რომლებიც სპეციალურ სამკერვალოში შეიკერა.

— 60-მეტრიანი კაბის მორგება ალბათ განსაკუთრებით რთული იყო.

— კი, სახლში ვერ დაეტია. კაბაში ძლივს მიპოვეს — მისი ჩაცმა ძალიან გამირთულდა (*იცინის*). კაბის შეკერვა ზუსტად კლიპის გადაღების დღეს დასრულდა.

— გადაღება რამდენ ხანს გაგრძელდა?

— ერთ დღე-ღამეში მოვრჩით. ძალიან ბევრი დუბლი არ დაგვჭირვებია. მანამდე რეპეტიციებზეც დავდიოდი, სინქრონულად რომ გვეცეკვა.

— კლიპის გადაღებას ყოველთვის ასეთ მცირე დროში ახერხებ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, კი. ანრის ვუჯერებ ხოლმე და გადაღება დროში არ იწელება.

— ანი, კიდევ რას საქმიანობ?

— სკოლაში ვსწავლობ, მე-11 კლასში გადავედი. მუსიკალური შვიდწლედი (ფორტეპიანოს განხრით) და ნიჭიერთა ათწლედი (ვოკალის განხრით) წითელ დიპლომზე დავამთავრე. ასე რომ, შემიძლია, პედაგოგადაც ვიმუშაო (*იცინის*). ახლახან „იმედის დილის“ პროექტში მესამე ადგილი დავიკავე. პროექტში 3 თვე გავატარე. ჩემი მეწყვილე — თემო საჯაია გახლდათ. პირველი ადგილი ანრიმ დაიკავა. ის თავის დასთან — მაგდასთან ერთად მღეროდა.

— ამჟამად შენს „ანგარიშზე“ რამდენი სიმღერაა?

— ორმოცდაათზე მეტი... მხოლოდ „იმედის დილაში“ 11 დუეტი შევასრულე. 3 წლის ასაკიდან ვმღერი.

— ბევრ კონკურსში მონაწილეობდი?

— ძალიან ბევრში. იტალიის მუსიკალურ კონკურსზე — „ძეკინო-დორო“ სპეციალური პრიზი (3 დიპლომით) მომცეს. კონკურსის ყველაზე უმცროსი მონაწილე გახლდით. მაშინ 3 წლის ვიყავი... შარშანწინ „საბავშვო MTV“-ში გავიმარჯვე. 3 დიპლომი და მედალი გადმომცეს. მსოფლიო მუსიკალური დისკი გამოვიდა, რომელშიც ჩემი „სულიკოც“ შევიდა. საქართველოში „საბავშვო ევროვიზიისთვის“ პირველი შიდა შესარჩევი კონკურსი რომ ჩატარდა, 4 ლიდერს შორის მეც დამასახელეს... „მალენკიე ზვიოზდოჩკი“, „სამყაროს ხმები“, „წითელი ჯვრის საერთაშორისო კონკურსი“... სიმართლე გითხრათ, ყველა ის კონკურსი არც კი მახსოვს, რომელშიც ვმონაწილეობდი.

— მოკლედ, ახალი კლიპი მზადაა. სკოლაში სასწავლო წელი დასრულდა. დასასვენებლად არ მიდიხარ?

— რამდენიმე წელია, რაც დასასვენებლად წასვლას ვერ ვახერხებ: „ევროვიზიის“ დროს თბილისში ვიყავი და სიმღერებს „ვაკეთებდი“, „იურმალის“ დროსაც... მინდა, წელს ზღვაზე წავიდე. სექტემბრიდან კი სიმღერასაც და სწავლასაც განახლებული ენერგიით შევუდგები!

■

ფსიქოპორტრეტი

„ნევროზი მაქვს ამდენი პრობლემისგან...“

ლექს-სენი მამობისთვის ემზადება

„ჩემი გზა ჩემთვის გაუგებარი სად დასრულდება, ნებაა ღმერთის უბედურებაც ალბათ ეგ არის, რომ სულერთია ვინა ვარ თქვენთვის“.

ალბათ, რთული წარმოსადგენია, რომ ეს სიტყვები 29 წლის რეპერს, ლექსო ქავთარაძეს ეკუთვნის. სევდა, დარდი, პრობლემებზე გამუდმებული ფიქრი, უძილობა და ამ ყველაფრის ფონზე ნევროზი შეჰპარვია ქართველ რეპერს. ცოტა ხნის წინ ლექსო დაოჯახდა, თავისი ცხოვრება უკრაინელ ლამაზმანს, ტატიანა ბურლიაის დაუკავშირა. როგორც თავად ამბობს, ცოლმა ცოტა გააზარმაცა, მაგრამ... ისევ საათების მიხედვით ცხოვრობს, ისევ პუნქტუალურია და კვლავ თავად გთხოვს, არ დააგვიანო ინტერვიუსთვის დათქმულ შეხვედრაზე. ასეთი რეспონდენტები დღეს ჩვენში თითზე ჩამოსათვლელია.

ნინო მჭედლიშვილი

— ლექსო, როგორ ხარ, როგორ მოგწონს ქმრის ამპლუა, როგორ გადალახე ოჯახური თანაცხოვრების პირველი ეტაპი?

— არაფერი გადასალახავი არ ყოფილა, უბრალოდ, მეტი პასუხისმგებლობა მაქვს ახლა, საკუთარ თავზეც და ოჯახზეც. ეს ცოტა დამღლელია ფსიქოლოგიურად — მუდმივად ფიქრობ იმაზე, თუ როგორ არჩინო ოჯახი; ეს ფიქრი მჭამს, მაგრამ ვუძლებ.

— წონაში მოგიმატია ცოტა, გემრიელ კერძებს გიმზადებს მეუღლე?

— 3 კილოგრამი მოვიმატე, კიდევ მინდა, მაგრამ ვერ ვიმატებ. ცოლს რაც შეეხება, ამ მხრივ, საყვედური მართლაც, არ ეთქმის — კარგი ხელი აქვს, კარგად მივლის.

— ლექსო, ჩვენს რუბრიკას „ფსიქოპორტრეტი“ ჰქვია და გულწრფელობა აუცილებელია...

— მთელი ცხოვრება გულწრფელობით მოვდივარ და ამიტომ ვუყვარვარ ხალხს.

— ხალხს უყვარხარ?! ამბიციური განაცხადია...

— რატომ ამბიციური? რასაც ვხედავ, იმას ვამბობ. არ ვამბობ, ყველას ვუყვარვარ-მეთქი, მაგრამ უფრო მეტს ვუყვარვარ, ვიდრე ვძულვარ.

— საკუთარი თავის მოვლა თუ შეგიძლია?

— შემიძლია. სანამ ცოლს მოვიყვანდი, თავად ვუვლიდი საკუთარ თავს. ბოლო პერიოდში, მართალი გითხრა, გავზარმაცდი, ცოლმა გამაზარმაცა.

— როგორი ასატანი ხარ ოჯახში, რაზე ბუზღუნებ?

— ადვილი ასატანი არა ვარ. დედაჩემი და ჩემი ცოლი ბოლო დროს ხშირად ხუმრობენ ამაზე, ხასიათის კაცი ხარო, — მეუბნებიან. თუ ხასიათზე არ ვარ, აუტანელი ვხდები, ბევრ რაღაცას ვაპროტესტებ, მაგალითად: „სად იყავი აქამდე?“ „რატომ არ მოამზადე სადილი?“ „თუ მიდიოდი, დილით გაგეკეთებინა!“ და ა.შ.

— ასე მგონია, საათებით ცხოვრობ...

— ასეც არის, გაწერილი მაქვს დღის რეჟიმი. იმდენ რამეს ვაკეთებ!.. არის რაღაცები, რაც შეიძლება, სხვას გააკეთებინო, მაგრამ არ არის ამის საშუალება... სულ საათზე ვიყურები — რას მოვასწრებ და რას ვეღარ. ბაზარში უნდა წახვიდე, ჩაწერაზე, იქაც, აქაც... აღარ არის ამდენი დრო.

— ბაზარშიც დადიხარ?

— ჰო, დამყავს ოჯახი, ძალიან არ მსიამოვნებს, მაგრამ... მე გარეთ ველოდები, მანქანაში, მაგრამ რომ დავინახავ, მძიმე ჩანთები მოაქვს ცოლს ან დედას, ხომ უნდა დავეხმარო!

— ტატიანას მოსწონს ბაზარში სიარული?

— რა გითხრა?! ამას წინათ ნახა, როგორ „დახოცეს“ ქალებმა 20 თეთრის გამო ერთმანეთი, გაგიჟდა: რა იქნებოდა, დაეკლო

იმასაც ის 20 თეთრიო?!. ის აოცებს, გამყიდველები რომ მცნობენ და უფასოდ გვატანენ პროდუქტს. მოსწონს კიდეც. ამას წინათ მითხრა, — იმათთან წავიდეთ, მაშინ ბალი რომ გამოგვატანესო (*იცინის*). ასეთი ადამიანები ყოველთვის დაფასებულები არიან ჩემგან და დღესაც, თქვენი ჟურნალის მეშვეობით, მინდა, მადლობა გადავუხადო.

— სად გჩუქნიან პროდუქტს — ბაზარში თუ მაღაზიაში?

— მაღაზიაში რა წაგცინცლონ, იმას ფიქრობენ... ბაზარში გვჩუქნიან — გლეხი, პატიოსანი ხალხი, ის, ვისაც მართლა არა აქვს, ვინც მართლა „კაპიკების“ ფასად დგას მთელი დღე დახლთან.

— ახლა ის მითხარი, შენს ხასიათში რა არ მოგწონს?

— სულსწრაფი ვარ საქმეში, არ მიყვარს ლოდინი. ახალ სიმღერაშიც მაქვს ეს ფრაზა: „ლოდინს ვერ ვიტან, ლოდინს“. კიდევ, ზედმეტი პასუხისმგებლობა არ მომწონს ჩემში. ეს დადებითი თვისებაა, მაგრამ ძალიან მღლის. ვნერვიულობ ყველა ჩემს ახლობელზე; თუ რამე პრობლემა აქვს, დღეში რამდენჯერმე ვურეკავ და ვეკითხები, როგორაა საქმე? ღამე ვერ ვიძინებ, სანამ ყველაფერი არ მოგვარდება. ვერ ვახერხებ, რომ „გავთიშო“ ტვინი და „დავიკიდო“.

— ერთი ჩიპი გჭირდება, ამდენი ინფორმაცია რომ დაიტიო...

— ჩიპიღა მაკლია (*იცინის*)!.. ნევროზი მაქვს ისედაც, ამდენი პრობლემისგან. ბოლო დროს ჩემს თავზე ვმუშაობ, ზედმეტად რომ არ ვინერვიულო ყველაფერზე და ჩემი უხასიათობით, ოჯახის წევრები არ დავაზარალო. მარტო რომ ვრჩები, ორი „მე“ ებრძვის ერთმანეთს.

— ვიცი, ლექსებს წერ. ერთ-ერთი წამიკითხე, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს შენს ხასიათს.

— ბოლოს ეს დავწერე — „სამი წერტილი დავარქვი“; ალბათ ყველაზე ახლოსაა ჩემს ახლანდელ განწყობილებასთან:

„ჩემი ცხოვრება არის აზარტი,
დაუწერელი ლექსია ჩემი,
სამი თაობა უკვე გავზარდე,
დანარჩენს გრძნობ და ისე ეჩვევი,
ჩემი თვალები სარკეა ჩემი,
დაუღალავი სუნთქვაა ვერცხლის,
დაწერილია ეპოქა მთელი.
და მომავალი ბუდეა ვერცხლის,
ჩემი გზა, ჩემთვის გაუგებარი
სად დასრულდება, ნებაა ღმერთის.
უბედურებაც ალბათ ეგ არი,
რომ სულერთია ვინა ვარ თქვენთვის“.

— სევდა შემოგპარვია... სამი თაობის გამზრდელისთვის მეტისმეტად ახალგაზრდა ხომ არა ხარ?

— არა. სიმბოლურია ეს ფრაზა, ჰაერიდან არ მოსულა. 23-24 წლის გოგოები შემხვედრიან, რომლებსაც უთქვამთ, — ჩემს შვილსაც უყვარხარ და დედაც გისმენსო... ასე რომ...

— რამდენი წლის ხარ?

— 29-ს „ვუკაკუნებ“. დავბერდი (*იცინის*)...

— შენი გასაკეთებელი საქმე მეგობრისთვის გადაგილოცავს?

— ამის გაკეთება ყოველდღე მიწევს. მეგობრისთვის კი არა, ზოგჯერ სრულიად უცხო ადამიანისთვისაც გადამილოცავს.

— როცა შენს საქმეს სხვა აკეთებს, გსიამოვნებს თუ ფიქრობ, რომ თავად უკეთ გააკეთებდი?

— თუ ჩემზე უკეთ აკეთებს, ხელები ამიწევია, შევაქებ კიდეც, ვაღიარებ, რომ ძლიერია. მაგრამ როცა ვატყობ, არ იცის და თამაშობს, რომ გამოჩნდეს, ვითომ საქმე გამიკეთა, პირდაპირ ვეტყვი, — ამას ხომ მე უკეთ გავაკეთებდი-მეთქი!..

— „აზიატი“ თუ ხარ? გსიამოვნებს, როცა შენი მეუღლე კარგად გამოიყურება?

— მსიამოვნებს, მაგრამ იმის ინტერესი ნამდვილად არა მაქვს, სხვებმაც შეამჩნიონ (*იღიმის*).

— თავად როგორ იქცევი, როცა მეუღლის გვერდით ხარ? შეიძლება, სხვა ქალისკენ გაგექცეს თვალი?

— არა. კი, მესმის — „რაგინდ კარგი ცოლი გყავდეს, მაინც გენატრება სხვისა“ — დევს ჩვენს „კოდში“, მაგრამ მე ჯერ ასეთი რამ არ დამმართვია.

— ეჭვიანობის საბაბი თუ მიგიცია ამ ხნის განმავლობაში ცოლისთვის?

— არა. მას კარგად ესმის, რომ მე მცნობენ, გოგონებს ვუყვარვარ. ისეთი მომენტიც ყოფილა, კონცერტის შემდეგ გოგოები რომ მომხვევიან, მაგრამ ეს კარგად ესმის. მე ხომ არ ვეხვევი, ისინი მეხვევიან (*იღიმის*)... მაშინ ეჭვიანობს, როცა ღამით მირეკავენ მობილურზე, და მეკითხება, ვინ იყოო?

— თვითონ არ ეჭვიანობ, როცა ტატიანას ქათინაურებს ეუბნებიან?

— არა, მშვიდად ვარ. დარწმუნებული ვარ საკუთარ თავშიც და მასშიც. კარგად იცის, როგორი უნდა იყოს მეუღლე, როგორ უნდა მოიქცეს და საბაბს არ მაძლევს.

— ბავშვს ხომ არ ელოდებით?

— ველოდებით. ექიმები ამბობენ, ბიჭიაო. ვნახოთ.

— რამდენი თვის ფეხმძიმეა ტატიანა?

— მე ზუსტად არ ვიცი, ტატიანამ იცის, მაგრამ მალე იქნება, მალე.

— თემა შევცვალოთ: თუ დამთვრალხარ ისე, რომ მეორე დღეს თვალის გახელის შეგრცხვენია?

— (*იღიმის*) ოთახიდან თავს რომ გამოყოფ და ქოქოლას დაგაყრიან, ისევ შეხვალ და დაწვები... მქონია, როგორ არა, მაგრამ ბევრჯერ — არა.

— დავუშვათ, ნაბახუსევს გიყვებიან, როგორ მღეროდი წინაღამეს ერთ-ერთი პარტიის ოფისთან „შავლეგოს“, დაიჯერებ?

— არა... მაშინვე მივხვდები, რომ მეკაიფებიან. მთვრალმა ღამით ქუჩაში შეიძლება ვიმღერო, მაგრამ, პარტიის ოფისთან არანაირი განზრახვით არ ვიმღერებ, რაც უნდა მთვრალი ვიყო.

— შენს პოლიტიკურ შეხედულებებზეც მინდა გკითხო: ვის სასარგებლოდ მიეცი ხმა მერის არჩევნებზე?

— სიმართლე გითხრა, ამ არჩევნებზე ცვლილებებს ველოდი, მაგრამ ალბათ ჯერ ადრეა... მე არჩევანი არ გამიკეთებია.

— როგორ? შენი მოქალაქეობრივი ვალი არ მოიხადე?

— მოვიხადე, არჩევნებზე ვიყავი, მაგრამ არც ერთი კანდიდატის სასარგებლოდ არ მიმიცია ხმა.

— რამ გაგამწარა ასე?

— არ მომეწონა სიტუაცია... თუნდაც ჩემს უბანში, ვისთან არ ვიყავი, გამგებელთანაც კი შევედი და ვერ დააყენეს საშველი გზის გაკეთებას. გათხარეს და დატოვეს. თუ არ აკეთებ, შე კაი დედამამიშვილო, ნუღარ მითხრი მაინც! ამას ისევ ის ძველი გზა მერჩივნა... ნაბიჯს რომ დგამ, შენს თავთან უნდა იყო მართალი. საკუთარ თავს მოვატყუებდი, ვინმესთვის ხმა რომ მიმეცა.

— სიბერეზე გიფიქრია?

— ყოველდღე ვფიქრობ.

— შემოგპარვია დარდები...

— სიბერეს ვერ გავექცევით, სად წავალთ?! მიდარდია, როგორ არა? ძალიან სწრაფად გადის დრო, თვალის დახამხამებაში მოვა სიბერე. ამიტომაც ვარ ასე აჩქარებული და საათების მიხედვით ვცხოვრობ.

— მსოფლიოს ჩემპიონატზეც მინდა გკითხო: არგენტინის ნაკრების მაისურით გამომეცხადე...

— ჰო, არგენტინას ვგულშემატკივრობ. წინ საკმაოდ დაძაბული და აზარტული დღეები მელის. იმედია, გავიმარჯვებთ. კარგი ნაკრებია, განსაკუთრებით — მესი და მილიტო მომწონს. ვნახოთ, რა იქნება.

■

„ყველაზე ინტელექტუალური და გამოვნებიანი სერიალის“ ავტორი მიშა მშვილდაძე

„ვცდილობ, ჩემი ღორმუცელობა გურმანობად გარდავქმნა...“

მერი კობიაშვილი

მიშა მშვილდაძე დარწმუნებულია, რომ გემოვნებიან ადამიანთა რიგს მიეკუთვნება. წონის გამო ჩაცმასთან დაკავშირებით გემოვნების გამომჟღავნებას ვერ ახერხებს. სულ ცდილობს, ღორმუცელობას თავი დააღწიოს, მაგრამ არ გამოსდის. ქართული სერიალებიდან ყველაზე მეტად, „ჩვენი ოფისი“ მოსწონს. ეს არცაა გასაკვირი — მიშა ხომ ამ სერიალის სცენარისტი და პროდიუსერია!.. „ფორმულა კრეატივი“ სულ მალე მაყურებელს ახალ იუმორისტულ სერიალს შესთავაზებს. მიშა გვპირდება, რომ გემოვნების თვალსაზრისით, ახალი სერიალიც ძალიან კარგი იქნება.

— მიშა, გემოვნების გამო გიკამათიათ?

— მხოლოდ გემოვნებაზე ვკამათობ ხოლმე. ფაქტებზე საკამათო აღარაფერია. გემოვნებაზე კამათი ჩხუბამდე და ფიზიკურ ძალადობამდე არ მისულა.

— ბოლო დროს ალბათ პოლიტიკაზე კამათობდით ყველაზე ხშირად...

— პოლიტიკაზე მგონი, მძაფრი კამათები აღარ არის. დამთავრდა ის დრო. პოლიტიკოსების ერთმა თაობამ ამოწურა საკუთარი თავი. მათ აბსოლუტური მარგინალიზაცია განიცადეს. უკვე მოდის ახალი პოლიტიკური ელიტა, რომელიც ალბათ ახალ კამათებს გამოიწვევს.

— თქვენმა მეგობარმა შონზომ გადაწყვიტა, პოლიტიკაში წასულიყო, თქვენს „გემოვნებაში“ მოღვაწეობის ეს სფერო არ ჯდება?

— მე არ წავსულვარ პოლიტიკაში და ამით ყველაფერია ნათქვამი.

— იყო შემოთავაზება, პოლიტიკაში წასულიყავით?

— „შემოთავაზების პოვნა“ ძალიან ადვილია და პოლიტიკაში წასვლას მაინცდამაინც შემოთავაზება არ სჭირდება — ხმამაღლა უნდა დაიყვირო რამდენიმე ფრაზა, მერე ვიღაც მოვა და პლაკატს მოგიტანს. პოლიტიკაში წასვლაზე ჯერჯერობით არ მიფიქრია. მგონია, რომ ძალიან ხალისიანი და ბედნიერი ცხოვრებით ვცხოვრობ.

— პოლიტიკოსები ბედნიერები და ხალისიანები არ არიან?

— ჩემი აზრით, პოლიტიკოსი ცხოვრების დიდ ნაწილს სამშობლოზე მჭმუნვარე ფიქრში უნდა ატარებდეს და თუ ასე არ ხდება, მაშინ მისი არ მესმის.

— ბოლო დროს რას საქმიანობთ?

— ვაკეთებ სერიალს — „ჩვენი ოფისი“, რომელიც საქართველოს ისტორიაში ყველაზე გემოვნებიანი სერილია.

— ცოტა ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ არის?..

— ძალიან ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ეს რეალობაა. „ჩვენი ოფისი“ ყველაზე ინტელექტუალური და გამოვნებიანი სერიალია და თუ ვინმეს ეს არ ესმის, მას გულწრფელად თანავუგრძნობ. ასეთ ადამიანებს მოვუწოდებ, იკითხონ ბევრი წიგნი და მეტი ინფორმაცია მიიღონ სამყაროს შესახებ. იმისთვის, რომ მიხვდნენ, კარგი რა არის. ჩემი დროის უდიდეს ნაწილს ვუთმობ მუშაობას სერიალზე — „ჩვენი ოფისი“, რომლის პროდიუსერიცა და სცენარისტიც ვარ. გარდა ამისა, დავიწყეთ ახალი სერიალი. ამ ახალ სერიალზე, გემოვნების თვალსაზრისით, შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან ნორმალურია. იმედი მაქვს, შევძლებთ მაყურებლისთვის ისეთი მასობრივი პროდუქტის შეთავაზებას, რომელიც გულისამრევად უგემოვნო არ იქნება.

— რა ჟანრის სერიალია?

— კომედიური სერიალია ოჯახზე. ჩავატარეთ მსახიობების კასტინგი. სერიალი ივნისის შუა რიცხვებიდან გავა ეთერში.

— კონკურენტ სერიალებზე რას იტყვით? როგორ ფიქრობთ — გემოვნებით არის გაკეთებული?

— ჩვენი კონკურენტი სერიალია „მხოლოდ შენ“, რომელიც „იმედზე“ გადის ზუსტად იმ დროს, როცა „ჩვენი ოფისია“ ეთერში. მას ჩვენს სერიალზე არანაკლები რეიტინგი აქვს, რაც ცუდად მეტყველებს არა მხოლოდ საქართველოზე, არამედ ლათინურ-ამერიკულ ქვეყნებზეც. მაგრამ ჩვენ ჩვენი პრობლემა ვიდარდოთ, ლათინურ-ამერიკული ქვეყნები საკუთარ თავს მიხედავენ. თუ კონკურენტ სერიალად „შუა ქალაქს“ დავასახელებთ, გეტყვით, რომ არც უმაგისობაა. „შუა ქალაქში“ არის „ბრჭყვიალა“, კარგად შეფუთული, „სამარხვო“ იუმორისტული სერიალი.

— „სამარხვო“ რატომ შეარქვით? რადგან სერიალში ეროტიკული სცენები არ არის?..

— არა მხოლოდ ეროტიკული სცენები. „შუა ქალაქში“ არაფერია „სახსნილო“. მე ცოტა სხვანაირი ცხოვრების წესით ვცხოვრობ და შაბათ-კვირას არ მჭირდება ტელევიზიით იმის ყურება, რომ ამქვეყნად ყველაფერი კარგადაა. პირიქით — მაინტერესებს, როგორია რეალობა. თუმცა კარგად მესმის იმ მაყურებლების, რომლებიც ამ სერიალს უყურებენ. მარკეტინგული პროდუქტია. მაგრამ ჩემს გემოვნებაში ეს სერიალი არ ჯდება.

— ალბათ ამის ბრალია, რომ თქვენს სერიალში ხშირად ხუმრობთ და კბენთ „შუა ქალაქს“...

— მაგარი სიტყვა თქვით — „კბენა“. ამ შემთხვევაში, ცუდი ზმნის მოძებნის კონკურსი რომ ყოფილიყო, მეორე ადგილზე გახვიდოდით.

— პირველზე რომ გავსულიყავი, რომელი ზმნა უნდა მეთქვა?

— პირველ ადგილზე გასვლას მეტი ამბიცია და გამბედაობა სჭირდება, ვიდრე თქვენ მიუდექით ამ საკითხს... ჩვეულებრივი ამბავია: მე რომ ვიყო ბერძენი კოსმონავტი, ისეთივე მიდგომა მექნებოდა „შუა ქალაქის“ მიმართ, როგორიც ახლა მაქვს. მე არ მომწონს არაფერი, რაც არ ემსახურება იმას, რომ შეცვალოს სამყარო. მე ეპატაჟისტი ვარ. მიყვარს ისეთი რამეების ნახვა, რაც არ მინახავს და მინდა ისეთი რამის ნახვა, რისი წარმოდგენაც ადრე არ შემეძლო. ხელოვნებაში 4 ტიპის გმირები არსებობენ: ზეადამიანები ანუ სუპერგმირები (მაგალითად სპაიდერმენი, ზორო, ბაში-აჩუკი); დაკარგული სულები — გარკვეული უნარით აღჭურვილი ადამიანები, რომლებიც აღმოჩნდნენ კანონის „მეორე მხარეს“ (ამის მაგალითებია: „დათა თუთაშხია“, „კარლიტოს გზა“, „სახენაიარევი“; ისინი საზოგადოებასთან წინააღმდეგობაში მოდიან); მესამე ტიპის გმირები ვართ ჩვენ და ჩვენი მეგობრები, რომლებსაც ყოველდ-

ღიურად ვხედავთ; „შუა ქალაქში“ სწორედ ასეთი ადამიანების ცხოვრებას ასახავს და ჩემთვის საინტერესო არ არის. „ჩვენს ოფისში“ გვყავს მყუდრო, რომელიც ზეადამიანი ანუ სუპერგმირია. მისი მსგავსი გმირი არსად გეყოლებათ ნანახი. გემოვნებიანი უმცირესობა განსაზღვრავს ხოლმე ხვალინდელ დღეს.

— თქვენ „ვა-ბანკის“ წამყვანი იყავით; შეგიძლიათ, გულახდილად მიპასუხოთ კითხვაზე — როდის უფრო მოგწონდათ გადაცემა, ახლა, როცა დუტას მიჰყავს, თუ მაშინ, როცა თქვენ მიგყავდათ?

— დუტა უფრო „ადაპტირებული“ ქართველი ტელეწამყვანია. გამოცდილია დროსა და სივრცეში და ყველანაირად შემოწმებულია. ის ყოველთვის ამართლებს ჩანაფიქრს. თავისთავად, როდესაც ეკრანზე 100 კილოგრამზე მეტი წონის წამყვანი ჩანს, უკვე ეპატაჟია, რაც ნიშნავს იმას, რომ გამხდრები და სიმპათიურები თავიანთ სიმაღლეზე ვერ დგანან პროფესიონალური თვალსაზრისით, თორემ მსუქან კაცს არ უნდა ნიშნავდნენ წამყვანად... მე რომ მიმყავდა გადაცემა, ცუდი შეფასება არ მომისმენია. ვიტყოდი, როცა მე მიმყავდა ეს გადაცემა, უფრო საინტერესო იყო, იმიტომ, რომ ახალი სახე ვიყავი. თუმცა დუტას გამოჩენამ შოუს დამატებითი სიხალისე შესძინა და ის, რასაც ადამიანები იუმორს ეძახიან.

— წამყვანი 100 კილოგრამზე მეტი არ უნდა იყოსო, თქვით და რადგან ასეთთა კატეგორიას მიეკუთვნებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ გურმანი ხართ.

— მე გურმანი კი არა, ღორმუცელა ვარ. სულ ვცდილობ, ჩემი ღორმუცელობა გურმანობად გარდავქმნა, მაგრამ არ გამომდის. საკვების მიმართ პრეტენზიული არ ვარ. მთავარია, საჭმელს არ ჰქონდეს ბევრი ქონი და ცხიმი, თორემ ვერ შევჭამ, სხვა ყველაფერს დიდი სიამოვნებით გეახლებით.

— ყველაზე დიდი სიამოვნებით როგორ საკვებს მიირთმევთ?

— გააჩნია, წელიწადის რა დროა. გაზაფხულზე — ჩაქაფულის სეზონია, ზაფხულში — ყველაზე გემრიელი საჭმელია — კარტოფილი, ყველი, კიტრის და პომიდვრის სალათა; ზამთარში — შემწვარი ხორცი, განსაკუთრებით, ღორის ხორცი ყველაზე გემრიელია.

— თავად გეხერხებათ საჭმელების მომზადება?

— შემიძლია შევწვა კვერცხი და ქათამი. „ჩიჟი-პიჟისაც“ მოვამზადებ. ავჯაფსანდალსაც გავაკეთებ. ახლა რომ ვუკვირდები, ამ საჭმლის მომზადება დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს.

— ბოლო დროს საყურეს ატარებთ. თქვენს გარეგნობაში ასეთი ცვლილების შეტანა რატომ გადაწყვიტეთ?

— ასეთი გადაწყვეტილება ჩემს ხასიათზე მეტყველებს. ეს ჩვეულებრივი აქსესუარია. თქვენ ხომ გიკეთიათ საყურე და მოგწონთ?! მეც მომწონს და ხანდახან ვიკეთებ. ყოველდღიურად ვერ ვატარებ — რატომღაც, ვერ მოვირგე. ერთი დავკარგე, ერთიც გამიტყდა. საყურის ტარების გამოცდილება არ მაქვს და ალბათ იმიტომ.

— ყურის გახვრეტაზე დიდხანს იფიქრეთ?

— არა, ეს სპონტანური გადაწყვეტილება იყო. მიყვარს ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც აიძულებს ადამიანებს, ცოტა სხვა კუთხით შეხედონ გარკვეულ სტერეოტიპებს. მაგალითად, ის სტერეოტიპი, რომ საყურე უკეთიათ პედერასტებს, ჩემი აზრით, სრული იდიოტიზმია. ვინც ეს მოიფიქრა, არის სულელი. უფრო სწორად, ფინანსურად დაინტერესებული ადამიანია. დიდი ხანია, ბევრი ადამიანი მიცნობს; იციან ჩემი ხასიათი და ისიც იციან, რომ პედერასტი არა ვარ. მე თუ გავიკეთებ საყურეს, შესაბამისად, ყველა მიხვდება, რომ საყურე მარტო პედერასტებს არ უკეთიათ. შეიძლება, ჩვეულებრივ ადამიანს მოუნდეს საყურის გაკეთება. სულ ეს იყო, რაც მინდოდა მეთქვა ჩემი ამ ნაბიჯით. გარდა იმისა, მომწონდა ჩემს ცხოვრებაში ასეთი სიახლე. გარეგნობაში ცვლილების შეტანა ყველას სჭირდება. სამწუხაროდ, აღარ მაქვს ისეთი თმა, რომ შემოქმედებითად მივუდგე ჩემს ვარცხნილობას. სტუდენტობისას გრძელ თმას ვატარებდი, რომელიც ხშირად შეკრული მქონდა.

— კიდევ რა აქსესუარს ატარებთ?

— თუ გამახსენდა, ქორწინების ბეჭედს ვიკეთებ. ყოველთვის მიკეთია ნათლობის ჯვარი. რამდენიმე საათი მაქვს, ყველა მათგანი ძალიან მომწონს. უბრალო და იდიოტური მობილური მაქვს, რომელიც თავის ფუნქციას გადასარევად ასრულებს. კარგი ტელეფონი მქონდა და დამემტვრა, იმიტომ, რომ აქსესუარების მოფრთხილების უნარი არა მაქვს. სამწუხაროდ, ისეთი ფულის პატრონი არა ვარ, რომ მანქანა გახდეს ჩემთვის „აქსესუარი“ და იძულებული ვარ, მხოლოდ გადაადგილების საშუალებად გამოვიყენო. ტროსტს არ ვატარებ. ქოლგა მანქანაში მაქვს, რომელიც ფილმის გადაღებისას დაგვჭირდა და ვიყიდეთ. მას მერე ჩემს მანქანაშია, თუმცა არ ვიყენებ.

— მანქანა „აქსესუარად“ რომ იქცეს, რომელი ფირმის გინდა, რომ გყავდეს?

— არც ერთ მანქანაზე არ ვოცნებობ. როცა ამდენი საოცნებო რამ არსებობს მსოფლიოში და შენ „იაგუარზე“ ან „ფერარიზე“ ფიქრობ, დეგენერატი უნდა იყო. ვოცნებობ იმაზე, რომ მსოფლიოში ომები აღარ იყოს.

— მახსოვს, ერთხელ ინტერვიუში მითხარით, — რამდენიმე წლის წინ მეგობრებთან ერთად, მუსიკალური ჯგუფი მქონდა, სადაც დასარტყამ ინსტრუმენტზე ვუკრავდიო. ახლა თუ ახერხებთ მუსიკისთვის დროის დათმობას?

— „ფორმულა კრეატივთან“ ჩამოყალიბებულია ჯგუფი „დერმიშები“. თუ მაქვს დრო, მათ რჩევას ვაძლევ და ვიღებ ისეთ სიამოვნებას, რასაც ერთ დროს დასარტყამ ინსტრუმენტზე დაკვრისას ვიღებდი. ახლა უფრო მსმენელი ვარ, ვიდრე მუსიკის შემქმნელი.

— როგორ მუსიკას უსმენთ?

— ისეთს, რომელსაც ქართულ მსმენელთა უმრავლესობა „როკებს“ ეძახის (*იცინის*). ძირითადად, როკის მსმენელი ვარ.

— კითხვისთვის დრო გრჩებათ?

— ნაკლებად.

— ბოლოს რა წაიკითხეთ?

— ახლა ინგლისური ენის ლექსიკონს „ვკითხულობ“. ბოლოს წავიკითხე „მეკარის შიში თერთმეტმეტრიანის წინ“. ცოტა უცნაური წიგნი იყო, მაგრამ მაინც წავიკითხე. დიდად აღვფრთოვანდი-მეთქი, ვერ ვიტყვი. ჰანდგე არის ავტორი. თუ იტყვი თბილისურ სნობებში, რომ ეს წიგნი წაკითხული გაქვს, ერთიორად აიწევს შენი რეიტინგი. შეგიძლია მოიტყუო თამამად, რომ წაკითხული გაქვს, იმიტომ, რომ არავის აქვს წაკითხული, ზოგიერთი „მაზოხისტის“ გარდა (*იცინის*).

— საყვარელი მწერალი გყავთ?

— ძალიან ბევრი. რომელ წიგნსაც ვკითხულობ, იმის ავტორი არის იმ მომენტში საუკეთესო მწერალი. ერთი პერიოდი ძალიან მომწონდა მიხაილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“. მერე მივხვდი, რომ სისულელე იყო, 17 წლის ბიჭი რომ ვამბობდი, — ჩემი საყვარელი მწერალი ბულგაკოვია-მეთქი. 17 წლის ასაკში ამას რომ ამბობ, ე.ი. აფერისტობ და პოზა გიჭირავს. წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე პაულო კოელიოს „ალქიმიკოსმა“. ამას წიგნის სნობები არ აღიარებენ ხოლმე, მაგრამ მე აქაც ორიგინალური ვიქნები და ვიტყვი, რომ ძალიან მომეწონა. კიდევ ძალიან ბევრი წიგნი მომწონს — ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. იმდენი კარგი რამაა შექმნილი მწერლობაში, რომ მარტო ერთი ვერ მოგეწონება. ასი წიგნი მაინც ძალიან მომწონს. მათ შორის, ქართველებიც არიან. ძალიან მომეწონა აკა მორჩილაძის „სანტა ესპერანსა“. ალბათ იმიტომ, რომ მწერალმა ამ ნაწარმოებში ჩემი ბავშვობის ოცნების სამყარო აღწერა.

■

შოუბიზნესის შინაბერა ვარსკვლავები

უკვე ყველა მეგობარი გაგითხოვდათ და შვილებს ზრდიან, მხოლოდ თქვენ დარჩით გასათხოვარი და ცოლობისა და დედობის ბედნიერება ჯერ არ გამოგიცდიათ?.. გულს ნუ გაიტეხთ და თქვენი თავი უიღბლო „თეთრი ყვავი“ ნუ გგონიათ; ყველაფერი წინ გაქვთ, „იდეალური“ მამაკაცი მალე გამოჩნდება. შესაძლოა, სულის სიღრმეში, თქვენი მარტოობით კმაყოფილიც კი ბრძანდებით... მაგრამ ყველაფერი, განწყობილებასთან ერთად შეიძლება შეიცვალოს! იქნებ იმან მაინც დაგამშვიდოთ, რომ ცნობილ ადამიანებს შორისაც მრავლად მოიძებნება ქალი, რომელსაც საკურთხეველთან მისვლა დღემდე არ ეღირსა, მაგრამ ეს ამბავი მას ცხოვრებით ტკბობაში ხელს არ უშლის...



პერის ჰილტონი

პერის ჰილტონი არც მალავს, რომ გათხოვებასა და შვილების გაჩენაზე ოცნებობს. 29 წლის ასაკისთვის მას იდეალური მეუღლის კონკრეტული პორტრეტიც კი ჩამოუყალიბდა: „მინდა, რომ ჩემი მომავალი ქმარი ბიზნესმენი და სიმპათიური მამაკაცი იყოს — იმისათვის, რომ ლამაზი შვილები გავაჩინო!“ — ამბობს პერისი, რომელსაც ოცნების ასრულება ჯერჯერობით არ ეღირსა. თითქოს მოჯადოებულიაო — ქერათმიანი ლამაზმანის ყველა რომანი ერთი და იმავე სცენარით ვითარდება: გაცნობა, ვნებიანი ურთიერთობა, სიყვარულის ახსნა, სამომავლო გეგმები და... განშორება...

ასე მოხდა მაშინაც, როდესაც ჯგუფის — Good Charlotte წევრ ბენჯი მედენთან პერისის ცხოვრებაში პირველი ხანგრძლივი რომანი დაიწყო. წყვილი 9 თვის განმავლობაში განუყრელი იყო. ჰილტონთა იმპერიის თავქარიანი მემკვიდრე დინჯი მედენის ზეგავლენით, ბედნიერებას ასხივებდა და წარმოიდგინეთ, მორჯულდა კიდეც... მის ხელზე სატრფოს ინიციალებით (BM) დამშვენებული საქორწინო ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი აელვარდა, რომელსაც პაპარაცებს სიამოვნებით უჩვენებდა. ბენჯისაც ისეთივე ბეჭედი ჰქონდა — ოღონდ პერისის ინიციალებით — PH. მაგრამ მერე, მოულოდნელად წყვილი დაშორდა და პრესას მხოლოდ ბუნდოვანი განმარტება შესთავაზა: „აღმოჩნდა, რომ ძალზე განსხვავებული ადამიანები ვართ!“

იგივე გამეორდა სპორტსმენ და ტელევარსკვლავ დაგ რეინჰარდთან: „მთელი წელია, ერთად ვართ და არც ერთი ღამე არ გაგვიტარებია უერთმანეთოდ. დაგი ნამდვილი მეგობარია. ყოველდღე იმას ცდილობს, თავი პრინცესად მაგრძნობინოს. ალბათ 2010 წელში დავქორწინდებით და იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებ, რომ თავს, როგორც სამოთხეში, ისე ვგრძნობ, მომავალს ოპტიმიზმით შევყურებ. წინ ბედნიერება გველოდება!“ — ამბობდა პერისი. დაგი ძალზე მზრუნველი და გულუხვი შეყვარებული იყო. მან 2009 წლის ზაფხულში ფიჯის არქიპელაგზე კუნძულიც კი დაიქირავა, რომ პერისთან ერთად დრო ბედნიერად გაეტარებინა. მრავალ საჩუქართან ერთად, საქორწინო ბეჭედიც უყიდა, მაგრამ... ძვირფას საჩუქარს, ნიშნობის ნაცვლად, განხეთქილება მოჰყვა.

როგორც ჩანს, პერისს სასოწარკვეთილება დაეუფლა: რამდენიმე თვის წინ საკუთარ ბლოგში წერდა, რომ მარტოობა მოსწონს კიდეც: „ბოიფრენდი მუდამ მყავდა, მაგრამ ახლა თავს ბედნიერად ვგრძნობ. მამაკაცების, უფრო სწორად, ზოგიერთი მათგანის ნდობა არ შეიძლება. ვერასდროს მიხვდები, რას ფიქრობს!“

მიუხედავად ამისა, ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ პერისი, ბოლოს და ბოლოს, ბედნიერებას პოვებს და მშვენიერი შვილების დედა გახდება, რომელთათვის ნაირ-ნაირი კაბის კოლექციის შეძენა უკვე დაიწყო...

და მართლაც, რამდენიმე დღის წინ ყვითელ პრესაში ახალი სენსაციური ცნობა გავრცელდა: პერის ჰილტონი საიდუმლოდ დაინიშნა, მისი რჩეული კვლავ 33 წლის დაგ რეინჰარდია! ამბობენ, რომ ქორწილი წელს შედგება და პერისი უკვე გამალებით ეძებს ადგილს, რომელიც მის „საქორწინო მოლოდინს“ გაამართლებს...

კემერონ დიასი

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი სახარბიელო საქმროს ხელში ჩაგდება შეეძლო, 37 წლის კემერონ დიასი გათხოვილი არ ყოფილა. თუნდაც რეჟისორ კარლოს დე ლა ტორესთან გაჩაღებული რომანი გავიხსენოთ, რომელსაც მთელი 5 წელი ხვდებოდა, ან ჰოლივუდში უმშვენიერესი თვალების პატრონი — ჯერედ ლეტო... კემერონი ჯგუფის — 30 Seconds To Mars — სოლისტს 4 წლის განმავლობაში ხვდებოდა და აქედან 2 წელი წყვილს საქორწინო ბეჭდები ეკეთა. ჯერედ ლეტომ სატრფოს გული და ხელი შესთავაზა, მაგრამ ქორწილი არ შედგა, რადგან საქმრომ კემერონი ალკოჰოლსა და როკზე გაცვალა.

ჯასტინ ტიმბერლეიკი?.. ასაკში 9-წლიანმა სხვაობამ მათ სიყვარულს ხელი ვერ შეუშალა. თითქმის 4 წლის განმავლობაში ერთმანეთის სიყვარულით ტკბებოდნენ, ყველაფერი მშვენივრად ვითარდებოდა, ვიდრე ჯასტინის ბოროტი დედიკო არ გამოჩნდა და ქორწილი არ ჩაშალა...

კემერონ დიასის გათხოვების ბოლო მცდელობა ძალზე მომხიბვლელ ბრიტანელ მოდელ პოლ სკალფორდს უკავშირდება, რომელიც ერთ დროს ჯენიფერ ენისტონის ბოიფრენდიც იყო. პოლი და კემერონი იდეალური წყვილი იყო: ლამაზები, მოხდენილები, წარმატებულები და მდიდრები... მათმა ურთიერთობამ შეყვარებულთა გზაზე მრავლად ჩასაფრებული ყველა სა-

ფრთხე დასძლია. კემერონის მეგობარს პრესასთან ისიც კი წამოსცდა, — მსახიობი თავადაც გაოგნებული იყო იმით, რომ მათი ერთობლივი ცხოვრება ასე მშვიდად, სკანდალებისა და აურზაურის გარეშე დაიწყო. 2009 წლის შემოდგომისთვის დანიშნული, მდიდრული ქორწილისთვის წყვილი საგულდაგულოდ ემზადებოდა. ბრიტანეთში უკვე ძველი მამულიც კი ჰქონდათ შერჩეული, საპატარძლო კაბას კი თავად კარლ ლაგერფელდი კერავდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი თავდაყირა დადგა... საოცნებო დღის მოახლოებასთან ერთად, წყვილი სულ უფრო ნათლად აცნობიერებდა, რომ შორ მანძილზე ოჯახის შენარჩუნება თითქმის შეუძლებელი იქნებოდა, რადგან კემერონი ჰოლივუდში ცხოვრობს და მოღვაწეობს, პოლი კი — ბრიტანეთში.

კემერონ დიასი მარტო დარჩა, მაგრამ მორიგი ქორწილის ჩაშლის გამო თავი არ მოუკლავს. უბრალოდ, მეგობარ დრიუ ბერიმორთან წავიდა და რამდენიმე სირჩა ტეკილათი გაიქარვა დარდი.

ჟანა ფრისკე

რუსული შოუბიზნესის ყველაზე საოცნებო საპატარძლო, ულამაზესი ჟანა ფრისკე სკანდალებსა და უზნეობაში შემჩნეული არასდროს ყოფილა, მაიამიში უძრავ ქონებას ფლობს და, როგორც თავად ამბობს, ჩინებული დიასახლისია.

საოცარია, რას ფიქრობენ რუსი მამაკაცები, როდესაც ასეთი „საგანძური“ ჯერ კიდევ თავისუფალია?!. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ჟანა ფრისკე 36-ე დაბადების დღეს მარტო შეხვდება.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებებს ახლო მომავალში ჟანას გათხოვების შესახებ ცნობების გავრცელება არ ჰბეზრდება. კარიერის დასაწყისში იმ დროს პოპულარული ჯგუფის — Hi-fi — წევრ მიტია ფომინზე გათხოვებას უწინასწარმეტყველებდნენ, შემდეგ სავარაუდო საქმროთა შორის მოდელ მიხაილ ვიხლიაევსა და ჯგუფის — „დისკოთეკა ავარია“ — წევრ ალექსეი სეროვს ასახელებდნენ...

ჟანას პოპულარობის ზრდასთან ერთად, მისი „საქმროების“ სია უსასრულოდ იზრდებოდა: მსახიობი დმიტრი დიუჟევი, ჰოკეისტი ალექსანდრ ოვეჩკინი, მაგნატი სულეიმან ქერიმოვი, მსახიობი დმიტრი ნაგიევი, ფეხბურთელი კახა კალაძე, ჯგუფის — „ბლესტიაშიე“ — დამაარსებელი და პროდიუსერი ანდრეი გროზნი...

ფრისკეს უკანასკნელი „მომავალი ქმარი“ — მოციგურავე ვიტალი ნოვიკოვია, რომელიც მომღერალმა ტელეპროექტის — „გამყინვარების პერიოდი“ — გადაღებებზე გაიცნო. ჟურნალისტებთან საუბრის დროს ჟანას მეგობრებიც ადასტურებენ, რომ ვარსკვლავური წყვილი ურთიერთობის დაკანონებას აპირებს, მაგრამ ამის შესახებ თავად ჟანა და ვიტალი არანაირ კომენტარს არ აკეთებენ... იქნებ ეშინიათ, თვალი არ ეცეთ?! ან უბრალოდ, სათქმელიც კი არაფერი აქვთ...

ქსენია სობჩაკი

პრესა ქსენია სობჩაკს უამრავ რომანს მიაწერს, მაგრამ რუსული შოუბიზნესის ყველაზე პოპულარულმა ქერათმიანმა ვარსკვლავმა გათხოვება მხოლოდ ერთხელ — ამერიკელ ბიზნესმენ ალექსანდრე შუსტეროვიჩზე დააპირა და ვალენტინ იუდაშკინს მდიდრული საქორწინი კაბაც კი შეუკვეთა, რომელსაც დღემდე ინახავს — იქნებ ოდესმე გამომადგესო?! ქორწილი ჯვრისწერამდე რამდენიმე დღით ადრე ჩაიშალა. როგორც ამბობენ, განხეთქილების მიზეზად სულელური კამათი იქცა, რომელიც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ალექსანდრე მიმხვდარიყო: ცხოვრების ბოლომდე მსგავსი კაპრიზების ატანას ვერ შეძლებდა! მილიონერმა ექსსაცოლეს, ქორწილის ჩაშლის ნებისმიერი მიზეზის დასახელების უფლება მისცა, თან პირობა დადო, რომ არანაირ კომენტარს არ გააკეთებდა და ამერიკას შეაფარა თავი.

პრესამ ქორწინების ჩაშლის სავარაუდო მოტივების განხილვით გული ივჯერა და სობჩაკისთვის ახალი „საქმროების“ შერჩევა ისეთი სიხშირით დაიწყო, რომ თავად გათხოვების „რეკორდსმენ“ ელიზაბეტ ტეილორსაც კი შეშურდებოდა, ეს რომ სიმართლე ყოფილიყო... მილიონერი უმარ ჯაბრაილოვი, დიპლომატი ვაგიფ ენგიბარიანი, რადიოს — „სერებრიანი დოჯდ“ — დამაარსებელი და გენერალური დირექტორი დმიტრი სავიცკი, ტიმატი

და სერგეი ლაზარევიც კი, — აი, იმ პრეტენდენტთა არასრული სია, რომლებიც თითქოსდა ქსენიას გულისა და ხელის მოსაპოვებლად სხვადასხვა დროს იბრძოდნენ... საქმე იქამდე მივიდა, რომ მისი უსასრულო „ქორწინებების“ გამო უკვე ქსენიაც გულიანად იცინის. ერთხელ ისიც კი განაცხადა, რომ მალე ბიზნესმენ მიხაილ პროხოროვის ცოლი გახდებოდა და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, პრესამ მალდივის კუნძულებზე დანიშნული ზღაპრული ქორწილის შესახებ ნათქვამი ხუმრობა უმალ ირწმუნა.

ხუმრობა — ხუმრობად და, გაზაფხულზე გავრცელდა ჭორი, რომ ქსენია სობჩაკი და ალექსანდრე შუსტეროვიჩი კვლავ ხვდებიან ერთმანეთს. ვინ იცის, იქნებ ამჯერად მაინც მოახერხონ საკურთხევლამდე მისვლა... თუ არა და, „მარადი საპატარძლოს“ მდგომარეობიდან ქსენია ისედაც პოულობს სარგებელს. ამის პირდაპირი მტკიცებულება — სობჩაკის სოლიდური შემოსავალი და მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობაა.

P.S. როგორც ჩანს, ნებისმიერ მდგომარეობას აქვს დადებითი მხარე, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. მარტოობა დიაგნოზი როდია! ხშირად ეს საუცხოო შესაძლებლობაა, რომელიც ყველაზე თამამი ამბიციების განხორციელებაში გვეხმარება! ■

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძემ

რატომ აითვალწუნა ლილი იოსელიანმა ცეცილია წუწუნავას „მდგმური“

„ქვა ვყოფილვარ, ამდენი უბედურება რომ ავიტანე“...

ჩემი რესპონდენტის სახელი და გვარი „გზის“ მუდმივი მკითხველისთვის ალბათ, ნაცნობი აღმოჩნდება, მათთვის კი, ვინც „გზავნილებსა“ და „მობილი-ზაციას“ იშვიათად კითხულობს, განვმარტავ, რომ ის ჩვენი უხუცესი მგზავნელი გახლავთ. 80 წელს გადაცილებულ ქალბატონს შეუძლია, ახალგაზრდული შემართებით დაიკვეხნოს, რადგანაც თინეიჯერებთან ერთად თავს მშვენივრად გრძნობს — დიდთან დიდია, პატარასთან — პატარა; მათთან პოლემიკაშიც ერთვება და საინტერესო ამბებსაც გვიგზავნის ხოლმე. მას განურჩევლად ყველა მგზავნელი უყვარს და გული სწყდება, რომ ხანდახან, ახალგაზრდები ერთმანეთს ეკინკლავებიან. გადავწყვიტე, მასთან ინტერვიუ ჩამეწერა. აღმოჩნდა, რომ ქალბატონ ნანი დუმბაძეს მოსაყოლი ბევრი ჰქონია.

მარი ჯაფარიძე

მისი ცხოვრების გზა მარტყოფში დაიწყო. თბილისთან ახლომდებარე სოფელში, მჭედლის — გიორგი კობიაშვილის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. 1929 წელს, როდესაც ახალგასაბჭოებულ საქართველოში კოლმეურნეობები ჩამოყალიბდა, მამამისმა პირველმა დათმო ქონება და კოლექტივს „უანდერძა“: 2 ძროხა — ხბოებით, 17 სკა ფუტკარი, ხორბლის შესანახი ბეღლები და სოფლის ბოლოს მდებარე დიდი ხილის ბაღი.

— დედაჩემი იმდენად წარმტაცი ყოფილა, რომ მისი ხელის სათხოვნელად მისული მამაჩემისთვის ბაბუას უარი უთქვამს: — ჩემი ქალი ძალიან ნაზია, ქალაქს უნდა გავათხოვო, სოფელში საცხოვრებლად მენანებაო, მაგრამ მამაჩემი არ მოეშვა თურმე და იმდენი ქნა, რომ სასიმამრო მაინც დაითანხმა. ჩემს მშობლებს 3 ქალიშვილი შეეძინათ. 1939 წელს მამა მოულოდნელად გარდაიცვალა და 3 მცირეწლოვანი ბავშვი დედამ გაგვზარდა... ჩემი უფროსი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო და სოფელ საცხენისის სკოლის დირექტორად მუშაობდა; შუათანა — მარტყოფის სასამართლოში, სხდომის მდივანი გახლდათ და უმაღლესი განათლების მიღებაზე ოცნებობდა.

ნანი კარგი მოსწავლე იყო, მასზე დიდ იმედს ამყარებდნენ... უკვე წამოზრდილმა გოგონამ ყველასთვის მოულოდნელად, პროფესიად მსახიობობა აირჩია და სწავლის გაგრძელება თეატრალურ ინსტიტუტში გადაწყვიტა.

— 1949 წელი იყო. მაშინ თეატრალური ინსტიტუტი „ქუხდა“ და ლამის მთელი სოფელი წინ გადამიდგა, — რა გინდა მაგ სასწავლებელში, სახელი აქვს გატეხილიო, მაგრამ ჩემი არ დავიშალე. მართალია, არც თეატრში ვიყავი ნამყოფი და არც ოპერაში, მაგრამ მსახიობობაზე მაინც ვოცნებობდი. იმ წელს რუსთაველის თეატრი დაიწვა. მოგეხსენებათ, ინსტიტუტი მის გვერდით მდებარეობს და ამიტომაც, მისაღები გამოცდები „მიხაილოვის“ საავადმყოფოსთან, რუსულ სკოლაში ტარდებოდა. მახსოვს, კომისიის თავმჯდომარე აკაკი ხორავა იყო. ყველა აბიტურიენტი ლამაზად გახლდათ გამოწყობილი, უმეტესობა მდიდარი, ცნობილი ოჯახის შვილი იყო, მე კი ერთი ობოლი, ღარიბი გოგო ვიყავი. ფოიეში ვიკითხე, — გამოცდა უკვე დაიწყო-მეთქი? ვიღაცამ მიპასუხა: შენ ისიც ვერ გაგიგია, გამოცდა დაიწყო თუ არა და აქ ჩაბარება გინდაო?.. ერთმა ბიჭმა ჩემკენ ხელი გამოიშვირა და თქვა: აქ ასეთ მსუქნებს არ იღებენო. არადა, მსუქანი სულაც არ ვიყავი. უბრალოდ, სოფელში გაზრდილ გოგოს ღაჟღაჟა ლოყები მქონდა და ალბათ, ამიტომაც მოვეჩვენე მსუქნად. შევედი გამოცდაზე. პირველად იგავარაკი წამაკითხეს — „მგელი და კრავი“. აკაკი ხორავამ მკითხა: დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდი გასვლია მართალი?! — როგორ ფიქრობ, ეს გამოთქმა მართალიაო? ვუთხარი, — მართალია-მეთქი! გაუკვირდათ: — კაპიტალისტურ ქვეყნებში ასეა, მაგრამ ჩვენთან არაო. — რას ლაპარაკობთ, ბიჭო, თქვენ თუ ინსტიტუტში ჩემი მიღება არ გინდათ, მე რას ვიზამ, წავალ და სამართალს ვიპოვი-მეთ-

ქი?!. ამაზე დიდი რეაქცია ჰქონდათ. შემდეგ მითხრეს, — სამსახიობო ფაკულტეტზე რომ აბარებ, სიმღერაც უნდა იცოდეო. — ვიცი-მეთქი, — ვუპასუხე. იქვე, კუთხეში როიალი იდგა და „პიანისტკაც“ იჯდა. მე რა ვიცოდი, ვინ იყო? ჰოდა, ვუთხარი: აბა, ადექი, გენაცვალე-მეთქი და ინსტრუმენტს მივუჯექი. 2 თითით დავუკარი და ვიმღერე: „რამდირارررررر, რიმდირارررررر, თავმჯდომარეს დიდი ტارررررر... ხოლო საწყალ კოლმეურნეს, დამჭკნარი და ჭყინტი ტارررررر“... სიცილით დაიხოცნენ. კიდევ რა იცი? — მკითხეს. მერე ეტიუდი მომცეს — ვითომ ყურძენს კრეფ და თითი გაგეჭრაო. კომისიის წევრები სკამებიდან ავაყენე (მათ შორის, ლილი იოსელიანიც იყო), შემდეგ სკამები ისე ჩავამწკრივე, თითქოს ვენახის მწკრივები იყო და დავიწყე ყურძნის კრეფა, წარმოვადგინე თითის გაჭრის სცენა... ასეთი ყოჩაღი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ მაშინ ყველაფერი გამომივიდა — კომისიის წევრებმა ჯერ გულიანად იცინეს, მერე კი ხუთიანიც დამიწერეს... დღე და ღამეს მეცადინეობაში ვასწორებდი. მეორე კურსზე ვიყავი, როცა მეტყველების მასწავლებელმა საცხოვრებლად ცეცილია წუწუნავასთან გადამიყვანა. ცეცილია მაშინ ასაკში იყო — ყოველ დილით მიმყავდა მარჯანიშვილის თეატრში და საღამოს უკან მომყავდა. ცეცილიას შლაპები უყვარდა — დაიხურავდა ღამაზ შლაპას და წელში გამართული მომყვებოდა ხოლმე. სულ ვოცნებობდი, ასეთი ქუდი მეც მქონოდა. ერთ დღეს, სოფელში ჩასულმა დედას ვუთხარი, — შლაპა მიყიდე-მეთქი. — აგე, ჩვენი კომბოსტო თავს რომ ჩაიხვევს, წაიღე, გაყიდე და რაც გინდა, ის იყიდეო. ჰოდა, ერთ დღეს 2 ტომარა კომბოსტო „ხალტურის“ მანქანაზე შევაგდე, თბილისში წამოვიღე და ვაგზალზე მისი გაყიდვა დავიწყე. ამ დროს მეზობელმა ქალმა ჩამოიარა და ასეთ ყოფაში რომ დამინახა, მითხრა: — მეხი „დავათხლიშე“ ასეთ ინსტიტუტს: ვითომ თეატრალურზე სწავლობ და აქ კი დამდგარხარ, კომბოსტოს ჰყიდიო... გავყიდე კომბოსტო და მარჯანიშვილის მეტროსთან, შლაპების სალონს მივადექი. მისი მეპატრონე რუსი ქალი გახლდათ. ვუთხარი, — ლამაზი შლაპა შემირჩიე-მეთქი და მართლაც, ულამაზესი ნივთი შევძინე ჩემს მწირ გარდერობს. მეორე დღეს ინსტიტუტში შლაპით წავედი. ჩემი დანახვისას მეგობრებმა მაგრად იცინეს — როცა შლაპა გახურავს, ტანზეც შესაბამისად უნდა გეცვას; მერე შლაპა მომხადეს და ხან ერთს ეხურა, ხან — მეორეს. იმ დღის შემდეგ ჩემი სანაქებო თავსაბურავი თვალითაც არ მინახავს... ცეცილიას მეზობლად „ნამდვილი გენერალი“ და მისი რუსი მეუღლე ცხოვრობდნენ. ერთ დღეს დიასახლისმა დამიძახა, — სოკოს წვნიანი უნდა გაჭამოო. ვესტუმრე. წყალწყალა წვნიანი იყო, რომელშიც სოკოს „ნაწილები“ ჭიაყელებივით დაცურავდა. მოგეწონაო? — მკითხა. არ მომეწონა, მაგრამ მაინც, ნახელავი შევუქე. შემპირდა: როცა გავაკეთებ, ყოველთვის დაგიძახებო. ამ ოჯახში არა მარტო წვნიანით, არამედ ყავით ან ჩაითაც მიმასპინძლდებოდნენ ხოლმე. ცოლი ქმარს ეტყოდა: — ჟორჟ, მოუტანე ჟუჟუნას (ჟუჟუნა მერქვა მაშინ) ყავა ან ჩაიო და ეს გენერალი კაცი ჯარასავით ტრიალებდა, რაც ძალიან მეუხერხულებოდა ხოლმე. ერთ დღეს დიასახლისმა მითხრა, — ბოლო ულუფა სოკო დამრჩა და წვნიანი გავაკეთე, უშენოდ არ შევჭამო. ჯანდაბას, ამ ერთსაც გავუძლებ-მეთქი, — გავიფიქრე. წვნიანის ხვრეპაში ვართ და ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ამ კერძის ჭამა აღარ მომიწევს. ამ დროს კარზე კაკუნი გაისმა. ცოტა ხანში დიასახლისმა დეპეშა შემოიტანა, სადაც ეწერა: გიგზავნით 3 კილოგრამ სოკოსო. ლამის გული შემიწუხდა, ლუკმა გადამცდა და კინაღამ დავიხრჩე. მკითხა: რა დაგემართაო? — შემეშინდა, რადგან ჩვენთან, სოფელში დეპეშით მხოლოდ ცუდ ამბებს გვატყობინებენ-მეთქი.

— **ცეცილიასთან ცხოვრების პერიოდში ალბათ, ბევრ სახელოვან ადამიანსაც გაიცნობდით.**

— დიახ, სწორედ მაშინ გავიცანი ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი კვანტალიანი, მედეა ჯაფარიძე, გიორგი შავგულიძე, სესილია თაყაიშვილი, მარინა თბილელი და თითქმის მთელი დასი. მე და ქალბატონი ცეცილია ყოველკვირა მის ძმასთან, ალექსანდრე წუწუნავასთან ვსადილობდით. მაშინ ბატონი ალექსანდრე ოპერის თეატრის მთავარი რეჟისორი და დირექტორი იყო. რომ გაიგო, ოპერაში ნამყოფი არ ვიყავი, ძალიან გაუკვირდა და იმ დღიდან პარტერში, თავისი სარეჟისორო სკამი დამითმო. მოკლედ, მისი წყალობით ოპერა ძალზე შევიყვარე... მე, უბრალო სოფლელ გოგოს ძალიან მეამაყებოდა ასეთი რეჟისორის სიახლოვეს ყოფნა. თეატრალური ინსტიტუტი 1953 წელს დავამთავრე და დრამის მსახიობის დიპლომი მივიღე. კულტურის სამინისტრომ თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში, მეტყველების კულტურის პედაგოგად გამამწესა. გული მეტკინა, რადგან პატრონი რომ მყოლოდა, პირდაპირ თეატრში გამიშვებდნენ. ერთი სული მქონდა, სცენაზე როდის გავიდოდი, მაგრამ ვინ მაღირსა? — სხვადასხვა წლებში ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლის დირექტორად და ვაკის პარკის დირექტორის მოადგილედ ვმუშაობდი.

— **როგორ გახდით ჟუჟუნა კობიაშვილი ნანი დუმბაძე?**

— როცა დავიბადე, ჟუჟუნა დამარქვეს. ინსტიტუტში მსახიობის ოსტატობას ლილი იოსელიანი გვასწავლიდა. ის სიის ყოველ ამოკითხვაზე ამბობდა, — ჟუჟუნებსა და მაყვალებს ვერ ვიტანო. არადა, ჯგუფში მაყვალაც გვყავდა. ძალიან მწყინდა, სახელის გამო რომ ამითვალწუნა და გულში ვფიქრობდი, — ნეტავ, ლილი რით სჯობია ჟუჟუნას? ეს ქალი სახელის გამო არ გამახარებს-მეთქი და ასეც იყო... მოსანათლავი ვიყავი. იმ დროს ტაძარში შესვლაც კი გვეკრძალებოდა. სასწრაფოდ გამოვნახე ნათლია — კეთილი და ბრწყინვალე ადამიანი, ლენა სალარიძე და სიონში გავიპარეთ. მოძღვარმა მითხრა: მაგ სახელით ვერ მოგნათლავო, ნათლიამ კი უცებ შემირჩია სახელი და ნანი დამარქვა. ასე რომ, პასპორტით ჟუჟუნა ვარ, ქრისტიანული სახელი კი ნანი მქვია. იმ დღიდან მეგობრები ნანის, ხანდახან — ჟუკას მეძახდნენ. რაც შეეხება გვარის შეცვლას, ამასაც მოგიყვებით: ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი ნათესავის, მედეა კობიაშვილის დაბადების დღეზე მიმიწვიეს. მამამისი — ფირან კობიაშვილი თბილისის „უგალოვნის“ (სისხლის სამართლის სამძებრო) უფროსი იყო და მათ სახლში სულ ნაღები საზოგადოება ტრიალებდა. წვეულების შემდეგ მედეას დედამ ჩემი გაცილება ერთ-ერთ სტუმარ მამაკაცს — ფირანის ახლობელს სთხოვა. ამ უცხო კაცმა გზაშივე გადამიშალა გული, მე კი ზღაპარივით ჩამესმოდა მისი ლაპარაკი. სახლამდე მიმაცილა, ჩემი ტელეფონის ნომერი ჩაიწერა და დამემშვიდობა. მეორე დღეს მედეას დედამ, ქალბატონმა ელიკომ დამირეკა და მკითხა: ეგ კაცი, ვასილ ივანიჩი როგორ მოგეწონა? იცოდე, ხელიდან გასაშვები არააო! თურმე წინასწარ დაუგეგმავთ ჩვენი გაცნობა. 2 თვე ვხვდებოდით ერთმანეთს და ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ერთურთი კარგად გაგვეცნო. მან ერთ დღეს თავისი უბედურების ამბავი გამიმხილა და ტრაგიკულად დაღუპული მეუღლის გახსენებაზე ცრემლები წამოსცვივდა; მეც იოლად მიჩუყდება გული და ცრემლი ვაღვარღვარე. სწორედ მაშინ მითხრა: შენს თავს არავის დავუთმობ, ჩემი უნდა გახდეო! საგონებელში ჩავვარდი. იმ ღამით არ მძინებია, ბევრი ვიფიქრე, ყველაფერი ავწონ-დავწონე და გადავწყვიტე, ცოლობაზე უარი არ მეთქვა. მადლობა ღმერთს, რომ ასეთი გადაწყვეტილება მივიღე. მიუხედავად იმისა, რომ ქვრივს და ჩემზე 9 წლით უფროსს გავყევი ცოლად, ეს არასდროს მინანია. ძალიან კარგი ადამიანი აღმოჩნდა. ჩემი მეუღლე ფინანსისტი გახ-

ცეცილიას შლაპები უყვარდა — დაიხურავდა ლამაზ შლაპას და წელში გამართული მომყვებოდა ხოლმე

მისი წყალობით ოპერა ძალზე შევიყვარე

ლდათ, დახვეწილი ინტელიგენტი, თავისი საქმის მცოდნე. უმაღლეს სასამართლოში მთავარ ეკონომისტად მუშაობდა. მასთან ცხოვრების პერიოდში გავიგე, რას ნიშნავს პირადი ბედნიერება — ჩამაცვა, დამახურა და ძვირფას ტანისამოსში სულ სხვაგვარი გამოვჩნდი. მოკლედ, თავი ზღაპარში მეგონა და ჩემს წილ ბედნიერებას დავეწაფე. პირველად სახლში რომ მიმიყვანა, მითხრა: არ მოგერიდოს, რაც არ მოგეწონოს, გადაყარეო. მან ავეჯიც კი ახალი იყიდა — ყველაფერმა მობეზრება იცისო. მერე მკითხა, — ყველაზე მეტად რა გაგიხარდება? მითხარი და აგისრულებო. — აკორდეონი და უცხოეთში ტურისტული მოგზაურობა-მეთქი... აკორდეონი ჩემი ბავშვობის აუხდენელი ოცნება იყო: როცა სოფელში ჩამოსულ დამსვენებლებს აკორდეონი ჩამოჰქონდათ, სულ იმას ვნატრობდი, — ნეტავ თითი დამადებინა, რომ ვნახო, როგორია-მეთქი. ეს ნატვრა ხელმოკლეობის გამო ვერ ავიხდინე... რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენს ოჯახში აკორდეონი გაჩნდა და უკვე იმას ვნატრობდი, — ნეტავ დაკვრა ვიცოდე-მეთქი. მოკლედ, მეუღლე, როგორც დედოფალს, ისე მექცეოდა და თაყვანს მცემდა. ჰოდა, დუმბაძე მისი გვარი გახლავთ — ქორწინების შემდეგ ქმრის გვარი მივიღე.

— შვილი არ შეგეძინათ?

— 1963 წელი იყო. ერთ დღეს კარზე ზარის ხმა გაისმა. კარი რომ გავაღე, იატაკზე ძონძებში გახვეული ჩვილი იწვა. მეუღლე გამოვიდა და პატარა ბავშვი რომ დაინახა, სიხარულისგან ლამის გაგიჟდა — ჩვენ შვილი არ გვყავდა და პატარა, ღმერთის საჩუქრად მივიჩნიეთ. გოგონა აღმოჩნდა. ჩემი მეუღლე გაქანდა და რძე მოიტანა, მერე კი ათარბეგოვზე, ბავშვთა საავადმყოფოში გააქცია და პროფესორს გაასინჯა. გოგონა ჯანმრთელია და 6-9 დღის იქნებაო, — უთხრა ექიმმა... ასე გავხდი დედა. თუმცა, წლების შემდეგ, როდესაც ჩემს გოგონას უკვე თავისი ოჯახი ჰქონდა და შვილებიც ჰყავდა, ჩვენი გზები გაიყარა. სამწუხაროდ, ურთიერთობა აღარ გვაქვს.

— ის რომ თქვენი ნამდვილი შვილი ყოფილიყო, დასაკარგავად გაიმეტებდით?

— დიახ, გავიმეტებდი!.. ამ თემაზე ლაპარაკი არ მინდა, რადგან ჩემთვის ძალზე მტკივნეულია. მერწმუნეთ, ღვიძლი შვილი მასზე მეტად ნამდვილად არ მეყვარებოდა. მეუღლე 1970 წელს გარდამეცვალა. მისთვის წამლის მიწოდებაც ვერ მოვასწარი, ისე ჩამაკვდა ხელში... ჩემი ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა — სულ 15 წელი ვიცხოვრეთ ერთად. კარგი იყო დუმბაძის ჩრდილქვეშ ცხოვრება, მაგრამ იღბალმა ხელიდან გამომაცალა. ქვა ვყოფილვარ, ამდენი უბედურება რომ ავიტანე...

ახლა მარტყოფში, ჩემს ნათესავთან ვცხოვრობ, რადგან მოხუცს მარტო ყოფნის მეშინია. ჩემი მანანა ჩემი თვალისჩინია, საუკეთესო ადამიანია და რომ არა ის, ღმერთმა იცის, რა ბედი მეწეოდა. ალბათ, ახლა ცოცხალიც არ ვიქნებოდი... ■

ემიგრანტი

ვის მიუძღვნა ვრცელი სტატია ქართველების გერმანელმა სიძემ

„თუ გერმანიაში ცხოვრობ, მათი ენა კარგად უნდა იცოდე“

ქართველი ემიგრანტი ფიქრია აფციაური უკვე 20 წელია, გერმანელების რძალია. მისი მეუღლე — კრისტიან ჰუფნაგელი ჟურნალისტი გახლავთ და მიუნხენის „ბაიერნის“ ბავშვთა გუნდში სკაუტადაც მუშაობს. მათ ორი შვილი ჰყავთ — სანდრო და ლუკა. ფეხბურთს ორივე კარგად თამაშობს, მაგრამ ამ სპორტის პროფესიად არჩევა მხოლოდ ლუკას აქვს გადაწყვეტილი. ქალბატონი ფიქრია გერმანიის ქართული სათვისტომოს აქტიური წევრია და შვილების აღზრდის გარდა, საკმაოდ საინტერესო საქმიანობასაც ეწევა.

თამთა დადეშელი

— 20 წელია, რაც მიუნხენში ვცხოვრობთ. მე და ჩემმა მეუღლემ ერთმანეთი თბილისში, სრულიად შემთხვევით გავიცანით. ის ჟურნალისტია და საქართველოში მივლინებით იყო ჩამოსული. რამდენიმე თვე ვხვდებოდით ერთმანეთს, შემდეგ კი დავქორწინდით.

— თქვენი მეუღლე საქართველოში რა მისიით იყო ჩამოსული?

— მაშინ ის შედარებით თავისუფალი ჟურნალისტი იყო და სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობდა, უცხო ქვეყნების შესახებ მასალებს ამზადებდა, დღესდღეობით კი გაზეთის ერთ-ერთი განყოფილების მთავარი რედაქტორია.

— სად და როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— ჩემი მეგობრები „სუხიშვილებში“ ცეკვავდნენ. ერთხელ კრისტიანს მათი ცეკვა უნახავს, ძალიან მოსწონებია და სტატიაც დაუწერია. სხვათა შორის, ის სწორედ ამის შემდეგ დაინტერესდა საქართველოთი. ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ უცხოელს ცხადია, კარგად გაუმასპინძლდნენ და ერთ-ერთ წვეულებაზე ის მეც გავიცანი.

— უცხო ქვეყანაში ცხოვრება არ გაგიჭირდათ? მათ განსხვავებულ ტრადიციებს როგორ შეეგუეთ?

— მიუხედავად იმისა, რომ საყვარელი ადამიანის გვერდით ვიყავი, უცხო გარემოსთან შეგუება მაინც გამიჭირდა. გერმანიაში დაახლოებით, ერთი წლის ჩამოსული ვიყავი, როდესაც ემიგრანტი ქართველები გავიცანი — სათვისტომოს კრება იყო და ჩემდა გასაკვირად, მეც დამიკავშირდნენ. მათი გაცნობა დიდი ბედნიერება გახლდათ, მაგრამ თავდაპირველად, ამ ადამიანებთან ურთიერთობა გამიჭირდა, რადგანაც ქართული წესებით აღარ ცხოვრობდნენ... საერთოდ, რაც უფრო ახალგაზრდა ხარ, მით მეტი ალღო გაქვს და უფრო იოლად ეგუები უცხო გარემოს. სხვათა შორის, ვიდრე აქ მცხოვრებ ქართველებს გავიცნობდი, გერმანელი მეგობრებიც შევიძინე — ისინი არაჩვეულებრივი ადამიანები არიან.

— ვინაიდან თქვენი მეუღლე ჟურნალისტია, ალბათ, საზოგადოებისთვის ცნობილ ბევრ ადამიანთან აქვს ურთიერთობა. თქვენთან თუ მოდიან ისინი სტუმრად?

— რა თქმა უნდა! ისე, ადრე უფრო გვსტუმრობდნენ, მერე კი ბავშვების გამო მათ მოპატიჟებას ან სადმე სტუმრად წასვლას ისე ხშირად ვეღარ ვახერხებდით. ახლა


კრისტიანი შვილებთან ერთად

უკვე წამოიზარდნენ და დროს სტუმარ-მასპინძლობისთვისაც გამოვნახავთ (*იცინის*)... ამას წინათ ჩემი მეუღლე ძველ დღიურებს ათვალიერებდა და აღმოჩნდა, რომ კვირაში 5 დღე მაინც სტუმრიანობა გვქონდა.

— თქვენ თუ მუშაობთ სადმე?

— ენერგეტიკოს-ინჟინერი ვარ, მაგრამ ახლა პროფესიით არ ვმუშაობ. მასალებს ვამზადებ მოდის ჟურნალებისთვის, სადაც სხვადასხვა ფირმის სამოსია წარმოდგენილი და მითითებულია, სად რისი შეძენა შეუძლიათ ქალბატონებს. ადრე ბუტიკებში ვმუშაობდი — მანეკენებს ვაცმევდი, რაც მერწმუნეთ, მეტად საპასუხისმგებლო საქმე იყო.

— გერმანიაში ჩასულს ენის ბარიერი არ შეგექმნათ?

— გერმანული ცუდად ვიცოდი და ამიტომაც, პირველ წელს უცხო ენათა კერძო ინსტიტუტში ვსწავლობდი. სხვათა შორის, ყველაფერი სწრაფად ავითვისე. თავიდან ლაპარაკის კომპლექსი მქონდა, რადგანაც ამ ქვეყანაში ამბობენ, — თუ გერმანიაში ცხოვრობ, ჩვენი ენაც კარგად უნდა იცოდეო. ენის შესწავლის შემდეგ ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში, ჩემი პროფესიით დავიწყე მუშაობა — სამსახურში კვირაში 2 დღე მივდიოდი...

— საინტერესოა, როგორ ცხოვრობენ ქართველები მიუნხენში?

— აქ ხელშეკრულებით მომუშავე ხალხი ძალიან ცოტაა, თუმცა ტენდენცია აშკარად, მზარდია. მას, ვინც წარმატებით დაამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს, კარგი სამსახურის შოვნის შანსი აქვს.

— ქართული ტრადიციების შენარჩუნებას თუ ახერხებთ?

— როგორც იცით, აქ ქართული სათვისტომო და ეკლესია გვაქვს, რომელსაც დიდი და აქტიური მრევლი ჰყავს. მისი წინამძღვარი მამა თამაზ ლომიძეა. მერწმუნეთ, მიუნხენში ბევრი კარგი ქართული საქმე კეთდება, ეკლესია საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა, ბევრ გაჭირვებულს ეხმარება. მაგალითად, თუ ვინმე სამკურნალოდ ჩამოდის, მას დაბინავებისა და სხვა პრობლემების მოგვარებაში ვეხმარებით.

— თვითონ სათვისტომო რა სახის ღონისძიებებს ატარებს?

— გერმანიის ქართული სათვისტომო დიდი ხანია, არსებობს — მალე 50 წლის იუბილეს აღვნიშნავთ. წელიწადში ორჯერ ვიკრიბებით და წვეულებას ვმართავთ, სადაც ქართველების გარდა, გერმანელი სტუმრებიც არიან ხოლმე. 30 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი წვეულება გავმართეთ, რომელსაც ყოველთვის ქართული საკონცერტო პროგრამითა და ქართული კერძებით აღვნიშნავთ, ამჯერად კი ღვინოც ქართული გვქონდა. გვაქვს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „იბერისი“, რომლის ერთ-ერთი წევრიც თავად გახლავართ; ასევე, გერმანიაში გამოდის ჟურნალი „ქართული“, ჩამოვაყალიბეთ საკვირაო სკოლა, სადაც ქართველ ბავშვებს ქართულ ენასა და ლიტერატურას, რელიგიას, ცეკვას ასწავლიან; ქომაგთა კლუბი „ივერიელი“, რომლის წევრები ქართული სპორტის გულშემატკივრები არიან და ა.შ. სათვისტომოს თავმჯდომარეები ქრისტეფორე კირკიტაძე და ვახტანგ ჩხაიძე გახლავთ.

გვაქვს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „იბერისი“, რომლის ერთ-ერთი წევრიც თავად გახლავართ

— ამ ყველაფრისთვის საჭირო თანხების მოძიებას როგორ ახერხებთ?

— მხოლოდ საწევროს გადასახადით ვარსებობთ. სამწუხაროდ, შანსი იმისა, რომ რაიმე თანხა მოვიზიდოთ, მცირეა, რადგან გერმანიაშიც ცუდი ეკონომიკური მდგომარეობაა... იმედია, მომავალში სპონსორიც გამოჩნდება, მანამდე კი თავადვე ვახერხებთ, ცოტაოდენი კარგი საქმე ვაკეთოთ. მაგალითად, გვაქვს საუკეთესო სტუდენტის ჯილდო, რომლითაც წელს 2 სტუდენტი დავაჯილდოვეთ — ამ საქმეში სათვისტომოს მეგობარი, ბატონი რაინდერის ფირმა ნაწილობრივ გვეხმარება.

— თქვენმა შვილებმა თუ იციან ქართული ენა?

— სამწუხაროდ, ცუდად იციან. მათ ქართულად კი ველაპარაკებოდი, მაგრამ ბაღში, ცხადია, გერმანულს სწავლობდნენ...

— საქართველოში ხშირად ჩამოდიხართ?

— ადრე წელიწადში ერთხელ თუ ვახერხებდი სამშობლოში ჩასვლას, ახლა კი 3-4-ჯერ მაინც ჩავდივარ.

— ლუკას სპორტულ მიღწევებზეც ვისაუბროთ.

— 5 წლის იყო, როცა ფეხბურთის თამაში დაიწყო. თავიდან შედარებით პატარა კლუბში — „მილდერცჰოფენში“ შევიყვანეთ, სადაც 1 წელი ითა-


5 წლის იყო, როცა ფეხბურთის თამაში დაიწყო

მაშა. ერთ-ერთი ტურნირის დროს ლუკა „ბაიერნის“ მაშინდელმა სკაუტმა, როგორც იმ ტურნირის საუკეთესო მოთამაშე „აღმოაჩინა“ და სასინჯ ვარჯიშებზე დაპატიჟა. ამას ისიც დაემთხვა, რომ ლუკას ასაკის ბავშვებისთვის გუნდი სწორედ იმ პერიოდში ყალიბდებოდა. ასე რომ, ჩემი შვილი (ახლა 16 წლისაა) დღემდე იქ თამაშობს.

— **რა პოზიციაზე თამაშობს?**

— ძირითადად, ცენტრალური გამთამაშებელია, მაგრამ ბოლო თამაშებში მარჯვენა ნახევარმცველი იყო, წინა ფლანგზე.

— **როგორ ახერხებს სწავლისა და ვარჯიშის შეთავსებას?**

— პირადად მე, უპირატესობას სკოლაში სწავლას ვანიჭებ, რადგან არავინ იცის, რას მიაღწევს ბავშვი მხოლოდ სპორტის წყალობით. თანაც, რაც არ უნდა კარგი ფეხბურთელი იყო, ადამიანს განათლება უნდა გქონდეს. ჯერჯერობით ძალიან კარგი მოსწავლეა.

— **„ბაიერნში“ თუ უხდიან რაიმე თანხას?**

— ვისაც ხანგრძლივი ხელშეკრულება აქვს, ფულს მხოლოდ მას უხდიან. რაც შეეხება გასამრჯელოს რაოდენობას, ეს ფეხბურთელის მონაცემებზეა დამოკიდებული. მომავალი წლიდან ალბათ, ლუკასაც გადაუხდიან გარკვეულ თანხას.

— **სანდრო რას საქმიანობს?**

— გიმნაზიაში სწავლობს, სადაც სამეტაპიანი სწავლაა, საოცრად რთული პროგრამაა.

— **რა პროფესიის არჩევას აპირებს?**

— ჯერ არ გადაუწყვეტია. სკოლას 19 წლის ასაკში დაამთავრებს (მალე 18-ის გახდება) და ამ დროისთვის, ალბათ, უკვე გააკეთებს არჩევანს. ჩვენ არაფერს ვაძალებთ. ისე კი, ფსიქოლოგია აინტერესებს.

— **ფეხბურთს ისიც თამაშობს?**

— დიახ და სხვათა შორის, ლუკაზე არანაკლებ კარგად, მაგრამ მაინცდამაინც მებრძოლი არ არის. სერიოზულ კლუბებში მიიწვიეს, მაგრამ უარი თქვა, — ფეხბურთი დიდ შრომას მოითხოვს და ამას თავს არიდებს.

— **როგორც ვიცი, შესაძლოა, ლუკამ ჩვენს ეროვნულ ნაკრებში ითამაშოს. ეს საკითხი როდის გადაწყდება?**

— 21-დან 28 ივნისამდე ტურნირია — იბიცაზე, სადაც გუნდში ლუკას აყვანის საკითხიც უნდა გადაწყდეს. ჰოდა, სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა, ითამაშებს თუ არა საქართველოს სახელით... ■

ქრონიკალი

რა გახდა 10 წლის არაბი ბიჭუნას სიკვდილის მიზეზი?

თეა ხურცილავა

18 მაისს, დღის 3 საათზე, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ყოფილი ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე სკოლიდან სახლში მიმავალმა ბავშვებმა პატარა ბიჭუნას ცხედარი იპოვეს. მომხდარი ძალოვნებმაც შეიტყვეს და ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ბიჭუნა პროზექტურაში გადაასვენეს, სადაც ყველა სახის ექსპერტიზა ჩაუტარდა. მისი ვინაობა უცნობი იყო და ამიტომაც, ნაპოვნი ბიჭუნას ცხედარი „ვიდეოპატრულში“ უჩვენეს. საკუთარი შვილი ტელეეკრანიდან მამამ ამოიცნო და სასწრაფოდ, პოლიციაში მივიდა. ამ დროისათვის, რუსთავში მცხოვრებ მუჰამედ ხადროფს შვილის დაკარგვის თაობაზე პოლიციაში განცხადება უკვე შეტანილი ჰქონდა. მამის ეჭვები დადასტურდა — მან გარდაცვლილში თავისი 10 წლის შვილი, ხალედ ხადროფი ამოიცნო. დედამ შვილის დაღუპვის ამბავი ბათუმში შეიტყო, სადაც სამუშაოდ გახლდათ წასული. ჯერჯერობით გაურკვეველია, რა გახდა ბიჭის გარდაცვალების მიზეზი. გამოძიება და ოჯახი ექსპერტიზის დასკვნას ელოდებიან. წინასწარი მონაცემებით, როცა ცხედარი იპოვეს, ბიჭი 24 საათის გარდაცვლილი გახლდათ.

ეკა ლაგვილავა 5 შვილის დედაა. პირველი ქორწინებიდან ქალიშვილი ჰყავს, მეორედ, მაროკოელ მუჰამედ ხადროფს გაჰყვა ცოლად. წყვილმა ერთმანეთი არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, 13 წლის წინ გაიცნო. მათ 4 შვილი შეეძინათ — 3 გოგონა და ერთი ვაჟი. ბავშვები დუბაიში დაიბადნენ, შემდეგ კი ცოლ-ქმარმა საცხოვრებლად საქართველოში ჩამოსვლა გადაწყვიტა და 8 წელია, რაც რუსთავში, ეკას ბაბუის ბინაში ცხოვრობენ.

როგორც გარდაცვლილის დედა ამბობს, ბავშვს დაზიანებები ვიზუალური დათვალიერებითაც აღენიშნებოდა: მუხლები გაშავებული და გადაჭრილი ჰქონდა, თითი — მოტეხილი, კისერს ვერ უფიქსირებდნენ, ხოლო სახეზე, მარჯვენა მხარეს სილურჯე აღენიშნებოდა. შვილმკვდარ დედას მომხდარზე კომენტარის გაკეთება უჭირს. მისი ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა, ბავშვს მანქანა დაეჯახა და ქუჩაში მიაგდეს. ოჯახი გამოძიების დასრულებას ელოდება. მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევიდან თვეზე მეტი გავიდა, გამოძიებისგან პასუხი არ მიუღიათ, არც ექსპერტიზის პასუხი არსებობს.

თურმე, პატარა ბიჭუნას ქუჩაში ყოფნა ძალიან უყვარდა. ის სკოლაში არ დადიოდა. *„ძნელად აღსაზრდელი ბავშვი ნამდვილად არ იყო, მაგრამ თავისებური გახლდათ — სულ ეზოში უნდოდა ყოფნა. სახლში წყნარად იყო, ეზოში კი რაღაცებს აშავებდა. აგრესიული არასდროს ყოფილა, მაგრამ როცა ბავშვები მის დაჩაგვრას ცდილობდნენ, ამას ვერ ეგუებოდა და ამიტომაც, ხშირად მოსულა სახლში ნაცემი. გამომძიებელმა ისიც მკითხა, — გონებრივად შეზღუდული ხომ არ იყოო? არა, ასეთი არ ყოფილა! 9 წლის იყო, სკოლაში პატარა დასთან ერთად რომ მივიყვანე. მას დაბადების მოწმობა არ ჰქონდა და მანამდე ამიტომაც ვერ მიმყავდა. ვერ მოერგო სკოლას — მასწავლებლისთვის ჩანთა მიუგდია, შეურაცხყოფა მიუყენებია და მას მერე აღარ შეუშვეს. კერძო სკოლაში ან სკოლა-ინტერნატში მინდოდა შემეყვანა, რადგანაც ცუდ გარემოში მოხვდა — უფროსებმა აიყოლიეს, ქუჩური ცხოვრება ასწავლეს — და მინდოდა, მათთან ურთიერთობა აღარ ჰქონოდა. საერთოდ, ხალედის ამ ქალაქიდან მოშორება მსურდა... ჩემი შვილი სხვისი გავლენის ქვეშ ადვილად ექცეოდა, ძალიან გულუბრყვილო, მიმნდობი ბავშვი იყო“*, — ამბობს დედა, **ეკა ლაგვილავა**.

ხალედი სახლიდან 12 მაისს გავიდა. მისი 13 წლის და, **მონა ხადროფი** ამბობს, რომ ის უბნელ ორ ბიჭთან ერთად დაინახა: *„იმ დღეს უბნელ, მასზე უფროს 2 ბიჭთან ერთად დავინახე. ერთ-ერთი მათგანი დოლზე უკრავს და ფულს ჩუქნიან. ჰოდა, ის დოლი ჩემს ძმას ეკავა. ვთხოვე, არ წასულიყო, მაგრამ არ დამიჯერა... მას მერე ვეძებდით“.*

სახლში რომ არ დაბრუნდა, მამამ შვილის ძებნა დაიწყო. *„კომპიუტერის თამაში უყვარდა და გვიანობამდე იქ იყო... ვინ იცის, რამდენჯერ მოგვიყვანია სახლში გვიან. ახალი ცენტრი თუ გაიხსნებოდა, შეეძლო, ღამეც იქ დარჩენილიყო.... იმ დღეს ყველგან უძებნია ჩემს ქმარს, მაგრამ ვერ უპოვია. რადგანაც 2 დღე არ გამოჩნდა, მესამე დღეს მისი დაკარგვის შესახებ პოლიციაში განუცხადებია. პოლიციელებიც იცნობდნენ ჩემს შვილს და როცა ქუჩაში დაინახავდნენ, ესაუბრებოდნენ ხოლმე. მათ ჩემი მეუღლისთვის უთქვამთ, — სადღაც იქნება და მოვაო. 18 მაისს, შემთხვევით, მამამ ბავშვის ცხედარი ტელეეკრანიდან ამოიცნო... თბილისში ხშირად არ დადიოდა და მაინტერესებს, იქ როგორ აღმოჩნდა? ალ-*

ბათ, იმ ბიჭებმა წაიყვანეს“, — აცხადებს ბავშვის დედა. მისი თქმით, პოლიციამ ოჯახს იმ ბავშვებთან გასაუბრება აუკრძალა. გამოძიებამ ბიჭები უკვე დაჰკითხა, მაგრამ დედისთვის უცნობია, რა ჩვენება მისცეს მათ. *„გამომძიებელი მეუბნება, რომ საქმის მასალებს გამაცნობენ. ისინი ჩემს შვილზე უფროსები არიან, 14-15 წლისანი და უბანში სხვადასხვა ვერსიას ავრცელებენ. ჯერ თქვეს, — ხალედი რუსთავიდან თბილისში ვიღაც უცნობ მამაკაცს გაჰყვაო, მაგრამ მერე გადათქვეს: გლდანში, მეტრო „ახმეტელთან“ ვიყავით, როცა უცხო მამაკაცი მოვიდა და რაღაცებს შეგვპირდა. ჩვენ არ გავყევით, ხალედი კი გაჰყვაო. თურმე, იმ კაცს უთქვამს: დაგბან, ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს გიყიდი, გაჭმევ და ისევ ამ ადგილას მოგიყვანო; მერე ესეც უარყვეს და თქვეს: საერთოდ არ გვინახავსო! არ ვიცი, გამოძიება რა ვერსიაზე მუშაობს. მე მხოლოდ სიმართლე მაინტერესებს! ვფიქრობ, ამ ბავშვებმა იციან, სინამდვილეში რაც მოხდა. ჩემი ვაჟი მიმნდობი იყო და შეიძლებოდა, უცხოსაც გაჰყოლოდა. სულ მის ძებნაში ვიყავით, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ქუჩაში დაეხეტებოდა, ხომ ვერ მოვკლავდი?! ისე, თავიდან ვცემეთ კიდეც, მამა მკაცრად ექცეოდა, მაგრამ არაფერმა გაჭრა და ჩვენც, როდემდე გვეცემა? სულ ვარიგებდი, ჭკუას ვასწავლიდი. იყო შემთხვევა, როცა დასჯის მიზნით, სახლის კარს ვუკეტავდი და გარეთ არ ვუშვებდი. არ მინდოდა, იმ ბავშვებთან ერთად არ ებორიალა“,* — გვითხრა გარდაცვლილის დედამ.

ოჯახს მატერიალურად ძალიან უჭირს, ცოლ-ქმარი უმუშევარია. თურმე, ხალედი ქუჩაში მათხოვრობდა კიდეც. დედა ამბობს, რომ მას დიდი ბიჭები ამათხოვრებდნენ: *„მართალია, მატერიალურად ძალიან გვიჭირს, რადგანაც მე და ჩემი მეუღლე უმუშევრები ვართ, მაგრამ ვცდილობდი, ბავშვებს სახლში პური მაინც ჰქონოდათ; რაიმე წვნიანს მაინც ვაკეთებდი, თუნდაც — მხოლოდ კარტოფილით, რათა საჭმელი სხვისთვის არ ეთხოვათ... ჩემს შვილს მასზე უფროსები აიძულებდნენ, რომ ემათხოვრა, მერე ხაჭაპურს ან ნაყინს უყიდდნენ, ხოლო ფულს ართმევდნენ, ზოგჯერ სცემდნენ კიდეც. ხალედისთვის რომ გეკითხათ, — რატომ გცემესო? არ გიპასუხებდათ. სიმაღლით 165 სმ იყო ანუ თავის ასაკთან შედარებით, მაღალი გახლდათ... ჩემს შვილებს რუსთავში ყველა ცნობს. ისინი გარეგნულადაც განსხვავებულები არიან. ჩემთვის ხშირად უთქვამთ, — შენი შვილი ვნახე, მათხოვრობდაო. ამის გამო ძალიან ვნერვიულობდი... მეუღლეს საბუთებიც არა აქვს — მის*

მოკლული ხალედ ხადროფი

პასპორტს და ვიზას ვადა გაუვიდა. ახლა ძალიან უნდა, თავის ქვეყანაში წავიდეს, მაგრამ ვერ ახერხებს“.

როგორც შევიტყვეთ, პატარა ბიჭუნა მართალია, სკოლაში არ დადიოდა, მაგრამ ის რუსთავში, დღის ცენტრ „საპოვნელაში“ დებთან ერთად დადიოდა, იქ ყოფნა ძალიან უყვარდა. ცნობისთვის, ცენტრი 2006 წლიდან ფუნქციონირებს და ამჟამად, სოციალურად დაუცველ ბავშვებს ემსახურება.

ნანა ქორიძე, დღის ცენტრ „საპოვნელას“, ორგანიზაციის — „ბავშვი და გარემო“ — ხელმძღვანელი:

— ბავშვი ცენტრში ჩარიცხული არ იყო, რადგან მის ოჯახს სოციალურად დაუცველის სტატუსი არა აქვს მინიჭებული. ადრე, როცა დონორი გვყავდა და ბავშვებს სხვა კრიტერიუმების მიხედვით (გვყავდა რისკჯგუფის ბავშვები; მოზარდები, რომლებიც დიდ დროს ატარებენ ქუჩაში; მრავალშვილიანები, რომელთა ოჯახსაც მატერიალურად უჭირდა) ვარჩევდით, ის „საპოვნელაში“ დებთან ერთად დადიოდა. მოგეხსენებათ, მათი ოჯახი მრავალშვილიანია, მაგრამ სამწუხაროდ, უმუშევარი დედ-მამა არანაირ დახმარებას არ იღებს; თანაც, ბავშვები საქართველოს მოქალაქეები არ არიან — უცხოეთში დაიბადნენ და საბუთებიც არა აქვთ წესრიგში (მხოლოდ ორ მათგანს აქვს დაბადების მოწმობა)..

პატარა ბიჭუნას კარგად ახასიათებენ პედაგოგები და იმასაც ამბობენ, რომ ის ხშირად იყო ძალადობის მსხვერპლი. *„ხალედთან 1 წელი მქონდა ურთიერთობა, 2009 წლის სექტემბრამდე. ვიდრე ეს უბედური შემთხვევა მოხდებოდა, ჩვენთან სამჯერ მოვიდა. ის საკმაოდ თბილი ბავშვი იყო, ძალიან უყვარდა ცხოველები, განსაკუთრებით — ძაღლები და საოცარი დამოკიდებულება ჰქონდა ქუჩის ძაღლებთან. უნდოდა, ლეკვი ჰყოლოდა... ბავშვი ხშირად იყო ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი — მას სცემდნენ და ამიტომაც, ხშირად ტიროდა. თავად ხალედი აგრესიული არ იყო, მაგრამ ბავშვებთან ურთიერთობა უჭირდა. რაც შეეხება მათხოვრობას, იშვიათად, თუმცა მაინც დაგვინახავს, თუ როგორ ითხოვდა მოწყალებას, მაგრამ ჩვენი დანახვისას გარბოდა... ჩვენს ცენტრში სიარული ძალიან მოსწონდა. მიუხედავად იმისა, რომ „საპოვნელაში“ ჩარიცხული არ იყო, ზოგჯერ მაინც გვაკითხავდა“,* — გვითხრა სოციალურმა მუშაკმა, **ნატო ბედიანაშვილმა.**

„ძალიან უყვარდა ფეხბურთი. საოცრად თბილი ბავშვი იყო“, — დასძინა პედაგოგმა **ნანა საბაშვილმა.**

პატარა ბიჭუნას გარდაცვალების შემდეგ ისიც ითქვა, რომ ხალედი ტოქსიკომანი იყო და მისი გარდაცვალების ერთ-ერთ ვერსიად ესეც დასახელდა. ამ ფაქტს დედა კატეგორიულად უარყოფს: *„ვაცხადებ, ეს სიცრუეა, ამას აუცილებლად შევამჩნევდი! მას შეიძლება ყველაფერი დააბრალო, ამის გარდა... არ ვიცი, ამხელა ცოდვის დაბრალება ვის რაში დასჭირდა“.* ამ ვერსიას დღის ცენტრის პედაგოგებიც კატეგორიულად უარყოფენ. *„ჩვენ ეს არ გამოგვეპარებოდა. ხალედი ტოქსიკომანი ნამდვილად არ ყოფილა. ზუსტად ვიცით, რომელი ბავშვები ყნოსავენ წებოს“,* — აღნიშნეს ცენტრში.

ხალედის და, მონა ხადროფი ამბობს, რომ მის ძმას ცენტრში სიარული უყვარდა, იქ კარგად ერთობოდა: *„საპოვნელაში“ ერთად დავდიოდით. გვასწავლიდნენ ქარგვას, ხატვას. ჩემს ძმას იქაური თამაშები უყვარდა. დავყავდით ზოოპარკში, ვაწყობდით გამოფენას, გვაჭმევდნენ... შარშან ცენტრიდან ორი ბავშვი ბანაკშიც ვიყავით. ჩემს ძმას ხშირად ურტყამდნენ — რამდენიმე ერთად დაერეოდა და სცემდა. როცა ასეთ ფაქტს დავინახავდი, იმ ბიჭების საცემრად მე ვიწევდი, ძმას ვიცავდი. ადრე მე და ხალედი უფასოდ, კიკბოქსინგზე დავდიოდით. წერა-კითხვას სახლში ვასწავლიდი. ხალედმა 10-ის ფარგლებში მიმატება და გამოკლებაც იცოდა.“*

ჯერჯერობით, ბიჭის გარდაცვალების დეტალები გაურკვეველია. როგორ აღმოჩნდა ის ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე, რატომ ჰქონდა სხეულზე დაზიანებები, ვინ წაიყვანა რუსთავიდან თბილისში და კიდევ მრავალ სხვა კითხვას, რომელიც ამ ბურუსით მოცული საქმის ირგვლივ არსებობს, იმედია, გამოძიება გასცემს პასუხს. ■

როგორ მივითვისე ავიაკატასტროფაში დაღუპული მილიონერების ქონება

მარი ჯაფარიძე

„პატივისცემით მოგმართავთ. ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ — მე ჯეიმს ვესტი ვარ, აფრიკის ბანკის — „ბურკინა ფასო“ — ანგარიშების მენეჯერი. ამ წერილს ჩემს განყოფილებაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო გწერთ (*ვაა, რა საინტერესოა?!*), რადგან მსურს, საქმის კურსში ჩაგაყენოთ (*ან ამ კაცს ეშლება რამე, ან ჩემი ჟურნალისტობის ამბავი ძალიან შორს გავარდნილა და ახლა რეკლამას ან რაიმე მასალას შემიკვეთენ, ალბათ*). მსურს, თქვენს ანგარიშზე 15 მილიონი ამერიკული დოლარი გადმოვრიცხო (*გმადლობ, ღმერთო, მე „ჯეკპოტს“ გეხვეწებოდი და შენ „10 ჯეკპოტი“ ერთად გამოიმეტე*).

ეს კანონიერი გარიგებაა. მას შემდეგ, რაც თქვენს ანგარიშზე აღნიშნული თანხა „დაჯდება“, თქვენ დასტური უნდა გამოგზავნოთ და შემდგომ, ჩემი მითითებისამებრ, აღნიშნული თანხის ანუ 15 მილიონი დოლარის 40% ჩემს პირად ანგარიშზე დასვათ (*რას ლაპარაკობ? ეს ჩემი კუთვნილი 15 მილიონია, რომელიც ღმერთმა „ჯეკპოტის“ სანაცვლოდ მაჩუქა და არაფერსაც არ გადმოვრიცხავ*).

გთხოვთ, მომაწოდოთ თქვენი მონაცემები:

სახელი და გვარი...

ტელეფონის ნომერი...

ფაქსის ნომერი...

პირადი ნომერი...

პატივისცემით, თქვენი (*როდის აქეთ გახდა ჩემი?*) ჯეიმს ვესტი.

ღმერთი გფარავდეთ“.

მკითხველო, ახლა შენ მითხარი, ერთ მშვენიერ დილას, გამოუძინებელი სახით, გაწეწილი თმითა და ყავის ჭიქით ხელში კომპიუტერს რომ მიუჯდები, საკუთარ ფოსტას გახსნი და ასეთი წერილი დაგხვდება, სიხარულისგან გული არ გაგისკდება? თუმცა, ჩემი სიხარული ისეთი ხანმოკლე აღმოჩნდა, რომ გულის გახეთქვა არ დამცალდა... ვიდრე ზემოთ მოყვანილი წერილის შინაარსს გავითავისებდი და მილიონერის სტატუსს შევეგუებოდი, მეორე წერილიც მივიღე:

„ძვირფასო მეგობარო, ვიცი, ეს წერილი გაგაკვირვებთ. საგარეო საქმეთა ურთიერთობის დაქვემდებარებაში მყოფი ბანკის — „უაგანდუ ბურკინა-ფასოს“ აფრიკის სექციის მენეჯერ-რევიზორი გახლავართ (*არა, რა, დავრწმუნდი, რომ აფრიკაში ნაღდად დიდი პოპულარობით ვსარგებლობ*). იმედი მაქვს, ჩემს წერილს არ გამოაქვეყნებთ და სახალხო განსჯის საგნად არ აქცევთ (*ისე ცხონდა მამაშენი, „რავარც“ მაგ საკითხში ჟურნალისტების იმედი არ უნდა გქონდეს*); აგრეთვე მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს გარიგება ჩვენთვის, ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება (*ნეტავ „2 მხარეში“ რას გულისხმობს, აფრიკა-საქართველოს თუ ჩემსა და მის ურთიერთობას?*). მინდა, 10 ან 14 საბანკო დღის განმავლობაში თქვენს ანგარიშზე სასწრაფოდ გადმოვრიცხო 11,5 მილიონი ამერიკული დოლარი (*არა, „ჩემი“ ჯეიმსის წინადადება უფრო მისაღებია*). აღნიშნული თანხა დიდი ხნის განმავლობაში დევს ჩვენს ბანკში, „უპატრონოდ“ და მასზე პრეტენზიას არავინ აცხადებს. ჩვენ გვსურს, თანხა გადმოვრიცხოთ თქვენს ანგარიშზე იმ მიზეზით, რომ თანხის გარდაცვლილი პატრონი თქვენი ახლო ნათესავი გახლდათ (*რაღაც ვერ გავიგე... ნუთუ მართლა მყავდა ასე მდიდარი ახლო ნათესავი აფრიკაში და მე არ ვიცოდი?*) მას ჰქვია კერტ კეიხელი (*არა, ასეთი არავინ მახსოვს და არც დედაჩემს ახსოვს — გადავამოწმე*), რომელიც 2000 წლის 31 ივლისს, ავიაკატასტროფაში დაიღუპა (*ჰმ... პანაშვიდები როდის იყო, ის მაინც ვერ შემატყობინეს? ახლა უხერხული არაა? სამძიმარზე არ ვყოფილვარ და მის მილიონებს დავეპატრონო?*). არ მსურს, ფული სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხოს. ძალიან გთხოვთ, ეს ინფორმაცია საიდუმლოდ შეინახოთ (*კი, ბატონო, გპირდებით, რომ მხოლოდ „გზის“ მკითხველს მოვუყვები, ამათთან დასამალი რა მაქვს? თანაც, სანდო ხალხია, გეფიცები*). თუ არ დაგაინტერესებთ, გაანადგურეთ. უბრალოდ, „დელეტეს“ დააჭირეთ (*მე მერჩივნა, წერილი პარტიზანივით გადამეყლაპა ან დამეწვა, მაგრამ აბა, როგორ? ელექტრონულ ფოსტაზე მოსული წერილის გადაყლაპვა როგორ ხდება, ამის შესახებ ინფორმაცია ვერ მოვძებნე ინტერნეტში*). თქვენი პასუხის შემდეგ დაწვრილებით მოგახსენებთ, როგორ განვახორციელებთ აღნიშნულ ოპერაციას და შემდგომ, გთხოვთ, მხოლოდ 40% დაიტოვოთ და თანხის 60% უკან გადმოგვრიცხოთ (*ძუნწი!*).

საუკეთესო სურვილებით, ჯასტინ კუტება“.

ორივე წინადადება მაცდურია, მაგრამ დამეთანხმებით ალბათ, რომ პირველი გაცილებით სარფიანია. თუმცა ჯერ არ ავჩქარდები... აფრიკაში ჩემი პოპულარობის იმედს დავიტოვებ და შემდეგ წერილს დაველოდები. როგორც ჩანს, იქ ყველა მილიონერი კლიენტი მოკვდა და იქნებ, რომელიმეს მეტი დანაზოგი აქვს? ლოდინმა დიდხანს არ მომიწია. რამდენიმე დღის შემდეგ ვინმე ალი დესმერსის წერილი მივიღე:

„ანგარიშების ბოლო შეფასებისას ჩემი თანამშრომლები ერთ მნიშვნელოვან ანგარიშს გადააწყდნენ, რომელზეც 10 მილონი დოლარია და მასზე პრეტენზიას არავინ აცხადებს“...

ამ წერილს ბოლომდე ვკითხულობ, მაგრამ თავიდანვე ვიცი, რომ არ ვუპასუხებ. 10 მილიონისთვის ხელის გასვრა არ მიღირს, მიუხედავად იმისა, რომ „ჩემი“ ჯეიმსისა და კუტებასგან განსხვავებით, ალი თანხის ნამუსიანად, თანაბრად განაწილებას მთავაზობს. რაღა თქმა უნდა, გულში მასაც შევპირდი, რომ ამ წერილს საიდუმლოდ შევინახავდი და მომდევნო შემოთავაზებას დაველოდე (მოგეხსენებათ, მადა ჭამაში მოდის) მიუხედავად იმისა, რომ ვნერვიულობდი — სხვამ არ დამასწროს და არ დავიღუპო-მეთქი.

ყველა ზემოთ აღნიშნული და შემდეგი წერილებიც ინგლისურ ენაზე გახლდათ შედგენილი. თუმცა მესამე წერილი ასე იწყებოდა: „PRIVET, MY DEAR“. რა სასწაულია, არა? ძლიერი და ყოვლისშემძლეა რუსული ენა. თურმე, აფრიკაშიც ასე ესალმებიან ერთმანეთს — „პრივეტ“. ეს დევიდ ზუმა მესალმება და საქმიანი წინადადებით მომმართავს: ჩემს ანგარიშზე 12 მილიონი ამერიკული დოლარის გადმორიცხვა სურს, წილი — 50%. ამ თანხის მფლობელი კლიენტიც 2000 წელს, ავიაკატასტროფაში დაღუპულა, ოჯახთან ერთად და მას დევიდ დერიუ ჰქვია.

„გუშინ დავასრულეთ ნიგერიაში

(*სადამდე გავარდნილა ჩემი სახელი*), ბანკის გუბერნატორთან თათბირი და გადავწყვიტეთ, რომ თქვენ უნდა დაიწყოთ კუთვნილი თანხის — 450 ათასი დოლარის მიღება (*სამართალმა პური ჭამა*). მომავალი კვირიდან დავიწყებთ თანხის ჩარიცხვას — დღეში მხოლოდ 10 ათასი დოლარი ჩაგერიცხებათ. საბანკო ოპერაციების წარმოებისთვის უნდა გამოგვიგზავნოთ თქვენი ანგარიშის ნომერი და 10 დოლარი. პატივისცემით, ტონი მარკი“.

არა, ამ წერილს უპასუხოდ ვერ დავტოვებდი — თითქმის ნახევარი მილიონი დოლარია („კაპიკები“ აკლია). ჰოდა, მივწერე: ვინაიდან ძალიან ბევრი ვალი მაქვს, თანაც, ხელფასამდე კიდევ 3 კვირაა დარჩენილი, თქვენმა 450 ათასმა სულზე მომისწრო და მოხარული ვარ, რომ ასეთი წინადადებით მომმართეთ. ჩემი ანგარიშის ნომერს კი გამოგიგზავნით, მაგრამ 10 დოლარზე ბოდიში, ბატონო, მაგ თანხიდან დამიქვითეთ, რომელიც უნდა გამომიგზავნოთ-მეთქი. მათგან პასუხს დღესაც ველი, მაგრამ ცამ ჩაყლაპა ეს „ჩემი“ ტონი მარკი თუ მიწამ, ვერ გავიგე. სამაგიეროდ, აგერ, ახალი საქმიანი წინადადება მივიღე, ამჯერად — მანჩესტერიდან: „მე გარდაცვლილი ჟაკ დონიკიუს პირადი წარმომადგენელი, ჩარლზ ედვარდი ვარ. ჩემი კლიენტი ოჯახთან ერთად, ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ეს მოხდა 2004 წლის 3 იანვარს (ამის შესახებ შეგიძლიათ, ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციას გაეცნოთ), როდესაც თვითმფრინავი წითელ ზღვაში ჩავარდა. დიდხანს ვეძებე მისი ახლობელი ადამიანები, მაგრამ ვერავის მივაგენი, ამიტომ გადავწყვიტე, თქვენთვის მომემართა. ჩემს კლიენტს საბანკო ანგარიშზე 25 მილიონი დოლარი აქვს და ბანკმა მომმართა თხოვნით, ამ თანხის მემკვიდრე-განმკარგავი მეპოვა. თქვენ გაღიარებთ მის მემკვიდრედ, რის შემდეგაც აღნიშნული თანხის თქვენს ანგარიშზე ჩარიცხვა მოხდება. ამ თანხას მე და თქვენ გავინაწილებთ. შესაბამისად, ჩემი წილი იქნება 53% (*ვაპროტესტებ!*), მაგრამ ვიდრე თანხას გავინაწილებთ, მთლიანი თანხის 10% საქველმოქმედო ფონდში უნდა გადავრიცხოთ, 2% კი გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის გადავდოთ. თანხის გადმორიცხვა ისე მოხდება, რომ მიმღებ ბანკს მისი წარმომავლობის შესახებ კითხვები არ გაუჩნდება. მე მხოლოდ თქვენი ნდობა და ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვა მჭირდება. პატივისცემით, თქვენი ჩარლზი“.

ბატონი ჩარლზი იმასაც მაუწყებს, რომ თურმე, ჩემი ელექტრონული ფოსტის მისამართი ბანკის სავაჭრო პალატის არქივიდან ამოუღია (ინგლისის ბანკში?!).

„გვინდა გაუწყოთ, რომ 2010 წლის პირველ მარტს თქვენ გაიმარჯვეთ გათამაშებაში და მოიგეთ პრიზი 1.200.000 გირვანქა სტერლინგის ოდენობით. პრიზი შეირჩა შემთხვევით, კომპიუტერის მიერ. გთხოვთ, დარეკოთ მითითებულ ნომერზე და იკითხოთ რიჩარდ კარპენტერი“.

მსგავსი წინადადებით კიდევ უამრავმა ადამიანმა მომმართა. თურმე, 1 მილიონი ევროც მოვიგე და კიდევ, ერთმა მოხუცმა, მილიონერმა ქალბატონმა გადაწყვიტა, თავისი ქონება მე დამიტოვოს:

„გამარჯობა, მეგობარო. მე რელე რელსევი ვარ. უკვე 89 წლის გახლავართ და ალბათ, მალე გარდავიცვლები, რამეთუ საწოლიდან ვეღარ ვდგები. წუხელ მთელი ღამე ლოცვაში გავატარე. ღმერთს ვევედრებოდი, რომ დილით, როდესაც კომპიუტერს ჩავრთავდი, ჩემთვის სანდო და კეთილი ადამიანი გამოეგზავნა. ასეთი ადამიანი თქვენ ხართ, რადგან ღმერთმა თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი კომპიუტერის ჩართვისთანავე ეკრანზე გამოიტანა. ჩემი პირობა ასეთია: მე თქვენს ანგარიშზე გადმოვრიცხავ ჩემს კუთვნილ 350 ათას ამერიკულ დოლარს. ამ თანხის 30% ქველმოქმედებაში უნდა დახარჯოთ, დანარჩენი კი თქვენთვის მიბოძებია და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ. მე არ ვიცი, რომელ ქვეყანაში ცხოვრობთ და იცით თუ არა ინგლისური, მაგრამ იმედი მაქვს, ჩემს წერილს უყურადღებოდ არ დატოვებთ, რადგან ეს ღმერთის ნება გახლავთ. ველი თქვენს გამოხმაურებას“.

ახლა იმის შესახებ, რა საერთო აქვთ ამ წერილებს: ყველა მათგანს ვუპასუხე და რაღა თქმა უნდა, შემოთავაზებულ წინადადებაზე თანხმობა განვაცხადე. პასუხი ყველგან ერთნაირია: „მოხარული ვართ, რომ ჩვენი თანამშრომლობა შედგა. გთხოვთ, მოგვწეროთ თქვენი ანგარიშის ნომერი. ყველა საჭირო საბუთის გაფორმება გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რომელიც თქვენ უნდა გაიღოთ. იმისათვის, რომ გერბიანი ქაღალდები თქვენამდე მოვიდეს, უნდა გადმორიცხოთ“... *და აქ, მითითებულია თანხა, რომელიც ისევე, როგორც ჩემს ანგარიშზე გადმოსარიცხი თანხა, სხვადასხვა ოდენობისაა და — 150-დან 35 დოლარამდე მერყეობს. რა თქმა უნდა, თანხა არავისთვის გადამირიცხავს, მაგრამ ერთ-ერთი ბანკის ანგარიშის ნომერი კი გავუგზავნე, სადაც სიმბოლურად, 5 ლარი ჩავრიცხე. ჰოდა, მეორე დღეს ის 5 ლარი ანგარიშიდან გაქრა. ასე რომ, მე და ინტერნეტთაღლითებმა „ვითანამშრომლეთ“, რასაც ჩემი ბიუჯეტიდან 5 ლარი შეეწირა. თუმცა, მე მაინც მაქვს იმედი, რომ ამდენ თაღლითში ერთი „პატიოსანი“ თაღლითი აღმოჩნდება და ერთ მშვენიერ დღეს მომწერს: „თქვენს ანგარიშზე გადმორიცხულია რამდენიმე მილიონი ამერიკული დოლარი. გთხოვთ, დაადასტუროთ, რომ თანხა მიიღეთ. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ“.* ■



სამყარო

ფაიფურში გაცოცხლებული ფერადი ყვავილების სამყარო

ტიანშანის მთებში მოწყვეტილი, ფაიფურში გაცოცხლებული ედელ-ვაისი, ისამნები, იები, ყაყაჩოები და უამრავი მინდვრის ყვავილი, რომელიც ისე პროფესიონალურად არის შესრულებული, რომ დამთვალიერებელი სურნელსაც გრძნობს. გააჩნია, რამდენად შორს წახვალ ფანტაზიებში... ფერადი ყვავილების სამყაროს ქალბატონს, ნანა მჭედლიშვილს შინ ვეს-ტუმრე. მას პატარა სახელოსნოც სახლში აქვს — უფრო სწორად, მაღალი ტემპერატურის ღუმლები, სადაც იმ ულამაზესი ყვავილების გამოწვა ხდება. დანარჩენს თვით-ნასწავლი კერამიკოსი საკუთარი ხელით აკეთებს და 200-მდე სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის ყვავილების პანო აქვს... ნანა მჭედლიშვილი სპეციალობით ოფთალმოლოგია, თუმცა დაძაბული სამუშაო რეჟიმი სულაც არ უშლის ხელს, საყვარელ საქმეში ბოლომდე დაიხარჯოს...

ლალი პაპასქირი

— ფაიფურის ყვავილებს 1995 წლიდან ვაკეთებ. მანამდე მხოლოდ ჩემი პროფესიით ვმუშაობდი. სპეციალობით თვალის ექიმი ვარ, მაგრამ სულ მინდოდა, რაღაც მეკეთებინა ამ სფეროში... 1993 წლის 23 სექტემბერს, სოხუმის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე, ვაჟი დამეღუპა... ალბათ ყველას ახსოვს ის საშინელი, უშუქობის, უგაზობისა და უწყლობის პერიოდი. თბილისში ხანგრძლივ, ბნელ ღამეებს დასასრული არ უჩანდა. ჩემი მეორე შვილი ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობდა, მეუღლე კი მოსკოვში იყო წასული და მარტო ვიყავი... ერთ დღესაც, გადავწყვიტე, ყვავილების სიყვარულით რაიმე განსაკუთრებული გამეკეთებინა. მანამდე ამ საქმეში გამოცდილება არ მქონდა, მაგრამ ფაიფურის მიმართ სიყვარული ყოველთვის იყო ჩვენს ოჯახში. დედაჩემსაც უყვარდა და სადაც კი შეხვდებოდა, ყიდულობდა. ხედავთ ალბათ, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოტანილი კოლექცია მაქვს (ოთახი მართლაც სავსეა სხვადასხვა ფორმისა და ზომის ფაიფურის ნაკეთობებით).

— ფაიფურის ნივთების დამზადებას ალბათ შესაბამისი ცოდნა უნდა. თვითნასწავლი კერამიკოსი ხართ?

— დიახ, ზოგი მეგობრებისგან ვისწავლე, მაგრამ ძირითადად — საკუთარი გამოცდილებით ვმუშაობდი. თეორიული ცოდნა არ მქონდა და ეს ხელს მიშლიდა. დაახლოებით ვიცოდი, როგორ იზილებოდა თიხა, მაგრამ ამ საქმეში უამრავი მნიშვნელოვანი დეტალია. იმდენად მაინტერესებდა ეს საქმე, რომ ვხვდებოდი, თუ მოვინდომებდი, აუცილებლად გამომივიდოდა... იმ წლებში „გეპეიში“ სილიკატებისა და კერამიკის კათედრა იყო, სადაც იქაური თანამშრომელი, მანანა კეკელიძე გამაცნეს (იგი ახლა უკვე ჩემი ახლო მეგობარია). ჩემმა მეგობრებმა მას უთხრეს, ქალბატონს ეს სფერო აინტერესებს და იქნებ აჩვენოთ, რა როგორ კეთდებაო... იმანაც არ დაიზარა და მაჩვენა, როგორ იზილება თიხა და როგორ კეთდება ყვავილები. მისგანვე გავიგე, რომ საჭიროა ფაიფურის გამოსაწვავი ღუმლები, რომელიც 1200-1300 გრადუსამდე ხურდება. მთელ თბილისში, როცა ქვეყანაში არც დენი იყო, არც გაზი, მისვლა-მოსვლაც კი არ იყო, ამ კათედრის დოცენტებმა და პროფესორებმა მოიძიეს ქურები და ეს ყველაფერი ჩემს სახლში თავიანთი ხელით დამიმონტაჟეს. ამავე ადამიანებმა მასწავლეს ქურასთან ურთიერთობა.

— ქურასთან მუშაობა ალბათ საკმაოდ საფრთხილოა...

— საკმაოდ. ძაბვის სამი ფაზის გადმოყვანა დამჭირდა... თიხაც კი მათ მომცეს. პირველ ხანებში მცირე ზომის ფიგურებზე ვმუშაობდი, მინანქარს ვაკეთებდი, მაგრამ ის, რისი გაკეთებაც მინდოდა, მინანქრით არ გამომდიოდა. ჩემს პანოში ყვავილის ყველა ბუტკო, ფოთოლი და ღერო ჩანს და მინანქარში ფერები იკარგებოდა. ერთი სიტყვით, გული ვერ დავუდე... მართალია, ეს ყველაფერი გულის გადასაყოლებლად წამოვიწყე, მაგრამ მივხვდი, რომ რაღაც მართლა გამომდიოდა და საკუთარ თავს უფრო მეტს ვთხოვდი. ერთი წლის შემდეგ მივხვდი, რომ ხელი თანდათან მიუმჯობესდებოდა... ერთხელ, ამერიკაში, ჩემს შვილთან ყოფნის დროს, მას ვთხოვე, კერამიკული კომბინატიდან ფაიფურის საღებავები გამოეწერა,

რომელსაც გამოწვა არ სჭირდება ანუ რაც ფერსაც დაადებ, იგივე რჩება და ბუნებრივ ფერს ინარჩუნებს. ასეთი საღებავის მოხმარება უფრო მარტივია, რადგან როცა ნივთს ამზადებ, თიხა ჯერ უნდა გამოძერწო, შემდეგ უნდა გააშრო, მერე 1300 გრადუსზე გამოწვა, შეღებო და შემდეგ „გლაზური“ მისცე. შემდეგ ისევ გამოწვავ და ღუმლიდან რა ფერს გამოიტან, ამაზე ქარხნის ლაბორატორიებში თავს იმტვრევენ... ერთი სიტყვით, ყვავილი იმ ფერის არ გამოდიოდა, როგორიც მე მინდოდა და ამ საღებავებმა ერთგვარი შეღავათი მომცა. ამის შემდეგ უფრო დიდი ყვავილების პანოების გაკეთებაც მოვინდომე. მუშაობაში ფანტაზიაც მომემატა... მეგობრების უკვირდათ, დღითი დღე უკეთეს რაღაცებს ამზადებ და რაც მთავარია, კარგად გამოგდისო. შრომატევადია. ბალახის ყველა ღერო თუ ყვავილის ფურცელი ცალკე უნდა გამოძერწო, მერე წვრილი ფუნჯით შეღებო და ხავერდის კედელზე სათითაოდ დაამაგრო. ხანდახან ღამეებსაც ვათენებ მუშაობაში, მაგრამ ზოგჯერ რამდენიმე დღე ან თვე ისე გაივლის, რომ საერთოდ ვერ ვკიდებ ხელს.

— გამოფენებზეც გვითხარით რამე...

— 10-მდე გამოფენა მქონდა. პირველი გამოფენა 1998 წელს გაიმართა, როცა ჩემი მეუღლის, თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის, ლევან თედიაშვილის იუბილე იყო. იმ დღეს მისდამი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია იმართებოდა და მეგობრების რჩევით, ჩემი პირველი გამოფენაც დავამთხვიე... რამდენიმე გამოფენა მქონდა საზღვარგარეთაც, მათ შორის — გერმანიაში, ქალაქ ვორპსვედეში, რომელიც ევროპაში დიდი მხატვრების სახელით არის ცნობილი. ბაქოში მქონდა პერსონალური გამოფენაც. ახლახან ბულგარეთში გავგზავნე 20 ნამუშევარი, არც კი დამიბრუნეს. არ ვიცი, რა ბედია ეწია — დაიკარგა თუ გაიყიდა. ვეღარც მივაგენი... ნამუშევარი არასდროს გამიჩუქებია. ორი ნამუშევარი გავყიდე. მე პროფესიონალ ქალთა ასოციაციის წევრი ვარ, ამ ორგანიზაციამ დააფუძნა ჟურნალი და ამისთვის თანხა გვჭირდებოდა. ისე კი ჩემს ნამუშევრებს არ ვყიდი.

— ყვავილების დასამაგრებლად ძირითადად ხავერდის ფონს იყენებთ?

— დიახ, ერთი პერიოდი რატომღაც შავი ხავერდი მქონდა, მერე უკვე ღია ფერზე გადავედი... ყველა ნახატს ინიციალივით აქვს წითელი გული და თუ ნამუშევარს ლუპით დააკვირდებით, ჩემი ნათითური ატყვია.

— წინასწარ რაიმე ესკიზს აკეთებთ თუ მუშაობის პროცესში წყვეტთ, რა შექმნათ?

— მუშაობის პროცესში ვაძლევ ფორმას. ხატვა არ მეხერხება, მაგრამ ყვავილები ძალიან მიყვარს. ბავშვობიდან რაიონში ვცხოვრობდი და ვიზრდებოდი და მთისა და ბარის მცენარეებს გულმოდგინედ ვაკვირდებოდი. ყველა მათგანის სახელი ვიცი.

— ყვავილების გარდა სხვა ნივთების გაკეთება არ გიცდიათ?

— არა, არასდროს დავინტერესებულვარ... თუ დააკვირდით, ჩემი ფაიფურის კოლექციაში ყველა ნივთს — „სტატუეტკა“ იქნება, ლარნაკი, ხილის ვაზა ან შანდალი — ზედ ყვავილი აქვს. სხვა ნივთის ესთეტიკურ სილამაზეს ვერ აღვიქვამ... მეგობრები მეუბმებიან, აქამდე ყვავილებს უბრალოდ, სილამაზისთვის ვუყურებდით, ახლა კი შენ დაგვაავადმყოფეო და თუ რამე უცხო და იშვიათ ყვავილს ნახავენ, ჩემთან მოაქვთ. მისი მიხედვით კი ფაიფურის ყვავილს ვაკეთებ. ამას წინათ ერთმა მეგობარმა მომიტანა ყვავილი — ბათუმში ვისვენებდი და იქ გადავწყდი, იქაურებს ვთხოვე, ერთი ცალი მოეწყვიტათო. კედელზე დაკიდებული სურათი რომ მოგეწონათ, კლდის წვერზე ამოსული ყვავილი — ედელვაისია. ჩემს მეუღლეს მთამსვლელი მეგობრები ჰყავს და ამ ყვავილის ბუნებრივი „ვერსია“ ტიანშანის მთებშია მოწყვეტილი... როცა ეს ყვავილი გავაცოცხლე, ის კაცი მოიყვანა და აჩვენა. გაოცებული იყო, ერთიერთზე ჰგავსო.

— ფაიფურის ყვავილების სურნელს თუ გრძნობთ?

— არა, ასეთი აღქმა არ მაქვს... საკუთარი ნამუშევრების მიმართ ძალიან კრიტიკული ვარ, ყველაფერი არ მომწონს. აი, ის გვირგვინი მიყვარს — ძალიან ბუნებრივია, ჩარჩოდან მოხსნა და გაკეთება მოგინდება... ბევრს უთქვამს, ცოცხალი მეგონაო და მიხარია ამის მოსმენა... ყვავილის ფურცლებს ზოგს ღია ფერისას ვაკეთებ, მზისგან გახუნებულის შთაბეჭდილება რომ შეიქმნას. ამ გაზაფხულზე აყვავებული ატმის რტოები მომიტანეს. როცა ბუნებრივი ყვავილები დასცვივდა, მე გავაკეთე ფაიფურის ყვავილები და ტოტებზე მივაწებე. გამოფენებზე ტარებისგან ზოგი დაიმსხვრა, მაგრამ მაინც აქვს ეფექტი.

— საქართველოში ვინმე მუშაობს ამ მიმართულებით?

— მსოფლიოში არავინ მუშაობს... ჩვენი კერამიკული ასოციაცია არის მსოფლიო და ევროპის კერამიკული ცენტრის წევრი. ამ ორგანიზაციის წევრები ერთმანეთს ბევრს რამეში ვეხმარებით. მსოფლიო კერამიკული ასოციაციის პრეზიდენტი გერმანელია. როცა მას ჩემი ნამუშევრები აჩვენეს და უთხრეს, ამ ქალბატონს ახლა თიხა აღარ აქვსო, მან თავისი ფულით იყიდა თიხა და გამომიგზავნა.

— ერთი პანოს კეთებას დიდი რაოდენობით თიხა სჭირდება?

— არა, ძალიან ცოტა. უბრალოდ, ბევრ შრომას მოითხოვს...

— ეს თქვენთვის მეორე პროფესიაა თუ ჰობი?

— ჰობია, რომელშიც ჩემს გულს ხვდება... უარყოფითი ენერგია მიაქვს და ბევრ რამეში მეხმარება. სულიერად ვისვენებ და ყველა ჩემი ნამუშევარი მიყვარს. ერთ პანოზე ერთი წლის განმავლობაში ვმუშაობდი, რადგან სხვა სამსახურიც მაქვს და დღეში მხოლოდ რამდენიმე საათს ვუთმობდი საყვარელ საქმეს.

■




როგორ დაიდო „გეორგიევსკის ტრაქტატი“

მიხეილ ლაბაძე

1783 წლის 24 ივლისს (4 აგვისტოს) ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის გაფორმებულ ე.წ. „სამეგობრო შეთანხმებას“, კრემლში ამჟამადაც კი საქართველოს მიმართ პრეტენზიების წამოყენების ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნევენ. არადა, „გეორგიევსკის ტრაქტატი“ ჩვეულებრივი არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება იყო, რომელსაც ქართლ-კახეთის ანექსიისათვის გარკვეული პირობები უნდა შეექმნა. კერძოდ — სპარსეთთან და ოსმალეთთან ურთიერთობები დაეძაბა. აღსანიშნავია ისიც, რომ ერეკლე II-მ, რომლის მეფობის დასაწყისში ქართლ-კახეთი მართლაც მნიშვნელოვნად გაძლიერდა, რუსების მფარველობაში შესვლა იმ დროს „მოისურვა“, როდესაც ეს ყველაზე ნაკლებად მოსალოდნელი იყო. სხვათა შორის, „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დადების წინა პერიოდი ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, როგორც წესი, ტენდენციურად შუქდებოდა.

XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ქართლ-კახეთი მთელ კავკასიაში უდიდესი სახელმწიფო იყო — მას ემორჩილებოდა ერევნის, ნახჭევანის, განჯის, ყარაბაღის სახანოები, რომლებიც დღევანდელ სომხეთსა და აზერბაიჯანს თითქმის მთლიანად მოიცავდა; მიუხედავად იმისა, რომ სამეფოში ფეოდალური ურთიერთობები უწინდებურად მყარად იყო ფესვგადგმული, ევროპასთან კავშირის წყალობით, კაპიტალიზმიც აისახებოდა და, რაც ყველაზე მთავარია, ქვეყანაში ეს ცვლილება გართულების გარეშე ხდებოდა. იმ დროისათვის, კულტურულად და ეკონომიკურად ქართლ-კახეთის მოსახლეობა უფრო წინ იდგა, ვიდრე მაგალითად, ოსმალეთისა, რომელსაც ევროპის ქვეყნებთან საერთო საზღვარი ჰქონდა. გარდა ამისა, ქართლ-კახეთის ქვეშევრდომთა მოქალაქეობრივი თვითშეგნებაც მაღალი იყო — ერეკლე II-ს თავიანთ მეფედ უშუალოდ ქართლ-კახეთში მცხოვრები არაქართველებიც მიიჩნევდნენ. აქედან გამომდინარე, ქართლ-კახეთს მეზობელი სპარსეთი და ოსმალეთი საკმაოზე მეტადაც კი უწევდნენ ანგარიშს.

ამგვარ ფონზე, მართლაც საეჭვოა, რატომ უნდა მოენდომებინა ერეკლე II-ს რუსი იმპერატორის მფარველობა და ამით საკუთარი სახელმწიფოსათვის ზედმეტი პრობლემების შექმნა. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისი, თითქოს გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერა ერეკლე მეფის შორსმჭვრეტელობის შედეგი იყო, აბსოლუტური უაზრობაა, რადგანაც მაშინ რუსეთი კავკასიაში ახალბედა მოთამაშე იყო და აქ გავლენა თითქმის არ ჰქონდა. შესაფერის არგუმენტად ვერც ჩვენი და რუსების ერთმორწმუნეობა გამოდგება — იმ დროისთვის სპარსელებიც და ოსმალებიც ქართულ ეკლესიას პრობლემებს ნაკლებად უქმნიდნენ. მართალია, ოსმალეთის საზღვართან — დღევანდელი ბორჯომის ხეობაში, მშვიდობიან მოსახლეთა გატაცება ხშირად ხდებოდა, მაგრამ სამეფო ხელისუფლება იმ დონეზე ძლიერი მაინც იყო, რომ მსგავსი შემთხვევები აღეკვეთა. ერეკლე მეფე ჩრდილო კავკასიიდან გადმოსულ ლეკთა რაზმებსაც საკადრის პასუხს სცემდა; ქართლ-კახეთი სავსებით შემდგარი, ძლიერი სამეფო იყო.



ეკატერინე II-ის ფავორიტი და მრჩეველი გრიგორი პოტიომკინი

ამავდროულად, ჩრდილოეთით — რუსეთის იმპერიაში, რომელსაც ქართლ-კახეთისგან ჩერქეზეთი, ოსეთი და ჩეჩნეთ-დაღესტანი ყოფდა, იმპერატორის ტახტზე ეკატერინე II-ს ასვლიდან (1762 წ.) მოყოლებული, არც მეტი, არც ნაკლები — მსოფლიოს დასაპყრობად ემზადებოდნენ: დედოფლის უპირველესმა ფავორიტმა და მრჩეველმა, გრიგორი პოტიომკინმა ჯერ კიდევ 1772 წელს შეადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც რუსეთს აზიაში უნდა დაეპყრო სპარსეთი და ინდოეთი, ამის შემდეგ კი უნდა გაენადგურებინა ოსმალეთი, მის ევროპულ სამფლობელოებს თავად დაჰპატრონებოდა და ლუკმა-ლუკმა, მთელი ევროპაც ჩაეყლაპა. აღსანიშნავია, რომ პოტიომკინის ამ ჩანაფიქრით, კავკასიას საკვანძო როლი ეკისრებოდა — ეს რეგიონი სპარსეთსა და ოსმალეთზე შეტევისთვის რუსების უმთავრესი პლაცდარმი უნდა ყოფილიყო.

პოტიომკინის გეგმის განხორციელება ეკატერინე II-მ ორი მიმართულებით დაიწყო — სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსეთმა ყალმუხეთის სახანო დაიპყრო (1772 წ.), ხოლო სამხრეთ-დასავლეთით, უკრაინაში — ზაპოროჟიელ კაზაკთა სეჩი. აღსანიშნავია ისიც, რომ სეჩის კაზაკობა იმ დროს უკიდურესად ანტირუსული განწყობით გამოირჩეოდა. პოტიომკინს ამ ხალხის „მოთვინიერება“ ძალზე გაუჭირდა და საგანგებოდ, ამისათვის, 1773 წლისათვის უკრაინაში დიდი რაოდენობით სერბი გადმოასახლა, რომელთაც სათავეში ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოცდილი გენერალი, პეტრე პოპოვიჩ-ტეკელი ედგა. სერბებმა კაზაკთა სეჩი 1775 წლის მაისში მიწასთან გაასწორეს. „ტეკელის დამსახურებაა ის, რომ ზაპოროჟიეს ურჩი კაზაკობა სამუდამოდ განადგურდა ისე, რომ ისტორიაში მათი სახელიც აღარ დარჩება...“ წერდა ეკატერინე II-ს გრიგორი პოტიომკინი.

გენერალ პოპოვიჩ-ტეკელის კაციჭამია ჯარისკაცებს (გადმოცემით, სერბ რაზმელთა შორის კანიბალები მართლაც ბევრნი ყოფილან) გადარჩენილი ზაპოროჟიელი კაზაკები ეკატერინე II-მ დიდსულოვნად „შეიწყალა“ და აზოვის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ჭაობიან დაბლობებში დაასახლა. მოგვიანებით, დედოფალმა ამ ხალხს ყუბანისპირეთში, ჩერქეზებით დასახლებული მიწები „უწყალობა“ და მოუწოდა, რომ ახალი სამშობლო „ტუზემცებისგან“ ბრძოლით გაეთავისუფლებინათ. კაზაკები მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებდნენ, მისი გული მოეგოთ და შემდგომი „წყალობა“ მიეღოთ. რაც შეეხება პეტრე პოპოვიჩ-

იმპერატრიცა ეკატერინე II

ტეკელის, მას დედოფლის წინაშე დამსახურება კარგად დაუფასდა — გრიგორი პოტიომკინის რჩევით, იგი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე განლაგებული რუსული არმიის სარდლად და „ნოვოროსიის“ (ასე უწოდებდნენ რუსები დღევანდელი კრასნოდარის მხარის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილს) გუბერნატორად დაინიშნა.

სწორედ ამ პერიოდში — XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში — ქართლ-კახეთის სამეფო კარზე გამოჩნდა გერმანელი „ექიმი“ იაკობ რაინეგსი. სინამდვილეში ის გრიგორი პოტიომკინის ხელდასხმული ჯაშუში გახლდათ და ერეკლე II-ის კარზეც ერთი მისიით იმყოფებოდა — ქართლ-კახეთის მეფე და თავადაზნაურობა ერთმორწმუნე დიდი რუსეთის მფარველობაში შესვლაზე დაეყოლიებინა. სხვათა შორის, რაინეგსმა ერეკლე II-ის ნდობის მოპოვება მალევე შეძლო, რადგანაც ევროპულ მედიცინაში მართლაც ღრმად იყო განსწავლული და სხვა სფეროებშიც კარგ რჩევებს იძლეოდა. მაგალითად, მისი ინიციატივით დაარსდა მეფის კარზე „ბატონიშვილთა სკოლა“, დაიწყო რეგულარული ჯარის შექმნა, რომელსაც ქართველები „რეღულს“ უწოდებდნენ, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში იმ დროის ევროპული მიღწევები ფართოდ დაინერგა და ა.შ. ამავდროულად კი რაინეგსი დასახული მიზნის მიღწევასაც ცდილობდა — ერეკლე II-ს რუსეთთან კავშირის აუცილებლობაზე ეჩიჩინებოდა და უმტკიცებდა, რომ რუსეთის გარეშე, ქართლ-კახეთს მუსლიმანური ოსმალეთი და სპარსეთი, ადრე თუ გვიან, გადაყლაპავდა.

ამდენად, რაინეგსის ქართლ-კახეთში ჩამოსვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ მეფე ერეკლეს უკვე აშკარად პრორუსული ორიენტაცია ჰქონდა აღებული, ოღონდ იმხანად ის იმპერატორის მფარველობის ქვეშ შესვლაზე ნაკლებად ფიქრობდა — პატარა კახს უფრო სამხედრო მოკავშირეობა ხიბლავდა. იაკობ რაინეგსის მიერ პოტიომკინისადმი გაგზავნილი საიდუმლო კორესპონდენციებიდან ჩანს, რომ ერეკლეს ეს ჩანაფიქრი რუსეთისათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო: „თქვენს მაღალკეთილშობილებას ვთხოვდი, ჩემთვის ცოტა დრო კიდევ მოეცა — ქართლ-კახეთის მეფეს პრივატული უფლებების თუნდაც ერთი, უმცირესი ნაწილის დათმობაც კი ეძნელება... ჯერჯერობით მხოლოდ იმას მივაღწიე, რომ სპარსეთთან და ოსმალეთთან ახლო ურთიერთობისგან რუსეთის გამო შეიკავოს თავი“, — წერს რაინეგსი. თავის მხრივ კი პოტიომკინი დედოფალ ეკატერინე II-სთან მიმოწერაში იმედგაცრუებას ვერ მალავს: „ქართლ-კახეთის საქმის მოგვარებას ცოტა დრო კიდევ დასჭირდება — ერეკლე ისევ ჯიუტობს, მაგრამ სულ უფრო და უფრო თმობს საკუთარ, მოძველებულ შეხედულებებს...“ — ეს სტრიქონები გრიგორი პოტიომკინმა ეკატერინე II-ს 1780 წელს მისწერა, როცა „გეორგიევსკის ტრაქტატამდე“ მხოლოდ სამი წელი რჩებოდა.

პირდაპირი პროპაგანდის გარდა, რუსული აგენტურა ცდილობდა, იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოებს შორის ურთიერთობა დაეძაბა, რათა ერეკლე II-ის ხაფანგში შეტყუება აღარ გასჭირვებოდათ. ამ მიზნით, რაინეგსი იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის კარზე გავლენის მოსაპოვებლად ყველაფერს აკეთებდა, თუმცა იმერელი გვირგვინოსანი მას ნაკლებად ენდობოდა და ერეკლესაც ურჩევდა, ეს „ღერმანელი დოხტური“ თავიდან მოეშორებინა. სოლომონ I-ს არც რუსეთთან მჭიდრო კავშირის დამყარება მოსწონდა და პატარა კახს ამის თაობაზეც აფრთხილებდა. სხვათა შორის, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ იმერეთის მეფე, „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დადების შემდგომ, 1784 წელს, სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა. იმხანად რაინეგსის მსგავსი „ღერმანელი დოხტურები“ მის კარზეც იყვნენ და საფიქრებელია, რომ სოლომონ I-ის მოულოდნელი გარდაცვალება ამ ხალხის მანიპულაციების ლოგიკური შედეგი იყო.

1783 წლის დასაწყისისათვის იაკობ რაინეგსი ერეკლეს სულ უფრო და უფრო ხშირად ესაუბრებოდა იმაზე, რომ მისი სიკვდილის მერე უფლისწულებს შორის მტრობა ჩამოვარდებოდა, რაც ქართლ-კახეთს საბოლოო დაშლამდე მიიყვანდა. გერმანელი აღარც იმას მალავდა, რომ მას ეკატერინე II-სთან პირადი კავშირი ჰქონდა და თანამედროვე სიტყვებით რომ ითქვას, მის კარზე ერეკლე II-ის ლობირება შეეძლო: „თუკი რუსეთთან მეგობრობაზე უარს იტყვით, ქართლ-კახეთს შინაომები ძალას გამოაცლის და მტრების საჯიჯგნად აქცევს... სამწუხაროდ, თქვენ ბევრი შვილი გყავთ და ყველა მათგანს მეფობა უნდა... თუ ქვეყნის ბედს რუსეთის იმპერატორს მიანდობთ, უფლისწულები ახალ მეფეს ურჩობას ვერ გაუბედავენ, რადგანაც ის თვით იმპერატორის მიერ იქნება ხელდასხმული“, — ასეთი იყო რაინეგსის არგუმენტები, რომელთაც ხანში შესული ერეკლე II ვერაფერს უპირისპირებდა. პატარა კახი თავადაც კარგად ხედავდა, რომ უფლისწულებს ერთმანეთი გულზე მართლაც არ ეხატებოდათ.

რუსეთის მფარველობაში შესვლის (რაინეგსი „მეგობრობას“ რომ უწოდებდა) მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი, გერმანელი ექიმის თქმით, ქართლ-კახეთის კუთვნილი მიწების დაბრუნება იყო: ერთი მხრივ, ახალციხის საფაშო, რომელიც ქართლს ეკუთვნოდა და მეორე მხრივ — კახეთის კუთვნილი ჰერეთი მაჰმადიანებს ეპყრათ; მათ დასაბრუნებლად კი, რაინეგსის მტკიცებით, ქართლ-კახეთს ძალები არ ეყოფოდა. ამიტომაც, საჭირო იყო, რომ

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II

ერეკლე რუსეთს „დამეგობრებოდა“; ხსენებული მიწების გათავისუფლებასა და ქართლ-კახეთისადმი მათ დაბრუნებაზე თავად იმპერატორი იზრუნებდა. ერეკლე II-ს ეს იდეა კი ხიბლავდა, მაგრამ მაინც ყოყმანობდა. მეფემ რაინეგსის სასახლიდან დათხოვნაც კი დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა.

ამავდროულად, რაინეგსს სანქტ-პეტერბურგიდან გრიგორი პოტიომკინი წერილს წერილზე უგზავნიდა და უბრძანებდა, რომ „მეგობრობის ხელშეკრულებაზე“ ერეკლე II რაც შეიძლება მალე დაეთანხმებინა: „წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ გამოემშვიდობებით მაგ გერმანულ გოგრას, რომელიც, როგორც ჩანს, თქვენს კისერს უკვე ზედმეტ ბარგად ჰქცევია“, — თავს ვერ იკავებდა პოტიომკინი. რაინეგსი ძალასა და ღონეს არ ზოგავდა და როგორც იქნა, 1783 წლის გაზაფხულზე, ერეკლე II ძლივ-ძლივობით დაიყოლია. ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაში შევიდოდა, სამაგიეროდ კი რუსეთს გარეშე მტრებისაგან მისი დაცვა უნდა უზრუნველეყო — ეს იყო მეფის წამოყენებული მთავარი პირობა, რომელსაც სანქტ-პეტერბურგში „დიდსულოვნად“ დაეთანხმნენ. ხანმოკლე დიპლომატიური მიმოსვლის შემდეგ გადაწყდა, რომ შეთანხმება რუსულ სასაზღვრო ციხესიმაგრეში — გეორგიევსკში გაფორმდებოდა, რათა ერეკლეს რწმუნებულ ელჩებს მგზავრობაში დიდი დრო არ დაეკარგათ. როგორც წესი, პირობები ცალკეულ მუხლებად ჩამოყ-



გეორგიევსკის ციხესიმაგრე, XIX საუკუნის II ნახევრის ფოტო

ალიბდებოდა და მათი ტექსტი ორ ენაზე — ქართულად და რუსულად შედგებოდა. იგი ორივე ენაზე იდენტური უნდა ყოფილიყო და, შესაბამისად — თანაბარი ძალის მქონეც. ერეკლე II-ს ეს ყველაფერი აკმაყოფილებდა და გეორგიევსკში მალევე გაგზავნა ელჩებიც — იოანე ბაგრატიონი და გარსევან ჭავჭავაძე.

რუსეთის მხრიდან კი ყველაფერი სხვაგვარად იყო — გრიგორი პოტიომკინი და იმპერატრიცა ეკატერინე II დიდხანს თათბირობდნენ, ვინ გაეშვათ ხელმოსაწერად, მაგრამ ვერაფრით თანხმდებოდნენ. ბოლოს, ეკატერინე II-მ ამ საქმისათვის ზედგამოჭრილად გენერალ-პორუჩიკი პავლე პოტიომკინი მიიჩნია. ის გრიგორი პოტიომკინის ნათესავი და იშვიათი სილამაზით დაჯილდოებული მამაკაცი იყო. ეკატერინე II-მაც სწორედ ამიტომ შეაჩერა მასზე არჩევანი, რითაც, გრიგორი პოტიომკინის ფარული გულისწყრომა დაიმსახურა. საბოლოოდ, ყველაფერი ისევე გადაწყდა, როგორც იმპერატრიცას სურდა და გეორგიევსკში პავლე პოტიომკინი ჩავიდა. მან აქ უშუალოდ მიიღო მონაწილეობა შეთანხმების ტექსტის შედგენაში. საინტერესოა, რომ ტექსტი ჯერ რუსულად შედგა და მერე ითარგმნა ქართულად, თანაც ისე, რომ ზოგიერთი რუსული გამოთქმა უთარგმნელი დარჩა. ეს ვითომ იმ მიზნით გაკეთდა, რომ რუსულ და ქართულ ვერსიებს შორის მკაცრი შესაბამისობა დაეცვათ, მაგრამ სინამდვილეში ქართულ ტექსტში რუსული ბარბარიზმების სიჭარბეს თავისი მიზეზი ჰქონდა — შეთანხმების შინაარსი ქართველი გვირგვინოსნისთვის ბუნდოვანი უნდა ყოფილიყო, რათა მისი დარღვევა რუსებს იოლად მოეხერხებინათ.

„ტრაქტატად“ წოდებული შეთანხმება, რომელსაც ხელი 1783 წლის 24 ივლისს (ძველი სტილით — 4 აგვისტოს) მოეწერა, შესავლისა და 13 მუხლისაგან შედგებოდა. მას გარდა, მასში შედიოდა კიდევ 4 საიდუმლო (სეპარატული) მუხლი, რომელიც მხარეებს არ უნდა გამოექვეყნებინათ. ამასთან, თუ შესავალსა და 13 მუხლში, ზოგადად ქართლ-კახეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ფორმებზე, ქართლ-კახეთის გვირგვინოსნისა და ქვეშევრდომთა უფლება-მოვალეობებზე და რუსეთისადმი საუკუნო მეგობრობაზე იყო საუბარი, სეპარატულ მუხლებში პირდაპირ ეწერა, რომ ქართლ-კახეთის მეფე საკუთარი სუვერენული უფლებების ძირითად ნაწილს რუსეთის იმპერატორს გადასცემდა. კერძოდ — ქართლ-კახეთს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლება აღარ უნდა ჰქონოდა და ამ საკითხში არა სანქტ-პეტერბურგს, არამედ ე.წ. „კავკასიის ხაზის“ უფროსს უნდა დამორჩილებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ „გეორგიევსკის ტრაქტატის“ კაბალური ხასიათი ყველაზე მეტად სწორედ ამ სეპარატული მუხლიდან გამოსჭვივის. ქართლ-კახეთის მეფე „კავკასიის ხაზის“ უფროსზე დაქვემდებარებით, ფაქტობრივად, იმპერიის დაბალ მოხელეს უთანაბრდებოდა. არადა, იმხანად ევროპაში სათანადო წესი არსებობდა — მფარველობაში შესვლა, ანუ „პირადი უნია“ ორივე მხარეს თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს ანიჭებდა; შესაბამის ხელშეკრულებაზეც ხელი თანასწორ პირებს (როგორც წესი — უშუალოდ გვირგვინოსნებს) უნდა მოეწერათ, რის შემდეგაც მათი ქვეყნების გერბებიც ერთიანდებოდა. ცხადია, „გეორგიევსკის ტრაქტატის“ ხელმოწერის დროს ეს წესები არავის გაუთვალისწინებია.

შეთანხმების სარატიფიკაციო სიგელს ერეკლე II-მ ხელი მოგვიანებით — 1784 წლის 24 იანვარს მოაწერა, მეორე დღეს კი ტრაქტატით გათვალისწინებული წესებით, რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე საჯაროდ დაიფიცა. ამ დროისათვის ქართლ-კახეთში უკვე რუსული არმიის ორი ბატალიონი იმყოფებოდა, რომელთაც პოლკოვნიკი ტამარა და პოლკოვნიკი ბურნაშოვი მეთაურობდნენ. რუს ჯარისკაცებს ქვეყანა მაჰმადიანი მტრების შემოსევებისაგან უნდა დაეცვათ. ამავდროულად, ტამარასა და ბურნაშოვს პირადად გრიგორი პოტიომკინისაგან დავალებული ჰქონდათ, ხელსაყრელ შემთხვევაში ერეკლე II ტახტიდან ჩამოეგდოთ და ხელისუფლება თავად აეღოთ ხელში. ქართველთა საბედნიეროდ, რუსმა პოლკოვნიკებმა ეს მაშინ ვერ შეძლეს. თუმცა, სანქტ-პეტერბურგში გამარჯვებას უკვე ზეიმობდნენ: „ქართლ-კახეთის საქმე უკვე მოგვარებულია — საკმარისია მხოლოდ დაველოდოთ, როდის გარდაიცვლება მეფე ერეკლე, რომ ეს მხარე რუსეთს უშუალოდ შემოვუერთოთ; ასე რომ, ჩემო ძვირფასო იმპერატრიცა, თქვენ ნუღარაფერზე ინაღვლებთ — ყველაფერი რიგზე იქნება“, — სწერდა გრიგორი პოტიომკინი ეკატერინე II-ს. ქართლ-კახეთში კი, პოლკოვნიკ ბურნაშოვის გადმოცემით, ხალხი ზეიმობდა. ბუნებრივია, რომ უბრალო ხალხს „ერთმორწმუნე რუსების“ იმედი მართლაც ჰქონდა, ისევე, როგორც რუსი ჯაშუშებისგან გაბრიყვებულ თავად-აზნაურობას და თავად ერეკლე II-ს: „ქართლ-კახეთის სატახტო ქალაქში ტრაქტატის დადების გამო დაწყებული საყოველთაო ქეიფი რამდენიმე დღე გრძელდებოდა... ხალხი უზომოდ კმაყოფილი იყო, რომ ქვეყნის ბედი, იმპერატორის წყალობით, უკეთესობისკენ შეიცვალა“, — სწერდა პოლკოვნიკი ბურნაშოვი „კავკასიის ხაზის“ უფროსს, გენერალ-პორუჩიკ პავლე პოტიომკინს, რომელსაც ამ სტრიქონების კითხვისას, ვინ იცის, რამდენჯერ ჩაეღიმებოდა ირონიულად.

P.S. ზარ-ზეიმით რატიფიცირებული „გეორგიევსკის ტრაქტატი“ რუსებმა ძალიან მალე — 1787 წელს დაარღვიეს, როდესაც ოსმალეთთან ახალი ომი დაიწყეს. ეკატერინე II-მ ქართლ-კახეთიდან ჯარი უკან გაიწვია ვითომ იმ მიზნით, რომ ოსმალეთს ქართლ-კახეთზე შეტევა არ წამოეწყო; ერეკლე II, რომელსაც ტრაქტატი რუსთა მოკავშირეობას ავალებდა, მტრის წინაშე მარტო დარჩა.

■

„ჩემთვის ყველაზე დიდი სიამოვნება ანსამბლ „რუსთავში“ სიმღერაა“

ბადრი ჩიხიაშვილი ანსამბლ „რუსთავის“ ყველაზე უმცროსი წევრია. თუმცა ამის გამო სულაც არ ანებივრებენ. ანსამბლის წევრობა კი, როგორც თავად მითხრა, საკმაოდ სახალისო, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლოა. „რუსთავი“ ცოტა ხანია, რაც ინგლისიდან დაბრუნდა და იქ გაოგნებული მაყურებელი დატოვა...

ელენე გასილიძე

— ბავშვობიდან ვმღერი. როგორც ოჯახის წევრები ამბობენ, ჯერ კიდევ მაშინ ვმღეროდი, როცა ლაპარაკიც კი არ ვიცოდი. ჩემი ოჯახის ყველა წევრი მუსიკალური ნიჭითაა დაჯილდოებული. პირველი სიმღერა, რომელიც „ჩემს ენაზე“ ვიმღერე, „შავლეგო“ იყო. მაშინ ჩემი, ბავშვური ენა არავის ესმოდა და ოჯახის წევრები მელოდიით მიხვდნენ, „შავლეგოს“ რომ ვმღეროდი (*იცინის*). პირველ კლასში რომ ვიყავი და ოჯახში სამხმიან სიმღერას მღეროდნენ, მე მეოთხე ხმა ჩავამატე და „კვარტეტი“ გავხადე. მას მერე, ვმღერი და ვმღერი...

— მუსიკალური განათლება გაქვს?

— არა, მამამ არ ისურვა, რომ მუსიკას გავყოლოდი, რადგან თავადაც მუსიკოსია და იცის, რომ მუსიკოსს რთული გზა აქვს გასავლელი. ამიტომ არ ჩამაბარებინა მუსიკალურ სასწავლებელში. ისე, ნოტების გარჩევა კი შემიძლია (*იცინის*). მანამ, სანამ „რუსთავში“ აღმოვჩნდებოდი, ყვარელში მე და ჩემს მეგობრებს კვარტეტი გვქონდა ჩამოყალიბებული და ვმღეროდით.

— ანსამბლ „რუსთავში“ როგორ მოხვდი?

— ამ ანსამბლში ჯერ ჩემი მეგობარი, ნუგზარ კახაშვილი მოხვდა, რომელიც ჩემსავით ყვარლელია. ერთ დღესაც, ბატონმა ანზორმა უთხრა: — კახური სიმღერის შესასრულებლად მეორე ხმა გვჭირდება და ვინმე ხომ არ იცი, რომელიც იმღერებსო? ნუგზარმა რეკომენდაცია გამიწია და ანსამბლში მოსმენაზე მიმიყვანა. როდესაც ბატონმა ანზორმა მომისმინა, — ალბათ კარგ ხასიათზე ვარ, ჩვენთან გიწვევ და ვნახოთ, როგორ გვასახელებო, — მითხრა. გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარი, ისე აღმოვჩნდი ჩემს საყვარელ ანსამბლში. უკვე 2 წელზე მეტია, რაც აქ ვმღერი.

— ანსამბლ „რუსთავში“ სულ რამდენი წევრია?

— 10. მათ შორის ყველაზე პატარა მე ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლის სხვა წევრებთან შედარებით ძალიან პატარა ვარ, ერთმანეთის არაჩვეულებრივად გვესმის და ვმეგობრობთ. ერთი ოჯახივით ვართ. 42-ე წელია, რაც ეს ანსამბლი არსებობს. დიდი პასუხისმგებლობაა, ჰამლეტ გონაშვილის, ბონდო გუგავასა და უამრავი არაჩვეულებრივი ლოტბარის დაწყებული საქმის გაგრძელება. მათ „რუსთავის“ ისტორია შექმნეს და მე უფლება არ მაქვს, ასეთი ადამიანების მიერ აღორძინებულ ანსამბლში ცოტათი მაინც ვიზარმაცო (*იღიმის*).

— როგორი ხელმძღვანელია ბატონი ანზორ ერქომაიშვილი?

— ძალიან მაგარი. არაჩვეულებრივი პიროვნებაა. როცა საქმე რეპეტიციასა და სამსახურს ეხება, ძალიან მკაცრია, მაგრამ ურთიერთობაში — საოცრად მეგობრული და კეთილშობილი. არ უყვარს, როდესაც სადმე ვეპარებით ან დანაპირებს არ ვუსრულებთ. უკრაინაში ვიყავით, როცა ბატონ ანზორს დავეთხოვეთ კლუბში წასასვლელად — 2 საათში მოვალთო, დავუბარეთ. იმ ღამით ისე გავერთეთ, გარეთ რომ გამოვედით, უკვე გათენებული იყო (*იცინის*). სასტუმროში რომ მივედით, ბატონმა ანზორმა შუბლშეკრულმა გვითხრა, ეს ერთხელ მიპატიებია და მეტი ასე აღარ მოიქცეთო... ვცდილობთ, არ ვაწყენინოთ და არ გავაბრაზოთ; ვეფერებით ამ ადამიანს, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა ქართული ფოლკლორისთვის. მხოლოდ ანსამბლ „რუსთავს“ 600-ზე მეტი სიმღერა აქვს ჩაწერილი. ბატონი ანზორი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველოს ქართული ფოლკლორი შეუნარჩუნდეს.

— ანსამბლის შიდა სამზარეულოზე რას მეტყვი?

— ოოო, ძალიან დიდი მხიარულება და დიდი „შრომა ტრიალებს“ ჩვენთან. რეპეტიციის დროს დიდი ჭაპანწყვეტა გვაქვს. ქართული ფოლკლორი ძალზე მრავალფეროვანია და ვცდილობთ, რომ საქართველოს ყველა კუთხის სიმღერა შევასრულოთ. ანსამბლში თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი გვყავს. როგორც ბატონი ანზორი ამბობს, რაც უნდა კარგად მღეროდეს აჭარელი კახურ სიმღერას, კახელი რომ კახურ სიმღერას შეასრულებს, მისნაირად მაინც არ გამოუვა არასოდესო... ყველა კუთხეს თავისი კილოს „დაჭერა“ სჭირდება და ვცდილობთ, რომ ეს საქმე ხუთიანზე შევასრულოთ. თორემ, ბატონ ანზორს რამე თუ არ მოეწონება, იმ სიმღერას რეპერტუარიდან საერთოდ ამოიღებს. კონცერტის წინ ერთი „რიტუალი“ გვაქვს: ბატონ ანზორთან ერთად, ანსამბლის ყველა წევრი ხელს ვკიდებთ ერთმანეთს და „მამაო ჩვენოს“ ვამბობთ. მხოლოდ ამის შემდეგ გავდივართ სცენაზე. საერთოდ, მუშაობასთან ერთად, მხიარულებისთვისაც გვრჩება საკმაო დრო. ახალმოსულებს ხშირად „ვუჩალიჩებთ“ რაღაცებს. ერთხელ გადავწყვიტე, აეროპორტში ერთ-ერთ ჩვენს მომღერალს გავხუმრებოდი. შემოწმებისას რკინის ნივთები „წრიპინებს“ და რომ დავაკვირდი, რკინით გაწყობილი შარვალი ეცვა. ვეცი და ვუსაყვედურე, რატომ ჩაიცვი, ბიჭო, ასეთი შარვალი, არ იცი, რომ ახლა ამ შარვალს გაგხდიან-მეთქი?! შემოირტყა თავში ხელი, ლამის გადაირია. უკვე გასახდელად ემზადებოდა და გვითხრა: — ბიჭებო, ცოტა მომეფარეთ, თორემ ამდენ ხალხში ვერ გავიხდიო... სანამ სიცილი არ აგვიტყდა, მანამდე ვერ მიხვდა, რომ ვაშაყირებდით. კრაკოვში ვიყავით, როცა მე და მერაბი 2 მშვენიერ

მანდილოსანს გადავეყარეთ. გამოველაპარაკეთ, გავეცანით... რომ გაიგეს, მომღერლები ვიყავით და კონცერტები გვქონდა, სად უნდა იმღეროთო? გვკითხეს. დარბაზის სახელი კი ვიცოდით, მაგრამ ქუჩა ვერაფრით გავიხსენეთ. ვუთხარით, ახლა წავალთ, აფიშას ვნახავთ და გეტყვით, სად უნდა მოხვიდეთო. სანამ აფიშა ვიპოვეთ, ლამის მთელი კრაკოვი შემოვიარეთ. ბოლოს კი ვიპოვეთ, მაგრამ იმ გოგონებთან რომ დავბრუნდით, აღარ დაგვხვდნენ.

— **ვიცი, რომ როდესაც უცხო ქვეყანაში მღერით, იმ ქვეყნის რომელიმე სიმღერასაც აუცილებლად ასრულებთ ხოლმე.**

— კი, ეს ტრადიციად დავნერგეთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ფოლკლორით არაერთი ქვეყნისთვის შეგვიყვარებია და დაგვიმახსოვარებია თავი, მაინც ვცდილობთ, რომ კიდევ ერთი სასიამოვნო სიურპრიზი მოვუწყოთ მათ. რომელ ქვეყანაშიც მივდივართ, იმ ქვეყნის ყველაზე ცნობილ და საყვარელ სიმღერას ვარჩევთ. აი, დაახლოებით ისეთს, როგორიც ჩვენთან „სულიკოა“. ვშლით იმ სიმღერას ხმებში და ვმღერით უცხო აუდიტორიის წინაშე. სიმღერის დაწყებისთანავე არის ტირილი, ხელების ქნევა, სკამებიდან წამოხტომა (*იცინის*)... ამას წინათ, ეგვიპტეში ვიყავით და აზიური სტილის სიმღერა პირველად გავშალეთ ხმებში. ჯერ მუსიკა მოვიძიეთ, მერე — ტექსტი. ტექსტის სწავლა ერთი დიდი უბედურება იყო. მოვიყვანეთ არაბულის მცოდნე ადამიანი, გამოთქმები რომ დაგვეხვეწა. რის ვაი-ვაგლახით ვისწავლეთ და ბოლოს ვიმღერეთ. სხვათა შორის, ძალიან სასიამოვნო მოსასმენია.

— **როგორც შევიტყვე, იტალიაში თქვენი სიმღერით ხალხი გადაგირევიათ...**

— (*იღიმის*) არა, მთლად მასე არ ყოფილა, მაგრამ მსგავსი ხმოვანებისა და სილამაზის სიმღერა არასოდეს მოგვისმენიაო, ამბობდნენ. არაჩვეულებრივად დაგვხვდნენ და ჩვენი მოსმენისას ემოციებს ვერ მალავდნენ.

— **ეს-ესაა, ინგლისიდან ჩამოხვედით. იქაურ ამბებს როგორ გაიხსენებ?**

— ინგლისში ფესტივალზე ვიყავით. წარმატებული კონცერტები გვქონდა... ბოლო სიმღერა რომ ვიმღერეთ, მაყურებელმა ფეხების ბაკუნი დაიწყო დარბაზში. როგორც აღმოჩნდა, ამ ჟესტით ისინი ისევ სცენაზე გვიხმობდნენ და კიდევ 2 სიმღერის შესრულებამ მოგვიწია, თორემ ჩაანგრევდნენ იატაკს (*იცინის*). ერთადერთი, რასაც ინგლისში ვერაფრით შევეჩვიეთ, მანქანების საპირისპირო მოძრაობა იყო. გზაზე გადასვლისას აღარ ვიცოდით, საით გაგვეხედა (*იცინის*).

— **წელან ახსენე, მხიარულებისთვისაც გვრჩება დროო...**

— ამას წინათ, ერთ-ერთ კლუბში, გურული „კრიმანჭული“ ვიმღერეთ. გადავრიეთ ხალხი, დაგვდევდნენ და გვეკითხებოდნენ, ვინ ხართ, კიდევ იმღერეთო (*იცინის*). ერთხელ, ჰოლანდიაში საგალობლების კონცერტი გავმართეთ. ძალიან ჩუმ სიმღერას ვმღეროდით, გასუსული იყო მთელი დარბაზი. სიმღერაა ასეთი: „რა ჟამს გულის ხმაი ავყოთ“... მერე პაუზაა და „სიკვდილიიი...“ — ასე გრძელდება. მოკლედ, „ხმაი ავყოთო“ რომ დავასრულეთ, პაუზის დროს დარბაზში ვიღაცამ მთელი ხმით დააცემინა. ჩვენც მივუმღერეთ: „სიკვდილიიიი“... ისეთი ამბავი ატყდა მომღერლებს შორის, მხოლოდ ბანი და მეორე ხმაღა გაღობდა. დანარჩენები ლამის სიცილისგან ვგორავდით (*იცინის*).

— **სულ მალე კიდევ გაქვთ გასტროლი...**

— ივლისში ჰოლანდიაში მივდივართ, იქიდან — გერმანიაში. იქ ქართული კულტურის დღეები ტარდება, რომელშიც ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას. ჩემი ანსამბლის გარეშე ცხოვრება ვეღარ წარმომიდგენია. ანსამბლის წევრებს ხშირად გვაქვს მაცდუნებელი შემოთავაზება, რომელიც მაღალ ანაზღაურებასა და კომფორტულად ცხოვრებას გვპირდება უცხო ქვეყანაში, მაგრამ აქ ცხოვრება და ქართული სიმღერა გვირჩევნია, საზღვარგარეთ რომელიმე კაპელაში სიმღერას (*იღიმის*). ■

Volkswagen New Beetle ამერიკელ ქალებს ყველაზე მეტად მოსწონთ

მოდელი Volkswagen New Beetle ყველაზე პოპულარულ მანქანადაა მიჩნეული ამერიკელ ქალებში, რომლებიც ამ ავტოს მყიდველთა საერთო რაოდენობის 56,1%-ს შეადგენენ. ასეთ დასკვნამდე მივიდა კომპანია True-Car-ი, რომელიც საავტომობილო ბაზრის კვლევაზეა სპეციალიზებული. მკვლევრებმა აშშ-ში რეგისტრირებული 13 მილიონზე მეტი ავტომობილის მონაცემები გააანალიზეს. შედეგად გამოვლინდა, რომ ქალებში მხოლოდ 9 მოდელი სარგებლობს დიდი პოპულარობით. „ხოჭოს“ გარდა, ეს Nissan Rogue-ა (მისი ახალი მფლობელების 53,5% ქალია), Hyundai Tuscon (53%), Volkswagen Eos (53%), Volvo S40 (51,9%), Honda CR-V (51,3%), Kia Sportage (50,5%), Toyota RAV4 (50,4%), Nissan Sentra (50,1%). კვლევის

პროცესში ვერ აღმოაჩინეს ვერც ერთი ბრენდი, რომელიც ქალებში უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე მამაკაცებში. ამასთან, ყველაზე ქალურ მარკად Kia იქცა, რომლის მყიდველთა 48,5% ქალები არიან. ამას მოჰყვებიან Suzuki (44,2%) და Mini (43,9%). ამერიკელ ქალებში ყველაქზე არაპოპულარული მარკები კი უგატტი (0%), Ferrari (5,6%) და Lamborghini-ა (6,5%). აშშ-ში დარეგისტრირებული ავტომობილების მფლობელთა დიდი წილი მამაკაცებზე მოდის (64%) — მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში ქალები უფრო მეტნი არინ მამაკაცებზე (51%, 49%-ის წინააღმდეგ). ანალიტიკოსების მოსაზრებით, ასეთი შედეგი იმითია განპირობებული, რომ ქალები მანქანებს საკუთარ სახელზე ყოველთვის არ აფორმებენ. ამასთან, საჭესთან მსხდომი ქალების რიცხვი აჭარბებს იმ ქალების რიცხვს, რომლებიც მანქანებს ყიდულობენ. თუ რომელი მოდელები სარგებლობენ მამაკაცებში ყველაზე დიდი პოპულარობით, ჯერ არ გამოუკვლევიათ. ■

Mercedes-Benz CL AMG

გავრცელდა განახლებული კუპეს, — Mercedes-Benz CL AMG, — პირველი ფოტოები, რომლის ოფიციალური დებიუტი ოდნავ მოგვიანებით შედგება. სიახლეს ძარას წინა ნაწილის მოდერნიზებული გაფორმება აქვს: ახალი ბამპერი განვითარებული ჰაერშემაკავებლით, რადიატორის ახალი ცხაური და შუქდიოდური ელემენტების მქონე შუქფარები. გარდა ამისა, მოდერნიზებულ კუპეს პირველად დაუყენდება AMG-ის უახლესი ბიტურბომოტორი 5,5 V8, რომლის ანონსირებაც გაზაფხულზე შედგა. ეს აგრეგატი საბაზო ვერსიით 540 ცხ. ძ. სიმძლავრეს ავითარებს, ხოლო 570 ცხ. ძალას — ოპციური „სპორტ-პაკეტით". როგორც მოსალოდნელია, ახალი ძრავა 7-საფეხურიანი „რობოტით" დაკომპლექტდება. ახალი კუპეს, — CL შესახებ სხვა ინფორმაცია არ ვრცელდება. უცნობია სიახლის დინამიკური მაჩვენებლებიც. ამჟამინდელი CL 63 AMG 6,2-ლიტრიანი, ატმოსფერული, 525 ცხ. ძალის სიმძლავრის V8 მოტორით აღიჭურვება, რომელიც 2-ტონიან კუპეს 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,6 წამში ავითარებინებს. CL-ს უფრო მძლავრი ვერსიაც აქვს — CL 65 , რომელზეც 612 ცხ. ძალის სიმძლავრის, 12-ცილინდრიანი ბიტურბომოტორი მაგრდება. 100 კმ/სთ სიჩქარეს ასეთი ავტომობილი 4,4 წამში ავითარებს. ■

XKR Goodwood Special „იაგუარისგან"

კომპანია „იაგუარმა" წარმოებაში კუპეს, — XKR, — ყველაზე სწრაფი ვერსიის, — XKR Goodwood Special, — ჩაშვების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. ეს მანქანა პირველად ექსპერიმენტული მოდელის სახით სიჩქარის ფესტივალზე გუდვუდში წარადგინეს. სიახლის აწყობას მომავალი წლიდან შეუდგებიან. გუდვუდში სადემონსტრაციოდ ერთადერთ ეგზემპლარად შექმნილი ავტომობილი, 530 ცხ. ძალის სიმძლავრემდე ფორსირებული კომპრესორული V8 მოტორითაა აღჭურვილი და 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,6 წამში ავითარებს. გარდა ამისა, XKR Goodwood Special-ს 21-დუიმიანი ბორბლები და მოდიფიცირებული გამომშვები სისტემა აქვს. Jaguar-ის ექსკლუზიურმა სპორტავტომ ნიურბურგრინგის „ჩრდილოეთ მარყუჟი" 7 წუთსა და 58 წამში დაფარა. ეს უფრო უკეთესი მაჩვენებელია, ვიდრე Cadillac CTS-V-სა და Chevrolet Corvette C6-ის მიერ ნაჩვენები შედეგები. ■

Spirra-ს წარმოებაში ჩაუშვებენ

სამხრეთკორეული კომპანია Oullium Motors სუპერავტოს, — Spirra, — წარმოებაში ჩაშვებას მიმდინარე ზაფხულს აპირებს. ამ ავტომობილის ძარას პანელები კარბონისგანაა დამზადებული. სიახლე უკანა აძვრისაა. Spirra-სათვის მოტორი კომპანია Hyundai-საგან მიითვისეს — ესაა 2,7-ლიტრიანი ბენზინის V6, რომელიც რამდენიმე ვარიანტად იქნება ხელმისაწვდომი. საბაზო ავტომობილი 175 ცხ. ძალის სიმძლავრის ატმოსფერული მოტორით აღიჭურვება (100 კმ/სთ 6,8 წამში). ამას მოჰყვება 330 ცხ. ძალის სიმძლავრის ძრავაიანი ვერსია, რომელიც 4,8 წამში განავითარებს 100 კმ/სთ-ს, ასევე 400 ცხ. ძალიანი — 100 კმ/სთ სიჩქარის 3,8 წამში განვითარების უნარით. აგრეთვე არის 500 ცხ. ძალის მქონე აგრეგატით დაკომპლექტებული ვერსია, რომელიც 100 კმ/სთ სიჩქარეს 3,5 წამში აჩვენებს. მისი ტრანსმისია 6-საფეხურიანი „მექანიკაა". ავტომობილის სიგრძე 4,36 მ-ს, სიგანე — 1,92 მ-ს, სიმაღლე —1,22 მ-ს შეადგენს. საბაზო ვერსიის Spierra 1320 კგ-ს იწონის, თუმცა უფრო მძლავრ მოდიფიკაციას დამსუბუქებული ძარა ექნება (მისი მასა 1200 კგ-ს შეადგენს). სიახლის ფასი ჯერჯერობით უცნობია. არც ისაა ცნობილი, გამოჩნდება თუ არა სამხრეთკორეული სუპერავტო აშშ-ის ან ევროპის ბაზრებზე. შეგახსენებთ, რომ ასეთი ავტომობილის პირველი პროტოტიპი ჯერ კიდევ 2005 წელს წარმოადგინეს. ■

სასურველი მამაკაცი და გოდიაქოს ნიშანი...

ვერძი (21.03-20.04)

ცეცხლის სტიქიის ნიშანია. მამაკაც ვერძს მოსწონს, როდესაც მისით აღფრთოვანებას გამოხატავენ, იზიდავს ძლიერი შეგრძნებები. ასეთი მამაკაცი თქვენი ძლიერი ხასიათით უნდა დაიმორჩილოთ. მის განსაცვიფრებლად, თავი საუკეთესო კუთხით უნდა წარმოაჩინოთ ან მიმართოთ მეთოდს — „ჭირვეულის მორჯულება“. ვინაიდან მამაკაც ვერძს სირთულეები იზიდავს, თავი უკარებად მოაჩვენეთ. რაც უფრო ძნელად ხელმისაწვდომი იქნებით მისთვის, მით მეტი ინტერესით დაიწყებს ბრძოლას თქვენს მოსაპოვებლად. ოღონდ ზედმეტად მიუწვდომელი ნუ გახდებით!

კურო (21.04-20.05)

„მართალი“ მამაკაცების კატეგორიაა. არასდროს გაწყენინებთ უმიზეზოდ. გარდა ამისა, სტუმართმოყვარე, თბილი და მოსიყვარულეა. მისი ყურადღების მიპყრობა მისსავე ინტერესების გაზიარებითაა შესაძლებელი. კუროს უყვარს მხატვრობა, ფერწერა და მუსიკა. დაუკარით მისთვის რაიმე, დახატეთ მისი პორტრეტი და მიუძღვენით: ის აღფრთოვანდება თქვენით. უყვარს სიყვარულის მორევში თავდავიწყებით გადაშვება.



ტყუბი (21.05-21.06)

ადვილად იძენს მეგობრებს და ასევე ადვილად შორდება მათ. მერყევი ხასიათის ტყუპის დასაინტრიგებლად, ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე უნდა იდგეთ, და ყოველი შეხვედრისას ახლებურად წარმოაჩინოთ თავი. ის იოლად ეჩვევა იმას, რაც უკვე აქვს და ასევე მალე ჰბეზრდება. ამიტომ მოწყენილობის გასაფანტავად ახლის ძიებას იწყებს... ერთი სიტყვით, გამომგონებელი უნდა იყოთ, რათა თქვენ გარდა სხვა ვერაფერზე ასწრებდეს ფიქრს.

კირჩხიბი (22.06-22.07)

ძალზე მგრძნობიარე მამაკაცია. თუნდაც ერთხელ მაინც თუ აწყენინებთ, შესაძლებელია, სამუდამოდ დაკარგოთ. კირჩხიბს უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა და სიამოვნებით იღებს კომპლიმენტებს. ასე რომ, გაითვალისწინეთ ეს და ხშირად შეაქეთ. დამერწმუნეთ, თქვენი მცდელობა ფუჭად არ ჩაივლის. კირჩხიბისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თქვენ მის ინტერესებს იზიარებდეთ.

ლომი (23.07-23.08)

მეფური, არისტოკრატიული თვისებების მატარებელი, მამაცი და დიდსულოვანია. მისთვის უბრალოდ აუცილებელია პირველობა. ამიტომ მის გვერდით თქვენც „პირველ ქალბატონად“ უნდა წარმოიდგინოთ თავი. ის მეტისმეტად თავდაჯერებულია. თუკი თქვენ — „ტიტულოვანი ქალბატონი“, ამავდროულად სათნოებასაც შეინარჩუნებთ, მის სიყვარულს აუცილებლად დაიმსახურებთ. ლომს მოსწონს თავდაჯერებული და ამავდროულად, მეგობრული ქალები.

ქალწული (24.08-23.09)

ძალზე მორიდებული, ამავე დროს, ზედმიწევნით მიზანდასახულია. ოღონდ მიზანს ყოველთვის დიდი შრომის შედეგად აღწევს. მოსწონს მასავით მორიდებული, კეთილშობილი ქალბატონები. სულ მცირე წვრილმანზეც კი ყურადღების გამახვილება სჩვევია, ვერ იტანს უწესრიგობას. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ მასთან პირველ პაემანს — თქვენ უზადოდ უნდა გამოიყურებოდეთ.

სასწორი (24.09-23.10)

თვით ელეგანტურობაა. ის იმდენად მომხიბვლელია, რომ ძნელია, გაუძლო მის შარმს. რბილი ხასიათი აქვს. მისი ქალის იდეალი ასეთია: ჰარმონიული, სამართლიანი და ძლიერი. ასევე იზიდავს ჭკვიანი და ერუდირებული ქალები. დაანახვეთ მას თქვენი ინტელექტი და სასწორის პინა თქვენ მხარეს გადმოიხრება.

მორიელი (24.10-22.11)

იდუმალი, ტემპერამენტიანი ნატურაა. ის მამაცი და კეთილშობილია, იშვიათად მიდის კომპრომისზე. მისი გულის მოგება არცთუ იოლია... სულ მცირე ზეწოლა და თავდაცვას იწყებს, მასთან ბრძოლაში ჩაბმას კი არ გირჩევთ. უკეთესია, დაუცველის შთაბეჭდილება დატოვოთ, რადგან ის მზრუნველი მამაკაცია და ამ შემთხვევაში, დამცველად მოგევლინებათ.

მშვილდოსანი (23.11-21.12)

თვით გრძნობისა და ფიქრის, სიყვარულისა და სილამაზის ჰარმონიაა; მასთან ურთიერთობა იოლია. ის ოპტიმისტი და მიმნდობია. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად არასერიოზული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, გულში ნამდვილ სიყვარულსა და ოჯახურ სიმყუდროვეზე ოცნებობს; რომანტიკოსია, უყვარს მოგზაურობა. მოსწონს სათნო და მომხიბვლელი ქალები.

თხის რქა (22.12-20.01)

შრომისმოყვარე ნატურაა. წინასწარ აქვს გათვლილი ყველა წვრილმანი, ამიტომ თითქმის არასოდეს ეხვევა ხლაფორთში. ამასთანავე, ეს „ტყვიაგაუმტარი“ მამაკაცი ცოტა სენტიმენტალურიცაა, ამიტომაც აქცენტი თბილ ურთიერთობებსა და დიდსულოვნებაზე უნდა გაკეთოთ. იყავით მასთან გულწრფელი და ის სულსა და გულს არ დაიშურებს თქვენთვის.

მერწყული (21.01-19.02)

მეოცნებე, ამავე დროს, სხარტად მოაზროვნე მამაკაცია. ის უბრალოდ ოცნებობს, რომ დაიცვას და გადაარჩინოს ვინმე ხიფათისაგან. მერწყულის სასიყვარულო ქსელში გაბმა არცთუ ისე ძნელია; საკმარისია, მას თავი დაბნეულ, დაუცველად პიროვნებად მოაჩვენოთ და ყველაფერი რიგზე იქნება — ის ნამდვილი „პირადი მცველის“ როლში მოგევლინებათ.

თევზები (20.02-20.03)

მშვიდობისმოყვარეა, აქვს ამოუწურავი ფანტაზია; იზიდავს უჩვეულო, განსხვავებული გაცნობის სტილი. მასთან ურთიერთობისას ინიციატივა საკუთარ ხელში უნდა აიღოთ, რადგან დინების მიმართულებით ცურავს. ასე რომ, პირველმა დაპატიჟეთ კინოში, კაფეში გაბედულება და მისთვის სიუპრიზების მოწყობა — აი ეს არის თქვენი „კოზირი“. ■

ყური უგდეთ საკუთარ ხმას...



როდესაც ადამიანი გვესაუბრება, პირველ რიგში მისი ხმის ტემბრს, ინტონაციას აღვიქვამთ და ამის შემდეგ, ვისმენთ მისი საუბრის შინაარსს. სრულიად განსხვავებული ინტონაციითა და ტემბრით წარმოთქმული ერთი და იგივე ინფორმაცია სხვადასხვანაირად აღიქმება. მშვიდად და გაწონასწორებული ტონით წარმოთქმული უსიამოვნო ამბავიც კი გაცილებით იოლი მოსასმენია. საერთოდ, სასიამოვნო ხმის ტემბრის მქონე ადამიანს უკეთ ხელეწიფება კარიერის შექმნა. ეს მხოლოდ მსახიობებს, ტელე და რადიომაუწყებლობის თანამშრომლებს, ფსიქოლოგებს, სარეკლამო აგენტებსა და მომღერლებს როდი ეხება. ხმა — ეს ის იარაღია, რომლის რაციონალურად გამოყენება ნებისმიერი პროფესიის ადამიანისთვის მხოლოდ სიკეთის მომტანია.

ილაპარაკე იმისთვის, რომ თავი წარმოაჩინო

ხმის ტემბრს, საუბრის მანერას და ინტონაციას ბევრი რამ შეუძლია თქვას პიროვნების ხასიათის შესახებ. ამიტომაცაა, რომ ხშირად საკუთარი გრძნობების დაფარვას ვერ ვახერხებთ.

ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ ხმამაღლა და მკვეთრი ინტონაციით მოლაპარაკენი, გარშემო მყოფებს, ხშირ შემთხვევაში, ნევროზულ მდგომარეობაში აგდებენ. უმეტესწილად, ამ კატეგორიის ადამიანები არ არიან საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში დარწმუნებულნი. აქედან მომდინარეობს მათი აგრესიაც, რაც მათ ირგვლივ მყოფთ, დაძაბულ და უსიამოვნო გარემოს უქმნის. ტირანები და დესპოტებიც კი გულის სიღრმეში (ხშირად გაუცნობიერებლად!) ძალზე განიცდიან თავიანთი ხასიათის ამგვარ სირთულეს.

სასიამოვნო, დაბალი ხმის ტემბრის მქონე ადამიანებმა კარგად იციან საკუთარი თავის ფასი. წვრილი, ბავშვური ხმა კი უმეტესწილად, მშიშრებსა და სხვაზე დამოკიდებულებს აქვთ. ყველა ადამიანი ინდივიდუალურად ლაპარაკობს — საკუთარი ჩვევების, ემოციებისა და ხმის ტემბრის მიხედვით. სწორედ ამიტომ, ზოგჯერ ჩვენი ხმა ჩვენივე მტერია. მაგალითად, თუ გინდათ, რომ ინტელიგენტი, ერუდირებული ადამიანის იმიჯი გქონდეთ, ხმამაღლა, რიხით ლაპარაკს უნდა გადაეჩვიოთ.

ხმა არც ზომაზე მეტად ნაზი და ჩუმი უნდა იყოს და არც — ძალზე ბოხი და ომახიანი. ყოველთვის გახსოვდეთ: თუ ზედმეტად ჩუმი, დაღლილი ხმით ილაპარაკებთ, თქვენთან ურთიერთობისა და საუბრის სურვილი ყველას გაუქრება. ასევე, ძალზე რთულია ურთიერთობა ისეთ ადამიანებთან, რომლებსაც სიტყვებს ძლივს „ამოჰგლეჯ“. კარგია, თუ თანამოსაუბრის ინტონაცია მკაფიო და არამონოტონური იქნება.

სპეციალისტი დეფექტებს გამოასწორებს

რა თქმა უნდა, შესანიშნავია, თუ ადამიანს თანდაყოლილი, სასიამოვნო ტემბრისა და ფართო დიაპაზონის ხმა აქვს. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ ჩვენი ხმა თანამოსაუბრეს ყურს სჭრის? ამ პრობლემის გადასაჭრელად, აუცილებელია, დასახმარებლად სპეციალისტს მივმართოთ. ზოგადად კი ამის მიზეზი, შეიძლება ყურის, ყელის ან ცხვირის პათოლოგიებიც იყოს.

ხმის გაუარესება შეიძლება ზედმეტმა ნერვიულობამ, გადაღლილობამ ან გამოუძინებლობის მუდმივმა შეგრძნებამ გამოიწვიოს. თუმცა მისი ყველაზე ვერაგი მტერი მაინც ნიკოტინია.

დაბოლოს, რჩევა ყველას: თუ თქვენს ხმას მელოდიურობა აკლია, ამაში საგანგაშო ნამდვილად არაფერია, რადგან თქვენვე შეგიძლიათ, საკუთარი ხმა ბევრად უფრო სასიამოვნო გახადოთ: სანამ საუბარში ჩაერთვებით (ან თავად დაიწყებდეთ ლაპარაკს), დადებითად განეწყვეთ თანამოსაუბრის მიმართ. ამგვარი დამოკიდებულება და პოზიტიური განწყობილება თავისთავად შეარბილებს ტემბრს, „დაათბობს“ და სასიამოვნოს გახდის ხმას. ■

მაკიაჟი 10 წუთში

თუ ძალზე მოუცლელი ხართ და სახელდახელოდ გიწევთ მაკიაჟის განახლება, გირჩევთ ჩვენი რეკომენდაციები გაითვალისწინოთ:

• ბამბიანი ჩხირით აკურატულად მოიცილეთ მაკიაჟის ზედმეტი ფენა, გააახლეთ თვალის ჩრდილი, ტუჩის კონტური გაიმკვეთრეთ და წაისვით პომადა. სახეზე კი მსუბუქად გადაისვით პუდრი.

• თუ შინ ხართ, სახე კოსმეტიკური რძით გაიწმინდეთ, შეისხით ცივი წყალი, გადაისვით ყინულის ნატეხი — ეს სახეს ბუნებრივ ელფერს მიანიჭებს. შემდეგ მკვებავი კრემი შეიზილეთ. კანი უკვე გაწმენდილია, დასვენებული და მზადაა მაკიაჟის გასაახლებლად.

• ტონალური კრემი თანაბრად და ბუნებრივად გადანაწილდება სახესა და ყელზე, თუ მას სწრაფი მოძრაობით წაისვამთ. ცალკეული დეფექტები სპეციალური ფანქრით დაფარეთ.

• თხევადი კონტური მხოლოდ თვალის ზედა ნაწილში წაისვით. გაიკეთეთ თხელი, აკურატული ხაზი.

• ყავისფერი ტუში მაკიაჟს გაცილებით ბუნებრივ ელფერს შესძენს.

• მქრქალი პომადა დახვეწილი მაკიაჟის საუკეთესო ფინალია. პომადა ფუნჯით წაისვით, რადგან გაცილებით თანაბრად განაწილდება, დიდხანს გაძლებს და კონტურსაც უკეთ გამოკვეთს.

• ფრჩხილებზე ლაქის წასმა საკმაოდ ხანგრძლივი პროცედურაა. თუ ამისთვის დრო არ გყოფნით, უბრალოდ, ფრჩხილებს სწორი ფორმა მიეცით. იდეალური ვარიანტია, თუ ლაქი პომადის ფერს შეესაბამება.

• სუნამო ქალისათვის საკმაოდ ეფექტური იარაღია, მაგრამ თქვენი მიზანი პარტნიორის „გაგუდვა“ არ არის, პირიქით — ის თქვენდამი კეთილად უნდა განაწყოთ და მოხიბლოთ. ამდენად, იკურეთ რამდენიმე წვეთი ყურის უკან, ხელის მტევანზე და ყელზე. ეს სრულებით საკმარისია.

• ახლა კიდევ ერთხელ ჩაიხედეთ სარკეში. ვის ხედავთ? არ გაგიკვირდეთ, ეს მომხიბვლელი ქალი ნამდვილად თქვენ ხართ. გახსოვდეთ: სიმტკიცე და თავდაჯერებულობა მთელი საღამო თქვენი განუყრელი თანამგზავრი უნდა იყოს. ■



გზაში საკითხავი კოლაქი

ქრონიკული თემურ ივანიძე

1. ზვარი დიდი ვენახია.
2. ავლიპ ზურაბაშვილი მღვდლის შვილი იყო.
3. ყარფუზი თურქული სიტყვაა და საზამთროს ნიშნავს.
4. სახანძრო ჰიდრანტებთან მანქანის გაჩერება აკრძალულია.
5. შოტლანდიის სამეფო გერბზე მარტორქა იყო გამოსახული.
6. წმინდა არნოლდი ლუდისა და ყველა ბელგიელის მფარველი გახლავთ.
7. კუნძულ ოკინავას დედაქალაქი — ნაჰა — კარატეს მსოფლიო დედაქალაქად ითვლება.
8. ბუშმენებში არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმადაც ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა.
9. „მისი სახელი ძალაუფლების სინონიმია“, — ამბობენ ისტორიკოსები ნაპოლეონის შესახებ.
10. ოტორინოლარინგოლოგია ყურის, ცხვირის, ყელისა და მათი მომოჯნავე არეების დაავადებებს შეისწავლის.



11. „სიმფსონების“ ერთი სერიის გამოშვებას 6-8 თვე სჭირდება და დაახლოებით მილიონ რვაასი ათასი დოლარი ჯდება.
12. აფრიკისა და ევროპის კონტინენტების შეჯახება დღესაც გრძელდება, რის გამოც ალპები ყოველწლიურად ერთი გოჯით იზრდება სიმაღლეში.
13. ბერძენი ფილოსოფოსი ანაქარსისი ადამიანებს სამ კატეგორიად ყოფდა: ისინი, ვინც ცოცხლები არიან, ისინი, ვინც გარდაიცვალნენ და ისინი, ვინც ზღვაში დაცურავენ.
14. „ამერიკა ახალი იერუსალიმი არ არის. მას ვერ შექმნიდნენ მხოლოდ წმინდანები და, რომც შეექმნათ, ნამდვილად ვერ მიაღწევდა ამგვარ წარმატებას“, — ამბობდა მარგარეტ ტეტჩერი.
15. იტალიელები რომს სიყვარულის ქალაქს ეძახიან და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათი ქვეყნის დედაქალაქის სახელწოდება „Roma“ უკუღმა იკითხება, როგორც „Amor“ — რაც ქართულად სიყვარულს ნიშნავს.
16. ინგლისის დედოფალი, ელისაბედ ტიუდორი სპეციალურ სიებს ადგენდა, სადაც იმ ხელქვეითთა გვარები შეჰქონდა, ვინც მას ოდესმე რაიმე ძღვნითა და საჩუქრით ხელდამშვენებული ეახლა. ამბობენ, ზოგიერთი ხელქვეითი ეშაფოტისგანაც კი უხსნია იმას, რომ დედოფლის დავთარში არაერთგზის ფიგურირებდა.
17. ცენტრალურ აფრიკაში მცხოვრე-

შხამიანი და გემრიელი ობობები

32 ათასი სახეობის ობობა დედამიწის ყველა კონტინენტზე ბინადრობს, გარდა ანტარქტიდისა. ყველაზე პატარა ობობა ზომით 0,37 მმ-ია; ყველაზე დიდი — 25 სმ-ზე მეტი.

აბლაბუდის ქსელს რამდენიმე დანიშნულება აქვს: ობობა მასში კვერცხებს ფუთავს. ამისათვის უფრო გამძლე ქსელს რთავს; იკეთებს მასზე ბუდეს, რომელშიც ისვენებს, ზამთარს ატარებს და მსხვერპლის დასაჭერადაც იყენებს. მახეს გაბმისას ობობა სპეციალურ, წებოვან ნივთიერებას გამოყოფს. იმისათვის, რომ ქსელში თავად არ გაებას, საკმაო რაოდენობის მშრალ ქსელს რთავს. ასევე, კიდურებზე ზეთოვან ნივთიერებას გამოყოფს, რომელიც ქსელში გაბმისგან იცავს.

ობობა ძირითადად პატარა, წრიულ ქსელს აბამს, მაგრამ ტროპიკებში გიგანტური (2,5 მეტრი) ქსელებიც გვხვდება, რომელშიც პატარა ჩიტები ებმებიან. არსებობს ძაბრისებრი ქსელიც. ასეთი მაღალ ბალახში, მორებსა და კლდეებზე გვხვდება.

პატარა ობობა მწერებით იკვებება. დიდი — თაგვებით, ჩიტებით. ობობების დიდი ნაწილი კანიბალია და ერთმანეთის ხორცსაც სიამოვნებით მიირთმევს. ობობა საკვებს არ ღეჭავს. მსხვერპლს საკუთარ ნერწყვს უშხაპუნებს, რაც ხორცს (რამდენიმე საათის შემდეგ) თხევად მასად გადაქცევს და ობობა ადვილად იწოვს.

თითქმის ყველა სახეობის ობობას აქვს შხამიანი ჯირკვალი, მაგრამ ადამიანისთვის საშიში მხოლოდ რამდენიმეა. ზოგიერთი ობობას შხამს მედიცინაშიც იყენებენ. კალაჰარის უდაბნოს მოსახლეობა კი ობობას შხამს საბრძოლო შუბის წვერზე უსვამს.

დიდ, შავ ობობას ტარანტული ჰქვია. სახელი სამხრეთიტალიელებმა შეარქვეს. შეამჩნიეს, რომ ობობას ნაკბენის შემდეგ ადამიანი ისეთ მოძრაობებს აკეთებდა, როგორსაც ცეკვა „ტარანტელას“ დროს. ყველაზე დიდი ტარანტული 120 გ იწონის, მისი სახსარი 30 სმ-ია. ტარანტულები 10 წელიწადს ცოცხლობენ.

აფრიკისა და აზიაში ტარანტულისგან კერძებსაც კი ამზადებენ. ტარანტული შხამიანი ობობაა, მაგრამ ობობებს შორის ყველაზე შხამიანი „შავი ქვრივია“. მისი შხამი შხამიანი გველის შხამზე 15-ჯერ ძლიერია. ■

მსუქანი მამაკაცების სპორტი

◆ სუმოს ასოციაციის წევრები, ტაძარ იასუკუს პატივსაცემად, ტოკიოში ყოველწლიურად ორთაბრძოლებს აწყობენ. წარმოდგენა მაგიურ რიტუალს უფრო ჰგავს, ვიდრე სპორტის სახეობას.

◆ ყველა სუმოისტი (დამწყებების გარდა) 100 კგ-სა და მეტს იწონის. უმაღლეს დივიზიონერთა წევრები — 120 კგ-ზე მეტს. იშვიათად კი 200 კგ-სა და მეტს. წონის მიუხედავად, სუმოისტები ძალზე მოქნილები არიან.

◆ სუმოს ორი წესი აქვს: წაგებულად ითვლება მოთამაშე, რომელიც ტერფების გარდა სხეულის სხვა ნაწილით შეეხება მიწას. ვინც წრეს პირველი გადააბიჯებს, ისიც წაგებულია.

◆ სუმოს თიხის მოედანს, რომელზეც ქვიშა ყრია (ავი სულების გასადევნად მარილსაც ყრიან), დოჰიო ჰქვია. იგი მიწასთან შედარებით ამაღლებული უნდა იყოს. ძველი

ჯადოსნური სარკე

ინტერიერის ყველაზე ამოუცნობი ნივთი სარკეა. მისი დამზადება ძველმა შუმერებმა, ინდოელებმა და ეგვიპტელებმა იცოდნენ. თავდაპირველად მას ობსიდიანის, ვერცხლისა და ბრინჯაოსგან ამზადებდნენ. მინის სარკე XII საუკუნეში, კუნძულ მურანოზე (კუნძული ვენეციის ლაგუნაში, იტალია.) დაამზადეს. სარკის დამზადების რეცეპტს საიდუმლოდ დიდხანს ინახავდნენ. იმ პერიოდში, კედლის სარკე რაფაელის ტილოზე სამჯერ ძვირი ღირდა.

აღმოსავლეთში სარკეს ბინაში, კარის წინ კიდებენ — თუ სტუმარი ავი ზრახვებითაა მოსული, სარკე მის ბოროტებას აირეკლავს და მასვე დაუბრუნებს. ძველად ევროპაში ამავე მიზეზით სარკეს ფანჯრებში, მინების ნაცვლად სვამდნენ. ესპანეთში კი ბავშვს პატარა სარკეს ტანსაცმელზე უმაგრებენ.

ერთი ლეგენდის თანახმად, ვაჭარმა ღალატში შემჩნეული ცოლი სარკის წინ მოკლა და თავიც მოიკლა. მოგვიანებით სახლი გაიყიდა, მაგრამ მისი ახალი მფლობელებიც სარკის წინ მოკლულები იპოვეს. ასე განმეორდა რამდენჯერმე, სანამ სარკე არ დაამსხვრიეს და სახლი არ დაწვეს.

მეცნიერებმა დიდი ხნის წინ დაამტკიცეს, რომ სარკე, ისევე როგორც სხვა ნივთები, უხილავი ველითაა შემოსაზღვრული. სარკე შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი ენერგიის მატარებელი. უარყოფითი იქნება, თუ მის „თვალწინ“ კონფლიქტი, ძალადობა, მკვლელობა ხდება. ეცადეთ, სარკე ისეთ ადგილზე მოათავსოთ, რომ მასში მხოლოდ დადებითი იმპულსები აირეკლოს.

ჩინეთში სარკე უწმინდური ძალების გასაადევნად გამოიყენება. იაპონიაში ტახტის, ხმლისა და სამი მარგალიტის (ჩი — განათლება; იუ — მამაცობა; ჯინი — მოწყალება) გვერდით, იმპერატორის საგანძურს წარმოადგენს.

ძველად მიაჩნდათ, რომ გატეხილ, გაბზარულ სარკეში ჩახედვას უბედურება მოჰქონდა. ფეხმძიმე ქალებსა და პატარა ბავშვებს სარკეში ჩახედვას უკრძალავდნენ. გარდაცვლილის სახლში სარკეებს შავ ქსოვილს აფარებდნენ, რათა სული სარკეში არ ჩარჩენილიყო.

დაბოლოს, საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ნუ ჩამოკიდებთ სარკეს სააბაზანოში; მწოლიარეს თავთან; საძინებელში, დაძინების წინ, სარკეს მუქი ფერის ქსოვილი ჩამოაფარეთ. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქემდეენელი ოქმურ ივანიძე

ბი შილუკების ტომის ბელადს უფლება აქვს, ყველაზე ლამაზი გოგონები შეირთოს ცოლად. მათი რიცხვი ხშირად ასაც კი აჭარბებს. მაგრამ, ღმერთმა ნუ ქნას, რომელიმე მათგანმა ერთხელ მაინც დაიწუწუნოს, რომ ქმარი ვერ აკმაყოფილებს — ბელადს მაშინვე წამებით ხდიან სულს.

18. ჩრდილოეთ კამჩატკის შორეულ დასახლებებში დღესაც შემორჩენილია ტრადიცია, რომლის მიხედვით ოჯახში სტუმრად მისული მამაკაცი ვალდებულია, დიასახლისთან სქესობრივი აქტით დაკავდეს. დიდ ბედნიერებად ითვლება, თუ ამგვარი აქტის შემდეგ დიასახლისი დაფეხმძიმდება — მათი რწმენით ეს წარმატებას უქადის მის ოჯახსა და მთელ დასახლებას.

19. ალ კაპონე რეგულარულად უხდიდა პირად გასამრჯელოს პოლიციის ოფიცრებს, პროკურორებს, ოლქების მერებსა და კონგრესმენებსაც კი. ერთხელ ჩიკაგოს გარეუბნის მერ ციცეროს, რომელმაც კაპონეს დაუკითხავად ახალი დადგენილების მიღება გაბედა, მაფიის ბოსი საქალაქო საბჭოს დარბაზში შეუვარდა, ქუჩაში გამოათრია და დეპუტატებისა და ბრბოს თვალწინ სასტიკად სცემა.

20. ინგლისში, იაკობ I-ის მმართველობისას მოქირავნე ჯარისკაცთა სიაში მოსახვედრად, საკმარისი იყო, მამაკაცს სამეფო ხაზინის ხარჯზე ერთი კათხა ლუდი შეესვა და დამქირავებლისათვის ავანსი — ერთი შილინგი გამოერთმია. დამქირავებლები ლუდხანებში დაძრწოდნენ და ლუდით უმასპინძლდებოდნენ ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდებს, კათხაში კი მალულად ზემოხსენებულ შილინგს აგდებდნენ. ამის გამო იყო, რომ იმ ეპოქის ყველა ბრიტანელი, თუკი ლუდხანაში ვინმე ლუდით უმასპინძლდებოდა, დიდხანს შუქზე გაჰყურებდა თავის კათხას.

21. სტავროპოლელი ვიქტორ ბარანოვი ყველაზე განთქმული ყალბი ფულის მჭრელი იყო, საბჭოთა კავშირში. თავის დროზე იგი მძღოლად მუშაობდა მომავალ გენერალურ მდივანთან, მიხაილ გორბაჩოვთან. ბარანოვმა საკუთარი ხელით დაამზადა უნიკალური საბეჭდი დაზგა, ჩამოასხა ყალიბი, შეაზავა საღებავები და ყველაზე ძნელად გასაყალბებელ ოცდახუთმანეთიანებს ბეჭდავდა. უბრალო მძღოლმა დაპატიმრებამდე 30 ათასი მანეთის ეკვივალენტის ყალბი ფულის დამზადება მოასწრო. P.S. დღეს საზღვარგარეთ დიდი მოთხოვნილებაა ბარანოვის საღებავებზე, ხოლო მის რამდენიმე გამოგონებას სახელმწიფო ნიშნების ბეჭდვისას რუსეთში დღესაც იყენებენ.

ტრადიციის თანახმად, დოჰიოზე ქალს ფეხის დადგმა ეკრძალება. მოედანს ბრინჯის ჩალის წრე აქვს შემორტყმული. წრის გარშემო ოთხ ფუნჯს დებენ: თეთრი შემოდგომას, შავი — ზამთარს, მწვანე — გაზაფხულსა და წითელი — ზაფხულს ნიშნავს.

◆ სუმოისტის ქამარს მავასი ჰქვია.

◆ ორი უმაღლესი დივიზიონის მებრძოლებს სპეციალური ქამარი კესიო-მავასი აქვთ, რომელსაც მხოლოდ რიტუალის დროს იკეთებენ. მოყვარულ სუმოისტებს შესაძლოა, შორტი ეცვათ.

◆ მებრძოლებს ეკრძალებათ მოწინააღმდეგისთვის თვალში და სასქესო ორგანოზე დარტყმა, ყურებისა და თმის მოქაჩვა.

◆ სუმოსა და სუმოისტების მთავარ მფარველად ტენგუ მიიჩნევა. მისი მოძღვრების თანახმად, მებრძოლი შეჯიბრებამდე მხოლოდ ფრინველის ხორცით უნდა იკვებოს, რადგან ხარი, ღორი და სხვა ცხოველები „ოთხზე“ დადიან, როგორც წაგებულები. ფრინველები კი გამარჯვებულებივით — „ორზე“. აღსანიშნავია, რომ სუმოსმაგვარი ორთაბრძოლა მონღოლებსა და კორეელებსაც აქვთ. მას ბოხი ჰქვია და სუმოსგან გასხვავებით, მინდორში, საზღვრების გარეშე ტარდება.

◆ ნებისმიერი რანგის სუმოისტს ეკრძალება ავტომობილის მართვა. მებრძოლები ტაქსით ან სპეციალური ავტობუსებით გადაადგილდებიან.

◆ დღეს სუმოს სკოლაში გოგონებსაც იღებენ. ■

მოამზადა რუსუდან გელაშვილმა

იერუსალიმის ეკლესია — დედა ყოველთა ეკლესიათა

ამჯერად იერუსალიმის ეკლესიის შესახებ მოგითხრობთ. როგორც ვიცით, იერუსალიმის ეკლესია წმინდა მიწაზე მდებარეობს. სადაც განკაცებულმა უფალმა ინება მოსვლა და მიწიერი ცხოვრების წლები გაატარა. ქრისტიანული ეკლესიის პირველი აკვანიც ისრაელის ტერიტორიაზე დაირწა... მოგვითხრობს ARქIმANდRIტI მAკARI (AბESAძE).

შორენა მერკვილაძე

— იერუსალიმის ეკლესია იწოდება დედად ყოველთა ეკლესიათა. ეს იმას ხომ არ მიანიშნებს, რომ იერუსალიმის ეკლესია სხვა ადგილობრივ ეკლესიებზე უპირატესია? მაცხოვრის საფლავზე ყოველწლიურად გარდამოსული ღვთაებრივი ცეცხლის მიღების უფლებაც მხოლოდ იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს ენიჭება. იერუსალიმის პატრიარქი აკურთხებს მდინარე იორდანესაც, ნათლისღების დღესასწაულის წამს...

— იერუსალიმის ეკლესია იწოდება დედად ყოველთა ეკლესიათა, რადგან პირველად სწორედ იერუსალიმში დაარსდა ქრისტიანული, ახალი აღთქმის ეკლესია, მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომიდან 500-ე დღეს, როდესაც მოციქულებზე გარდამოვიდა სულიწმიდა და მოციქულ პეტრეს ქადაგებით, სამი ათასამდე კაცი მოინათლა და მოექცა ქრისტეს სჯულზე.

ეკლესია ის ადგილია, სადაც ადამიანი უნდა ცხონდეს. არ შეიძლება, რომელიმე ეკლესიაზე ვთქვათ, ადამიანს იქ ცხონების მეტი შესაძლებლობა აქვს, მაგრამ როგორც ვიცით, მსოფლიო ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებში არსებობს იერარქიული წყობა — დიპტიქი. XI საუკუნემდე დიპტიქში მოხსენიებული იყო რომის ეკლესია, რადგან ის დედაქალაქი გახლდათ, სადაც საიმპერატორო ტახტი იდგა და თავისთავად, სხვა ადგილობრივ ეკლესიებზე გავლენა ჰქონდა. ამიტომ, ყველა მნიშვნელოვანი საეკლესიო საკითხის გადასაჭრელად იქ იყრიდნენ თავს.

რაც შეეხება იერუსალიმის ეკლესიას, როგორც ვთქვით, იმის გამო, რომ იქ მოღვაწეობდა უფალი დედამიწაზე ხორციელად ყოფნის დროს, იქიდან გამოვიდნენ მოციქულები და იქვე დაარსდა პირველი ეკლესია, იწოდება დედად ყოველთა ეკლესიათა. მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებით, მასაც მიენიჭა პატივი ქვეყნიური დიდებისა. ამრიგად, ამა თუ იმ ეკლესიის დროებითი თუ სამარადჟამო უპირატესობები და არა —

არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე)

ზეციური. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც ერთი ადგილობრივი ეკლესია არ შეიძლება გამოვყოთ და ვთქვათ, რომ მისი მეშვეობით უფრო მეტად არის შესაძლებელი სულის ცხონება.

იერუსალიმის პატრიარქს, ღვთაებრივი ცეცხლის მიღებისა თუ მდინარე იორდანეს კურთხევის უფლება იმის გამო ეძლევა, რომ სწორედ იორდანეში მოხდა უფლის ჯვარცმა, დაფვლა და მკვდრეთით აღდგომა; იქვეა მისი საფლავი, სადაც ღვთაებრივი ცეცხლი გადმოდის; მდინარე იორდანე, სადაც უფალმა ნათლისღება ინება.

იერუსალიმის ეკლესიის პირველ კრებულს — წევრებს უფლის მოწაფეები — მოციქულები შეადგენდნენ და პეტრე მოციქულის ქადაგებით — მოქცეული იუდეველები. და პირველი წლები ქრისტიანული ეკლესიისა იყო იერუსალიმში. როგორც „საქმე მოციქულთა“ გვაუწყებს, როდესაც იქ ქრისტიანთა დევნა დაიწყო, ზოგიერთმა ქრისტიანმა დატოვა იერუსალიმი და ახლომახლო ქალაქებს მიაშურა. სწორედ მათ გაიტანეს ღვთის სიტყვა იერუსალიმის გარეთ. ამის შემდეგ უკვე თავად მოციქულებმაც დაიწყეს ქადაგება სხვადასხვა ქალაქსა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

იერარქიული სისტემაც პირველად იერუსალიმში ჩამოყალიბდა. მისი პირველი მწყემსმთავარი (ეპისკოპოსი) იაკობ მოციქული, მართალ იოსების შვილი, მაცხოვრის ხორციელი ძმა იყო. 51 წელს, როდესაც იერუსალიმში მოციქულთა კრება შედგა, მას იაკობ მოციქული ხელმძღვანელობდა, რომელსაც არ მარტო მოციქულებში, იუდეველთა შორისაც კი უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ სინედრიონმა — იუდეველთა მწიგნობრებმა და ფარისევლებმა მოსთხოვეს, ქრისტეს საწინააღმდეგოდ წარმოეთქვა ქადაგება; ხალხი დაერწმუნებინა, რომ ქრისტე იყო ჩვეულებრივი კაცი. ამ დროს იაკობ მოციქული ტაძრის ქიმზე ჰყავდათ აყვანილი. ღვთის საწინააღმდეგო ქადაგების ნაცვლად, მან ქრისტიანობის ქადაგება დაიწყო. ამის გამო ტაძრის ქიმიდან გადმოაგდეს და მოწამებრივად აღესრულა.

იაკობის შემდგომ, იერუსალიმის ეკლესიის მღვდელმთავარი იყო სვიმონი, რომელიც ასევე, მაცხოვრის ხორციელი ნათესავი გახლდათ. გადმოცემით იგი მართალი იოსების ძმის — კლეოპას შვილი იყო.

როგორც ვიცით, პირველ საუკუნეში იერუსალიმს უამრავი განსაცდელი დაატყდა თავს. 70 წელს იუდეველები რომის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყდნენ. ამ ბრძოლისას იერუსალიმი მიწასთან იქნა გასწორებული; რომაელთა მიერ 2 მილიონამდე ებრაელი იქნა მოკვდინებული, და მათ შორის არც ერთი ქრისტიანი არ ყოფილა: ვიდრე რომაელები იერუსალიმს ალყას შემოარტყამდნენ, პატრიარქ სოფრომს გამოცხადებით ეუწყა, რომ ქალაქი ქრისტეს მიმდევარ იუდეველებთან ერთად დაეტოვებინა. მართლაც, დატოვეს თუ არა ქრისტიანებმა ქალაქი, ბრძოლა დაიწყო, რომლის დროსაც უამრავი იუდეველი დაიღუპა. ეს იყო იუდეველებზე მოწევნული ღვთის სასჯელი, რომელიც თავადვე დაიტეხეს თავზე, უფლის ჯვარცმისას მაცხოვრის მიმართ, წარმოთქმული სიტყვებით: „სისხლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედა იყოსო“...

რომაელთა მიერ იერუსალიმის აღებისა და განადგურების შემდეგ, რომაელებმა მის ადგილზე ახალი ქალაქი ააშენეს, რომელიც სუფთა ელინური ქალაქი გახდა. ამის შემდეგ იერუსალიმში ელინური სამყაროდან გაჩნდნენ ქრისტიანები და იერუსალიმის საეპისკოპოსო ელინური-ბერძნულენოვანი გახდა. თანამედროვე პერიოდში იგი არის ორენოვანი — ბერძნულენოვანი და არ-

აბულენოვანი. ძირითადად სასულიერო იერარქები — მღვდელმთავრები და სასულიერო პირების უდიდესი ნაწილი ბერძნები არიან. რაც შეეხება სამრეკლოს, მის უდიდეს ნაწილს არაბი ქრისტიანები შეადგენენ.

როგორც ვიცით, იერუსალიმის საპატრიარქოს ტერიტორიაზე მაცხოვრის ამქვეყნიურ ყოფასთან დაკავშირებული ყველა სიწმინდეა თავმოყრილი. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ შობის შემდგომ რამდენიმე წლის განმავლობაში იყო ეგვიპტეში (როდესაც ჰეროდეს განარიდა უფლის უწყებით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და ყრმა იესო), განკაცებულ უფალს ისრაელის ტერიტორია არ დაუტოვებია: იგი ცხოვრობდა გალილეაში. ქადაგებდა იუდეაში, სამარეასა და გალილეაში. ამდენად, მაცხოვრის მიწიერ ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველა სიწმინდე იერუსალიმის საპატრიარქოს ტერიტორიაზეა: შობის ჯვარცმის, აღდგომის, ფერისცვალების ამაღლებისა და მის მიერ აღსრულებული სასწაულების ადგილი... ყველა ეს სიწმინდე იერუსალიმის საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია.

იერუსალიმის დაცემამდე ყველა ქალაქს თავისი მღვდელმთავარი — ეპისკოპოსი ჰყავდა და ყველა საეპისკოპოსო დამოუკიდებელი გახლდათ. შემდეგ იერუსალიმის საპატრიარქო მთლიანად გაქრა და მოგვიანებით აღდგენილ იქნა ელინური საპატრიარქოს სახით, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანტიოქიის ეკლესიის დაქვემდებარებაში იყო. VI საუკუნეში, მსოფლიო ეკლესიის გადაწყვეტილებით, საპატრიარქო ტიტული მიანიჭეს და იმ დროისათვის დიპტიქში მეხუთე ადგილი დაიკავა: XI საუკუნიდან IV ადგილზე გადავიდა და დღემდე ეს პოზიცია უჭირავს.

იერუსალიმის პატრიარქის ტიტულატურაა — სირიის, არაბეთის, გალილეის, კანის, იორდანიისა და სინას ეპისკოპოსი. სხვა ადგილობრივი ეკლესიების სინოდებისგან განსხვავებით, რომლებიც მღვდლემთავრებისგან შედგება, იერუსალიმის ეკლესიის სინოდში ზოგიერთი გამორჩეული ადგილების არქიმანდრიტიც შედის: მაგალითად, აღდგომის ტაძრის წინამძღვარი, რომელიც არქიმანდრიტია, სინოდის წევრია.

იმის მიუხედავად, რომ XVI საუკუნემდე, იერუსალიმი ჯერ არაბების, შემდეგ ჯვაროსნების მიერ არაერთგზით იქნა დარბეული, იერუსალიმის საპატრიარქო ქრისტიანულ სიწმინდეებზე კონტროლს ინარჩუნებდა. XVI საუკუნეში, როდესაც იერუსალიმი თურქებმა დაიპყრეს, პატრიარქები კონსტანტინოპოლში გადავიდნენ და აქტიურად ვეღარ ხელმძღვანელობდნენ სიწმინდეთა დაცვის საქმეს. ამ პერიოდში სიწმინდეთა ნაწილი კათოლიკეებმა ჩაიგდეს ხელში, თუმცა მართლმადიდებლებმა მათი უკან დაბრუნება მალევე მოახერხეს. სხვა კონფესიის წარმომადგენელთა ხელში მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა. მაგალითად, აღდგომის ტაძარში არამართლმადიდებელთა ხელში რამდენიმე ეკვდერია, მაგრამ ძირითად ნაწილზე უფლებები იერუსალიმის საპატრიარქოს აქვს. რაც შეეხება სხვა წმინდა ადგილებს, ძირითადად მართლმადიდებელთა კუთვნილებაშია და იერუსალიმის საპატრიარქო განაგებს.

ამჟამად იერუსალიმის ეკლესიას 141-ე მღვდელმთავარი ჰყავს. პატრიარქად არჩევის პირველი პირობა ის არის, რომ იგი აუცილებლად მაცხოვრის საფლავის მცველი საძმოს წევრი უნდა იყოს. პატრიარქის არჩევა სინოდის მიერ ხდება, რომელსაც შემდეგ ხელისუფლება ამტკიცებს. მაგალითად, დღევანდელი პატრიარქის წინამორბედი ისრაელის ხელისუფლება არ მიიღო; მისი პატრიარქობა მხოლოდ პალესტინისა და იორდანიის ხელისუფლებამ ცნო. ხდება ასეთი ფაქტებიც, თუმცა თუ ამას ქრისტიანული, სულიერი კუთხით მივუდგებით, ხელისუფლების აზრის მიუხედავად, ნებისმიერი ადგილობრივი ეკლესია სინოდის მიერ არჩეულ პატრიარქის აღიარებს.

— VII საუკუნიდან მოყოლებული, იერუსალიმი ჯერ არაბებმა დაიკავეს, შემდეგ — ჯვაროსნებმა, XVI საუკუნეში კი — თურქეთის იმპერიამ. რომელ პერიოდში განიცადა ყველაზე მეტი შევიწროება და დევნა იერუსალიმის ეკლესიამ?

— VII საუკუნეში, როდესაც იერუსალიმს არაბები მიადგნენ, იერუსალიმის პატრიარქი წმინდა სოფრონი გახლდათ, რომელიც ღვთისგან შორსმჭვრეტელობის ნიჭით იყო დაჯილდოებული. მან არაბებს ხალიფა ომარის მიერ ხელმოწერილი დაცვის სიგელი მოსთხოვა, რაზეც თანხმობა მიღო. სწორედ ამ დაცვის სიგელის წყალობით საუკუნეების მანძილზე გადაურჩა იერუსალიმის ქრისტიანული სიწმინდეები განადგურებას, ქრისტიანები და იერუსალიმის ეკლესია კი სასტიკ დევნასა და შევიწროებას.

ჯვაროსნების აგრესია უფრო მეტად მუსლიმანებისკენ იყო მიმართული. ისინი მართლმადიდებლებს მასობრივად არ დევნიდნენ და აწამებდნენ.

XVI საუკუნეში იერუსალიმი თურქებმა დაიკავეს. ამის შემდეგ იქ ქრისტიანთა მასობრივი დევნა დაიწყო. სწორედ ამ პერიოდში დაკარგეს მართლმადიდებლებმა იერუსალიმში, წმინდა ადგილებზე კონტროლი, მაგრამ შემდგომ ღვთის წყალობით, კვლავ აღიდგინეს...

იერუსალიმის საპატრიარქო იმითაცაა გამორჩეული, რომ იქიდან უამრავი ღვთისმეტყველი გამოვიდა — წმინდა სოფრონი, კოზმა მაიუმელი, იოანე დამასკელი — უდიდესი მამა, რომელმაც მანამდე არსებულ მართლმადიდებლურ სწავლებას თავი მოუყარა და გამოსცა ცნობილი ნაშრომი — „ზედმიწევნითი გადმოცემა მართლმადიდებლური სწავლებისა“.

იერუსალიმის ეკლესიის დაქვემდებარებაში უდიდესი სამონასტრო ცენტრები იყო, ვთქვათ, საბა განწმენდილის ლავრა, სადაც თავის დროზე 30 ათასამდე ბერმონაზონი მოღვაწეობდა პალესტინის ტერიტორიებზე სამონასტრო ცხოვრება ეგვიპტის სამონასტრო ცხოვრების პარალელურად აღმოცენდა. უბრალოდ, ეგვიპტეში სამონასტრო ცხოვრებამ სისტემური სახე ცოტა ადრე მიიღო.

— საქართველოს ეკლესიიას ყოველთვის ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა იერუსალიმის ეკლესიასთან...

— იერუსალიმის ეკლესიის სიტყვა ყოველთვის ავტორიტეტი იყო ყველა ადგილობრივი ეკლესიისთვის, განსაკუთრებით — საქართველოს ეკლესიისთვის. ჩვენთან საეკლესიო მსახურება და წესები უშუალოდ იერუსალიმის ეკლესიიდან მომდინარეობდა. პალესტინაში ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, ქართველებმა მეოთხე საუკუნიდან დაიწყეს. მათ შორის უმთავრესი ადგილი ყოველთვის იერუსალიმის ჯვრის მონასტერს ეკავა. წმინდა მიწაზე უამრავი ქართველი ბერი მოღვაწეობდა. ქართველები ყოველთვის უდიდესი პატივით სარგებლობდნენ წმინდა მიწაზე. როდესაც ქრისტიანები დიდი თხოვნით თუ მოპოვებდნენ იერუსალიმში შესვლის უფლებას, ქართველი მეფეები და დიდებულები, თანმხლებ პირებთან ერთად, იქ ცხენზე ამხედრებულნი და გაშლილი დროშებით შედიოდნენ. ეს მუსლიმანურმა სამყარომაც უწყოდა და ამიტომ პატივსაც კი მიაგებდნენ.

— ამჟამად ხომ არ განიცდის იერუსალიმის ეკლესია შევიწროებას ადგილობრივი ხელისუფლებისგან და რამდენს შეადგენს იერუსალიმის ეკლესიის მრევლი?

— როგორც ტრადიციულ მართლმადიდებელ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლებაც მართლმადიდებელია და ხელს უწყობს ეკლესიას, იერუსალიმის ეკლესია დევნას არ განიცდის.

რაც შეეხება მრევლის რაოდენობას, 100 ათასამდე მართლმადიდებელს მოითვლის, რომელთა უმეტესობა — 90%-მდე — მართლმადიდებელი არაბებისგან შედგება. მრევლის წევრები არიან ებრაელი ქრისტიანებიც, მაგრამ ზუსტი რაოდენობა დადგენილი არ გახლავთ. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

თავის ტკივილის ხშირი მიზეზი

თავის ტკივილი (ცეფალგია) მრავალი დაავადების სიმპტომს წარმოადგენს.

თავის ტკივილის ყველაზე ხშირ ვარიანტს დაძაბვის თავის ტკივილი წარმოადგენს, რომელიც თურმე მსოფლიოს მოსახლეობის 90%-ს აღენიშნება. ასეთი ტკივილი შეიძლება ნებისმიერ ასაკში აღმოცენდეს, მაგრამ მეტწილად 25-30 წლის ახალგაზრდებში ვითარდება, თანაც მამაკაცებთან შედარებით, ქალებში რამდენადმე უფრო ხშირია.

ადრე დაძაბვის თავის ტკივილს რამდენიმე სინონიმი ჰქონდა. მათ უწოდებდნენ: ფსიქალგიას, სტრესოგენულ თავის ტკივილს, იდიოპათურ თავის ტკივილს, ესენციალურ თავის ტკივილს, ქალას კუნთების დაძაბვის თავის ტკივილს და სხვა. ამ დასახელებებში ასახულია დაძაბვის თავის ტკივილის არსი, რომელსაც განმარტავენ, როგორც მწვავე და ქრონიკული სტრესის შედეგად განვითარებულ, ფსიქიკური დაძაბულობის საპასუხოდ აღმოცენებულ თავის ტკივილს. აღსანიშნავია, რომ ფსიქიკური დაძაბულობის პარალელურად შეიძლება პერიკრანიალური კუნთების (შუბლის, საფეთქლების, კეფის) დაძაბულობასაც ჰქონდეს ადგილი.

თავის ტკივილის საერთაშორისო ასოციაციამ დაძაბვის თავის ტკივილის სადაგნოსტიკო კრიტერიუმები შეიმუშავა:

თავის ტკივილის ეპიზოდების ხანგრძლივობა 30 წუთზე ნაკლები არ უნდა იყოს — ეპიზოდური დაძაბვის თავის ტკივილის შემთხვევაში ტკივილის ხანგრძლივობა მერყეობს 30 წუთიდან 7 დღემდე; ქრონიკული დაძაბვის თავის ტკივილის დროს კი შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს ყოველდღიურ და მუდმივი ხასიათის თავის ტკივილს.

თავის ტკივილს შეიძლება „მოჭერითი“ ან მონოტონური ხასიათი ჰქონდეს. მოპულსირე ტკივილი სფეციფიკური არ გახლავთ.

ლოკალიზაციის მიხედვით, თავის ტკივილი დიფუზური და ორმხრივია. ამასთან, უფრო ინტენსიური ტკივილი შეიძლება ცალ მხარეს განვითარდეს. აღსანიშნავია, რომ ავადმყოფები მკაფიოდ აღწერენ ტკივილის ხასიათს. მაგალითად, აცხადებენ, რომ აქვთ შეგრძნება, თითქოს თავზე მარწუხებს უჭერდნენ.

თავის ტკივილი არ ძლიერდება ყოველდღიური (ჩვეული) ფიზიკური სამუშაოს შესრულებისას.

თავის ტკივილის პიკზე შეიძლება აღმოცენდეს თანმხლები სიმპტომები: ფონოფობია (ხმისადმი მომატებული მგრძნობელობა) ან ფოტოფობია (სინათლისადმი მომატებული მგრძნობელობა), ანორექსია (უმადობა) ან გულისრევის შეგრძნება.

ნევრალგიური პრობლემები

სამწვერა ნერვის (სახის, კეფის, ყურ-საფეთქლის და სხვა) ანთება ნევრალგიური ხასიათის თავის ტკივილის მიზეზს წარმოადგენს. ტკივილის ეს ფორმა ექიმების მიერ ადვილად დიაგნოსტირდება, მისი სიმწვავიდან და ხანმოკლე ხასიათიდან გამომდინარე. კერძოდ, ახასიათებს დენის დარტყმის მსგავსი ტკივილი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით მეორდება. ზოგჯერ ნევრალგიურ ტკივილს სახის კუნთების უნებლიე შეკუმშვა და ტკივილის გაძლიერება ახლავს. ნევრალგიური ტკივილის მიზეზი ყველაზე ხშირად ხერხემლის კისრის მონაკვეთის დაავადებაა.

თავის ტკივილი მოსწავლეებში

თავის ტკივილი შეიძლება განუვითარდეს სულ პატარა ბავშვსაც კი. აღსანიშნავია, რომ პირველკლასელების მესამედი სასწავლო წლის განმავლობაში თითქმის რეგულარულად გრძნობს ამგვარ ტკივილს. მაღალ კლასებში სასწავლო დატვირთვის ზრდასთან ერთად, კიდევ უფრო ხშირდება თავის ტკივილის შემთხვევა. მეცნიერები ბევრს დაობენ ბავშვებში ამ სენის განვითარების მიზეზებზე, თუმცა ძირითად მიზეზად ერთხმად ასახელებენ ფსიქიკურ ფაქტორს. ცნება — „მოსწავლეების თავის ტკივილი“ იგულისხმება ტკივილი, რომელიც აღმოცენდება ან ძლიერდება სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად და გადის ან მცირდება არდადეგებზე. ხასიათის მიხედვით ტკივილი მოჭერითია და არცთუ იშვიათად, შეიგრძნობა კეფაში ან შუბლ-თვალის არეში. შეიძლება ახლდეს გულის რევის შეგრძნება და სინათლის შიში. ასევე შეიმჩნევა ძილის დარღვევა, ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითება, სწავლაში ჩამორჩენა და ადვილად დაღლა.

აღსანიშნავია ამგვარი თავის ტკივილის განვითარების სამი ფაქტორი:

. ფსიქოემოციური. ესაა გონებრივი დატვირთვა, გაკვეთილის პასუხის დროს ნერვიულობა, მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულება მასწავლებლებთან, თანაკლასელებთან და სხვა.

. გაკვეთილებზე ერთ პოზაში დიდხანს ყოფნა, რასაც კისრის კუნთებისა და სახსრების გადატვირთვა და კისრის მალების მოძრაობის უნარის დარღვევა ახლავს.

. თვალის მამოძრავებელი კუნთების გადატვირთვა.

მოსწავლეების თავის ტკივილის შემთხვევაში აუცილებელია კომპლექსური მკურნალობა, რაც გამომწვევი ფაქტორის მოხსნას, სრულფასოვან დასვენებას და ძილის უზრუნველყოფას, ასაკის შესაფერისი სპორტით ზომიერად დაკავებას, სრულფასოვან, ზომიერ კვებას და ექიმის მიერ შერჩეული მედიკამენტებით მკურნალობას გულისხმობს.

თავის ტკივილი ზრდასრულებში

ზრდასრულებში თავის ტკივილის მიზეზები შეიძლება იყოს:

1. ფსიქოსოციალურ სტრესზე რეაქცია და აფექტური მდგომარეობა — შფოთი და დეპრესია. ამასთან, დეპრესია შეიძლება მკვეთრად გამოხატული არ იყოს და ატიპურად ანუ ფარულად მიმდინარეობდეს. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფები თავის ტკივილის პარალელურად შეიძლება ადვილად გაღიზიანებას, მუდმივად დაღლილობის შეგრძნებას, ადვილად დაღლას, ძილისა და მადის დარღვევას უჩიოდნენ.

2. კუნთების ხანგრძლივი დაძაბვა ანტიფიზიოლოგიურ პოზაში. ხშირად ყოველივე ეს განსაზღვრულ პროფესიას უკავშირდება — კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობა, ავტომობილის ტარება. შეიძლება გარკვეული როლი უხერხულ მდგომარეობაში ძილმაც ითამაშოს.

3. წამლისმიერი ფაქტორი. ანალგეტიკების (ტკივილგამ-

აყუჩებელი საშუალებები) ხანგრძლივი მიღება (მაგალითად, თვეში 45 გ ასპირინზე მეტი) შეიძლება გახდეს დაძაბვის თავის ტკივილის მიზეზი. იგივე შეიძლება ითქვას ტრანკვილიზატორების ჭარბ მოხმარებაზე. აღსანიშნავია, რომ ანალგეტიკებისა და ტრანკვილიზატორების ხანგრძლივმა მიღებამ შეიძლება არა მარტო ძლიერი ტკივილის განვითარება და მისი ქრონიკულ ფორმაში გადასვლა განაპირობოს, არამედ — სხვადასხვა დეპრესიული მდომარეობაც.

როგორც წესი, ადამიანებს თავის ტკივილის რამდენიმე მიზეზი აქვთ და შესაძლებელია ამ მიზეზების ნებისმიერი კომბინაციის არსებობა.

დაძაბვის თავის ტკივილის არსებობის შემთხვევაში ტკივილის გაძლიერების პროვოცირება შეიძლება ამინდის ცვალებადობამ, ძლიერმა ქარებმა, იძულებით შიმშილმა, ჩახუთულ შენობაში მუშაობამ, ღამისთევამ, ალკოჰოლის ჭარბად მოხმარებამ, ხანგრძლივმა ფიზიკურმა და გონებრივმა გადატვირთვამ განაპირობოს.

დაძაბვის თავის ტკივილის დროს დაავადებულს თავის ტკივილის გარდა შეიძლება სხვა ალგიური (ანუ ტკივილის სინდრომი) სინდრომიც აღენიშნებოდეს. მაგალითად, როგორიცაა, კარდიალგია (გულის ტკივილი), აბდომინალგია (მუცლის ტკივილი), კისრის ან ზურგის ტკივილი. ტკივილის სინდრომი, არცთუ იშვიათად, გამოხატულ ფსიქოლოგიურ და ფსიქოვეგეტაციურ გამოვლინებებთანაა შერწყმული.

დიაგნოსტირება

პირველ რიგში, ექიმი უნდა გაესაუბროს ავადმყოფს, დაადგინოს ტკივილის ხასიათი, ლოკალიზაცია, ხანგრძლივობა, სხვა სიმპტომების ან თანმხლები დაავადებების არსებობა, ცხოვრების წესი, მემკვიდრული ფაქტორები და სხვა. შემდეგ უნდა ჩატარდეს ნევროლოგიური და მანუალური გასინჯვა, მათ შორის კუნთების ტონუსის, კიდურების მგრძნობელობის, ტკივილის ლოკალიზაციის განსაზღვრა. შემდეგ ექიმმა მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევის მეთოდები უნდა შეარჩიოს.

მკურნალობა

მკურნალობის ტაქტიკის დაწყება პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებითაა მიზანშეწონილი. დაძაბვის თავის ტკივილის შეფერხებისთვის აუცილებელია შემდეგი პირობების შესრულება:

ცხოვრების სწორი რეჟიმის შერჩევა;
დროულად დასვენება;
კუნთების მოდუნება;
ფსიქიკური წონასწორობის მიღწევა;
მოხერხებული სამუშაო პირობების შექმნა;
რაც მთავარია, ცხოვრებისეული პრობლემების დროულად და გონივრულად მოგვარება;
გარდა ამისა, ზოგჯერ ინიშნება:
სამკურნალო მასაჟები;
სამკურნალო ფიზკულტურა;
სამკურნალო აბაზანები;
ადეკვატურად შერჩეული პრეპარატები. ■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.



ადამიანი

ზაზა ხატიაშვილი: ძალიან მინდა, ადვოკატთა კორპუსი ფეხზე დავაყენო

ცნობილ ადვოკატ ზაზა ხატიაშვილს კოლეგებმა ნდობა გამოუცხადეს და 4 წლით ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელად აირჩიეს. მას ბევრ ხმაურიან პროცესში მიუღია მონაწილეობა და არაერთი საქმე მოუგია. ყველაზე წარმატებულად, თენგიზ ასანიძის საქმეს მიიჩნევს. წლების წინ, ასლან აბაშიძის რეჟიმს სერიოზული ომი გამოუცხადა, მაშინ ხატიაშვილმა ასანიძის დაკავებაში მონაწილე მაღალჩინოსნებს პატიმრობა უწინასწარმეტყველა. ბევრი ბრძოლის შემდეგ, ისინი მართლაც, ციხეში აღმოჩნდნენ და ხელისუფლებამ მათ ქონებაც კი ჩამოართვა...

თეა ხურცილავა

ძალიან ხშირად ადვოკატები აცხადებენ, რომ კლიენტების უფლებებს ვერ იცავენ, რომ მათმა მონაწილეობამ სასამართლო პროცესში აზრი დაკარგა. როგორც წესი, მათი შუამდგომლობა იგნორირებულია და მხოლოდ პროკურატურის მოთხოვნებს აკანონებენ. ამიტომაც გახშირდა საჩივარი ევროსასამართლოში: ადვოკატები ხელისუფლების წინააღმდეგ ვერდიქტს სწორედ სტრასბურგისგან ელიან. ხატიაშვილი დარწმუნებულია, რომ მოსამართლეებსა და პროკურორებს უეჭველად მოუწევთ უკანონო განაჩენებისთვის პასუხისგება...

— ბატონო ზაზა, არაერთი საინტერესო საქმე გქონიათ. თქვენ პრაქტიკიდან რომელს გამოყოფდით?

— ბევრი საინტერესო და წარმატებული საქმე მქონია, მაგრამ განსაკუთრებული მაინც, თენგიზ ასანიძის საქმე იყო, რომელიც საქართველოს ფარგლებს გასცდა. ევროსასამართლოში ორმა ქართველმა ადვოკატმა — ლია მუხაშავრიამ და მე — ხელისუფლებას ეს საქმე მოვუგეთ. ევროსასამართლომ მაშინ უპრეცედენტო — პატიმრის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო (ჩვეულებრივ, ასეთი რამ არ ხდება) და სახელმწიფოს სოლიდური თანხის გადახდაც დააკისრა. ასევე საინტერესო იყო ქურდი კოლას საქმე. მაშინ ადვოკატობა ახალი დაწყებული მქონდა და კანონიერი ქურდის, მეტსახელად კოლას დაცვა მომიხდა. მას

მინდა, ჩვენმა ადვოკატებმა ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი კარგად ისწავლონ

გაუპატიურებაში ადანაშაულებდნენ, თუმცა სრულიად უდანაშაულო იყო — პოლიციამ საქმე შეუთითხნა იმ მიზნით, რომ ციხეში ჰყოლოდათ გამოკეტილი. დაზარალებული ამხელდა, მაგრამ ისეთი ჩვენება ჰქონდა, აშკარა იყო, ტყუოდა. პროცესზე დაზარალებულს ინტიმურ დეტალებზე დავუსვი კითხვები. ის ამას არ ელოდა, დაიბნა, ბოლოს ველარ მოითმინა და თქვა, — პოლიციის დავალებით ვადანაშაულებ, ეს კაცი შორიდან დამანახვესო. ასე შევძელი განსასჯელის უდანაშაულობის დამტკიცება. ადრე მოსამართლეები სამართლიან გადაწყვეტილებებს იღებდნენ. ადვოკატს, თუ საკმარისი აგრუმენტები გქონდა, თავისუფლად შეგეძლო, დასაცავი გაგემართლებინა. წლების მანძილზე, ბევრ ხმაურიან საქმეში ვმონაწილეობდი, მათ შორის „ელიზი-ომეგას“ საქმეც იყო. ორწლიანი საადვოკატო პრაქტიკა მქონდა, როცა გაზეთმა „ივერია-ექსპრესმა“ ადვოკატთა ათეული გამოაქვეყნა და ზედიზედ ოთხჯერ წარმატებულ ადვოკატთა რიგში მოვხვდი, რაც ეს დამწყები ადვოკატისთვის დიდი აღიარება იყო. პოპულარობა ასე მოვიდა.

— ისიც ცნობილია, რომ ხშირად, ჟურნალისტებს ყოველგვარი ჰონორარის გარეშე იცავდით...

— გაზეთ „ახალი თაობის“ წინააღმდეგ სასამართლოში ძალიან ბევრი საქმე შედიოდა. ძირითადად, თანამდებობის პირები ჩიოდნენ. ისიც მინდა ვთქვა, რომ ბევრი წამგებიანი საქმეც იყო, მაგრამ არც ერთი საქმე არ წამიგია. ჟურნალისტების დაცვა მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. ამ პროფესიის ადამიანებს ფული სად აქვთ და მათ უფასოდ ვიცავდი. გაზეთ „რეზონანის“ ბევრი ჟურნალისტი დამიცავს. სხვათა შორის, ჩემი მეუღლეც ჟურნალისტია... ყოფილი სახალხო დამცველის, სოზარ სუბარისა და ვასილ მაღლაფერიძის ადვოკატიც ვიყავი, როცა ისინი გაზეთ „კავკასიონში“ მუშაობდნენ. პროცესებზე პრეცედენტად, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები მომქონდა, ეს პრეცედენტები ახალი ხილი იყო და მოსამართლეები ხშირად ითვალისწინებდნენ. დღევანდელი მოსამართლეებისგან განსხვავებით, მაშინ, თუ მტკიცებულება არ იყო, პროკურატურა საქმეს სასამართლოში არ გაგზავნიდა; ცდილობდა, საქმე გამყარებინა, რადგან იცოდა, განაჩენი არ დადგებოდა. ცნობილი მოსამართლეების — ნინო გვენეტაძის, მერაბ ტურავას ხელში თუ მოხვდებოდა ისეთი საქმე, სადაც მტკიცებულება არ იყო, თუნდაც დანაშაული ყოფილიყო ჩადენილი, ისინი დაკავებულს დარბაზიდან უშვებდნენ. დღეს გაოგნებული ვარ იმით, რასაც სასამართლო აკეთებს. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ადვოკატების მასობრივი დევნა დაიწყო. ერთადერთი სფერო, რასაც საკაშვილმა ვერაფერი მოუხერხა, ადვოკატები ვიყავით. ჩვენ ევროსასამართლოში გან-

აჩენებს ვასაჩივრებთ. სააკაშვილს საერთაშორისო ორგანიზაციებთან დავუფიქსირეთ რამდენიმე პოლიტპატიმარი, მოხსენებები გაკეთდა... ამიტომაც ადვოკატების დევნა მასობრივად დაიწყეს. როცა კონკრეტულ ფაქტებს ვიგებდი, ჩემი კოლეგების დაცვაში ვერთვებოდი.

— ყველა მოქმედი ადვოკატი ასოციაციის წევრია და ბევრი მათგანი სხვადასხვა ბრალდებით, ციხეშია გამოკეტილი. დამეთანხმეთ, ზოგიერთი ადვოკატი მართლაც თაღლითობს. ასეთები ხომ უნდა დაისაჯონ?

— ვიცი, რომ ზოგიერთი მართლა რაღაცას აფუჭებს, კლიენტს ატყუებს. მათ არ დავიცავ და მიმაჩნია, რომ ასეთები უნდა დაისაჯონ! ვანო მერაბიშვილისგან იმით განვსხვავდები, რომ მან იცის, ზურაბ ვაზაგაშვილი მისმა პოლიციელებმა მოკლეს, მაგრამ მათ ხელს აფარებს, მე კი მიმაჩნია, რომ დასასჯელი უნდა დაისაჯოს... მერწმუნეთ, ბევრი ჩემი უდანაშაულო კოლეგაა დაკავებული. ასეთ ადამიანებს ვეტყვი, რომ ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს.

— თუ გაქვთ ზუსტი ინფორმაცია — რამდენი ადვოკატი იმყოფება პატიმრობაში?

— ეს საჯარო ინფორმაცია ჯერჯერობით ვერ ამოვიღე, ჩემს მოსვლამდე კი ასოციაციაში ამით დაინტერესებული არ იყვნენ. დაკავებული ადვოკატები დახმარებას ითხოვენ და მე მათ ყოველთვის დავიცავ. ერთ-ერთი ასეთი მსხვერპლი — ადვოკატი მარიამ იველაშვილია. მას თაღლითობის ორ ეპიზოდში ადანაშაულებენ — 309 ლარს და 100 ლარს ედავებოდნენ. ის წელიწად-ნახევრის წინ დააკავეს, 5 წელი და 9 თვე მიუსაჯეს. მასზე „მონიტორმა“ ფილმიც კი გადაიღო. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე არ შეეგუება არც ერთ ფაქტს, რომელიც ადვოკატურის წინააღმდეგ იქნება მიმართული — ამიტომ მებრძოდნენ და არ უნდოდათ, ასოციაციის თავმჯდომარე გავმხდარიყავი. ჩემი გამარჯვებაც იმაზე მეტყველებს, რომ ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს და კანდიდატს სახელისუფლებო გუნდთან ურთიერთობა არ უნდა ჰქონდეს. ძალიან მინდა, ადვოკატთა კორპუსი ფეხზე დავაყენო.

— რა გეგმები გაქვთ?

— უკვე რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ და ყველა მიმართულებას თავისი ხელმძღვანელი ჰყავს. შეიქმნა ჯგუფი, რომელიც ადვოკატთა უფლებებს დაიცავს. მერწმუნეთ, ამ ხელისუფლებას მარიამ იველაშვილის საქმეს არ შევარჩენ. დღეს მისი საქმე უზენაეს სასამართლოშია... ადვოკატის პასუხისგებაში მიცემაზე ჯილდოა დაწესებული — ეს კულუარული ინფორმაციაა. 200-ზე მეტი ადვოკატია დაკავებული, რაც სერიოზულ ეჭვს ბადებს. მინდა, ამ ქვეყანას სამართლიანი სასამართლო ჰქონდეს.

— არჩევნების დროს ითქვა, რომ ხელისუფლებამ მილიონი ევრო შემოგთავაზათ იმისთვის, რომ თქვენი კანდიდატურა მოგეხსნათ.

— ეს ბანალური ამბავია და ამაზე ლაპარაკი არ მინდა: შეიძლება, ვინმემ თქვას, რომ ხატიაშვილი ამით რეკლამას იკეთებს. ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ ამხილა ის ხალხი, ვინც ჩემს მოსყიდვას ცდილობდა. მართლაც, მილიონ ევროზე იყო ლაპარაკი... ამ ფაქტმა რწმენა შემმატა, რომ აზრი ჰქონდა, ბოლომდე მებრძოლა და გავიმარჯვე კიდეც. არავის მივცემ უფლებას, ადვოკატთა კორპუსს „გადაუაროს“. ასოციაცია არ შეიძლება იყოს რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის შტაბი. აქ ბევრი რამ შევცვალე... უნდა ვიბრძოლოთ, რომ ამ ხელისუფლებას ადვოკატურის ფასი დავანახვოთ. არ დავუშვებ, რომ ადვოკატებს თავიანთი საქმიანობის გამო რაიმე დაუშავდეთ. მარიამ იველაშვილს საპროცესო შეთანხმებას სთავაზობდნენ, მაგრამ ამაზე არ წავიდა. ამბობს, ციხეში ვიქნები მანამ, ვიდრე ჩემს სიმართლეს არ დავამტკიცებო. გოგოს 3 კვირაში ნიშნობა უნდა ჰქონოდა, გააუბედურეს!.. ასევე სამაგალითოა ადვოკატ კობა სოხაძის ქმედება: როცა მოქალაქეებს პატრული ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა, მან ეს კადრები ტელეფონით გადაიღო; ამის გამო ტელეფონი წაართვეს და პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს, მერე კი სასამართლომ ადმინისტრაციული სასჯელი — 30-დღიანი პატიმრობაც მიუსაჯა. რა თქმა უნდა, ჩანაწერი წაუშალეს. ასეთი ფაქტები რეაგირების გარეშე არ დარჩება. საერთაშორისო ორგანიზაციებს დავუკავშირდი და საჩივარიც შევიტანე. ძალიან მინდა, ჩვენმა ადვოკატებმა ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი კარგად ისწავლონ. რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციას უკვე შევხვდი. მალე ადვოკატებისთვის სემინარები ჩატარდება და ეს ზუგდიდიდან დაიწყება. სემინარებს პირადად მე ვატარებ. ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში ევროსასამართლოში რამდენიმე ათასი საჩივარი უნდა შევიდეს. ყველა პროკურორსა და მოსამართლეს უნდა ეშინოდეს ადვოკატის და იმის, რომ უკანონობის გამო თავად დაისჯება, საბრალდებო სკამზე მოხვდება. ამის პრეცედენტიც მქონდა.

— კონკრეტულად?

— კახეთში, კერძოდ, ტიბაანში 2 ახალგაზრდა — წიწილაშვილი და ყურაშვილი — უმძიმესი ბრალდებით დააკავეს, მათ მკვლელობას ედავებოდნენ. ბევრი ბრძოლის შემდეგ, ბრალდებულების უდანაშაულობის დამტკიცება მოვახერხე და ისინი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. თუმცა, ბრძოლა არ შევწყვიტე მანამდე, ვიდრე იმ პოლიციელების დასჯას არ მივაღწიე, რომლებმაც უკანონობა ჩაიდინეს. პოლიციელები პასუხისგებაში მისცეს და ბიჭები დაზარალებულად ცნეს. სასამართლომ ე.წ. სამართალდამცველებს 4-4 წლით პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ ციხეში მაინც არ გაუშვეს, — საპროცესო შეთანხმებები გაუფორმეს... სამართლებრივ ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს. ადვოკატმა თავისი ფუნქცია უნდა დაიბრუნოს. მიმდინარეობს მუშაობა, რომ ცვლილებების პაკეტი მომზადდეს, რათა ადვოკატთა შესახებ კანონში ცვლილებები შევიდეს; ასევე ვმუშაობთ სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებზე.

— ასოციაციაში თუ ისჯებიან დამრღვევი ადვოკატები?

— ეთიკის კომისია მუშაობს, რომელსაც ძალიან წესიერი თავმჯდომარე ჰყავს — ბატონი ირაკლი კორძაია. სწორედ ეს კომისია იხილავს დამრღვევი ადვოკატების დისციპლინურ საქმეებს. ქუთაისში ეკა ბესელიას შვილის პროცესზე ვიყავი და გაოგნებული დავრჩი ადვოკატის მოქმედებით. პროკურორმა არასრულწლოვანს უთხრა, — დედაშენმა მიგატოვა და სახაზინო ადვოკატი უნდა დაგინიშნოთო, — და დაუნიშნა. სახაზინო ადვოკატები ფაქტობრივად, სამინისტროს თანამშრომლები არიან (თუმცა მათ რიგში ზოგიერთი ღირსეული ადამიანიცაა). ასე ჩაერთო საქმეში ერთ-ერთი ადვოკატი, რომელმაც სარეკომენდაციო ბარათი მიიღო, დისციპლინური სახდელი დაედო და მსგავსი ფაქტის გამეორების შემთხვევაში, მკაცრად დაისჯება. ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ადვოკატმა ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობა მიიღოს. თბილისის მერმა, გიგი უგულავამ საკრებულოს მიმართა და „ქალაქის ადვოკატი“ შექმნეს, სადაც მე-3, მე-4 კურსის სტუდენტები დაასაქმეს. კანონით, საადვოკატო საქმიანობის უფლება იმ ადვოკატს აქვს, რომელმაც საადვოკატო გამოცდები ჩააბარა; გამოცდების შემდეგ ერთთვიან სტაჟირებას გადის და მერე იწყებს პროფესიით მუშაობას. რაც უგულავამ გააკეთა, სისხლის სამართლის დანაშაულია და ამ ფაქტზე სამართლებრივ რეაგირებას მოვახდენ — უგულავას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას, რადგან ეს თანამდებობის ბოროტად გამოყენებაა, ეს კანონის „დანგრევაა“...

■

ქვევრში ნაპოვნი ფულით სავსე სკივრი და „შავი სამყაროს“ „თეთრი“ მხარე

მრცხვენია, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ პატიმრებთან ურთიერთობას გავურბივარ. როცა ჩემი პირადი ტელეფონის ნომერი ჟურნალში იბეჭდება, ცხადია, ციხიდანაც მირეკავენ და ვერც ერთი პატიმარი ვერ იტყვის, რომ არ მოვუსმინე, მისი გაგება არ ვცადე, მაგრამ რა ვქნა, არ მჯერა იმის, რომ ყველა უდანაშაულოდ ან საბედისწერო შემთხვევითობის გამო ხვდება გისოსებს მიღმა; არადა, უმრავლესობა სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობს და მთხოვს, მის შესახებ დავწერო რამე...

„იმ დედაბრის წყალობით დამიჭირეს, რომელიც სასიკვდილოდ ვერ გავიმეტე...“

ინგა ჯაყელი

ამას წინათ ციხიდან რვეული გამომიგზავნეს, რომელშიც ერთ-ერთი პატიმრის აღსარება ეწერა. სიმართლე გითხრათ, მის წაკითხვას კარგა ხანს ვერ ვუდებდი გულს, მაგრამ ერთხელაც, რვეულის ფურცლები ბოლომდე ჩავიკითხე და მისი გამოქვეყნების სურვილიც გამიჩნდა (ცხადია, წერილს მცირეოდენი შესწორებით გთავაზობთ)...

„რამდენიმე წელიწადია, რაც თქვენს ჟურნალს ვკითხულობ. ყველაზე დიდი სიამოვნებით ადამიანურ ამბებს ვეცნობი, მათ შორის განსაკუთრებით მიმზიდველი კი თქვენი „გულახდილი დღიურების“ გმირების ცხოვრებაა. თქვენ წერთ ძლიერ ქალებზე (რატომღაც, კაცებზე არასოდეს არაფერს წერთ), რომლებიც დასახულ მიზანს ყოველთვის აღწევენ...

მეც ძლიერი ვარ და მიზნის მიღწევას ვცდილობდი, როცა უნებურად, გზიდან გადავუხვიე და ციხეში ამოვყავი თავი. მართალია, ეს ჩემს გეგმებში არ შედიოდა, მაგრამ რას ვიზამთ — ყველა ოცნება რომ ხდებოდეს, მაშინ ბედნიერების ფასიც არ გვეცოდინებოდა ადამიანებს...

მე ადამიანური ცხოვრება მინდა, მაგრამ საქართველოში ამის საშუალება მხოლოდ პრეზიდენტს, მისი მთავრობის წევრებსა და პარლამენტარებს აქვთ — მე თუ მკითხავთ, ბევრი მათგანი ჩემ გვერდით უნდა იჯდეს...

ჰო, ქურდი გახლავართ და არც არაფერს ვნანობ. მთავარია, რომ საკუთარ თავთან პირნათელი ვარ, რადგანაც გაჭირვებული, საცოდავი კაცის ჯიბეში ხელი არასდროს ჩამიყვია... ხომ არ გგონიათ, რომ უპატრონო, უინტელექტო და გონებაშეზღუდული ადამიანი ვარ, რომელიც საკუთარი ცხოველური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ყველაფერზეა წამსვლელი? — მე პედაგოგისა და ინჟინრის ოჯახში გავიზარდე. მამა ადრე დამეღუპა, არც დედას უცოცხლია დიდხანს. ისინი მასწავლიდნენ და მიმტკიცებდნენ, რომ ამქვეყნად პატიოსნებაზე დიდი სიმდიდრე არ არსებობს, მაგრამ მე სულ სხვა რამეს ვხედავდი, ჩემი ბავშვური გონება სხვა სიბრძნეს ისრუტავდა ყოველდღიური რეალობიდან... მაშინ კარგად ცხოვრობდა ქალაქის მთავარი არქიტექტორი, რომელიც თავის ნახაზებს მამაჩემს („კაი მეზობელს“) ასწორებინებდა და მის ნამუშევარს საკუთრად ასაღებდა, პრემიებსა და ჯილდოებს იღებდა, მამას კი საზეიმო სუფრებზეც არ ეპატიჟებოდა. ჰოდა, მგონი, ამანაც გაუხეთქა გული საცოდავ კაცს: 50-ისაც არ იყო, ინფარქტი რომ მიიღო, ჩვენ კი მის სამკურნალოდ საჭირო, ძვირად ღირებული წამლები ვერ ვიშოვეთ და... სულ პატარა ვიყავი, როცა მიხვდი, თუ როგორი დიდი ძალა ჰქონდა ფულს. მაგალითად, აშკარა იყო, რომ მასწავლებლები ცნობილი მამიკოების შვილებს ევლებოდნენ თავს, საჩუქრების მიღების იმედით...

პირველად 14 წლის ასაკში მოვიპარე. ჩვენს მდიდარ მეზობელს, რომლის თანამდებობასაც შეგნებულად არ ვასახელებ, მარანი ჰქონდა და როცა ღვინო დასჭირდებოდა, მოსამსახურეს ეძახდა, — სასმელი მომიტანეო! აბა, თავად ხომ არ იკადრებდა მარანში ჩასვლას?! მაგრამ შევამჩნიე, ხშირად იქ მარტოც შედიოდა და იკეტებოდა. ლოთი არ იყო, რომ მეფიქრა, ღვინოს სვამს-მეთქი. ჰოდა, მივხვდი, რაღაცას მალავდა... ერთხელ მის მარანში შევიპარე და ბევრი ძებნის შემდეგ, ერთ-ერთ ქვევრში ჩაკიდებული პატარა სკივრი ვიპოვე. ლენინისთავიანი წითელი თუმნიანები ადვილად ვიცანი, მაგრამ დოლარი პირველად მეჭირა ხელში და ვერც მივხვდი, რა ფასი ჰქონდა ამ „მწვანე ქაღალდს“...

იმ კაცმა საქმეში პოლიციის ჩარევა ვერ გაბედა, რადგანაც თავად ჩემზე დიდი ქურდი იყო, სახელმწიფო ბიუჯეტს ძარცვავდა. აი, „ძველი ბიჭები“ კი დაატრიალა, მაგრამ ჩემზე ეჭვის მოტანა არავის უფიქრია. იმ ფულის გამოჩენა კარგა ხანს ვერ გავბედე. წლების შემდეგ, „გამიფუჭდა“ კიდეც მოპარული წითელთუმნიანები, დოლარები კი სრულად შევირგე...

უმაღლეს სასწავლებელში, ისტორიაფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე, მაგრამ დიპლომი არ ამიღია — მივხვდი, ვერაფერში გამოვიყენებდი, რადგანაც მაშინ, ამ ფაკულტეტზე ძირითადად, მომავალი პარტიული ფუნქციონერები სწავლობდნენ — მათ მომავალ რაიკომის მდივნებს ეძახდნენ. ჰოდა, სანამ მე ვსწავლობდი, რაიკომიც დაიშალა და ქალაქკომიც, მერე იყო ომი და ქაოსი...

აფხაზეთში, თანატოლების მსგავსად, მეც სამშობლოს დაცვის სურვილით წავედი, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ჩვენ მხოლოდ საზარბაზნე ხორცი ვიყავით და ვაღიარებ, იმ არეულობაში მეც „მოვითბე ხელი“ — ყველა ყველაფერს იპარავდა და მე მეთამაშა წმინდანი?! თუმცა, სხვების მსგავსად არაკაცურად არ მოვქცეულვარ, გარდაცვლილებისთვის ოქროს ბეჭდები და მით უმეტეს, კბილები არ ამიცლია; არც ავეჯი წამომიღია მიტოვებული ოჯახებიდან, მხოლოდ ფული და გადამალული ოქრო გადმოვიტანე...

აფხაზეთიდან წამოსვლის შემდეგ, რამდენიმე წლით საქართველოდან წავედი და სწორედ რუსეთში ჩამოვყალიბდი პროფესიონალ ქურდად. თუმცა, აქვე გეტყვით,

რომ არც „კანონიერი ქურდის“ წოდებაზე მიზრუნია ოდესმე და არც სხვადასხვა საძმოში გაწევრებაზე, რადგანაც „მარტოხელა მონადირედ“ მივიჩნევდი თავს...

მოსკოვი, პეტერბურგი, როსტოვი, კუიბიშევი — ძირითადად, ამ ქალაქებში ვტრიალებდი და ბლომად ფულიც ვიშოვე, თუმცა მის შეგროვებაზე არასდროს მიფიქრია — დროის ტარება და კაი ცხოვრება მიყვარდა. ის დრო მხოლოდ იმიტომ მენატრება, რომ რუს გოგონებს ძალიან მოვწონდი და ერთმა შვილიც კი გამიჩინა...

საქართველოში ჩემი დის გამო უფრო დავბრუნდი — ადრე დაქვრივდა და უჩემოდ ვერ გაზრდიდა ორ ბიჭს... აქ ჩამოსულმა სამუშაოს შოვნა და ცხოვრების სტილის შეცვლა ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა...

რა თქმა უნდა, ყველა ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაულის აღწერას არ ვაპირებ, მით უმეტეს, რომ ბევრი რამ „შემრჩა“; მხოლოდ იმ ამბავს გაგიმხელთ, რომლის გამოც გისოსებს მიღმა აღმოვჩნდი...

თუმცა, მანამდე იმასაც გაგანდობთ, რომ ღმერთის მეშინია. მე კი მგონია, რომ უსამართლოდ არასოდეს მოვქცეულვარ და ხშირად არსენასავით, მართლა მდიდარს ვართმევდი და ღარიბს ვაძლევდი, მაგრამ უფლისთვის ხომ ერთნაირად დამნაშავეა აქლემისა და ნემსის ქურდიც?!. ბევრჯერ მინდოდა, უარი მეთქვა საერო ცხოვრებაზე და ბერივით განმარტოებულს, ადამიანებისგან შორს მეცხოვრა, მაგრამ ვერ შევძელი. რა ვქნა, არ შემიძლია შორიდან ვუცქირო, თუ როგორ ეზრდება ღიპი გატუტუცებულ ბობოლას, დამშეული ხალხის ხარჯზე. ვერ ვეგუები ისეთ უსამართლობას, როცა გაუმაძღარი მოსამართლე „სროკზე“ უშვებს უდანაშაულო კაცს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ქრთამი არ გადაუხადეს; ვერც იმას — როცა ვხედავ, როგორ ყვარობს ვიღაც გატუტუცებული მოხუცი 15 ან 20 წლის გოგოს და მას ყველაფრის უფლებას აძლევენ მხოლოდ იმიტომ, რომ ფული აქვს. ღარიბ ოჯახებში კი კიკუს რა გამოლევს?!.

ჰო, ბოლო საქმეზე ვაპირებდი მოყოლას...

ვის სახლშიც შევედით, წინასწარ იყო „გაყიდული“ — მისი მოსამსახურე ჩემი ერთ-ერთი თანამზრახველის საყვარელი გახლდათ და მისგან ვიცოდით, სადაც ინახავდა ის კაცი ფულს, მისი ცოლი კი ძვირად ღირებულ ნივთებს. წესით, შინ არავინ უნდა დაგხვედროდა. ფულსაც ადვილად მივაგენით, ძვირად ღირებულ ნივთებსაც და გამოსვლასაც მშვიდობით მოვახერხებდით, რომ არა იმ კაცის მოხუცებული დეიდა, რომელიც დისშვილთან სტუმრად გახლდათ. მას ხმაურზე გაეღვიძა და თავზე დაგვადგა, კივილი დააპირა. ჩვენ პირი ავუკარით და სასწრაფოდ, ნიღბები გავიკეთეთ, მაგრამ უკვე გვიანი იყო, მაინც მოასწრო ჩვენი დანახვა. დავემუქრეთ: ხმას თუ ამოიღებ, შენც მოგკლავთ და შენს დისშვილსაც-თქო. ცუდად გახდა, იხრჩობოდა. ჩემი მეწყვილე მეხვეწებოდა, — გავიქცეთო, მაგრამ იმ ქალის მიტოვება ვერ შევძელი, სასიკვდილოდ ვერ გავიმეტე...

ქალს პირი ავუხსენი, მერე ტელეფონი მოვძებნე და „სასწრაფო დახმარება“ გამოვიძახე. არ ვიცი, იმ ქალმა როგორ მოახერხა, მაგრამ ვიდრე მე მასზე ვზრუნავდი, მობილური ტელეფონით დისშვილისთვის დაურეკავს. ჰოდა, სახლის პატრონმა მოისმინა, თუ როგორ ვეუბნებოდი დეიდამისს: — ახლა „სასწრაფო“ მოვა და მოგხედავს... იმედია, ენას კბილს დააჭერ და დისშვილის სიცოცხლეს საფრთხეს არ შეუქმნი-მეთქი!.. დამფრთხალი მიცქერდა და მეხვეწებოდა: — არ მიმატოვო, მოვკვდებიო!.. „სასწრაფოსთვის“ მაინც არ დაგვიცდია — მე და ჩემი მეწყვილე მანქანისკენ გავიქეცით...

სახლის პატრონს კარის მეზობელთან დაურეკავს: — დეიდაჩემმა ზარი გამოუშვა, რაღაც ცუდი ხდება და სანამ პოლიცია მოვა, იქნებ რაიმე გაარკვიოო!.. ის კაციც მაშინვე გამოსულა სიტუაციის დასაზვერად და ცხადია, შეგვამჩნია, ჩვენი მანქანის ფერი, ნომერი დაიმახსოვრა და პოლიციას ინფორმაცია დაწვრილებით მიაწოდა...

მოკლედ, რამდენიმე ეკიპაჟი დაგვედევნა. მათგან დასხლტომას კარგა ხანს ვცდილობდით, მაგრამ საბოლოოდ, ხელში ჩაგვიგდეს... აი, ასე სულელურად „ჩავვარდით“ იმ დედაბრის გამო, რომელიც სასიკვდილოდ ვერ გავიმეტე, თუმცა მისიც მესმის — შეეშინდა, დისშვილი მართლა არ მომიკლანო და „ჩაგვიშვა“... იმ „ავტორიტეტიანი ღორის“ (გაძარცულს ვგულისხმობ) მონდომებით, ბუნებრივია, მაქსიმუმი მომისაჯეს...

ახლა მხოლოდ იმ იმედს ვებღაუჭები, რომ მოხდება სასწაული და დროზე ადრე გამომიშვებენ. ჩემი დის, უფრო მეტად კი დისშვილების გამო ვნერვიულობ — 16 და 18 წლის ბიჭები არიან, ახლა უნდოდათ პატრონი და მატერიალური მხარდაჭერა. მეშინია, მათაც ჩემსავით „არ აუცდეთ ფეხი“ იმ უსამართლობის გამო, რომელიც საქართველოშია გამეფებული...

კიდევ კარგი, ყველა ადამიანი ერთნაირად უმადური არაა და ერთმა ჩემმა ძველმა ნაცნობმა, რომლისთვისაც გაჭირვებისას ბევრჯერ გამიმართავს ხელი, 18 წლის ლევანიკოს ბარში დააწყებინა მუშაობა და იმაზე მეტ ხელფასს უხდის, ვიდრე სხვებს... სხვებიც ცდილობენ, ჩემს დას შეძლებისდაგვარად დაეხმარონ. აქედან კიდევ ერთი დასკვნის გაკეთება შეგიძლიათ — „შავ სამყაროს“ კი ეძახიან იმ წრეს, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ, მაგრამ „სითეთრე“ და სიკეთე აქ მეტად ფასობს!..

ჩემი ერთი კლასელი პარლამენტარია. სიმართლე გითხრათ, ისიც მიკვირს, საიდან აღმოაჩნდა იმის ნიჭი, რომ მთავრობაში შეაღწია. მერწმუნეთ, მისი ოჯახი ჩემსაზე მდიდარი და შეძლებული ნამდვილად არ იყო. მეტიც, შეიძლება ჩემზე უფრო უჭირდა და ვინ იცის, იქნებ არანაკლებ დაებოღმა და მოეწამლა სული. პრინციპში, ისიც ქურდია, ოღონდ ჩემგან განსხვავებით — ელიტური... ხშირად, კლასში მის ყოფნას ვერც ვამჩნევდით, არც ინიციატივა გამოუჩენია რაიმე საქმეში, ახლა კი ისე გამოვიდა, რომ ყველას გვაჯობა ჭკუით: რამდენიმე ბინა აქვს დედაქალაქში, სოფელში კი ისეთი სახლი, უფრო სწორად, სასახლე აიშენა, რომ ამ საოცრების სანახავად ხალხი ექსკურსიაზე დადის. არადა, პარლამენტში არავის არასოდეს უნახავს მიკროფონთან მისული და სიტყვით გამოსული, ისევ ჩუმად და შეუმჩნევლად დაძვრება ყველგან, ვირთხასავით...

ვიდრე დამიჭერდნენ, რესტორანში შევხვდი, შემთხვევით. მივესალმე და შევატყვე, არ ესიამოვნა — უცებ მომიშორა თავიდან. არადა, ჩემი კოორდინატების მიცემა მინდოდა: იქნებ რამეში დაგჭირდე-მეთქი...

როცა დამიჭირეს, ჩემი და მასთან მისულა. ის კაცი, ვისი სახლის გაქურდვასაც გადავყევი, მისი წრიდანაა და თუ დაელაპარაკებოდა, შეიძლებოდა, ბევრად ნაკლები წელი მოესაჯათ ჩემთვის. მას ჩემი დისთვის არც მოუსმენია, — ასეთ საქმეებში არ ვერევიო! — მოკლედ უთქვამს. იმედია, ამ აღსარებას ჩემი „მეგობარი“ პარლამენტარიც წაიკითხავს და მიხვდება, რომ ჩემზე არანაკლები ქურდი და ნაგავია...

ციხეში ფიქრისთვის ბევრი დრო აქვს ადამიანს. აქ კაცი თითქოს, ფილოსოფოსად ყალიბდება და ზოგჯერ, ე.წ. გზას აცდენილი ბიჭების მსჯელობას გაოგნებული ვუსმენ — მათ, ასე ვთქვათ, პატიოსან ადამიანებზე არანაკლებ სტკივათ გული გაჭირვებულების გამო, არაჩვეულებრივად და რაც მთავარია, საღად აზროვნებენ...

არავინ იბადება ქურდად და მკვლელად — ეს ბედისწერაა, რომელსაც ვერსად გაექცევი; იმაზეც ბევრი რამ ყოფილა დამოკიდებული, თუ როგორ გარემოში გიწევს ცხოვრება... როცა აქედან გამოვალ, ჩემთვის ახალი ცხოვრების დაწყება გვიანი იქნება. ჰო, ქურდი ვარ და ამ საქმის მეტი არაფერი ვიცი; არც ის დაიჯეროთ, რომ ციხეში კაცის გამოსწორება ადვილია, პირიქით — აქ შესაძლოა, ადამიანს გული და გონება იმდენად დაუმძიმდეს, რომ უფრო დაიბოღმოს, მთელ ქვეყანაზე მოუნდეს შურისძიება...

წლევანდელ საშობაო ეპისტოლეში ჩვენმა ბრძენმა კათოლიკოს-პატრიარქმა, რომელსაც უზომოდ დიდ პატივს ვცემთ, რადგანაც არასოდეს ვავიწყდებით და ჩვენი ყველაზე უკეთ ესმის, ხალხს მოუწოდა: — არ დაივიწყოთ პატიმრები. ისინი კი არ განსაჯოთ, არამედ შეძლებისდაგვარად, მხარში ამოუდექით და მათთვის არც მოწყალება დაინანოთო... თანადგომა და ადამიანური თანაგრძნობა აქ მართლა, ყველაზე მეტად გვჭირდება. ნუ გვიყურებთ ისე, როგორც კეთროვნებს და სისხლისმსმელ ბოროტ არსებებს. ჩვენც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ, მაგრამ თქვენგან განსხვავებით, არ გაგვიმართლა და ციხეში ამოვყავით თავი...

პატივისცემით, სოსო ს-ძე“.

ძველი სახლის მისწრაფა...

ინგა ჯაყელი

ბატონი სოსო სოფელში გაიზარდა, მაგრამ როცა სასწავლებლად ქალაქში წავიდა, მიუხედავად მამის თხოვნისა, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ უკან დაბრუნება აღარ მოინდომა.

— ახალგაზრდა ვიყავი და ქალაქის ბრწყინვალებამ მიმიზიდა. თანაც, დედისერთა გოგოს შევუყვარდი. ქონება ჰქონდათ და კაცის პატიოსნების გარდა, არც არაფერი აინტერესებდათ. ჰოდა, ზედსიძედ სიამოვნებით მიმიღეს...

დედა აღრე გარდამეცვალა. მე და ჩემი და ბებიამ და მამამ გაგვზარდეს. მათ ძალიან მოეწონათ ჩემი რჩეული, მაგრამ იმის გამო, რომ სოფელში აღარ დავბრუნდებოდი, რაღაცის შეეშინდათ — საქმე ის არის, რომ ბებიას მისტიკური მოვლენების საოცრად სჯეროდა. ის თავადაც დედისერთა იყო და მამის სახლში ცხოვრობდა, მიუხედავად იმისა, რომ ბაბუაჩემსაც ჰქონდა სახლკარი და ჩასიძება არაფერში სჭირდებოდა. ბაბუა საცოლის ხელის სათხოვნელად რომ მისულა, სასიმამროს გაუფრთხილებია, — ეს სახლი მამაჩემის ბაბუის აშენებულია. როცა კვდებოდა, შთამომავლებისთვის უთქვამს: აქაურობა არ აჭედოთ, თორემ თქვენი ცხოვრება უბედურებით აივსებაო...



რადგან ბებიას და-ძმა არ ჰყავდა, ჩასასიძებელ კაცს ეძებდნენ, მაგრამ ვერც დიდ სიყვარულს დაუდგნენ წინ და გაათხოვეს... თავიდან ბებია ქმრის ოჯახში ცხოვრობდა, მაგრამ მამიმისს, სიკვდილის წინ შვილისთვის შინ დაბრუნება კატეგორიულად მოუთხოვია: — არ ვიცი, „სახლის სულია“ თუ მოჩვენებად დაბრუნებული ბაბუაშენი, მაგრამ ღამღამობით სახლში ვიღაც დადის და მისი ხმაც მესმის. ის მეუბნება, რომ თუ ჩემი სიკვდილის შემდეგ სახლის კარი აიჭედება, ვერ გაიხარებთ!..

ბებიას მაშინვე მოუნდომებია უკან დაბრუნება, მაგრამ ქმარს დაუცინია: მოჩვენებების როგორ გჯერა, რა სისულელეა?! აგერ ნახავ, რომ არაფერიც არ მოხდება. მამაშენი რაღაცას იგონებს, ეშინია, მისი ოჯახი არ გაპარტახდესო...

ბებიას სხვა რა გზა ჰქონდა, ქმარს დაემორჩილა, მაგრამ მამამისის გარდაცვალებიდან 40 დღეც არ ყოფილა გასული, რომ 4 წლის შვილი გარდაეცვალა. მოგვიანებით, 9 წლის ვაჟი ხიდან გადმოუვარდა და ხერხემალი დაუზიანდა, საწოლს მიეჯაჭვა; შემდეგ 8 წლის ასაკში, მამაჩემს შეეყარა რაღაც ინფექცია და რადგანაც ბავშვს სიცხე ვერაფრით დაუწიეს, გამწარებულ ბებიას მტკიცედ უთქვამს: — შინ ვბრუნდებიო!..

თქვენ წარმოიდგინეთ, იმ სახლში გადაბარგდნენ თუ არა, მამაჩემი მაშინვე გამოჯანმრთელდა, ინვალიდის ეტლში მჯდომმა ბიძაჩემმა კი იმის მტკიცება დაიწყო: — ღამღამობით თეთრებში ჩაცმული მამაკაცი მოდის, ზურგზე მეფერება და მარწმუნებს, რომ მალე გავლას შევძლებო!..

გინდ დაიჯერეთ და გინდ — არა, მაგრამ ბიძაჩემმა ფეხი ხელახლა აიდგა, მისი გამოჯანმრთელებით ექიმებიც კი გაოგნებულები იყვნენ... ამის შემდეგ ბებიაჩემი დარწმუნდა, რომ „სახლის სული“ იყო ყველაფერში დამნაშავეცა და მისი მშველელიც...

დედა ჩემზე მშობიარობას გადაჰყოლია. მამას ის ძალიან უყვარდა და სხვა ქალზე დაქორწინება ვეღარ შეძლო. მამა და ბებია მეუბნებოდნენ, რომ ძველ სახლში უნდა მეცხოვრა, რომ ეს ჩემი ვალი იყო. მართალია, მათ დავპირდი, ადრე თუ გვიან, დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ... ჯერ მამა გარდაიცვალა, მერე ბებია და მეც, სახლის კარი „ავჭედე“...

ერთხელ ბიძაშვილმა შემომითვალა, — სასწრაფოდ ჩამოდიო. რა თქმა უნდა, ჩავედი. ნათესავმა მითხრა: — ღამღამობით შენი სახლის ფანჯარაში შუქს ვხედავთ, თითქოს, სანთელი ანთია. თავიდან შენ გვეგონე ჩამოსული და გეძახდით, მაგრამ რომ არ გვაგონებდი, კარს ვაღებდით და შუქიც ქრებოდაო!..

ვაღიარებ, შემეშინდა...

იმ ღამეს ძველ სახლში დავრჩი. სიზმრად მამა და ბებია ვნახე — ორივე ტიროდა და სოფელში დაბრუნებას მეხვეწებოდა: ჩამოდი, აქ იცხოვრე, თორემ უბედურება დაგაბრუნებს უკანო! — შიშისგან გამეღვიძა. დავინახე, სასტუმრო ოთახში სანთელი ენთო. როცა ოთახის კართან მივედი, მომეჩვენა, რომ იატაკზე ფარანი იდო, მაგრამ მივუახლოვდი თუ არა, სინათლე ჩაქრა და ვერც ფარანი ვიპოვე სადმე...

მეორე დღესვე გავიქეცი ქალაქში. გული საშინლად მქონდა დამძიმებული და ძველი სახლისკენ გახედვაც აღარ მინდოდა...

მოულოდნელად, 14 წლის გოგონა გამიხდა ავად — ექიმებმა ანემია დაუდგინეს და მირჩიეს, სამკურნალოდ სასწრაფოდ, გერმანიაში წამეყვანა. მხოლოდ მაშინ დავიჯერე, რომ ძველ სახლზე მისტიკურად ვიყავი მიჯაჭვული... ცოლს ყველაფერი ვუამბე და სასწრაფოდ, სოფელში წავედით. ორი დღის შემდეგ, როცა ბავშვმა სიზმრად ნანახი გვიამბო, მისტიკის საბოლოოდ ვირწმუნე: ვიღაც თეთრებში ჩაცმული მამაკაცი მოდის და მეუბნება, რომ მომარჩენსო! — მაშინვე ინვალიდის სავარძლიდან წამომდგარი ბიძა გამახსენდა... მართლაც, ჩემი გოგონა ექიმების ჩარევის გარეშე განიკურნა.

მას შემდეგ ქალაქში სახლი გავყიდეთ და საბოლოოდ გადავბარგდით სოფელში... გოგონები უკვე გავათხოვე. ორი ვაჟი მყავს და ორივემ იცის, რომ სოფელი არ უნდა მიატოვოს. საბედნიეროდ, მათ ჩემზე მეტად სჯერათ სასწაულების!..

■

ხალხის ნერვებზე „მოკაიფე“ წყვილი და რა პონტი „ეძრობა“ ღამის კლუბებში

„თუ კაცი ქალს პატივს გცემს, ბაღში არ უნდა „დაგაყუდოს“

მაშინ, როცა ფულიანი მამიკოების შვილები ღამის კლუბებსა და დისკოთეკებს არ აკლდებიან, რესტორანსა თუ ბარში კლავენ დროს, სხვები მხოლოდ პარკებსა თუ ბაღში ჯდომით კმაყოფილდებიან, მზესუმზირის ჭამით ირთობენ თავს და თან, გამვლელებს „ბურღავენ“. ზოგიერთ მათგანს, გამვლელები ნაკლებად აღელვებს (ცხადია, ვგულისხმობ იმათ, ვინც შეყვარებულთან ერთად სტუმრობს პარკს), მათ ზედაც არ უყურებს, უფრო მეტიც, „საქმეში“ ისეა გართული, რომ სხვების გაოცებულ, ზიზღნარევ და ირონიულ მზერასაც ვერ გრძნობს.

ლიკა ქაჯაია

ნიაკო, *17 წლის:*

— ამ პარკში ხშირად ჩამოვდივარ. სხვათა შორის, საყვარელ ადამიანსაც აქ ვხვდები ხოლმე და ვცდილობთ, ერთფეროვანი ცხოვრება აქ ყოფნით გავილამაზოთ.

— **საინტერესოა, პარკში ამას როგორ ახერხებთ?**

— კარგად (*იცინის*). ხალხზე ვკაიფობთ — ვიღაცების რეაქციებს ვაკვირდებით და ვხალისობთ. მაგალითად, ამას წინათ ცოლ-ქმარი მოსეირნობდა. მათ დასანახავად, შეყვარებულს კისერზე ჩამოვეკონწიალე და ხმამაღლა ვუთხარი, — თუ არ მაკოცებ, თავს მოვიკლავ-მეთქი. იუარა: — ვერ გაკოცებ, ხალხი რას იფიქრებსო? — ხალხი არ ვიცი, რას იფიქრებს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ თავს მართლა მოვიკლავ-მეთქი... ჩემს „ლოვეს“ ჩემი „სიკვდილის“ შეეშინდა და „დამეწაფა“. კაცი გაშრა, ქალი წამოწითლდა და სულ „ფუჰ, ფუჰ“-ს ძახილით დაგვშორდნენ. იქვე ვიღაც ქალიც მდგარა, რომელმაც ქოქოლა მომაყარა და დასძინა: სად გაიზარდე, შე გაუზრდელო (*იცინის*)?!

— **ეი. სხვების ნერვებზე თამაშით ირთობთ თავს?**

— ასე გამოდის!

— **შენმა მშობლებმა იციან, გამვლელები გაუზრდელს რომ გეძახიან?**

— ხომ არ გაგიუდი? ეს რომ გაიგონ, მომკლავენ.

— **რატომ აკეთებ ისეთ რამეს, რაც დედამამას არ მოეწონება?**

— იმიტომ, რომ ასე მინდა! მომწონს ეს ყველაფერი... ალბათ, რაღაც პერიოდის შემდეგ ასეთი სისულელეებით ვეღარ გავერთობი. შესაძლოა, წლების მერე ჩემ მიერ ჩადენილი სიგიჟეები დამავიწყდეს და ახალგაზრდები თავადაც გავაკრიტიკო, მაგრამ ჯერჯერობით, ეს ყველაფერი მომწონს.

— **ოჯახში შენნაირი რძლის შესვლას ვერავინ ინატრებს...**

— რატომ, დედამთილი მხიარულად იცხოვრებს ჩემთან ერთად (*იცინის*). შენ გგონია, ყველგან და ყოველთვის ასეთი გიჟი ვარ? არა, ჩემო კარგო, როცა საჭიროა, სერიოზულიც გახლავარ. მერწმუნე, მხოლოდ ამ პარკში ჩამოსული ვაძლევ თავს უფლებას, სიგიჟეები ჩავიდინო და განვიტვირთო.

მაკო, *18 წლის:*

— შეყვარებულთან ერთად პარკში ჯდომა და მზესუმზირის „ფურთხება“ რა პონტია?! ღმერთო ჩემო, რომელ საუკუნეში ვართ?.. სხვათა შორის, აქ გავიცანი ჩემი საქმრო და პაემნებსაც ტრადიციისამებრ, პარკში ვუნიშნავთ ერთმანეთს, მაგრამ მერე აუცილებლად, სხვაგან მივდივართ ხოლმე. აბა, მთელი დღე აქ რა დაგვსვამს? — ხან ბარში მივდივართ, ხანაც თეატრში ან კინოში...

— **დისკოთეკები და ღამის კლუბები არ გხიბლავთ?**

— როგორ არა?! ზოგჯერ ასეთ დაწესებულებებსაც ვსტუმრობთ. თუმცა ღამის კლუბებში ისე კარგად ვერ ვერთობით.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ არ ვეწევი, არ ვსვამ, ასეთ დაწესებულებებს კი ძირითადად, მწეველები და ალკოჰოლის მოყვარულები აფარებენ თავს... საერთოდ, მიმაჩნია, რომ ქართველებმა გართობა არ ვიცით. ბევრი ტრაბახობს, — კლუბში ვიყავი და მაგარი პონტიც „გავაძრე“, ირგვლივ მყოფები თავს მევლებოდნენო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იქ მოწყენილობისგან თითებს იკვნეტდნენ (*იცინის*).

— **იქ თუ ასეთი საშინელებაა, წესით, იშვიათადაც არ უნდა მიდიოდე...**

— თუ ღამის კლუბში რაიმე საინტერესო ეწყობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში მივდივარ — სანახაობას ვუყურებ, სიმღერებს ვუსმენ, ცოტას წავუცეკვებ და როცა სიტუაცია აირევა, სახლში მივდივარ. ვიღაც აბეზარების ღლაბუცი სიამოვნებას ნამდვილად ვერ მომანიჭებს.

სალი, *19 წლის:*

— პარკში იშვიათად ჩამოვდივარ, ხოლო რაც შეეხება ღამის კლუბებს, ასეთ დაწესებულებებში სიარული ძალიან მომწონს, თუმცა ამის საშუალება იშვიათად მეძლევა... პარკში დროის სატარებლად კი არა, დასასვენებლად და შეყვარებულთან სალაპარაკოდ მოვდივარ, ღამის კლუბში კი წესით, ისე უნდა გაერთო, რომ შინ დაღლილი წახვიდე.

— **ღამის კლუბში ყველაზე დიდხანს, რომელ საათამდე გაჩერებულხარ?**

— დაახლოებით, ოთხ საათამდე.

— **და ამის გამო მშობლები არ გიჯავრდებიან?**

— არა, პირიქით, ისინი ამაში ხელს მიწყობენ (*იცინის*). რა თქმა უნდა, ღამით ბორიალს მიკრძალავენ. თუმცა, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ვისთან ერთად და სად მივდივარ. ჩემს მშობლებს ჩემი სჯერათ, მაგრამ არსებობს შიშის მომენტი, რომ რაღაც ცუდი არ დამემართოს და მე მათი მესმის... ისე, გვიან ღამით შინიდან მარტო გამოსვლას ნამდვილად ვერ გავბედავ. სადმე გარეუბანში რომ ვცხოვრობდე და არა რუსთაველზე, ახლომდებარე პარკშიც არ ჩავიდოდი.

— **რატომ?**

— გარეუბანში მეტი რისკია იმისა, რომ ვიღაცამ შეგაშინოს. რა ვიცი, ასე მგონია და... ის კი არა, ახლაც არ ვაპირებდი გამოსვლას, მაგრამ ჩვენთან ძალიან მძიმე ჰაერია — ირგვლივ ყველაფერს არემონტებენ და ჟანგბადის ნაცვლად, შეიძლება ითქვას, რომ მტვერს ვსუნთქავთ. ჰოდა, რუსთაველის პროსპექტის მცხოვრებლებისთვის პარკი ის ერთადერთი ადგილია, სადაც სუფთა ჰაერის ჩაყლაპვის შესაძლებლობა გეძლევა და ხმაურისგანაც ისვენებ...

ხატია, *18 წლის:*

— იცი, შეყვარებული არასდროს მყოლია და აქედან გამომდინარე, ვერ გეტყვი, მასთან ერთად სად წავიდოდი. ყოველ შემთხვევაში, ზუსტად ვიცი, რომ პარკში არ დავჯდებოდი.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ ეს მისი მხრიდან არაკაცური საქციელი იქნება. თუ კაცი ქალს პატივს გცემს, ბაღში არ უნდა „დაგაყუდოს“. „ლოვემ“ ისეთი გარემო უნდა შეგიქმნას, სადაც თავს მყუდროდ იგრძნობ... ისე, ერთფეროვნებაც მოსაბეზრებელია და სულ ერთსა და იმავე კაფეში შესვლას, გამუდმებით თურქული ყავის სმასაც ვერ შევეგუები.

— **საინტერესოა, ახლა სად და როგორ ერთობი?**

— გართობისთვის არ მცალია, რადგან აბიტურიენტი ვარ. თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად, ბარში შევდივარ ან პარკში ვიკრიბებით და მერე ქუჩა-ქუჩა დავეხეტებით...

— **ღამის კლუბებში სიარული არ გხიბლავს?**

— ასეთ დაწესებულებებში არასდროს მივდივარ და რესტორანსაც ვერ ვიტან.

— **პარკში სასეირნოდ ჩამოსულს, ბიჭები არ გაწუხებენ?**

— ცდილობენ, მაგრამ არაფერი გამოსდით, რადგან აქ ვიღაცების გასაცნობად არ მოვდივარ...

ამ გოგონებთან ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ, ერთი „ქალებზე მონადირე“ (სწორედ ასე უწოდებს გიო საკუთარ თავს) გამახსენდა, რომელიც ხშირად დაბორიალებს ვერის პარკში. მან ჩემთან ლაპარაკისას აღიარა:

— აქ კარგი ნაშები „ეძრობიან“ და ამიტომაც მოვდივარ. აბა, ალექსანდრეს ბაღში რამ უნდა მომხიბლოს?

— **ნაშები სადმე სხვაგან, მაგალითად, ბარში ან ღამის კლუბში არ „ეძრობიან“?**

— კი, მაგრამ ისინი ძირითადად, მეგობარ ბიჭებთან ან ვიღაც „მეთვალყურესთან“ ერთად მოდიან, რადგან მათ შინიდან მარტოებს არ უშვებენ, აქ კი თავისუფალი არჩევანის წინაშე ხარ — მიდი და ვისაც გინდა, დაელაპარაკე.

— **შენთან ლაპარაკს არავინ გაურბის? ყველა სიამოვნებით გეცნობა?**

— უარი რატომ უნდა მითხრან? ცუდი ბიჭი ვარ? ისე, ყოფილა მსგავსი შემთხვევები, მაგრამ ეს იმის ბრალია, რომ გოგონებს თავპატიჟი უყვართ. ზოგიერთები თავიდან „ინაზებიან“, ცოტა ხანში კი ისე თამამდებიან, ახალგაცნობილთან „ზასაობაზეც“ არ ამბობენ უარს და თუ პარტნიორთან კოცნაობა მოეწონათ, მერე საწყალ ბიჭებს „კალთებს ახევენ“.

— **ეს ხშირად ხდება?**

— არც ისე იშვიათად. ერთი გოგო ძლივს მოვიშორე თავიდან. ახალგაცნობილს, სახლამდე გამომყვა და მეუბნებოდა, — შენთან უნდა ამოვიდეო.

— **ამით რისი თქმა გინდა, მაგარი ბიჭი ხარ?..**

— არა, მაგარი სულაც არ ვარ, მაგრამ ამქვეყნად ცოტა გადარეული ნამდვილად არაა, მე კი, შეიძლება ითქვას, ასეთებს მაგნიტივით ვიზიდავ...

— **როგორ მეცოდები...**

— ჰო, ზოგჯერ ბიჭები ცუდ სიტუაციაში ვვარდებით და მართლაც საცოდავები ვართ... ზოგიერთი გოგონა აუღებელი ციხესიმაგრეა, მაგრამ ეს გარეგნულად ნამდვილად არ ეტყობა. არ მესმის — ასეთები, თანაც, სექსუალურად ჩაცმულები შუაღამისას პარკში რისთვის ჩამოდიან?..

— **დასასვენებლად, სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად, ქალაქის ბუღისგან თავის დასაღწევად და გასაგრილებლად...**

— მაშინ, მშობლებთან ან ძმასთან ერთად ჩამოვიდნენ და მათ შეწუხებას ვერავინ გაბედავს! გოგონებმა კარგად იციან, რომ აქ, ყველა ვარიანტში, ვიღაც „აეკიდება“.

— **რატომ უნდა „აეკიდოს“?**

— აბა, რისთვის ჩამოვდივართ პარკში?! ჩვენ გაგრილება ნამდვილად გვჭირდება, მაგრამ ამას როგორმე, პარკში მოსვლის გარეშეც მოვახერხებთ (*იცინის*)...

— **ალბათ, ასეთი „აუღებელი ციხესიმაგრეები“ აბეზარ ბიჭებს საკადრის პასუხს გაგცემენ...**

— ჰო, მაგრამ ყველა ჩემნაირი ლმობიერი არ იქნება და თუ გოგონა მართლაც, მხოლოდ გასაგრილებლადაა მოსული, ისიც უნდა იცოდეს, რომ კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანს. ქალები თავს უნდა გაუფრთხილდნენ და იცოდნენ, რომ სეირნობასაც თავისი დრო აქვს.

— **ეი. თქვენი შიშით, ქუჩაშიც არ უნდა გამოვიდნენ?**

— ასე გამოდის (*იცინის*).

— **ვთქვათ, პარკში შენი და სეირნობს და არ იცის, რომ შენც იქვე ხარ. მას ვიღაც რომ „აეკიდოს“ და ისიც დაელაპარაკოს, როგორი რეაქცია გექნება?**

— ძალიან ცუდი. იმწუთასვე მასთან მივალ და სახლში წასვლას ვუბრძანებ. თუ არ დამემორჩილება ან ენას შემომიბრუნებს, შეიძლება, ხელიც დავარტყა და ამ დროს არც მისი მეგობრების მომერიდება და არც — უცხო ადამიანების...

— **მკაცრი ყოფილხარ. აქ გაცნობილ გოგონას ცოლად მოიყვან?**

— თუ ე.წ. „ციხესიმაგრე“ იქნა, მაგრამ მისი დამორჩილება მოვახერხე, მასზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყვი, მაგრამ ისეთ გოგონას, რომელიც ერთი დალაპარაკებისთანავე შარვლის კალთაზე ჩამომეკიდება, სერიოზულად ვერ შევხედავ. ისე, რა ვიცი, შეიძლება, სიყვარულმა ტვინი გადამიბრუნოს და ცოლად ასეთიც შევირთო... ■

„მგზავრები“ — ჯგუფი, რომელზეც „ჭკუა ეკეტებათ“

REGISTRATION FORM:

„ნეტა, როდის უნდა მომბეზრდეს მათი მოსმენა?! თვეზე მეტია, ამ ბიჭებს ვუსმენ და სულ უფრო ვგიჟდები „მგზავრებზე“.

>>>

„მიყვარს, თანაც — ძალიან. ის ერთ-ერთი ფავორიტი ჯგუფია ქართულ მუსიკალურ სივრცეში. მათი მუსიკა მამშვიდებს...“

ტასიკუნა ტასო:

„ნეტავ, ქუთაისში არ ჩამოვლენ? მათ მთელი სულითა და გულით ველოდებით“.

ვახ-ჩემი:

„რას იკისრებთ? მე ჩამოვიყვან“.

ტასიკუნა ტასო:

„არ გვეშლება სტუმრების პატივისცემა“.

რავი-შენ:

„როგორ მიყვარს ეს ჯგუფი, თქვენ ხომ არ იცით... არადა, მაგათ კონცერტზე ნამყოფიც არ ვარ. გიგიზე ჭკუა მეკეტება. მგონი, „მგზავრი“ რომ არ იყოს, მაგ ბიჭზე მაინც „დამეკეტებოდა“.

KAPELLA:

„მგზავრები“ ძალიან კარგი ჯგუფია. საოცრად ნიჭიერები არიან. ერთ-ერთი საუკეთესო ქართული ჯგუფია. წარმატებებს ვუსურვებ მათ!“

Pc-AMD:

„ძაან კაი ჯგუფია, მაგრამ ერთი რამე მაინტერესებს — რადიოები რატომ არ ატრიალებენ „მგზავრების“ სიმღერებს? ეტყობა, თავად არ მიაქვთ სიმღერები, თორემ სადაც ნიაზას უთმობენ ეთერს, ამათ შემოქმედებას რატომ არ დაატრიალებდნენ? არადა, ფაქტია — მოდურია და ბევრს ევასება“.

ერო:

„ვისთვის არის „მგზავრები“ საყვარელი ჯგუფი?“

ლემონა:

„თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ არაფერისმომცემი ტექსტები აქვთ და ერთი-ერთში ნიაზას ჰგვანან, მაშინ 1-2 ჭიქაგადაკრულზე, გოგოებისთვის თავის მოსაწონებლად და ბუნებაში სამღერად „ქაჩამს“, რა ანუ ძალიან მსუბუქად მოსასმენი, გასართობი ახალგაზრდული (19 წლამდე) მუსიკაა, რა“.

SABBATH:

„იცით, რატომ არ მომწონს „მგზავრები“? ამის 2 მიზეზი მაქვს:

მიზეზი პირველი — მძღოლმა, ამათი „ალუბლები შავ ღვინოში“ თუ მსგავსი რაღაც რომ აქვთ, იმის 30-ჯერ მოსმენის შემდეგ, მანქანა ჰაერში ამოატრიალა და დღეს, მარცხენა ყურის ნახევარი აღარ მაქვს (ნუ, ეს ძალიან პირადული);

მიზეზი მეორე — ეს „ნიაზური“ და „ძალიან ქართული“ მუღამი რა პონტში აიღეს? მოდაშია? ნუ, პირადად მე, ნამდვილად არ მომწონს, მაგრამ ვისაც მოსწონს, მოუსმინოს, რა. და კიდევ, ერთი რჩევა ამ ჯგუფის წევრებს — კარგი იქნება, თუ ცოტა მაინც გაერკვევით იმაში,

როგორ უნდა ისაუბროთ კამერის წინ. საწყენად არ მიიღოთ!“

ტოკრინე:

„არც მე ვარ მათი აქტიური მსმენელი, მაგრამ არსებობს მომენტები, როდესაც „მგზავრების“ მოსმენა სასიამოვნოა. და კიდევ, მათ მუსიკას ვერც ნიაზისეულს ვერ დავარქმევდი და ვერც მდარე ხარისხის მუსიკას ვუწოდებდი“.

თაკჩო:

„ვაფშედა, ნიაზი რეგეს უბერავს ხოლმე და „მგზავრებიც“ ამას უკრავენ, ხომ?.. აი, რატომ ადარებენ „ვვა“-ს და „მგზავრებს“, ამას კი ნამდვილად ვერ ვხვდები“.

JASQUES DE MOLAY:

„13-14 წლის თინეიჯერებმა დიდი როლი ითამაშეს იმაში, რომ „მგზავრები“ და „ფრანი“ მეზიზღება“.

ხვიარა:

„ვვა“ და „მგზავრები“ საერთოდ არ ჰგავს ერთმანეთს. რაღაც სნობური დამოკიდებულებაა ანუ ვიღაცამ თქვა და აიტაცეს... კარგით, რა. „მგზავრების“ მსგავსი პოლიფონია რომელს აქვს ნეტა — ნიაზას თუ ზუმბას? მართლა ავტორიტეტები წყვეტენ ყველაფერს, რა“.

BALLBREAKER:

„ეჰ, არადა, ამათი „პეზდეც“ პოლიფონიური, თვალებდახუჭული ძალით სიმღერები როგორ მაღიაზიანეეებს“...

CRUSADERS:

„მგზავრები“ ძალიან მაგარი ჯგუფია. ჯიგრული სიმღერები აქვთ. ვინ რას ფიქრობს, არ ვიცი, მაგრამ მე მომწონს“.

MATT-TUCK:

„აუ, მაგრად მომწონს ეს ჯგუფი. უბრალოდ, ერთი შენიშვნა მაქვს — იქნებ, კარგი ხარისხის სიმღერები სტუდიაში ჩაწერონ!!!“

გუდაბარ:

„თქვენ გენაცვალეთ, ჯიგარში. ახლა „ბუხოი“ ვარ, გისმენთ და „იმენა“ მაგრად „მისწორდება“. გაიხარეთ, ბიჭებო, ნაღდი ქართველები ხართ, ჭირიმე თქვენი“.

AMQVSEXSTRA TERRESTRIAL:

„ძმის გული, მართალი ხარ, ჯიგარო, „იმენა“ ქართველი ტიპები არიან; „დაჟე“, გაუპარსავები დადიან — ეს ხუმრობით. მაგრა მევასება ეგ „როჟები“, რა. აზრზე ხარ, მაგათთან ერთად სუფრასთან ჯდომა რა იქნება? — გიტარებით ხელში რომ დაუკრავენ: „სევდით სავსე, სიყვარულის თასი თან დააამააააქვს“. ძალიან „მისწორებს“ ეს სიმღერა. ჰოდა, ვისაც უნდა, ავუტვირთავ მაგარ ხარისხში“.

მოკლედ, ფორუმზე უმეტესობა, „მგზავრების“ ქება-დიდებაში იყო მანამ, ვიდრე დაიდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართებოდა კონცერტი (იგულისხმება 16 მაისს გამართული კონცერტი), სადაც ბილეთის ფასი 15-20-25-30 ლარი გახლდათ.

დირექცია:

„ყოველმხრივ ძველი, დრომოჭმული, გაუფასურებული, არაფრის მაქნისი მუსიკა, არაფერი საინტერესო, არაფერი ახალი — არც მელოდიაში, არც არანჟირებაში, არც პროდიუსინგში, არც ტექსტში, არც ხასიათში და მაინც, სავსეა ფილარმონია. ეჰ, საქართველო...“

G2009G:

„როგორ იფასებენ თავს.... და ორგანიზატორებსაც ეს „ვაი-მუზიკანტები“ კარერასი, დომინგო ან უანდერი ხომ არ ჰგონიათ, ბილეთი რომ ასე ძვირი ღირს?! ვაი, იმის პატრონს, ვინც დედალამაზიშვილის (ენას მოიტეხს კაცი) სიმღერაში 30 ლარს გადაიხდის!“

ნატალი 1990:

„რატომ, კარგი ჯგუფია, ნიჭიერი ახალგაზრდები არიან. გიგი ჩემი მეზობელია და რეპეტიციები როცა აქვთ, ვტკბები მათი მოსმენით... მაგრამ ბილეთის ფასი — 30 ლარი მეტისმეტია. მართლა ჩვენი კორიფე — პაატა ბურჭულაძის კონცერტზე ბილეთი მაქსიმუმ, 50 ლარი ღირდა და პაატა „მგზავრებს“ მხოლოდ 20-ლარით „აღემატება“? ახალგაზრდები არიან და ახალგაზრდა მსმენელი ჰყავთ... რას ღორობენ, რა. მაგათ კონცერტზე 15 ლარი „პატალოკია“...

G2009G:

„ძველი გამონათქვამია: თავში ქვა გიხლიათ, მუცელში - სამართებელი!.. გნებავთ, უარესებში 100 დოლარი გადაიხადეთ!“

გუდაბარ:

„ვა, დღეს ვერელობაზე მაგრად „გაასწორეთ“, ბიჭებო, გენაცვალეთ ჯიგარში“.

■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

სამშობლო ხევსურისა

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი ჯუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, – ჩემი სამშობლო ის არი.
არ გავცვლი სალსა ჯლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

მე მირჩევნია შავი ჯლდე, თოვლიან-ყინულიანი,
ორბი რომ ბუდობს, ჩაჩქარით გადმოჭქუხს ბროლი წყლიანი,
ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი...
არ გავცვლი სალსა ჯლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისაკენ იხარის,
სალი ჯლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ იხარის,
იქ მიშობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლეც იმწარის!..
არ გავცვლი სალსა ჯლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,
სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,
არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...
არ გავცვლი სალსა ჯლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

სამშობლო, დედის ძუძი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...
არ გავცვლი სალსა ჯლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

რაფიელ ერისთავი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ბ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-24

გაფუყული (საუბ.) — გაბერილი, გაფხორილი.
გაქრი — 1. ჯიუტი, ოჩანი; 2. სიჯიუტე, სიკერპე.
გენა ძვ. ებრ. — ჯოჯოხეთი, ჯოჯოხეთის ცეცხლი.
გეზელი — მამალი მონადირე ფრინველი.
გეზელქორი — მამალი ქორი.
გელა — ხის ან რკინის კეტი, ცეცხლის საჩხრეკი.
გელაზი — ზეთის სახდელი დიდი მრგვალი ქვა.
გელაქური — კალმახი ერთგვარი: იცის სევანის (ძველად გელაქუნის ანუ გოგჩის) ტბაში.
გემა ლათ. — ძვირფასი ქვა ზედ ამოკვეთილი წარწერით ან რაიმე გამოსახულებით.
გენეზისი ბერძ. (წიგნ.) — წარმოქმნა, წარმოშობა, წარმომავლობა.
გერგილი — შნო, სიმარჯვე, ფხა, მოხერხება.
გერილი — წვიმა, რომელიც წამოუშენს და მალევე გადაიღებს.
გერმა — რბილი, წმინდა ბუმბული (უმთავრესად ბატისა).
გეში — 1. დაკარგულის ან რაიმე საძიებლის მისაკვლევი ნიშანი; 2. ალღო, ჩვევა, გაწაფულობა, გამოცდილება.
გეჯა — მოკლე მორი, რომელსაც გული ამოთლილი აქვს და იხმარება ცხოველებისათვის წყლის ან საჭმლის ჩასასხმელად, სარეცხის გასარეცხად, სკად და სხვ.
გვაბანაკი (ძვ.) — თექის მსგავსი ერთგვარი ზედა სამოსი.
გვარლი — კანაფის ან ფოლადის ბაგირი.
გვერგვი — 1. ხის ან წნელის რგოლი, რომელსაც გადააცვამენ ღობის ორ სარს გასამაგრებლად; 2. კასრზე ჩამოსაცმელი რკინის ან ხის სალტე.
გვიმი — 1. საკვამლე მილის ის ნაწილი, რომელიც სახურავს ზევითაა; 2. ჭის თავზე დადგმული თიხის, ფიცრის ან წნელისგან გაკეთებული ზღუდე, — გვირგვინი, ჭის თავი.
გვირისტი — მჭიდროდ ნაკერი, ნემსის უხარვეზოდ ამოგებით.
გზირი — ძველად სოფლის მოხელე, მამასახლისის ხელქვეითი, მის განკარგულებათა შემსრულებელი, შიკრიკი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რას იტყვის ხალხი

მარი ჯაფარიძე

თამარმა სააბაზანოს კარი მიიხურა... ხალხმრავალი ზეიმის ხმაური კარს მიღმა დარჩა. ხმაურთან ერთად, სტუმარიც — მითური ურჩხული, რომელიც ქალის გონებამ ყველა სტუმრის ერთობლიობით დახატა — ეს მრავალთავიანი „მონსტრი“ ახლა მაგიდასთან ზის, ჩანგლებს ახმაურებს, ჭიქებს აჭახუნებს და პირში ტონობით საჭმელსა და სასმელს იყრის და ისხამს. მის „ყველა თავს“ თავისი სურვილი აქვს: ერთ თავს მარილი სჭირდება, მეორეს — დანა, ამ უგერგილომ კი ღვინო გადაისხა... სტუმრის ყველა საქციელი იქითაა მიმართული, რომ დიასახლისი უბედური გახადოს, მისი ცხოვრება — გაუსაძლისი. მან გამუდმებით უნდა იმოძრაოს, რაღაც მოართვას, წაიღოს, გაწმინდოს... თანაც, ამ დროს ხალისიანად უნდა გამოიყურებოდეს და იღიმოდეს, რომ სტუმარმასპინძლობის წესი არ დაარღვიოს.

თამარი სააბაზანოს კიდეზე ჩამოჯდა და დაღლილი ფეხები მოადუნა. რაღაც დროის განმავლობაში „ურჩხული“ მარტო დარჩა და ქალს ესმოდა, რომ თავებმა ერთმანეთში კამათი წამოიწყეს. ხალხმრავალ სუფრებთან ასეთი კამათი ჩვეულებრივი მოვლენაა. ვინ წამოიწყო კამათი და რაში მდგომარეობს მისი არსი, არავინ იცის, მაგრამ ყველა გაცხარებით ლაპარაკობს. ასეთ დროს ადამიანებს შესაძლებლობა ეძლევათ, თავისი სიმპათია და ანტიპათია გამოხატონ. თითოეული დაახლოებით ასეთი პრინციპით მოქმედებს: „მერე რა, რომ ეს ადამიანი სისულელეს ლაპარაკობს? ძალიან სიმპათიურად გამოიყურება და მე მის მხარეს ვარ“.

ახლა კამათი რომელიღაც მოდური თემის გარშემო მიმდინარეობდა და ეტყობოდა, რომ კარგა ხანს გაგრძელდებოდა, ვიდრე „ყველა თავი“ ცოდნასა და ინტელექტს არ გამოავლენდა, თემა მანამდე იქნებოდა აქტუალური — ყველა ერთსა და იმავეს ილაპარაკებს, ოღონდ, სხვადასხვა სიტყვითა და სხვადასხვა ინტონაციით. დიასახლისის გაუჩინარება ვერავინ შენიშნა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში თამარმა განმარტოება შეძლო.

„35 წელი ცხოვრების დასასრულია,“ — თამარმა ღიმილით გაიხსენა ფრაზა, რომელიც თავის დაბადების დღეზე წარმოთქვა, როცა 18 წლის გახდა. ახალგაზრდობას „გუშინ“ და „დღეს“ არა აქვს, რადგან 18 წლის ასაკში ძნელი წარმოსადგენია, რას ნიშნავს მოწიფულობის ხანა; ხოლო ბავშვობა უკვე დავიწყებულია... ამ დროს ვერ იგებ, რატომ გიყურებენ უფროსი ასაკის ადამიანები ირონიული ღიმილით, სახეზე კი აწერიათ: „ვნახოთ, 10 წლის შემდეგ რას იტყვი“...

— „35 წელი მხოლოდ დასაწყისია, — ხმადაბლა თქვა თამარმა. — სხვათა შორის, არც ისე ცუდად გამოიყურები, მეგობარო“, — სარკეში საკუთარ გამოსახულებას თვალი ჩაუკრა ქალმა.

ის კეკლუცობდა და არა მხოლოდ „კარგად გამოიყურებოდა“, არამედ საკმაოდ ლამაზიც გახლდათ. შავი, მბზინავი თმა მხრებზე ეყარა და ნაცრისფერ თვალებს ხაზს უსვამდა. მაღალი მკერდი და ვიწრო წელი მამაკაცების მზერას იპყრობდა. დაქალები თითქმის არ ჰყავდა. ქალური ჭორაობის წვრილმანები მისთვის მიუღებელი იყო. მთელი მისი ცხოვრება ლოგიკასა და გონიერებას ექვემდებარებოდა, გულის კარნახით და სპონტანურად არასოდეს მოქმედებდა. ყველაფრის აწონ-დაწონა უყვარდა. სწორედ თავისი გაწონასწორებული საქციელითა და გარეგნობით მამაკაცების ყურადღებას იპყრობდა. მიუხედავად იმისა, რომ თამარს საკმაოდ მწარე ენა ჰქონდა, მამაკაცები მის გვერდით თავს კარგად გრძნობდნენ. საპირისპირო სქესთან მისი ურთიერთობის პრინციპი იყო: „არავინ არავისთან ვალდებული არ არის“. ქალი, რომელიც მამაკაცს ვალდებულს არ ხდის, ყოველთვის სასურველია...

მას ასე თუ ისე, ცხოვრება აწყობილი ჰქონდა, გათხოვებაზე აღარ ოცნებობდა. ერთხელ უკვე გათხოვდა, 1 წელი იტანჯა და იქიდან თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა. ყოფილ ქმართან მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნა და მას შვილის გაზრდაშიც აქტიური მონაწილეობის უფლება მისცა.

ახლა ის (ყოფილი ქმარი) სტუმრებთან ერთად იჯდა და ცდილობდა, თავი იმ ოჯახის უფროსად წარმოეჩინა, რომელიც მას უკვე აღარ ეკუთვნოდა. ხუმრობდა, მხიარულობდა, მახვილსიტყვაობდა და ისევე იქცეოდა, როგორც რამდენიმე წლის წინ, როცა ჯერ კიდევ თამარის ქმარი იყო, მაგრამ ცოლყოფილს რომ უყურებდა, მას იმ ალკოჰოლიკის მზერა უხდებოდა, რომელსაც ბოლო „კაპიკებით“ ნაყიდი არყის ბოთლი გაუტყდა. თამარს ეს მზერა წინათ ართობდა კიდეც, ახლა კი ეცოდებოდა ეს ოდესღაც ახლობელი ადამიანი და უკვირდა, როგორ შეიძლებოდა, რომ ისინი ცოლ-ქმარი ყოფილიყვნენ.

ფიქრი ზარის ხმამ შეაწყვეტინა. თამარმა საკუთარ გამოსახულებას კიდევ ერთხელ შეავლო თვალი და ახალი სტუმრების მისაღებად გაემართა. ასეთ დროს მხოლოდ ერთ ადამიანს — მაიკოს შეეძლო მოსვლა. ის მხიარული და ხმაურიანი არსებაა, რომელსაც გარშემო ყველა და ყველაფერი უყვარს. შემოსასვლელში ჯერ უზარმაზარი თაიგული გამოჩნდა, რომლის უკანაც მაიკოს გაღიმებული სახე ბრწყინავდა. მაიკო პატარა ტანის, გამხდარი გოგონაა, მაგრამ ყველაფერი დიდი ზომის მოსწონს —

საჩუქრებით დაწყებული, მამაკაცებით დამთავრებული. ახლაც, მაღალი, მხრებგანიერი მამაკაცი ახლდა.

— თამარ, დაბადების დღეს გილოცავთ, მაპატიე, რომ დავაგვიანეთ, ხომ იცი ჩემი ამბავი, — გადაკოცნა მეგობარი, — გაიცანი, ეს გიორგია.

— სასიამოვნოა, — ხელი გაუწოდა ქალმა და სტუმარი შეათვალიერა, — მე თამარი ვარ, დღეს 35 წელი შემისრულდა.

— მე 35 წლის 2 თვის შემდეგ გავხდები. თუ გნებავთ, გია დამიძახეთ.

— კარგი, შევთანხმდით, — გაულიმა თამარმა, — მობრძანდით, — მიიწვია ოთახში, — მეგობრებო, მაიკოს ყველა იცნობთ, ეს კი გიაა, გაიცანით, — ახალმოსულები სტუმრებს წარუდგინა.

მაიკო ყველას უყვარდა და მხიარული შეძახილებით შეხვდნენ. მან ჩამოიარა და ყველა დაკოცნა... მოიკითხეს, უსაყვედურეს, რომ დაიკარგა და აღარ გამოჩნდა...

გიორგის კი „ძველი“ სტუმრები დაუფარავი ინტერესით ათვალიერებდნენ.

თამარის ყოფილი ქმარი — გიზო, თამადა გახლდათ და სტუმრებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. გრძელ-გრძელ სადღეგრძელოებს ამბობდა და ცდილობდა, დანარჩენებზე შთაბეჭდილება მოეხდინა.

— ჩემო გიზო, გიორგის შეუძლია, შენი თამადობის ნიჭი შეაფასოს, ის ცნობილი თამადაა, — უთხრა მაიკომ.

— მართლა?! — გაიღიმა გიზომ. — მე, როგორც მოყვარულს, პროფესიონალის აზრი ნამდვილად მაინტერესებს, — ისეთი სახე ჰქონდა, რომ ეტყობოდა, გიორგისგან ქებას ელოდა.

— გია, ჩემი გაკეთებული საცივი მოგეწონა? — ჰკითხა თამარმა.

— ძალიან გემრიელია, — კაცმა ნახელავი შეუქო.

— მაპატიე, რომ „შენობით“ მოგმართავ. დროა, გაშინაურდე.

— თავს უკვე შინაურად ვგრძნობ, — გაულიმა მამაკაცმა.

— მაშინ, მოდი, „ვახტანგური“ დავლიოთ და უფრო გაშინაურდები.

ღვინო ჩამოასხეს, ხელები გადაჯვარედინეს და სადღეგრძელო შესვეს. ამას წესის მიხედვით, კოცნა მოჰყვა, რომელიც იმაზე მეტხანს გაგრძელდა, ვიდრე წესი მოითხოვდა.

— ესეც ასე, — თქვა თამარმა.

ყოფილი ქმრის უკმაყოფილო გამოხედვას გადააწყდა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, რადგან მისთვის სულერთი იყო, რას იფიქრებდა გიზო. მამაკაცის კოცნაში საოცარი ვნება იგრძნო...

მაიკო მათ ყურადღებასაც არ აქცევდა. სასმელს მიეძალა და ჭიქას ჭიქაზე ცლიდა.

ვიღაცამ მუსიკა ჩართო. მაიკო გართობაში გადაეშვა. ყველას ეცეკვებოდა და მხიარულობდა. ყველა მამაკაცი სკამიდან წამოაგდო და საცეკვაოდ გაიწვია. ვიღაცის ქმარს კისერზე ჩამოეკიდა, მაგრამ ამის გამო არავის უეჭვიანია, რადგან ყველამ იცოდა, რომ ეს ყოველგვარი ქვენაგრძნობის გარეშე ხდებოდა. მაიკოს სხვისი ქმრების ინტერესი არ ჰქონდა. უბრალოდ, ერთობოდა და ეგ იყო. გიორგის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. თითქოს მასთან ერთად არც მოსულიყოს. ოთახში ქარიშხალივით დაქროდა, სკამებს აბრუნებდა, ფეხებს აბაკუნებდა, ჭიქაც კი გატეხა.

თამარმა ცოცხი შემოიტანა, რომ ჭიქის ნამსხვრევები მოეხვეტა.

მასთან გიზო მივიდა და ცეკვა შესთავაზა.

— თავი დამანებე, ჯერ ეს უნდა ავიღო, — ხელი მსუბუქად გაჰკრა ყოფილ ქმარს და ნამსხვრევებზე მიუთითა, — შემდეგ კი სტუმარი უნდა გავართო, მოწყენილია, ვერ ხედავ? — თავით გიორგიზე ანიშნა.

ის სავარძელში იჯდა, ხელში ბოკალი ეჭირა და მოცეკვავეებს ღიმილით უყურებდა.

გიზო გაეცალა...

თამარმა ჭიქის ნამსხვრევები მოხვეტა და სანაგვეში ჩაყარა. შემდეგ ოთახში შებრუნდა და გიორგის ცეკვა შესთავაზა.

ესიამოვნა, რომ მამაკაცმა ბანალური ფრაზები არ წარმოთქვა: „სიამოვნებით“ ან „ოოო, იუბილართან ცეკვა რამხელა პატივია“...

მან ბოკალი დადგა, უბრალოდ, გაუღიმა და წამოდგა. ამ დროს მაიკომ სხვის ქმარს ხელი გაუშვა, წაბორძიკდა და ის იყო, ძირს უნდა დაცემულიყო, რომ გიორგიმ ხელი შეაშველა.

— მოდი, დამეხმარე, სააბაზანოში შევიყვანოთ და გამოვაფხიზლოთ, — უთხრა თამარმა გიორგის, მაიკოს ხელი ჩასჭიდა და სააბაზანოსკენ გაიყოლა. თუმცა, ქალს ნაბიჯის გადადგმა უჭირდა და ძლივს მიჰყვებოდა მეგობარს. თან ბურტყუნებდა, თავი დამანებეთ, ცეკვა მინდაო, — დაუსრულებლად იმეორებდა.

თამარმა სახეზე წყალი შეასხა, მკერდი ცივ წყალში დასველებული

გაგრძელება იხ. გვ. 75

დასაწყისი იხ. „გზა“ №2 – 24

ოპოზიციის წარმომადგენელი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების საკითხებში გოგა ხაინდრავა (გაზეთი „ჯორჯიან თაიმსი“):

„თუ გავითვალისწინებთ სააკაშვილის აზრს, ჩვენ გავიმარჯვეთ. ეს თურმე უდიდესი გამარჯვებაა, ამასთან დაკავშირებით გამარჯვების პიარაქციაც მოეწყო, ასეთ ვითარებაში რომ გამარჯვებას იზეიმებ, ეს ნორმალური არ არის. 1921 წლის შემდეგ თუ ასეთი უბედურება მოხდებოდა, ნამდვილად არ ველოდი. თუ ქართველი ხალხი ჩათვლის, რომ ეს არის დიდი გამარჯვება, მაშინ ჩემი კომენტარი ზედმეტია“.

სახალხო დამცველი **სოზარ სუბარი** (გაზეთი „ალია“):

„მაროდიორები ძარცვავენ ყველაფერს, ხოცავენ, სცემენ ადამიანებს. იქცევიან მხეცურად. გვიშველეთ, მიაწვდინეთ ვინმეს ხმა! მე კარგად მესმის, რომ ამ ეტაპზე ხელისუფლებამ შეიძლება იქაურობა ვერ გააკონტროლოს, მაგრამ კონცერტების გამართვა... ბევრჯერ ვახსენე ეს კონცერტი, მაგრამ რეალობა ძალიან მწარე იყო. როცა რეალობა მძიმეა და იმ წუთებში მირეკავენ კარალეთიდან, ტყვიავიდან, სამეგრელოდან და ტირიან, გვიშველეთო, ვის ვატყუებთ? თავს ვიტყუებთ თუ რა ხდება?“

„საქართველოს აკადემიის“ წევრი, დოცენტი გელა დოლიძე (გაზეთი „ალია“):

„სირაქლემები ნუ ვიქნებით და ვაღიაროთ, რომ საქართველოს აღარ ჰყავს არმია. უმადურობა იქნებოდა იმის დავიწყება, რომ ჩვენმა ბიჭებმა გმირულად იბრძოლეს, მაგრამ მათი მთავარსარდლობის კომპეტენტურობასა და პროფესიონალიზმში ეჭვი მეპარება, კატასტროფა, პრაქტიკულად, 2 დღეში დადგა. ამ კატასტროფის მიზეზიც და შედეგიც მთლიანად პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის კისერზეა. ასევე ნათელი აღმოჩნდა, რომ რეზერვისტთა მრავალმილიონიანმა პროგრამამ, რომელშიც სამხედრო ბიუჯეტის დიდი ნაწილი მიდიოდა, აბსოლუტურად არ გაამართლა. გარდა ამისა, ჩვენ ყოველდღიურად გვაწვდიდნენ ინფორმაციას, რომ თავდაცვის სამინისტრო იძენდა ჯიპებს, საზენიტო დანადგარებსა და შეიარაღებას. ხომ კარგად ვიცით, რომ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების ჯიპებით სრიალით ომებს ვერასოდეს მოვიგებთ?“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე** (გაზეთი „ყველა სიახლე“):

„რუსეთი მოგებულ პოზიციაშია და ამ პოზიციას იოლად არ დათმობს. 90-იან წლებში, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროსაც შეიჭრნენ სამხრეთ ოსეთში, მაგრამ უკან გამოაბუნ-

„Всё обнажённое прекрасно, лишь раздетое смешно!“ (Юкио Мисима)

ძულეს ჩვენი ჯარი. როგორც ახლა, მაშინაც შეცდნენ. მაშინ როკის გვირაბის დანიშნულება შეიძლება არ იცოდნენ და რიცხობრივი სიმრავლის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ახლა მაინც უნდა გვცოდნოდა. შესაძლოა, რაღაც წინააღმდეგობები იყო, ან ინტუიციამ, ან ცოდნამ უმტყუნა სარდლებს, რომლებიც ოპერაციას გეგმავდნენ, ვერ გეტყვით, მაგრამ როგორც გამოჩნდა, ყველაფერი კარგად არ იყო გააზრებული“.

ასეთი იყო 2008 წლის აგვისტოს პრესა...

ექსკლუზივი – საქართველო

აი, როგორც იქნა, მივხვდი, რა არის ფრანგული სიყვარული, როცა ქართველსა და რუსს შორის ფრანგი დგას! ამჯერადაც მომრიგებლის როლი საფრანგეთის პრეზიდენტს უნდა შეესრულებინა.

ჩვენ რა გვჭირს, ერთი-ერთზე რომ არაფერი გამოგვდის? იმპოტენცია? May be, როგორც იტყოდნენ, ჩვენი ამერიკელი ძმები, რომლებმაც მინიმუმ სამი დღე მტრის პირისპირ დაგვტოვეს!

ისე, ცნობისათვის, იმპოტენცია არა გენიტალიების პრობლემაა, როგორც ეს ზოგიერთებს მიაჩნიათ, არამედ მისი ეტიმოლოგია (თავიდათავი) სწორედ თავშია! სახელდობრ, მის ნაცრისფერ ნივთიერებაში. უკაცრავად, მოდას ჩამოვრჩი, ჩვენში ხომ არ მოსულა დასაბამიდან მიზეზის ძებნა? იქვე, ლოკალურად ვმკურნალობთ და მერე რა, რომ ცოტა ხანში სასოწარკვეთილება გვძლევს.

დამეხმარე, სარკოზი ბიძია (თუმცა როგორც დიდი ხელოვანი იტყოდა, მას თურმე უფრო ფამილიარული — სარკო უყვარს), შენი ლამაზი თვალების ჭირიმე, შენმა ლამაზმა ცოლმა გაიხაროს, გვერდს რომ გიმშვენებს (პირველიც ლამაზი იყო), შენმა ბავშვებმა იხაროოოონ! მოკლედ, მოლბა ბიძია სარკოზი და თქვა: დამანახვეთ და დაგანახვებთო (ესეც ფრანციცულია). რაც უფრო მეტი თქვენნაირი გაჭირვებული იქნება, მეც უფრო ადვილად გავცემ სამათხოვრო „პაიოკსო“, ცოტა მუცლებიც გამობზიკეთ, სომალის მშიერ ბავშვებს რომ ჰგავდეთ, მაგათზე ყველაზე კარგად ვიძლევითო...

საქართველო „ცოცხალი ჯაჭვისათვის მოემზადა, მაგრამ რა ვქნათ, ამ კუდაბზიკობას რა ვუყოთ, მდუმარედ და თავჩაქინდრული დგომა რა ჩვენი საქმეა?

ჰოდა, დავანახვეთ: ჯიპები: „ინფინიტი“, „X5“, „მერსედესი“, დაჟე, „ჰამერი“; ზმანი: „გუჩი“, „ვერსაჩე“, „ბარბერი“, „ივ-სენ-ლორანი“, „კოკო“. სათვალეები, იხილეთ ზემოჩამოთვლილი ბრენდები; ტელეფონები: ONLY „სიროკო ნოკია“, მამა... შიგადაშიგ „ვერტუ“, ეგ „რომის პაპის“ (ღმერთო, მაპატიე!), სააკაშვილის საზეიმო ცერემონიალზე გამოსვლის დროს უფრო ჭარბობდა, „ვატიკანის“ (ვარდების რევოლუციის) ცენტრალურ მოედანზე, ალილუია!

ამ ევროპას ჩვენ მართლა მათხოვრები ხომ არ ვგონივართ? რა მოხდა, ერთი ცინგლიანი ბავშვი თუ რაცხას იტყვის? იმისი არ იყოს, გურული ბავშვი დედ-მამას ალერსის დროს რომ შეუსწრებს, აგენი მიშლიან მე ცხვირში კიტინში ხელსო? ამხელა „ეიფელ“ კაცს თავში მეტი ჭკუა არ უნდა ჰქონდეს, ყურადღება რომ არ მიაქციოს? მაინც რა დაუნახავია ეს ევროპა, ჰა? მუცლები მაინც ხომ გამოვბზიკეთ? თან რა მუცლები? „წიწილა და ჩახოხბილი, ცხელი შოთის პურებიიი“...

გადავრიეთ ფრანგები! ეგრე უნდა მაგათ, აბა, ჩვენი სულხან-საბა „ნისჩემ“ რომ გამოუშვეს, რა, დაგვავიწყდებოდა? აი, ეს არის ნამდვილი პატრიოტიზმი! პირველად კაცობრიობის ისტორიაში, რომ აღარაფერი ვთქვათ საქართველოზე, ჯავრი ვიყარეთ ამბიციურ, გატუტუცებულ, აღვირახსნილ ფრანგებზე (კდემამოსილი ერი „მულენ რუჟს“ გამოიგონებდა? ფუი!). აბა, რა ეგონათ, დავუვიწყებდით წყენას? როგორც ბერლუსკონის მაფიოზა წინაპრები იტყოდნენ, ვენდეტა ის კერძია, რომელიც უნდა გააცივო. ჰოდა, ვაცივებდით, ბატონო, სულ რამდენიმე საუკუნე, რა, გვეჩქარება სადმე თუ?

მოკლედ, ჩავარდა სარკო საგონებელში, არც დღე სძინავს თურმე და არც ღამე. თუ გავარდა ჯანი და დაიძინა, ძილში სულ იმას ბოდავს (მეორე ცოლი ნამეტანი ჭორიკანა შეხვდა, ასეა, ბატონო, ჩუმ, წესიერ, ქალიშვილობაში გათხოვილ ქალებს როდის ჰქონიათ დაფასება?), რა ვქნა, ქართველების გასაძღომი ფული საიდან მოვიტანოო? იქნებ სავიზო რეჟიმი გავაუქმო, აქ ჩამოვიდნენ და ამ სირისტიან ევროპელებს ცხოვრების მარიფათი ასწავლონო, თანაც სისხლსაც თუ გაუზავებენ ფრანგებს, მთლად ავშენდებითო. უყურე შენ, წაუკითხავს მაინც სარკოს დიდი რუსეთის ისტორია. ეტყობა, მედვედევთან რომ მიდიოდა, მაინც გადახედა, ემანდ რამეში არ ჩავიჭრაო. ჰოდა, იმ ავადსახსენებელ ისტორიაში წერია, მონღოლებს, ჩემო ბატონო, რუსები რომ არ დაეპყროთ (იმათ მიეცათ ჩემი ცოდვა), დიდი ხანია გადაშენდებოდნენ, გენეტიკურად ისეთი სუსტები ყოფილანო. სარკომაც გამოიყენა ეს გენეტიკური ფანდი! გაგიჟდება კაცი, რავა ყველას ჩვენს ხარჯზე უნდა ცხოვრების აწყობა!

მოკლედ, ამ გაჭირვებაშია თურმე მუსიე სარკო, საქმე ლაპარაკის ნაცვლადო, დაურეკავს და „ლამბორჯინი-დიაბოლოს“, „ბუგატი-ვეირონის“, „ფერარი-ენცოსა“ და „ბენტლი-კონტინენტალის“ სპეცშეკვეთები მიუცია, თანაც პირველად ევროპის ისტორიაში ასეთი რაოდენობით! პოტენციური სიძეები და რძლები არიან და აწი ნაკლებს ვერ ვაკადრებთო. ვამაყობთ სრულიად ქართველი ერი! ეხუმრები ევროპის ისტორიაში მოხვედრას?! ეს კიდევ არაფერი, ცნობილ ბრენდებს სულ სახეები დაუხოკავთ საქართველოსთვის ექსკლუზივის შექმნაში. რა დოლჩე, რის გაბანა, როცა შეიძლება იყოს მ.ს. დ.ბ. გ.უ. გ.ბ. და ასე შემდეგ, ქართველი გენიოსების ინიციალები.

გილოცავთ, საქართველოში დამთავრდა „ტრუხა“ ბრენდების ერა, ეგ „სექენდ ჰენდი“ აწი თავიანთ იტალიაშკებს, ფრანკოებსა და გრინგოებს ჩააცვან.

საქართველო ექსკლუზივების ქვეყანაა!

მშვიდობით

შემოდგომის თბილისი... ლამაზი, პატარა და მხოლოდ ჩემი. ეს განცდა განუყოფელი სიყვარულისა, ალბათ, ყველას ეუფლება და ნუ დაგვძრახავთ, ის ისეთი მინიატიურულია, ბევრზე ვერ გაიყოფა, ბევრს ვერ მიეფერება. ისედაც რამდენს გასცემს? — ერთ პატარა, ხელისგულისოდენა ადგილას კალთას აფარებს სომხებსა და ებრაელებს, მაჰმადიანებსა და კათოლიკეებს, ასნავლის, იფარებს, ამშვიდებს და ჩასჩურჩულებს: „მოეფერეთ ერთმანეთს, მიუტევეთ წარსულის შეცდომები და მერე ჩემთან ჩამოიარეთ, რკინის რიგში, ბამბის რიგში, შარდენზე ან სოლოლაკში, ჩამოსხედით, ესიყვარულეთ და თბილისური შემოდგომით გაათბეთ ერთმანეთი, მე კი დედაშვილურად მოვისმენ თქვენს მონაყოლს და ჩემს მემატიანეს კიდევ ერთი ლამაზი ისტორია შეემატება. მას დუდუნით ბანს მისცემს მტკვარი, მეოცნებე მეტეხი, მუდამ ახალგაზრდა დარეჯანის სასახლე და მძლავრად ამხედრებული ნარიყალა. აი, ასეთია ჩემი, შენი და ჩვენი თბილისი, პატარა, სათუთი, ლამაზი და ამავე დროს საოცრად ამაყი ძლიერი და უდრეკი“...

ქალაქი ნელ-ნელა გონს მოდიოდა, ქართულ სოფლებს კი ჯერ კიდევ ალი ასდიოდათ. აღარც ახალგორი, აღარც კოდორი, აღარც ერედვი, აღარც ქურთა... ომით დროებით მორიგებული ქართველები, ახლა დაპირისპირების სენით შეპყრობილნი, ბრძოლის ახალ ეტაპზე გადადიოდნენ.

მე თავი პედაგოგიურ საქმიანობას შევაფარე და ახლა მასმედიისა და კომუნიკაციების საერთაშორისო უნივერსიტეტში ვასწავლიდი, წინადადება SEU-დანაც მივიღე. აბა, ამას რა სჯობს, ახალი თაობა აღზარდო, ასწავლო, რაც იცი, მით უმეტეს, რომ ჟურნალისტიკისა რაღაც გამეგება.

მრავალნატანჯი და ნაომარი ტელეკომპანია „მაესტრო“ და მისი შეფი მამუკა ღლონტი სიმწრით მოპოვებული ლიცენზიის საფუძველზე ახალი ეთერისათვის ემზადებოდნენ. მამუკასავე ინიციატივით შეიქმნა ჟურნალისტთა საბჭო. ჟურნალისტებზე მომრავლებული თავდასხმების თავიდან ასაცილებლად აუცილებელი იყო დამცავი მექანიზმის ამოქმედება. ლაშა ტუღუში, ალეკო ელისაშვილი, ნინო ჟიჟილაშვილი, ლუბა ელიაშვილი, ზვიად ქორიძე, ნინო მამალაძე, ირმა ინაშვილი და ბევრი სხვა საქმეს შევუდექით. მგონი, სრულიად საქართველოს ჟურნალისტები პირველად გაერთიანდნენ. კალამი, სამართლიანობა და ერთიანობის პრინციპი ხომ ჟურნალისტის ხელთ არსებული ერთადერთი თავდაცვითი მექანიზმია?!

თებერვალში ლევან გაჩეჩილაძეს ძმამ გია გაჩეჩილაძემ საქართველოს ახალი, შოკის მომგვრელი პროექტი შესთავაზა. ადამიანი ნებით ჩაჯდა საკანში, ვირტუალური ბორკილები დაიდო და ამით ხაზი გაუსვა ჩვენს უუფლებობას. ქართულ ტელესივრცეს აბსოლუტურად ახალი, ტოქშოუსმაგვარი პროექტი შეემატა. გია მისთვის ჩვეული სილაღითა და იუმორით ამხელდა ქვეყანაში გამეფებულ ბევრ მანკიერებას. ტუსაღი არ ტოვებდა თავის ადგილსამყოფელს, 24 საათის განმავლობაში მოწვეულ სტუმრებთან ერთად ჩვენს დღევანდელობას განიხილავდა. ქალაქმა ძილი დაკარგა. რაც უფრო მწვავე იყო თემა, მით მზარდი იყო ხელისუფლების „გულგრილობა“. ეტყობა, ბარიკადებს იქითაც ჰყავთ ფსიქოლოგები. ერთ-ერთი ტესტის თანახმად, მეცნიერებმა სამი ჭურჭელი წყლით აავსეს, ერთს ყოველდღე უყვიროდნენ, მეორეს ეფერებოდნენ, მესამეს კი ყურადღებას არ აქცევდნენ. ტესტირებამ დაადგინა, რომ ჭურჭელს, რომელსაც ყურადღებას არ აქცევდნენ, წყლის სტრუქტურა ჰქონდა შეცვლილი... გულგრილობა და აბუჩად აგდება პოლიტიკაშიც, შოუბიზნესსა და ცხოვრებაშიც წელქვემოთ მიყენებული დარტყმაა.

ჩემთვის „საკანში“ ყველაზე შთამბეჭდავი ირაკლი ბათიაშვილის სტუმრობა იყო. მრავალი უსამართლობაგამოვლილი ირაკლი არ გაბოროტდა, არ დაიბოღმა და ჩვეული სიდინჯით აგრძელებდა ქვეყნის პრობლემებზე ფიქრს. მისმა დროში გავრცობილმა ფილოსოფიურმა მაგალითებმა ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი, შეგვახსენა, რომ ისტორია მეორდება, რომ ავტორიტარიზმი და დიქტატურა პლატონსა და სოკრატეს ისე აქვთ აღწერილი, თითქოს აგერ აქ, დღეს, საბურთალოს კუთხეში ცხოვრობდნენ.

საქართველი 9 აპრილისათვის ემზადებოდა, „ახალი, ჯერ არნახული“ 9 აპრილისათვის. ხალხმრავალი დემონსტრაციის ორგანიზება ამჯერად არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საზოგადოებამ აიღეს თავზე, ავანგარდში კი „ქართული აკადემია“ იდგა.

„ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, უკლებლივ ყველა პარტია შეთანხმდა, 9 აპრილის ტრაგედიის მეოცე წლისთავი მშვიდობიანი მანიფესტაციით აღენიშნათ.

თანამდებობიდან წამოსული და საქართველოში დაბრუნებული ყოფილი ელჩი გაეროში ირაკლი ალასანიაც უერთდებოდა საპროტესტო ტალღას. ირაკლი აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული მამია ალასანიას შვილი გახლდათ. მიუხედავად ამისა, ალასანიას აფხაზებიც დიდ პატივს სცემდნენ და შესაბამისად, მოლაპარაკებებზეც კონსენსუსი მეტწილად მიღწეული იყო. დინჯი, გაწონასწორებული, საღად მოაზროვნე ირაკლი ქართველი ხალხის განსაკუთრებულ სიმპათიას იმსახურებდა. წლების წინ ირაკლი და მისი მეუღლე ნათია ფანჯიკიძე მაიკო ბარათაშვილის დაბადების დღეზე გავიცანი. ალასანიას გვერდით გია ყარყარაშვილიც გამოჩნდა. ომგამოვლილმა ვეტერანმა, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა გია ყარყარაშვილმა განვლილი ცხოვრების მაგალითზე ყველაზე კარგად იცოდა მშვიდობის ფასი.

— ლალი, გია ყარყარაშვილი ხომ შენი ნათესავია? — მკითხა ერთ დღეს ჩემმა მეგობარმა მამუკა მერკვილაძემ.

— ჰო, რა იყო?

— ბიჭებს გაცნობა გვინდა, ჯერ ერთი, გია ქართული ლეგენდა და გმირობის ეტალონია, მეორეც, ალბათ, 9 აპრილს წესრიგის დაცვა ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება. ჩვენ მზად ვართ.

საოცარია, მამუკაც და მისი მეგობრებიც თბილისელი ბიჭების იმ ნაწილს ეკუთვნოდნენ, რომლებსაც სამსახურიც, საქმეც და საკმარისი სახსრებიც ჰქონდათ, მაგრამ არ ჰქონდათ ერთი რამ — სტაბილურობა ქვეყანაში.

— მერე, სამსახური? — ვიკითხე მე.

— შვებულებას ავიღებთ.

გია გაკვირვებული უყურებდა ამ ბრგე ვაჟკაცებს, ბევრის მამას იცნობდა.

— რამ მოგიყვანათ? — იკითხა გიამ და ყურადღებით შეათვალიერა თითქოს სააღლუმოდ გამოწკეპილი ბიჭები.

— რაო, გია, ძალიან გალაქულები ხომ არ არიან? — გამეცინა მე, — ასე შენს პატივსაცემად გამოეწყვნენ.

— ხომ იცი, როგორც სამხედრო, ჯერ კისერს ვაკვირდები, ამათ საგულდაგულოდ გაპარსული აქვთ.

— თქვენი ერთადერთი მისია ხალხმრავალი მანიფესტაციის დროს შარის არიდებაა, მთვრალები და პროვოკატორები გაიყვანეთ. ხელში ფრჩხილის ქლიბიც კი არ დავინახო, იმედია, წითელი ფორმის ჩაცმა წარწერით „მშვიდობით“ არ გეთაკილებათ?

ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ბიჭების წვლილი ქაოსის აცილებაში უზარმაზარი იყო.

ამ საუბრიდან სამ თვეში გიორგი ყარყარაშვილი მამუკას ბიძაშვილის ქორწილში თამადობდა. 9 აპრილს პარლამენტის წინ გაცნობილმა მშვიდობისმყოფელმა მიხეილ ვარშანიძემ და „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტმა ნათია ლეკიშვილმა ლამაზი ქართული ოჯახი შექმნეს. აბა, რა, ჩვენ ხომ ერთნი ვართ?!

ქართველების მრავალათასიანი შეკრება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს — 26 მაისს ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე განმეორდა. ერთ მუშტად შეკრული 70000 ათასი კაცი ერთმანეთს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავდა, ომში დაღუპულებს წუთიერი დუმილით პატივს მიაგებდა და უახლოეს ძმებს — აფხაზებსა და ოსებს ესალმებოდა.

ამ დღეს მიხეილ სააკაშვილი თბილისის ერთ-ერთ სკოლაში უქმე დღეს საგულდაგულოდ შეკრებილ ექვს სხვადასხვა ასაკის ბავშვს დემოკრატიაზე ლექციას უკითხავდა...

დასასრული

დასაწყისი იხ. „გზა“ №24

რუსუდან ბერიძე

ბოლო ჩამოსვლისას ქეთი განსაკუთრებულად შებოჭილ-დათრგუნვილი ჩანდა, თუმცა ქმრის ყველა კითხვაზე ერთსა და იმავეს — ყველაფერი რიგზეა, უბრალოდ, მგზავრობამ დამღალაო, — პასუხობდა.

— მაშინ იქნებ, ორივეს შვებულება აგვეღო და ცოტა ხნით სადმე გადავკარგულიყავით? — შესთავაზა ლაშამ.

— გაგიჟდი?!. — შეიცხადა ქალმა. — ერთ კვირაში ახალი ჩვენება მაქვს...

თუმცა ის ერთი კვირაც კი არ იყო გასული, რომ ისევ უცხოეთში გაიქცა.

ამის შემდეგ ქეთის ქმრის სატელეფონო ზარებზე აღარ უპასუხია და აღარც თვითონ დაურეკავს. ერთ დღეს კი ლაშამ ფოსტით განქორწინების შეტყობინება მიიღო.

ცოლთან გაშორება მძიმედ გადაიტანა. ერთადერთ შვებას სამუშაოშიღა პოულობდა. გოგი გელოვანმა სწორედ მაშინ წამოიწყო ახალი პროექტი და ლაშაც საქმეში პირდაპირ თავით გადაეშვა. თუმცა მის მიერ მომზადებული სიუჟეტებიდან საბოლოოდ გაქრა რომანტიკა და წინა პლანზე ისევ სრულიად შეუღამაზებელმა, შიშველმა სიმართლემ წამოიწია. ლაშას რეპორტაჟებს სიღრმე ადრეც არ აკლდა, მაგრამ ახლა ამას ღრმა ტკივილიც დაემატა, რომელიც განსაკუთრებით აგვისტოს ომმა გაამძაფრა. ამის შემდეგ, თითქმის ყველა დასაშვები გულახდილობისა და შოკის მომგვრელი სიმართლის გამო, ლაშას ზოგიერთი რეპორტაჟი თვით „სიმართლისთვის ყველაფერზე წამსვლელის“ რეპუტაციის მქონე „სპექტრის“ ეკრანზეც კი ვეღარ ხვდებოდა...

ლაშა თავადაც ძალიან შეიცვალა. უცბად დაკაცდა და სიბრძნე და სიდინჯე შეემატა. თმაში პირველი ჭაღარაც შეერია, თვალებში კი ტკივილმა დაისადგურა. ომმა ბევრი ისეთი რამე ასწავლა და გააგებინა, რისი გაგებაც ომისგან ხელშეუხებელ მშვიდობიან დროს პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნებოდა. ის ომის ყველაზე მთავარ საშინელებასაც მიხვდა: ამ დროს ადამიანები ბევრად უფრო სწრაფად იზრდებიან და ასევე სწრაფად იღუპებიან, თანაც ისე, რომ ბოლომდე იმის გაგებასაც კი ვერ ასწრებენ, თუ საერთოდ ვის და რაში სჭირდებოდა ეს ომი.

ბევრი სხვა, არანაკლებ უაზრო ომისგან ეს ომი იმითაც გამოირჩა, რომ ძალიან სწრაფად დასრულდა და ლაშაც მართალია, ძალიან მძიმედ, მაგრამ მაინც ისევ მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა. გელოვანმა კი საგანგებოდ მისთვის შექმნილი კიდევ ერთი ახალი გადაცემის („პარალელური გამოძიება“) წაყვანა შესთავაზა. ლაფაურს ხომ რაიმე მიზეზით დაფარულ-დამალული სიმართლის „გამოთხრის“ დიდი ნიჭი და უზარმაზარი გამოცდილება ჰქონდა, ამიტომაც საქმეს მთელი მონდომებით შეუდგა და სააშკარაოზე მალე მართლაც არაერთი მწარე სიმართლე გამოიტანა... თუმცა არც ეს გაგრძელებულა დიდხანს და ერთ დღესაც, სიმართლის თქმისა და ჩვენების „სარკმელი“ ცხვირწინ მიუხურეს...

უსამსახუროდ დარჩენაზე მეტად, ლაშა „სპექტრის“ ბედზე წუხდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ თავად არც ამჯერად დაიკარგებოდა. მისი ბოლოდროინელი გადაცემა ხომ პოპულარობით ერთ-ერთი პირველი იყო და რეიტინგის მიხედვით უკვე ყველა რეკორდიც მოხსნილი ჰქონდა. წამყვანი ტელეარხები მის გადაბირებაში კარგა ხანია, ერთმანეთს ეცილებოდნენ: ზოგი რით ცდილობდა მის მოხიბვლას და ზოგი — რით...

ლაშას ბინაში ტელეფონის მელოდიური წკრიალი გაისმა.

— რა კარგია, რომ სახლში დაგიჭირე, — გაისმა ყურმილში ქალის ნაცნობი ხმა.

ეს ლაშას თანაკურსელი და დიდი ხნის მეგობარი მაკა ლაღიძე იყო, რომელიც საკუთარმა ტელევიზიამ ევროპაში გამოცდილების მისაღებად მიავლინა.

— გაუმარჯოს! მიხარია შენი ხმის გაგონება. სად ხარ? — გახალისდა ლაშა.

— თბილისში ვარ.

— საერთოდ დაბრუნდი თუ...

— რა?.. არ გინდა, ჩემი დაბრუნება?

— როგორ არ მინდა, აბა, რას ამბობ?

— დროებით ჩამოვედი. ერთ კვირაში ისევ უკან უნდა დავბრუნდე. გავიგე თქვენი ტელევიზიის ამბავი და ძალიან მეწყინა.

— ყველა ნორმალურ ადამიანს ძალიან ეწყინა...

— მარტო ხარ?.. ანუ იმას ვგულისხმობ, თავისუფალი თუ ხარ?

— მარტო ვარ და გიჟივით თავისუფალიც. ვზივარ ტელეფონთან და სამძიმარს სამძიმარზე ვიღებ...

— თუ წინააღმდეგი არ იქნები, შემოგივლიდი.

— სიამოვნებით დაგელოდები.

ლაშამ ბინის მილაგება ძლივს მოასწრო, რომ კარზე ზარი გაისმა. მაკა ოდნავაც კი არ შეცვლილიყო: ისევ ისე ბიჭურად, მოკლედ შეჭრილი ჯიუტი თმა, გახეხილი ჯინსი და მაისური...

— ევროპამაც ვერაფერი გიშველა, ქალად ვერ გაქცია, — შინაურულად გადაეხვია მას ლაშა.

— მე კი მეგონა, რომ ეს ევროპის კი არა, კაცის საქმე იყო, — თმა სიყვარულით მოუჩეჩა მაკამ და პირდაპირ სამზარეულოსკენ გაქანდა.

ქალს ლაშაც ფეხდაფეხ მიჰყვა.

— რაღაც-რაღაცები გამოვიყოლე, — მაკამ პოლიეთილენის პარკი მაგიდაზე დადო და იქიდან ნაირ-ნაირი დელიკატესის ამოლაგებას შუდგა.

— მაგარი ხარ, მაკუშკი! — ლაშამ ხელები კმაყოფილებით მოიფშ-

ვნიტა. — მე კი უნდა მაპატიო, შენს დასახვედრად ნამდვილად ვერ მოვემზადე.

— სულაც არ მიკვირს. უცოლო კაცის ბინაში ხომ ტარაკნებიც კი მშივრები დალასლასებენ, — მაკამ პროდუქტების ამოლაგება სწრაფად დაასრულა.

— მდაა, — მუშტრის თვალი მოავლო მაგიდას ლაშამ, — კარგია, კარგი ცხოვრება... ასეთ მეფურ სუფრას სასმელიც მოუხდებოდა. მგონი, სადღაც ერთი ბოთლი საფირმო ღვინო უნდა მქონდეს მოყუჩებული. აბა, „ფირმა“ ქალს უბრალოს ხომ ვერ ვაკადრებ?..

— შენი ცხვირპირი გააშაყირე! — პატარა ნაზი მუშტები მამაკაცს მაკამ მკერდზე შინაურულად მიუბრაგუნა.

მაკა ლაღიძესთან ლაშა თავს ყოველთვის კარგად და კომფორტულად გრძნობდა. ისინი მხოლოდ კი არ მეგობრობდნენ, ხანდახან ერთმანეთის საყვარლობასაც „ითავსებდნენ“. ბევრი საერთო ჰქონდათ. ორივე ძალიან აფასებდა სიცოცხლეს და ისიც კარგად უწყოდა, რომ ჟურნალისტის ცხოვრება იმ გამნაღმველისას ჰგავს, რომელიც ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ, მაგრამ საბედისწროდ ცდება. ამიტომ დღევანდელი დღით ცხოვრებასა და ყოველი სასიამოვნო წუთის ბოლომდე გამოყენებასაც ყველანაირად ცდილობდნენ. მათ ურთიერთობას სიყვარულს ვერ დაარქმევდი, მაგრამ ერთმანეთისკენ მაინც ყოველთვის რაღაც ეწეოდა.

კარგი საჭმლისა და კიდევ უკეთესი ღვინის შემდეგ მაკა ლაქლაქის ხასიათზე დადგა და ერთად გატარებული დღეები გაიხსენა. ლაშა კი ხელების ქნევით მოლაპარაკე ქალს კმაყოფილი ღიმილით აკვირდებოდა, მაგრამ მერე რატომღაც ქეთი გაახსენდა და ისევ სევდა მოეძალა.

— აუ, რა დამპალი ვინმე ხარ, ლაფაურო! — ქვედა ტუჩი ნერვიულად მოიკვნიტა მაკამ. — საერთოდ, არ მისმენ.

— მაპატიე, — დანაშაულზე წასწრებულივით შეცბა ლაშა, — უბრალოდ ჩავფიქრდი.

— თუ საიდუმლო არ არის, რაზე? თუმცა მოიცა, თვითონ გამოვიცნობ.

მაკამ ჯერ თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა, შემდეგ ეშმაკურად გაიღიმა და მაისური უცბად გაიძრო:

— გამოვიცანი?

ლაშამ, პასუხის ნაცვლად, თავი ქალის ლამაზ მკერდში ჩარგო...

ცოტა ხნის შემდეგ, ლაშას გვერდით ნებიერად მწოლიარე მაკამ სიგარეტს მოუკიდა და გემრიელად გააბოლა:

— ახლა რას აპირებ? თუ, რა თქმა უნდა, საიდუმლო არ არის... გადაწყვიტე რამე?

— არა, ჯერ არა. ჯერ ვერ მოვასწარი, — სიგარეტი ჩამოართვა და ლაშამ თვითონაც მოქაჩა, — ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ...

— გინდა, ჩვენს არხზე გადმოდი... შეფთან შეგაწევ სიტყვას და...

— არა გმადლობ... — თავი შორს დაიჭირა ლაშამ, — თვითონ გამოვნახავ რამეს. უკვე რამდენიმე სერიოზული შემოთავაზება მაქვს.

— შენ იცი, შენი საქმისა. თუ მოიფიქრებ, შემატყობინე და დავტრიალდები.

— კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, მაგრამ...

— რა მადლობებს მიხდი? ჩვენ ხომ ძმები ვართ.

„ძმებიო?.. ძმებს ერთმანეთთან არ სძინავთ... — კინაღამ ხმამაღლა წამოსცდა ლაშას. — ისე მშვენიერი ქალია, — მაკას შეფასებას გამოცდილი მუშტარივით შეუდგა. — ნეტავ, ადრე რატომ ვერ ვამჩნევდი?.. საერთოც ბევრი გვაქვს. და, რაც ყველაზე მთავარია, მის გვერდით ის უაზრო და დამთრგუნველი მარტოობის გრძნობაც კი მინელდება, ქეთისთან განშორების შემდეგ რომ თავს აღარაფრით მანებებს. ჰოდა, კაცმა რომ თქვას, მეტი რაღა ჯანდაბა მინდა?“

— მაკუშკი, მოდი, რაც იყოს, იყოს, გამომყევი ცოლად, — საკუთარი ხმა თავადაც ვეღარ იცნო ლაშამ.

მაკა ლოგინში წამოჯდა და მამაკაცს ისე დააშტერდა, თითქოს პირველად ხედავსო:

— შემთხვევით ავად ხომ არა ხარ? ან იქნებ, უსაქმურობისგან საბოლოოდ გაუბერე?

— სერიოზულად გეუბნები. ერთმანეთს მშვენივრად ვეწყობით...

მაკამ ახალ სიგარეტს მოუკიდა და გამეტებით მოქაჩა, თუმცა შემდეგ სწრაფადვე ჩააქრო, ფეხზე წამოხტა და ჩაცმა დაიწყო:

— ყველაფერს ნუ გააფუჭებ, ლაფაურო!.. ერთმანეთს იმიტომ ვეწყობით, რომ საყვარლები ვართ, მაგრამ როგორც კი ვიქორწინებთ, ყველაფერი თავდაყირა დადგება და ეს ჩემზე უკეთესად შენ მოგეხსენება...

— თუ არ გინდა, ოფიციალურად ნუ ვიქორწინებთ. პრინციპში ეს აუცილებელი სულაც არაა, — საბოლოოდ გაუტია ლაშამ.

— ე, ბიჭო, შემომხედე! — ხმას აუწია მაკამ. — მე და ცოლი? ვერ ხვდები, რომ სარეცხის რეცხვა და სადილების კეთება ჩემი საქმე არ არის? მე თავისუფალი ადამიანი ვარ და ჩემს თავისუფლებას ყველასა და ყველაფერზე მაღლა ვაყენებ. თანაც წარმომიდგენია, რა ოჯახიც გვექნება: შენ ალთას, მე — ბალთას. იქნებ, მითხრა, რომ ასე არ იქნება?..

ლაშა მიხვდა, რომ მაკა ცამდე მართალი იყო და დანებების ნიშნად საერთოდ დადუმდა.

— კარგი, — თმა ისევ სიყვარულით მოუჩეჩა ქალმა, — ცხვირი არ ჩამოუშვა. მე კი იმედს დავიტოვებ, რომ ჩვენი მომავალი შეხვედრაც ასეთივე ხანმოკლე და ფრიად სასიამოვნოც იქნება. ახლა კი უნდა გავიქცე, დაქალები მელოდებიან... აბა, დროებით! — ქალი ლაშას პატარა ბავშვივით შუბლზე ეამბორა და კარში გასხლტა.

„აქაც სრული ფიასკო, რაღაც ნამეტანი ცუდი პერიოდი დამეწყო“... — ლოგინში გვერდი უხალისოდ იცვალა ლაშამ.

უკვე მეოთხე კვირა იყო, რაც ანატოლი ლიტვინი ნიუ-იორკის გარეუბანში, ერთ იაფფასიან სასტუმროში ცხოვრობდა. ამ მივარდნილ ადგილს ძირითადად სატვირ-

თო მანქანების მძღოლები და ისიც მხოლოდ ერთი ღამის გასათევად თუ აკითხავდნენ. მოწყენილი ლიტვინი სასტუმროს გაქუცულ ბარში იჯდა და გულში ამერიკასა და ყველა ამერიკელსაც ერთიანად წყევლიდა.

„არადა, რამდენი ვიწვალე ამ „ახდენილი ოცნებების ქვეყანაში“ ჩამოსაღწევად, — სულ უფრო იბოღმებოდა იგი, — ადვილად შეიძლებოდა, ეს სიცოცხლის ფასადაც კი დამჯდომოდა. და რისთვის?.. ყველაზე საშინელ ფიქრშიც კი ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ტარაკნებით სავსე ბინძურ სასტუმროში ვიცხოვრებდი და ათას ოხერთან ერთად ვისადილ-ვივახშმებდი. თურმე, როგორი გულუბრყვილო უნდა იყო კაცი, რომ აქაურ სპეცსამსახურებს უბრალო სიტყვაზე ენდო. სანამ ინფორმაციას გამომტყუებდნენ, ღამის ოქროს მთებსაც მპირდებოდნენ, ახლა კი მგონი, ჩემი არსებობაც საბოლოოდ დაივიწყეს, მე — მაგათი“... — მძიმე ფიქრს გემრიელი რუსული გინება უკვე ხმამაღლა მოაყოლა ლიტვინმა და ლუდის მორიგი ქილა გახსნა.

ანატოლი ლიტვინს იღბალმა ჯერ კიდევ მაშინ აქცია ზურგი, როცა საიდუმლო პროექტი, რომელზეც სხვა მეცნიერებთან ერთად ისიც კარგა ხანს მუშაობდა, სრულიად მოულოდნელად დახურეს, ჯგუფში გაერთიანებული მეცნიერები კი სულ სხვადასხვა ობიექტზე გადაიყვანეს. ლიტვინი მოსკოვის ერთ-ერთ დახურულ ქარხანაში მოხვდა. ძველთან შედარებით ახალი სამუშაო სრულიად უინტერესო და მოსაწყენი მოეჩვენა, თანაც ხელფასსაც ბევრად ნაკლებს უხდიდნენ, ეს კი მის პატივმოყვარეობას მტკივნეულად ურტყამდა და როგორც ნიჭიერ მეცნიერს, ამცირებდა კიდეც.

საკუთარ ნიჭიერებაში ლიტვინს ეჭვი არასდროს შეჰპარვია. „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა ბევრი ხდება 37 წლის ასაკში მეცნირებათა დოქტორი, ანდა, ბევრს იწვევენ მსოფლიო მნიშვნელობის პროექტზე სამუშაოდ?“ — ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა ის საკუთარ თავს და თავადვე პასუხობდა: „რა თქმა უნდა, არა! მაშ, რატომ უნდა ჩავკვდე ამ უაზრო ქარხანაში, როცა ნიჭთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მფლობელიც ვარ?..“

გადამწყვეტი მოქმედებისკენ ლიტვინს ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთში გამოქვეყნებულმა სტატიამ უბიძგა. მასში დაწვრილებით იყო აღწერილი, თუ როგორ წავიდა ამერიკაში ერთი მანამდე არაფრით გამორჩეული რუსი ფიზიკოსი და იქ საკმაოდ ცნობილი და დაფასებული მეცნიერი გახდა. ლიტვინი განსაკუთრებით იმან აღაფრთოვანა, რომ ის მეცნიერი თურმე, უკვე საკუთარ უზარმაზარ სახლში ცხოვრობდა და მოსამსახურეთა არმია და ავტომობილების მთელი პარკი ემსახურებოდა. მეტიც, გაზეთი წერდა, რომ მეცნიერს უკვე საკუთარი თვითმფრინავიც კი ჰყავდა.

სტატიის წაკითხვიდან სულ მოკლე ხანში ლიტვინს თავში ამერიკაში გაღწევისა და საიდუმლო პროექტთან დაკავშირებით მის ხელთ არსებული ინფორმაციის სარფიანად გაყიდვის გეგმა მოუმწიფდა. თუმცა გეგმა ერთი იყო და მისი სისრულეში მოყვანა — მეორე. საკუთარი გვარით მას ქვეყნიდან უბრალო ტურისტად გასვლაც კი არ შეეძლო, რადგან თავის დროზე ხელი ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საიდუმლო მასალებზე მიუწვდებოდა, მაგრამ თავგამოდებამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და ფეხი ლიტვინმაც ოცნებად ქცეული ამერიკის მიწაზე დადგა. იქ კი — აღარც მათი მოძებნა გასჭირვებია, ვინც ინფორმაციაში დიდი ფულის გადახდას შეჰპირდა.

საკუთარ სამშობლოში ხელმოცარულ მეცნიერს მარტო იმაზეღა სწყდებოდა გული, რომ პროექტის მხოლოდ ერთ და საკმაოდ ვიწრო სფეროში იყო ჩახედული. თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ამერიკელები ამასაც სათანადოდ დაუფასებდნენ, რადგან საქმე მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენას ეხებოდა. მას კარგად ახსოვდა პროექტის ხელმძღვანელის მიერ არაერთხელ სიამაყით ნათქვამი სიტყვები, რომ ჩვენი პროექტი მსოფლიო რაკეტმშენებლობაში ნამდვილ რევოლუციას მოახდენსო.

სამასი ათასი დოლარიდან, რომელსაც ინფორმაციაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენლები შეჰპირდნენ, მხოლოდ სამი ათასი მისცეს: ეს ავანსია, დანარჩენს კი მასალების გაცნობის შემდეგ მიიღებო. მერე ყველა მასალა ჩამოართვეს და მას შემდეგ, ერთხელაც კი აღარ შეხმიანებიან. ორი კვირისთავზე ლიტვინმა თავად სცადა მათთან დაკავშირება, მაგრამ ვიღაც ქალმა გაზეპირებული ფრაზებით — თუ დაგვჭირდებით, თვითონ მოგძებნითო — მოიშორა. ამის შემდეგ ლიტვინი უცხო ქვეყანაში მთლად ბედის ანაბარად დარჩა: აღარც დაპირებული ფული, არც ჭერი და არც რაიმე, სულ ოდნავ მაინც ხელშესახები სამომავლო პერსპექტივა.

ამასობაში სამადლოდ მიგდებული „გროშებიც“ ხელში უკვე თოვლივით ადნებოდა და ხვალ-ზეგ ალბათ, ამ ტარაკნებიანი სასტუმროდანაც უცერემონიოდ გამოაგდებდნენ. „მერე რაღა უნდა ვქნა? — აკანკალებულ ხელებში თავი უმწეოდ ჩარგო ლიტვინმა, მაგრამ მალევე ასწია და საფეთქლები გამეტებით მოისრისა: — მოიცა, მოიცა, მგონი, არც მთლად ასე ცუდად უნდა იყოს ჩემი საქმე! მტრების ჯიბრზე კიდევ დამრჩა რაღაც, რასაც მუშტარი აუცილებლად გამოუჩნდება!“ ლიტვინს მხედველობაში ჰქონდა დისკეტა, რომელზე არსებული გაანგარიშებებიც, თავის დროზე, პირდაპირ შეფის კომპიუტერიდან „გადმოქაჩა“ და საგანგებოდ შეინახა. მართალია, თვითონ გაანგარიშებებს ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ ისინი პროექტის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი უნდა ყოფილიყო.

ამერიკელებთან მოლაპარაკებისას ლიტვინს ეს დისკეტა საერთოდ არ გახსენებია. მით უმეტეს, რომ ისინი მის ხელთ

არსებულ მასალებზე მეტად ორეხოვის (იგივე არეშიძის) ადგილსამყოფლით იყვნენ დაინტერესებულნი. „ეგ რომ ვიცოდე, რაღა მიჭირს!“ — ალალად გამოუტყდა ლიტვინი და ამერიკელებმაც იმ წუთიდან მის მიმართ ყველანაირი ინტერესი დაკარგეს. „კიდევ შემეხვეწებით, ბიჭებო, მაგრამ ნურას უკაცრავად! — გახალისდა დაიმედებული ლიტვინი. — ახლა თქვენ კი არა, საერთოდ აღარავის ვენდობი. ამიტომ ჭკუით მოვიქცევი: ჯერ ფული და მერე — დისკეტა! აბა, რა გეგონათ?! ასე ადვილია ანატოლი ლიტვინის ჩამოწერა? ვერ მოგართვით! მე კიდევ ვიტყვი ჩემს სათქმელს, ყველა გაზეთიც ჩემზე ალაპარაკდება და მაშინ...“

— თავისუფალია? — მამაკაცის უსიამოვნო ხმამ ვარდისფერი ოცნება შუა გზაში გააწყვეტინა.

— რაო? — ლიტვინი უცბად ვერც კი მიხვდა, რომ უშუალოდ მას და, რაც მთავარია, რუსულად მიმართავდნენ.

— თქვენ გვერდით დაჯდომა თუ შეიძლება-მეთქი? — მამაკაცმა კითხვა გაუმეორა.

— დიახ... რა თქმა უნდა... — უცნობი საგანგებოდ შეათვალიერა ლიტვინმა. — თქვენ რა, რუსი... რუსეთიდან ხართ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, კი... ნამდვილად იქიდან ვარ... — დაბალი მსუქანი მამაკაცი თავისუფალ

— იმის თქმა მინდოდა, რომ თქვენიანებს ანუ რუსებს აქ ვერ შეხვდებით. ისინი, ძირითადად, რუსულ კვარტალებში, მაგალითად, ბრაიტონ-ბიჩზე, ბრუკლინში ცხოვრობენ. გსმენიათ, ალბათ...

— როგორ არ მსმენია, მაგრამ... როგორც უკვე გითხარით, აქ სულ ახალი ჩამოსული ვარ და ჯერ ასე ვთქვათ, ყველაფერში გარკვევა ვერ მოვასწარი...

— არც არის საჭირო... — ისევ თავისთვის ჩაიბურტყუნა უცნობმა.

— რატომ? — გულუბრყვილოდ ჰკითხა ლიტვინმა.

— მთავარია, ჩვენ დავუდგეთ ერთმანეთს გვერდში, — თითქოს ლიტვინის კითხვა საერთოდ არ გაუგონიაო, ისე განაგრძო უცნობმა და თან ხმას შეთქმულივით დაუწია. — თორემ ეს საშინელი ამერიკელები ჩვენი გულუბრყვილობით ისარგებლებენ და წამში გაგვფცქვნიან.

— მართალს ბრძანებთ... აი, თუნდაც ჩემი შემთხვევა ავიღოთ...

ლიტვინს უნდოდა უცნობისთვის თავისი გასაჭირის შესახებ შეეჩივლა, მაგრამ დროზე გაჩერდა: „არ ღირს პირველი შემხვედრისთვის, თუნდაც რუსისთვის, გულის გადაშლა. თანაც ეს მგონი, რუსიც არ უნდა იყოს, — გაახსენდა მას.

— მაპატიეთ, მაგრამ მთლად კარ-

უცნობი. — ყველას ფეხზე ჰკიდიხარ... ფუ, ეს ლუდიც რა საზიზღრობაა...

— ისევ ცამდე მართალი ხართ, — კვერი დაუკრა ლიტვინმა, — ლუდიც...

— მაგრამ ჩვენ მაინც არსად დავიკარგებით! — თვალი ჩაუპაჭუნა უცნობმა, ლუდის ქილა გვერდზე ზიზღით გასწია და შარვლის ჯიბიდან პატარა ოთხკუთხედი არყის ბოთლი ამოაძვრინა.

— საერთოდ, ამ დროს მე არაყს არასდროს... — სათქმელი ვეღარ დაასრულა ლიტვინმა, რადგან ცხადად წარმოიდგინა, შუადღის პაპანაქებაში ლუდზე არყის დაყოლების შემდეგ რაც დაემართებოდა.

— ჩვენც სულ ცოტა, თითო ყლუპი მოვსვათ, — მაინც არ მოეშვა უცნობი, — ჩვენი გაცნობა ხომ უნდა აღვნიშნოთ. ჰო, მართლა, შენ რა გქვია? — უცბად გაუშინაურდა ლიტვინს.

— მე ანატოლი ანატოლის ძე ლიტვინი გახლავართ. თქვენ?

— ძალიან სასიამოვნოა ანატოლი, — ლიტვინის კითხვას ისევ წაუყრუა უცნობმა და, თან პლასტმასის ჭიქებში არყის ჩამოსხმა დაიწყო, — მოდი, მტრების ჯიბრზე, ჩვენს ურყევ ძმობას გაუმარჯოს!

უცნობმა ჭიქა ასწია და დაელოდა, ლიტვინიც იმავეს როდის გააკეთებდა. ამ უკანასკნელმა კი ცოტა კიდევ იყოყმანა და შემდეგ ჭიქას ხელი მაინც მოჰკიდა:

— გაუმარჯოს! — გაიმეორა მანაც და სასმელი უცბად გადაკრა.

ჭიქა ჯერ დადგმულიც კი არ ჰქონდა, რომ ლიტვინს მთელი სხეული ტყვიასავით დაუმძიმდა, სული შეეხუთა, ყელისკენ ინსტინქტურად წაღებული ხელი კი უღონოდ ჩამოუვარდა...

ცოტა ხნის შემდეგ ნიუ-იორკის ერთ-ერთ ოფისში ტელეფონი აწკრიალდა. როცა ყურმილი აიღეს, ვიღაც მამაკაცმა ცივი ხმით წარმოთქვა:

— მეორემ მთხოვა, გადმომეცა, რომ გემი შორეულ მოგზაურობაში განრიგის მიხედვით გაემგზავრა...

შუაღამისას, როცა ბარიდან თითქმის ყველა კლიენტი გაიკრიბა და მისი დაკეტვის დროც დადგა, ერთ-ერთ მაგიდასთან გაუნძრევლად მჯდომ და სადღაც უმისამართოდ მაცქერალ მამაკაცს ბარმენი მიუახლოვდა და უკმაყოფილოდ ჰკითხა:

— მისტერ, კიდევ რამე ხომ არ გნებავთ?.. თორემ სადაცაა, ბარი დაიკეტება.

როცა პასუხი ვერ მიიღო, ბარმენმა მამაკაცს მხარზე ხელი მსუბუქად წაჰკრა. მამაკაცი მაშინვე სკამიდან გადავარდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მათ ურთიერთობას სიყვარულს ვერ დაარქმევდი, მაგრამ ერთმანეთისკენ მაინც ყოველთვის რაღაც ეწეოდა.

სკამზე კი არ დაჯდა, მთელი ძალით დაეხეთქა, შემდეგ ჯიბიდან დაჭმუჭნილი ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლით დაცვარული სახე მოიწმინდა: — ფუ, რა საშინელი სიცხეა...

— ჰო, ცხელა, — მაშინვე დაეთანხმა ლიტვინიც და უცნობს ისეთი სიხარულით ანთებული თვალები შეანათა, თითქოს გვერდით დიდი ხნის უნახავი ღვიძლი ძმა მისჯდომოდეს, — დიდი ხანია, რაც რუსეთიდან ჩამოხვედით?

— მეორე წელია, — პასუხი დაუდევრად ესროლა უცნობმა და თან ლუდის ქილა გახსნა.

— მე კი ჯერ ერთი თვეც არაა, რაც აქ ვარ და თქვენ პირველი ადამიანი ხართ, ვინც ასე უბრალოდ, ჩვენიანივით გამომელაპარაკა.

— და უკანასკნელიც... — ჩაიბურტყუნა უცნობმა და ლუდი ხარბად მოხვრიპა.

— რა ბრძანეთ? — ვერ მიუხვდა ლიტვინი.

გად ვერ გავიგე... რუსი ხართ, ხომ? რუსეთში სად ცხოვრობთ?

— რუსეთში კი ვცხოვრობ, მაგრამ რუსი არ ვარ.

— აბა?

— ვიცი, დიდად როდი გეამებათ, მაგრამ ქართველი ვარ.

— ქართველი? — გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა ლიტვინს. — ახლა რომ ლევანიჩი მიყურებდეს, ხომ მოკვდებოდა სიცილით: ბიჭო, ამხელა ამერიკაში ქართველის გარდა, ვერავინ აღმოაჩინე; მაგრამ ეს იმიტომ, რომ რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო.

— ლევანიჩი ვინ არის? ლიტვინი მიხვდა, რომ სიფრთხილე ამჯერადაც დაავიწყდა, თუმცა შეცდომა უმალ გამოასწორა:

— არის, რა... მოსკოვში ერთ სართულზე ვცხოვრობდით... კარგი მეზობლობა გვქონდა...

— აბა, ამათ იციან მეზობლობა?! — ისევ ამერიკელებს გადასწვდა

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, №14-24

საღამო ძალიან გაიწელა. სალომეს საშინელი მოწყენილობა დაეუფლა. ნათელა დეიდა ნახევარი საათია, რაც გადმოვიდა და სადილის მომზადებაში ეხმარება, თუმცა სულაც არ შია, დიდი ხანია, მადა დაეკარგა. ან კი, დღევანდელი თავგადასავლის შემდეგ როგორ გადაუვა ყელში ლუკმა? ისე, რა უცნაური დღე იყო... რამდენი რამ მოხდა... რა თქმა უნდა, ცუდი არ არის, როცა მამიდის გამო ასეთ ნაბიჯს დგამს, მაგრამ ხვდება მაინც ვაკო, რის ფასად უჯდება სალის ამის გაკეთება? როგორ უმძიმს ასეთი თამაში? და ყოველივე ამის შემდეგ, როგორ შესთავაზა, ერთად ვივახშმოთო? ნუთუ ასეთი უგრძნობელია? „უგრძნობელი“... ეს სიტყვა რატომღაც, ეხამუშა. საიდან მოიგონა? იქნებ უგულო უნდა ეთქვა? თუმცა რა განსხვავებაა ან რა აზრი აქვს, რას დაარქმევს მის საქციელს? აბა, რომელი ჭკუათამყოფელი ქალი დათანხმდებოდა ასეთ წინადადებას მაშინ, როცა მამაკაცმა აშკარად აგრძნობინა, ვერ გიტანო? ალბათ როგორ ეზიზღება... იქნებ სძულს კიდეც?

სალის საჭმლისთვის პირი არ დაუკარებია. ნათელას დიდი მადლობა გადაუხადა დახმარებისთვის და ტოლმის ნახევარი შინ გაატანა. ნაადრევად დაწვა, ტელევიზორის ყურების სურვილიც არ ჰქონდა. ლოგინში დიდხანს იწრიალა, ვერა და ვერ დაიძინა. არც იყო გასაკვირი. ვაკოს მის ფიქრებში ძალიან დიდი ადგილი ეჭირა, მყარად იყო მოკალათებული სალის გონებაში, სულსაც უბურღავდა და გულსაც. თვალცრემლიანმა ღრმად ამოიოხრა და საბოლოო დასკვნამდე მისული, რომ მას ვერასდროს დავივიწყებდა, გულდაღმა გაიშოტა საწოლზე... როდის-როდის ჩაეძინა.

მეორე დილით გვიან გამოეღვიძა და დაფეთებული წამოხტა, საავადმყოფოში არ დამაგვიანდესო. თავი მოიწესრიგა და ცისფერი, მოკლემკლავებიანი კაბა ჩაიცვა. მერე ტოლმა გააცხელა, ქილაში ჩაასხა და სხვა რამეებთან ერთად, წასაღებად გაამზადა.

კლინიკაში მისულს არ გაჰკვირვებია, ვაკო იქ რომ დახვდა. თითქოს ელოდა კიდეც, რომ ასე იქნებოდა. მან როგორც კი თვალი მოჰკრა სალომეს, ღიმილით ფეხზე წამოიჭრა, გოგონას მიეახლა და ტუჩებში მოწყვეტით აკოცა. სალომე წამოწითლდა, თუმცა შეეცადა, თავი დაემშვიდებინა იმის გაფიქრებით, რომ ეს სცენა მამიდის გულის მოსაგებად გათამაშდა. აფორიაქებულმა თვალი მარინასკენ გააპარა. ეს უკანასკნელი კმაყოფილი იღიმოდა და მოწონების ნიშნად თავს აკანტურებდა. იგი წუხანდელზე ბევრად უკეთ გამოიყურებოდა, ფერიც ძველებური დაჰბრუნებოდა. როგორც ჩანს, ამ მოჩვენებითმა „სიყვარულობანამ“ მასზე დადებითად იმოქმედა.

— დაილია ბიჭი ლოდინით, — მსუბუქად უსაყვედურა ძმისშვილს, — რატომ დაგაგვიანდა?

— წუხელ გვიან დავწექი და... — თავი იმართლა სალომემ და თავთან დაუჯდა მამიდას, ამავდროულად, ვაკოს გვერდით აღმოჩნდა, რომელმაც არ დააყოვნა და მისი თითები ხელისგულში მოიქცია.

— ისე მიხარია თქვენი შერიგება, არც კი ვიცი, როგორ გამოვხატო, — სახე უბრწყინავდა მარინას.

სალომემ თვალები დახარა, ვითომ დაიმორცხვა. არადა, ეკლებზე იჯდა, მამაკაცის ხელის შეხებას რომ გრძნობდა.

— ჩვენც გვიხარია. ასე არ არის, სალი? — ვაკომ სიყვარულით გამთბარი მზერით შეხედა... ო, ღმერთო! ისეთი გამჭოლი და ორაზროვანი იყო ეს მზერა, გოგონა კინაღამ სკამიდან გადავარდა.

რა მიუხვედრელია ეს კაცი! ნუთუ ვერ გრძნობს, რომ თუ ასე გაგრძელდა, სალის ორმაგად გაუჭირდება მასთან განშორება? ერთ მშვენიერ დღეს ხომ უნდა დამთავრდეს ეს კომედია? იქნებ მასაც სწორედ ეს უნდა? იქნებ ეს დასჯის მისეული მეთოდია? ჰო, რა თქმა უნდა, ასეა. განა ვერ ხედავს, როგორ ძველებურად მოქმედებს სალიზე მისი ყოველი შეხება და მზერა. სალიმ ღიმილით დაადასტურა ვაკოს ნათქვამი, არ უნდოდა, სიტყვებითაც მოეტყუებინა.

— როდის უნდა გამოგწერონ, მამი, რას ამბობენ?

— შესაძლებელია, ხვალვე გამიშვან აქედან. ანალიზის პასუხებს ელოდებიან. ერთი სული მაქვს, როდის გამიშვებენ. შინ მინდა, ჩემს სახლში და ჩემს საწოლში.

ამის სურვილი სალისაც ჰქონდა, რადგან მერე ხშირად არ მოუწევდა ვაკოს ნახვა. მართალია, მას მაინც მოუწევდა მარინას სანახავად მოსვლა, მაგრამ სალი როგორმე მოახერხებდა, თავი აერიდებინა გამუდმებით მის გვერდით ყოფნისგან. ახლა კი... იძულებულია, მის სიახლოვეს იყოს, რადგან იგი გამუდმებით აქ არის, დილიდან საღამომდე. ნეტავ, როგორ არის მისი საოცრებამენეჯერი თათა? ალბათ დაიმსახურა უფროსის ნდობა, რადგან მამაკაცმა ამდენი თავისუფალი დრო გამონახა. საინტერესოა, მათ შორის შავ კატას რომ არ გაერბინა, დაუთმობდა კი სალის ამდენ დროს? იქნებ თათასთანაც ერთობა? ხომ შეიძლება, საღამოობით, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, ხვდებოდნენ ერთმანეთს? რა გასაკვირია, ასე იყოს? ან კი, სალის ვინ ეკითხება? მან უკვე დაკარგა იგი, თანაც — დამსახურებულად. ალბათ იმ გოგოსაც უყვარს თავისი შეფი. ნუთუ რომანი ჰქონდათ? თუ იცის იმ თათამ, ვაკომ მას ცოლობა რომ სთხოვა? ეჰ, უკვე რაებზე ფიქრობს. რას ნიშნავს ეს? ხომ არ ეჭვიანობს? ახლა უკვე აღარაფერს აქვს მნიშვნელობა. ვაკოს ნებაა, როგორ მოიქცევა. შეხვდება იმას, ვისთანაც გაუხარდება შეხვედრა; აკოცებს იმას, ვისი კოცნაც სიამოვნებას მიანიჭებს; დაწვება იმასთან, ვისაც მისი სიმდიდრე არ დაინტერესებს... სალისთვის ახლა სულერთია მისი პირადი ცხოვრება... აა! არის კი? მაშინ რატომ გრძნობს თავს უბედურად? რატომ იტანჯება ასე?..

ერთი საათის შემდეგ ვაკო წავიდა, იმ პირობით, რომ მალე დაბრუნდებოდა და სალის სადილად დაპატიჟებდა.

— იქნებ არ ღირს ჩემ გამო მობრუნება? — შეწინააღმდეგება სცადა გოგონამ. — აქვე, ბუფეტში ავიღებდი

რამეს, ან სულაც, მე და მამიდა ერთად ვისადილებდით... არ მინდა, მისი მარტო დატოვება.

ვაკომ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რომ საუბარში მარინა ჩაერია.

— რას ლაპარაკობ, საყვარელო! მთელი ღამე მარტო არ ვიყავი? მე რა მიჭირს, წყნარად დავიძინებ და ეგ იქნება. აუცილებლად გაჰყევი ამ კაცს, რადგან გეპატიჟება. საავადმყოფოს სასადილოში რა გაჭმევს? ვინ იცის, რას როგორ აკეთებენ. წადი, გაერთე, დაისვენე, ცოტას განიტვირთები. მეც უფრო მშვიდად ვიქნები, თქვენ რომ ერთად დაგიგულებთ.

სალის არჩევანის საშუალება არ რჩებოდა.

— კარგი, მამი, როგორც შენ იტყვი...

სამი დაწყებული იყო, ვაკო რომ მობრუნდა და სალომე ახლომდებარე კაფეში მიიპატიჟა. სადილმა გოგონას კმაყოფილება ვერ მოჰგვარა. სხეულის ყველა უჯრედი მტკივნეულად განიცდიდა მამაკაცის სიახლოვეს. ამასთან, შებოჭილად გრძნობდა თავს, როცა ხედავდა, როგორ ძვრებოდა მშიერი თვალებით მამაკაცი მისი მკერდის ღარში, როგორ აშიშვლებდა მზერით. მოკლედ სცემდა პასუხს მის შეკითხვებს და ისე უგემურად ილუკმებოდა, თითქოს ბავშვობიდან აზიზი მჭამელი ყოფილიყო. არა, არა, ასე დიდხანს გაგრძელება შეუძლებელია! როგორ უნდა იცხოვროს ამ კაცის გარეშე? როგორ უნდა იარსებოს, როცა ხვდება, რომ სიგიჟემდე უყვარს?

— შენ ისე იქცევი, ეჭვი მეპარება, მამიდაშენი ჩვენს „კეთილხმოვან“ ურთიერთობაში დაარწმუნო, — შენიშნა ვაკომ.

— რას გულისხმობ?

— თავი ისე გიჭირავს ჩემთან, თითქოს ნაკლებად სასიამოვნო უცხო ადამიანი ვიყო. მე როგორ მოვიქცე ამ დროს, რას მირჩევ? შენ თვითონ არ მეუბნებოდი, შენი ხასიათის ხშირი ცვალებადობის მიხედვით ვერ გარდავიქმნებიო? როგორ გგონია, მე გამიადვილდება ამის გაკეთება? ჩემთვისაც ისევე ძნელი იქნება, როგორც შენთვის. შენც დამეხმარე და მეც დაგეხმარები. რატომ არ გინდა, მომყვე?

— მართალი ხარ, — ამოიოხრა სალიმ, — მაგრამ რა ვქნა, თუკი ჩემს თავს ვერაფერს ვუხერხებ? ეს ჩემს ძალებს აღემატება. მოჩვენებითი მხიარულებით ფონს ვერ გავალ, არ შემიძლია.

ვაკომ წარბები ასწია.

— გინდა, რომ მამიდაშენს მორიგმა ინფარქტმა დაარტყას? დაგავიწყდა, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის ჩვენი ურთიერთობა?

— არ დამვიწყებია, მაგრამ... როგორ გითხრა... შენი საქციელი ძალიან მთრგუნავს...

— გთრგუნავს? განა, რას ვაკეთებ ამისთანას? როგორ ვიქცევი?

— შებოჭილი ვარ... ნუთუ აუცილებელია, ასე შემომხედო, როცა ერთად ვართ? ახლა მაინც არ გვიყურებს მარინა... დილით კიდევ... კოცნა რა შუაში იყო? ჩემი აზრით, არ არის საჭირო ასეთი ენთუზიაზმის გამოჩენა.

მან ცოტა არ იყოს, ბოროტი ღიმილით გაიღიმა.

— სხვათა შორის, მამიდაშენს ძალზე მოეწონა ის სცენა და მე ვფიქრობ, რომ შენც. ისე წამოწითლდი და აღელდი, როგორც შეყვარებულ ქალებს სჩვევიათ... ან იქნებ, არტისტიზმის ისეთ მწვერვალებს მიაღწიე, რომ ადვილად შეგიძლია, თავი შეყვარებულად მოაჩვენო? იქნებ საკუთარ გულსაც უპრობლემოდ აიძულებ, ასეთ დროს ზომაზე მეტად აჩქარდეს?

სალი აილეწა. კარგა ხანს ფიქრობდა, რა ეპასუხა.

— რაღაც მომენტებში ქალებს უჭირთ თავიანთი თავის გაკონტროლება.

— ესე იგი, შენ შეგიძლია, ხან აღელდე და ხან ბოლომდე გაცივდე და ეს ვერ აკონტროლო? — დანისლული თვალები ჯიქურ შესცქეროდა გოგონას.

— მგონი, ასეა.

— მგონი?.. ზუსტად არ იცი, ასეა თუ — არა?

— რას გადამეკიდე? — წამოიყვირა სალომემ და მიხვდა, მისდა უნებურად, ხმას რომ აუწია. ძალა მოიკრიბა და შედარებით მშვიდი ტონით გააგრძელა. — რაში გჭირდება ეს ყველაფერი? თავს რატომ არ დამანებებ?

— იმიტომ, რომ... თუ გულახდილად გინდა გითხრა, მსიამოვნებს შენი ყურება, ძვირფასო სალი. უკიდურესად მაინტრიგებ, — ირონიული ტონით წარმოთქვა ვაკომ, ყავიანი ფინჯანი ხელში აიღო და სანამ დარჩენილ ყავას დალევდა, შეანჯღრია, — გგონია, ვერ ვხვდები, ფისოსავით რომ ხარ ჩემზე შეყვარებული? არადა, თავი ისე გიჭირავს, თითქოს ჩემი დანახვა არც გინდოდეს.

— რა სისულელეა, სულაც არ მიყვარხარ, ერთი მისხალითაც კი, — დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით ღაწვები შეეფაკლა სალის, აი, თურმე რა დასკვნები გამოიტანა, — უბრალოდ... როცა შენ მკოცნი, თავს ვერაფერს ვუხერხებ. განა იმიტომ, რომ მსიამოვნებს, პირიქით... ეს წმინდა წყლის ფიზიოლოგიური მომენტია. ხშირ შემთხვევაში, ზიზღით და სიყვარულით გამოწვეული შეგრძნებები ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგავს. როცა საყვარელი თუ საძულველი ადამიანი გეხება ან გიყურებს, ორივე შემთხვევაში თავისუფლად შეიძლება, ერთნაირად წამოწითლდე. წამითაც არ იფიქრო, რომ კიდევ მაინტერესებ, იმიტომ, რომ ასე არ არის. ცხოვრებაში არასდროს გავყვები ცოლად ფულის ტომარას.

ვაკომ სკეპტიკურად შეჭმუხნა წარბები და მერე საათს დახედა.

— ნახევარი საათის შემდეგ შეხვედრა მაქვს, ამიტომ ახლა უნდა წავიდე. თუმცა, დაიმახსოვრე, ეს საუბრის დასასრული არ არის. ვეცდები, მილების საათების დამთავრებამდე მოვასწრო კლინიკაში მოსვლა. შემდეგ მე და შენ ვივახშმებთ და ჩვენს საინტერესო ბაასს იქ გავაგრძელებთ.

— არა მგონია, — სალომემ მამაკაცს თვალი თვალში გაუყარა და მზერა ჯიქურ გაუსწორა.

საკმარისია! სალაპარაკო მეტი აღარაფერია. მათ შორის ისედაც ყველაფერი ნათელია.

— შენ სხვა არჩევანი არა გაქვს, გოგონი. უნდა დამიჯერო, თუ მამიდაშენის კარგად ყოფნა გსურს.

— მამიდაჩემის ჯანმრთელობისთვის სულაც არ არის აუცილებელი, ყოველი წამი ერთად გავატაროთ, მით უმეტეს, მაშინ, როცა იგი ვერ გვხედავს, — ნიშნის მოგებით უპასუხა და წამოდგა.

გასაკვირი ის იყო, რომ ვაკო იმ საღამოს საავადმყოფოში არ გამოჩენილა. ამან ცოტათი დააწყნარა სალომე. ეს იმას ნიშნავდა, რომ მას მშვიდი საღამო ელოდა. ძალიანაც კარგი, რომ არ მოვიდა. სულაც არ იფიქრებს მასზე. დაჯდება, რომელიმე კარგ ფილმს შეარჩევს და ტელევიზორს სიამოვნებით უყურებს, შემდეგ კი წუხანდელ ღამენათევს მკვდარივით დაეძინება.

შეპირებით კი შეჰპირდა თავის თავს, არ ვიფიქრებო, მაგრამ ეს შეპირება შესასრულებლად არც ისე იოლი აღმოჩნდა. ვერა და ვერ გამოდევნა ვაკო გონებიდან. ვერც ფილმს დაუდო გული. ის იყო, დასაწოლად გაემზადა, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა.

ღამის თერთმეტი საათი იყო. ვინ უნდა ყოფილიყო ამ დროს? თანაც, სალომეს უკვე მოესწრო ღამის პერანგის ჩაცმა. ასეთ ფორმაში არ ღირდა კარის გაღება... დარწმუნებული იყო, რომ ვაკო იქნებოდა, სწორედ ამიტომ არ აპირებდა დაგვიანებული სტუმრის მიღებას. მაგრამ ზარი არ წყდებოდა. უეცრად სალომეს თავში დაჰკრა. ვაითუ, მამიდა გახდა ცუდად და კლინიკიდან მოაკითხეს? თუმცა... ასე რომ მომხდარიყო, დაურეკავდნენ, რაღა შინ მოაკითხავდნენ?

ვაკო რომ იყოს? მაგრამ რისთვის... რატომ უნდა მოსულიყო? იქნებ მისი წამოსვლის შემდეგ მივიდა საავადმყოფოში და მამიდა ცუდ მდგომარეობაში დახვდა? იქნებ ამის გამო გამოემართა აქეთ, რათა... არა, ოღონდ ეგ არა! სალის მეტი აღარ უყოყმანია, ჰოლში გავარდა და კარი ფართოდ გამოაღო.

— უკვე იმედი გადამეწურა, რომ გამიღებდი.

— რამე მოხდა? უარესად გახდა? ნუთუ...

— სიმშვიდე, ქალბატონო, სიმშვიდე, — ვაკომ გაშლილი ხელისგულები ასწია, — არაფერიც არ მომხდარა. მე, უბრალოდ, შემაგვიანდა, ეგ არის და ეგ. ვფიქრობ, არც ისე გვიანი დრო სავახშმოდ? — იკითხა მამაკაცმა და იმწამსვე მიხვდა, რომ სისულელე წამოროშა.

მისი ვარაუდი სალომეს პასუხმაც დაადასტურა.

— მე რა, სავახშმოდ გამზადებულს ვგავარ? სათანადოდ მაცვია? — გოგონამ ნათქვამს სარკასტული ტონი გაურია.

ვაკომ ჩაიცინა, რათა უხერხულობა დაეფარა.

— ეს იმაზეა დამოკიდებული, სად ვივახშმებთ. თუკი აქ, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, რას ჩაიცვამ. საკუთარ სახლში ბიკინითაც შეიძლება, სუფრას მიუჯდე და შიშველიც, სხვათა შორის...

მამაკაცს სრულიად აკმაყოფილებდა ამ ფორმაში გამოწყობილი გოგონა. ქსოვილი გამჭვირვალე იყო, სხეულის კონტურები არცთუ გამოკვეთილად, მაგრამ მაინც მოუჩანდა პერანგს მიღმა. როგორ შეეძლო, თვალი მოეწყვიტა ამ მშვენიერი სხეულისთვის? მოულოდნელად გიჟურმა სურვილმა წამოუარა... გაეხადა მისთვის ეს პერანგი და ენახა, ეცვა თუ არა შიგნით საცვალი? მერე კი... მოეხვია ხელი და ნაზად დაეკოცნა მისი ხორბლისფერი გლუვი, სურნელოვანი კანი...

— ასე გვიან არასდროს ვჭამ! — გამოუცხადა სალომემ.

— შენ — შეიძლება არა, მაგრამ ჩემნაირ მოკვდავებს, სამწუხაროდ, უწევთ ხოლმე ღამის საათებში დანაყრება და ძალების მოკრება. მაპატიე, ასე რომ გამოვიდა. დავიჯერო, სამზარეულოში სასუსნავი არაფერი მოგეძებნება? — შემრიგებლური ღიმილი ესროლა მამაკაცმა.

— თავად ნახე, — აგდებულად მიუგო, — შენ ხომ აქ თავს ისე გრძნობ, როგორც საკუთარ სახლში.

— მერედა, შენ არ შემომიერთდები? „ზაკამპანიუ“ ჩაის მაინც არ დალევ ჩემთან ერთად? — ეშმაკურად შეღიმა ვაკომ, თითქოს არ სჯეროდა მისი გულგრილი სიტყვების.

მოიცა, რა უპასუხა დღეს, როცა გამოუცხადა, ჩემზე შეყვარებული ხარო? ჰო, ახსოვს, როგორ არა — როცა შენ მკოცნი, თავს ვერ ვაკონტროლებო, მგონი... მდა�ა... ეს საინტერესოა. მოგვიანებით შეიძლება, ამის გადამოწმება... ახლა კი... დროა, ივახშმოს, თორემ გაუხმა კუჭი.

მან შინაურულად აუარა გვერდი გოგონას, სამზარეულოში გავიდა და მაცივარი დინჯად გამოაღო.

— აქ ყველაფერი ბლომად ყოფილა. ეს კარგია, მე ვიტყოდი, ძალიანაც კარგი, — თავისთვის ჩაილაპარაკა, პერანგის სახელოები აიკაპიწა და საქმეს შეუდგა.

ჯერ ლორი დაჭრა, მერე პომიდორი და ბოლოს პური. სუფრა წამში გააწყო და მიმოიხედა. სალი ზღურბლთან იდგა, კარის ძგიდეს მიჰყრდნობოდა გულზე ხელებდაკრეფილი და ყურადღებით ადევნებდა თვალს მის ყოველ მოძრაობას.

— მგონი, საკმარისია. ღამით ზედმეტი გაძღომა კუჭს ვნებს. არ მეთანხმები? — მიუბრუნდა გოგონას.

სალიმ შეამჩნია მის თვალებში აცეკვებული ჭინკები.

— მამიდაშენს, როგორც მახსოვს, სადღაც ღვინოც უნდა ჰქონდეს... თავშენახული ქალია...

— კარადაში დევს ერთი ბოთლი.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. თითო ჭიქა არ გვაწყენდა, — კმაყოფილი ტონით აღნიშნა მამაკაცმა და „ქინძმარაულით“ სავსე ბოთლი გამოიტანა, — ახლა ჭიქებიც ავიღოთ და აივანზე გავიდეთ. იმედია, შემომიერთდები. ხომ გაგიგონია, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო? — ამ სიტყვებით ყველაფერი ვარდებით მოხატულ სინზე გააწყო, სალის გვერდით გაუარა და „ძღვნით“ ხელში აივნისკენ გაეშურა.

სალომე უკან მიჰყვა, მაგრამ აივანზე არ გასულა. სასტუმრო ოთახში დარჩა და ტელევიზორი ჩართო. მერე დივანზე მყუდროდ მოკალათდა, ფეხები მოიკეცა და ეკრანს მიაჩერდა.

— დალევ? — ჰკითხა მამაკაცმა, რომელიც უკან შემობრუნდა, იქვე, ჟურნალების მაგიდაზე შემოდო სინი, მერე ორი ჭიქა შეავსო ღვინით, მიუახლოვდა გოგონას და ერთი გაუწოდა.

ვაკოს წამით მოეჩვენა, რომ სალი შემოთავაზებაზე უარს ეტყოდა, მაგრამ შეცდა. მიუხედავად იმისა, რომ გოგონამ მომაკვდინებელი მზერა ესროლა, ჭიქა ჩამოართვა და თაბაშირიან მკლავზე დაიდო.

— მინდა, ვიცოდე, რატომ აკეთებ ამას? — გაღიზიანებული მიაჩერდა გოგონა.

— რას ვაკეთებ?

— თავს მაბეზრებ.

— მე კი მგონია, რომ სულაც არ ხარ ჩემი აქ ყოფნის წინააღმდეგი. იქნებ მეჩვენება?

მისი ტიპის ქალები, იშვიათად, წარუმატებლობას შეეგუვნონ. ეჭვი არ არის, რომ მას თავისებური თამაში აქვს ჩაფიქრებული, თან შორს მიმავალი გეგმებით, ამიტომაც, თვალი დიდი სიფრთხილით უნდა მიადევნოს, რომ მახეში არ გაებას... არა, რა უაზრობას ფიქრობს? ეს თავად წამოიწყო თამაში და არა სალიმ, ეს თავად მოუწყობს მას ხაფანგს და არა — ის. მოვა დრო და ეს მეტიჩარა არსება მიხვდება, რომ საბოლოოდ დამარცხდა.

ვაკომ მოჭრილი პური აიღო,

კარაქი გადაუსვა, ზემოდან ლორის თხელი ნაჭერი დაადო და ჩაკბიჩა, თან ცალი თვალით სალისკენ გაიხედა, თუ მიყურებსო.

— ბუტერბროდი გინდა?

— პატარა ნაჭერს შევჭამდი, — გულგრილად წარმოთქვა გოგონამ და ჭიქა იატაკზე დადგა.

ვაკომ კიდევ ერთი ნაჭერი პური გაამზადა, ლორს პომიდორიც დაამატა და მიაწოდა.

— გმადლობ.

— შეგერგოს. შემიძლია, კიდევ გაგიკეთო, ლორი ბლომადაა.

— უარს არ ვიტყოდი, — მორცხვად ჩაიღიმა გოგონამ, — საღამოს არ მივახშმია.

— რატომ?

— დამავიწყდა.

— აკი, ღამით არ ვჭამო?

— რა ვიცი, რატომღაც, მომინდა.

— იცი, რატომ?

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე ვიცი გემრიელი ჭამა, მადაზე მომყავს ადამიანი. ასე არ არის?

— ჰო.

საინტერესოა, რამ დაავიწყა ვახშმობა? იმის გამო ხომ არა, საავადმყოფოში რომ არ მივიდა? იქნებ აქ ელოდა და მის გამოჩენა სულაც არ ყოფილა მისთვის მოულოდნელი? ალბათ. როგორც ახსოვს, სალის მისი დანახვა დიდად არ გაჰკვირვებია. ვინ იცის, როგორ ნანობს ახლა, ცოლობაზე უარი რომ უთხრა.

— თავიდანვე რომ ასე დაგეწყო, არ სჯობდა? რა თავპატიჟი გამოიდე? — ვაკომ კიდევ ერთი ბუტერბროდი გაიმზადა, — ძალიან გემრიელია. ერთიც ხომ არ გინდა?

— არა, დიდი მადლობა, ჩემთვის სრულიად საკმარისია.

ძალიან ოფიციალური საუბარი კი გამოუვიდათ, თითქოს სახელისუფლებო დონის შეხვედრა ჰქონოდათ. არადა, როგორ უნდოდა მამაკაცს, იმ კუთხით წაეყვანა დიალოგი, საითაც ქალის ღამის პერანგი უბიძგებდა.

ვაკომ თავის ჭიქას ხელი დაავლო და სალომეს გვერდით, დივანზე დაჯდა. თან ბუტერბროდს მიირთმევდნენ, თან ღვინოს აყოლებდნენ, ლაპარაკით არც ერთი არ იკლავდა თავს. რაც მეტს სვამდა სალომე, მით უფრო ეხსნებოდა დაძაბულობა, თანდათან შემსუბუქდა. თითქოს ატმოსფერო თანდათან უფრო მეგობრული გახდა.

როცა ჭამა-სმას მორჩნენ, ვაკომ მაგიდა აალაგა და ყველაფერი სამზარეულოში გაიტანა. შემდეგ კვლავ მის გვერდით მოკალათდა. სალიმ ცოტათი განზე გაიჩოჩა.

— რა იყო, გეშინია?

— არა, რატომ...

— აბა, რას ჩაიწიე, კი არ ვიკბინები.

— მგონი, შენი წასვლის დროა...

— ასე ფიქრობ? მაგრამ აქ თავს არაჩვეულებრივად რომ ვგრძნობ? მე და მარინა ამ დივანზე საათობით ვისხედით ხოლმე ერთად, ყავას ვსვამდით და თავის დროზე ფილოსოფიურ თემებზე ვმსჯელობდით.

— მაგრამ მე მარინა არ ვარ, თანაც, მეძინება, — ცივად შენიშნა სალიმ.

— დაიძინე მერე, ვინ გიშლის?

— შენ.

— მე-ე? აჭარბებ...

— არ ვაჭარბებ. რისთვის მოხვედი, დაგპატიჟე? შენ დაუპატიჟებელი სტუმარი ხარ, უფრო მეტიც, არასასურველი... ასე რომ, გამიჭირდება ასეთ სიტუაციაში დაძინება.

დაუპატიჟებელი გასაგებია, მაგრამ რაც შეეხება არასასურველს, ამაში ვაკო დარწმუნებული არ იყო. ქალი ჩქარობდა მის გაშვებას, რადგან საკუთარ თავში არ იყო დარწმუნებული. ყველანაირად ცდილობდა, უდარდელად მოეჩვენებინა მამაკაცისთვის თავი, მაგრამ ვერ ახერხებდა, მის სიახლოვეს ყოფნა თავგზას უბნევდა. არც ვაკო იყო უკეთეს დღეში. ქალის სხეულიდან თითქოს მხურვალება მოდიოდა. მაჯისცემის გახშირებულ დარტყმებს ძლიერად გრძნობდა. ალბათ როგორ ელოდება, როდის აკოცებს. დარწმუნებულია, რომ სალი წინააღმდეგი არ იქნება, თუკი ახლავე მიაწვენს ამ დივანზე და... ასე რომ არ იყოს, ნახევრად შიშველი არ დასკუპდებოდა შუა ოთახში, რამეს მაინც მოიხურავდა. თუმცა, არა, ასე არ არის. რამ გამოაშტერა ამხელა კაცი? იმწუთას თავში აზრადაც არ მოსვლია, რამდენად ძნელია ჩაცმა ან გახდა, როცა ცალი ხელი თაბაშირში გაქვს. ვინ იცის, რა წვალებით ჩაიცვა ღამის პერანგი.

— თუ დღევანდელ საუბარს დავუბრუნდებით, — დაიწყო ვაკომ, რადგან იგრძნო, რომ სიტუაცია იმუხტებოდა, — რატომღაც, ვერაფრით დავიჯერებ — ჩემი სიმდიდრის შესახებ თავიდანვე რომ გცოდნოდა, ჩემდამი ინტერესს დაკარგავდი.

— მაშინ, მინდა გითხრა, რომ სრული იდიოტი ყოფილხარ, — ნიშნის მოგებით გადახედა სალიმ, — ჩემთვის სულერთია, გჯერა თუ არა, მაგრამ მე მაინც ასე მოვიქცეოდი. მით უმეტეს, არც ისეთი შემოსავალი გაქვს, რომ ნებისმიერ ქალს დაუბრმავო თვალი.

როგორი თავდაჯერებული მატყუარაა, ერთი შეხედეთ! თანაც, რა ლამაზია, ეს მამაძაღლი, როცა ბრაზდება! თვალები ისე უელავს, თითქოს ყინულისგან იყოს ჩამოსხმული, ხოლო მკერდი... ოჰ, ეს მკერდი! რა მადისაღმძვრელად აუდ-ჩაუდის!

— გგონია, დაგიჯერებ? თანაც, შენნაირ „საგმირო მიღწევების“ ქალს? — ჩაიცინა ვაკომ და უფრო ახლოს მიიწია მისკენ.

— შენ მხოლოდ იმას იჯერებ, რისი დაჯერებაც გსურს. ჩემი სინდისი სუფთაა. შეცდომას ყველანი ვუშვებთ ახალგაზრდობაში. შენ რა, არასდროს მოქცეულხარ წინდაუხედავად?

— კი, რა თქმა უნდა, მოვქცეულვარ, მაგრამ არა სერიოზულ საკითხებში. შენი მაგ კაცთან ქორწინება არ შეიძლება, შეცდომად ჩაითვალოს. ეს ნაბიჯი გამიზნულად გადადგი. არც იმის მჯერა, რომ ქმარი ცუდად გექცეოდა. რა ვქნა, ასეა და მომკალი, თუ გინდა.

სალის კვლავ რისხვით აენთო თვალები.

— რაც გინდა, ის იფიქრე. ჩემთვის სულერთია. მაპატიე, თუ შენი მკაცრი სტანდარტები ვერ დავაკმაყოფილე. დავიღალე შენთან ლაპარაკით. იქნებ, წასულიყავი, ბოლოს და ბოლოს?

რაც უფრო ბრაზდებოდა სალომე, მით უფრო ძლიერდებოდა ვაკოს სურვილი, მოჰფერებოდა. ისე როგორ წავიდეს, ერთხელ არ აკოცოს? წამოდგა და კარისკენ გაემართა.

— არც კი გამაცილებ? რაც უნდა იყოს, სტუმარი ვარ, შენ კი — მასპინძელი... არ იქნება ღამაზი...

სალომემ უხალისოდ ჩამოიღო თავისი ღამაზი, გრძელი ფეხები დივნიდან და ღამის პერანგი შეისწორა. ქედმაღლურად ასწია თავი და თავადაც კარისკენ დაიძრა. ისე მოარხევდა თეძოებს, ისე ამაყად მოირწეოდა, მოწოლილი ვნებისგან ვაკოს ღამის თვალთ დაუბნელდა. გოგონამ გვერდი აუარა და წინ გადაუსწრო. როგორ მოუნდა ვაკოს, ხელი წაეტანებინა ამ სრულყოფილებისთვის და გულში ჩაეკრა, მოჰფერებოდა და ალერსით დაეხრჩო. იმდენად დიდი იყო სურვილი, აღარც კი ახსოვდა, რამხელა ტკივილი მიაყენა ამ „სრულყოფილებამ“ რამდენიმე დღის წინ. უკან მიჰყვებოდა სალომეს და მის სხეულს თვალებით ჭამდა, რხევა-რხევით რომ მიუძღოდა წინ. როცა სალიმ კარის სახელურს ხელი მოჰკიდა, ვაკომ იმარჯვა და სანამ გოგონა გასაღებს გადაატრიალებდა, მის ხელს თავისი დაადო. მამაკაცი ელოდა ამ წუთს, ნებისმიერ ხელსაყრელ მომენტს, რათა ოდნავ მაინც შეხებოდა მას და მაშინვე იგრძნო, გოგონა როგორ დაიძაბა. ვაკომ სალი თავისკენ მსუბუქად იმ იმედით შემოაბრუნა, რომ ეს უკანასკნელი წინააღმდეგობას არ გაუწევდა.

— მხოლოდ ერთი გამოსამშვიდობებელი კოცნა და წავალ... გეფიცები... — ჩურჩულით წარმოთქვა და პასუხს არ დალოდებია, ისე დაეწაფა მის ოდნავ მთრთოლვარე ტუჩებს.

გოგონა მისი ტუჩებიდან თავის დაღწევას შეეცადა და, რაც შეეძლო, ენერგიულად გაიბრძოლა, მაგრამ რაც მეტხანს კოცნიდა ვაკო, მით უფრო სუსტდებოდა მისი წინააღმდეგობა. კიდევ რამდენიმე წამი და მისი მკლავები შემოეხვია მამაკაცის მხრებს, კისერს... სალიმ იცოდა, რომ ის, რასაც ახლა აკეთებდა, სიგიჟე იყო, მაგრამ თავს ვეღარ აკონტროლებდა. თავიდანვე შორს უნდა დაეჭირა მისგან თავი, ის კი არა, საერთოდ არ შემოეშვა სახლში. უნდა ეფიქრა, რომ მსგავსი რამ აუცილებლად მოხდებოდა. ახლა კი... არათუ გული და გონება, სხეულიც კი აღარ ემორჩილებოდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

— რას მივაწერო შენი აქ მოსვლა? — გაოცებულმა ქალმა წარბები ასწია და კარში ისე ჩადგა, რომ ანა მიხვდა, შიგნით მის შეშვებას არ აპირებდა.

— საქმეზე მოვედი, სალაპარაკო მაქვს, — მშვიდი ხმით უპასუხა, მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი დედამთილის ქმედებამ ძალზე გააღიზიანა.

— მე შენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს, ჩვენი ურთიერთობა მაშინ დასრულდა, როცა გოჩა მოკვდა, — ცივი ხმით თქვა თინამ.

— გთხოვთ, 10 წუთი დამითმოთ, — ანა უკან დახევას არ აპირებდა.

— 10 წამსაც ვერ დაგითმობ, — ქალმა ის იყო, კარის მოხურვა დააპირა, რომ ანამ ფეხი დაუდო და ამის საშუალება არ მისცა.

კარს ხელიც მიაშველა, ბოლომდე გააღო, დერეფანში შევიდა და ზურგს უკან მიხურა.

— გოჩას ხსოვნის პატივისცემა რომ არა, ახლა ძაღლივით მიგახრჩობდი, — კბილებში გამოცრა და თვალები დააკვესა.

თინას ცოტათი ფერი ეცვალა. მიხვდა, თუ წინააღმდეგობას გაუწევდა, ანა აღარც გოჩას ხსოვნას დაგიდევდა და ვინ იცის, რას მოიმოქმედებდა.

ანამ ოთახში შეაბიჯა და იქაურობა მოათვალიერა. გოჩას გადიდებული სურათი კედელზე ეკიდა. თითქოს გაოცებული შემოჰყურებდა. ახლოს მივიდა და სურათს ხელი გადაუსვა.

თინიკო შორიახლოს იდგა და მდუმარედ უყურებდა.

— ქალბატონო თინა, იცით, რომ საკუთარი შვილი მოკალით? — უეცრად თქვა ანამ.

— მე?!

— დიახ — თქვენ! ვიცი, ძნელია, როცა დედას საკუთარი შვილის სიკვდილში ადანაშაულებ, მაგრამ თქვენ იმის ღირსი ხართ, რომ ამ ცოდვამ არ დაგაძინოთ. ვიცი, განიცდით შვილის გარდაცვალებას, მაგრამ თუ სიმართლეს გაიგებთ, უფრო გაგიჭირდებათ ცხოვრება. მე კი სწორედ ის მინდა, რომ ცხოვრების ბოლომდე დაიტანჯოთ და დანაშაული საკუთარ თავზე აიღოთ.

— ამას როგორ ამბობ?! — შეიცხადა ქალმა.

— ეს გეცნობათ? — ანამ არაბუნებრივად დაჭრილი 3 ფურცლიდან ერთ-ერთი გაშალა, თინას კარგად რომ დაენახა.

ქალს აშკარად ნირი წაუხდა. თუმცა შეეცადა, არაფერი შეემჩნია.

— იცნობთ? გეკითხებით.

— არა.

— ძალიან კარგად იცნობთ. ჯადო თქვენი გაკეთებულია, რომელიც თქვენვე შემოგიბრუნდათ და საკუთარი შვილის სიცოცხლედ დაგიჯდათ.

— ეს ტყუილია, — ყოფილი დედამთილი წინააღმდეგობას ყასიდად უწევდა, რადგან ანას ისეთი მტკიცე ხმა ჰქონდა, მიხვდა, რომ აზრს ვერ შეაცვლევინებდა.

— ტყუილი კი არა, წმინდა წყლის სიმართლეა და ის მესამე ფურცელიც ვიპოვე, რომელიც ასე საგულდაგულოდ გქონდათ გადამალული. მას სვანეთში, სწორედ თქვენს სახლში მივაგენი. ასე რომ, უარყოფას აზრი არ აქვს. რა დაგიშავეთ, ქალბატონო თინა? — აგრესია უეცრად გაუქრა.

— ჩემი შვილის შესაფერისი არ იყავი.

— რას მიწუნებდით? ანდა, თუნდაც დამიწუნეთ, სამუდამო უბედურებისთვის გამწირეთ? მოლასთან ვიყავი და ეს თქვენი გაკეთებული ჯადო მივუტანე. სწორედ მისგან ვიცი, რომ ჯადო ჩემზე მოქმედებს. მე და თქვენი შვილი ერთმანეთს უნდა დავშორებოდით და ამის შემდეგ, რამდენჯერაც გავთხოვდებოდი, იმდენჯერ უნდა დავქვრივებულიყავი. ის კი ვერ გაითვალისწინეთ, რომ ჩემი და გოჩას დაშორება მხოლოდ სიკვდილს შეეძლო და ჯადო ამოქმედდა თუ არა, მისი სული უფალმა მიიბარა. რაც შეეხება მის მკვლელს, მე ჯერ ჩემი პირობა ვერ შევასრულე, მაგრამ შორს არაა ის დრო, როცა გოჩას სისხლის წილ სისხლი დაიღვრება.

ქალი გაოგნებული სახით უყურებდა ანას და ხმას ვერ იღებდა. როგორც ჩანს, მხოლოდ ახლა გაისიგრძეგანა თავისი ნამოქმედარის შედეგი.

— აქამდე სად იყავი?

— ისეთი ბოღმა გაქვთ გულში, რომ გოჩას გარდაცვალების წლისთავზეც კი არ დამპატიჟეთ. არადა, ამით მოიხდიდით საბოლოო ვალს თქვენი შვილის წინაშე, — ანამ თინას კითხვას პასუხი არ გასცა, თითქოს არც გაუგონიაო, — ახლა კი ვალდებული ხართ, წამომყვეთ და ამ ჯადოს გაუვნებლებაში მონაწილეობა მიიღოთ, რადგან თქვენ გარეშე ეს საქმე არ გამოვა.

— არსად არ წამოვალ. ჩემი შვილი მიწაშია და ყველა დანარჩენი წყალსა და მეწყერს წაუღია. თუნდაც, სამყარო დაგმხობია თავზე, მაგაზე არ ვიდარდებ.

ანა ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდა; ფიქრობდა, რომ თინა დათანხმდებოდა და გაჰყვებოდა მოლასთან, მაგრამ თურმე ცდებოდა.

— თუ დამჭირდება, ხელ-ფეხს შეგიკრავთ და ისე წაგიყვანთ. ამ ზომამდე ნუ მიმიყვანთ, ნუ მაიძულებთ, რომ ძალადობას მივმართო. დღეს, ამ საღამოს ამ უმსგავსობას წერტილი უნდა დაესვას. მე ჩემი ცხოვრება მაქვს და ჩვენი გზები არასოდეს გადაიკვეთება. ამიტომ, ეს ბოლოა, რასაც გთხოვთ.

— არა, ანა, მე არსად წამოვალ.

— კარგი, მაშინ ახლა ვნახავთ, როგორ შეგიძლიათ, საკუთარი ნების გატანა.

ანა ქალს მიუახლოვდა და თვალებში ჩახედა. მან თვალი აარიდა. რძალყოფილმა ხელში ხელი მოჰკიდა — ქალი გველივით ცივი იყო და ანას ტანში გასცრა. უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა, მაგრამ ხელი აღარ გაუშვია. ის იყო, კარისკენ უნდა წაეყვანა, რომ შემოსასვლელში გოჩას ძმა გამოჩნდა.

— ანა?! — გაუკვირდა მისი დანახვა.

— დიახ, მე ვარ, — ქალმა შემთხვევით ისარგებლა, ანას ხელი გააშვებინა და შვილს მივარდა.

— მიშველე, ძალით მივყავდი სადღაც ამ უნამუსოს, — საწყალი ხმით შესჩივლა.

— სად მიჰყავდი, რას ამბობ?

— არ ვიცი, ჰკითხე და გეტყვის. რაც მოვიდა, მას მერე თვალებს მიბრიალებს, მემუქრება და რომ ვერ შემაშინა, ახლა ჩემი წაყვანა უნდა. ვინ იცის, რომ არ მოგესწრო, მომკლავდა კიდეც.

— ენა გააჩუმე, — ანას ტუჩის კუთხე ზიზღმა აუწია, — დედაშენი მოლასთან მიმყავს და უთხარი, რომ ნებით გამომყვეს, — ახლა დახმარება ყოფილ მაზლს სთხოვა.

ცოტა ხანში მას ყველაფერი მოუყვა. მამაკაცი ჩუმად უსმენდა, ერთხელაც არ გაუჩერებია. მხოლოდ არ-

— კი, დე, კარგად ვარ.

— ხომ არ გაწყენინეს?

— მეშინოდა, შენ რომ ვერ გეპოვე.

— აუცილებლად გიპოვიდი, პატარავ, დედამიწას გადავაბრუნებდი და მაინც გიპოვიდი, — ანას ცრემლი მოერია, — ნელი სადაა?

— იქ შეიყვანეს, — ხელი ერთ-ერთი ოთახისკენ გაიშვირა.

— ბავშვის დაკითხვა უფროსის გარეშე რომ არ შეიძლება? — გამომძიებელს მიუბრუნდა ანა.

— დაკითხვას არ ვაწარმოებდი,

— იქ სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, დედას ვკითხე, რა ენაზე ლაპარაკობენ-მეთქი და მითხრა, თურქულადო.

— როგორ გექცეოდა დედა?

— კარგად. ერთხელ მცემა, როცა ავტირდი, ანასთან მინდა-მეთქი. იქ, ჩვენთან ერთად ქალი იყო, დედაჩემისხელა იქნებოდა, ის მაჭმევდა და მივლიდა; დედა სულ წასული იყო.

— რას გეუბნებოდა? გპირდებოდა, რომ დაგაბრუნებდა?

— მეუბნებოდა, ანას ჩემი ვალი აქვს, იმას როგორც კი დამიბრუნებს, მაშინვე გაგიშვებო.

— დღეისთვის საკმარისია, შეგიძლიათ, გოგონა წაიყვანოთ, — გამომძიებელი წამოდგა.

ბელა გახარებული იყო, რომ შინ დაბრუნდა; ანაც — არანაკლებ კმაყოფილი, რომ გოგონა საღ-სალამათი აღმოჩნდა.

ბელა შინ დატოვა, თვითონ კი ვახოს სანახავად გაეშურა.

მამაკაცი ქალაქგარეთ, მანქანაში ელოდა. ანამ გადაასწრო და სიგნალით ანიშნა, გამომყევიო. დაღამებული იყო, წვიმაც წამოვიდა. მანქანის მინებზე წვიმის წვეთები ლამპიონების შუქს ირეკლავდა და პატარა, მბრწყინავ ვარსკვლავებს ჰგავდა... ანას გულზე რაღაც შემოაწვა და ხასიათი გაუფუჭა. თუმცა, რაღა — „რაღაც“, ვახო საბლიანის დანახვა ყოველთვის უფუჭებდა გუნებას.

დუშეთისკენ წავიდა, რადგან ვახოსთან ერთად ქალაქში გამოჩენას ერიდებოდა. ერთ-ერთ რესტორანთან გაჩერდა და დაელოდა. შენობაში ერთად შევიდნენ და თავისუფალ მაგიდასთან დასხდნენ.

— ანა, რატომ ერიდები ჩემთან ერთად ხალხში გამოჩენას? რატომ არ გინდა, რომ ჩემი მეგობრები გაიცნო?

— ჯერ ადრეა, მგონი. როცა ჩვენს ურთიერთობაში რამე შეიცვლება და უფრო „ახლო ფაზაში“ გადავალთ, მაშინ კი შეიძლება, რომ შენიანები გავიცნო.

— ოჯახში უკვე ვთქვი, ცოლი მომყავს-მეთქი...

— რას ამბობ? რატომ იჩქარე? მგონი, ადრე იყო მაგის თქმა, — ანა შეშფოთდა. სულაც არ აძლევდა ხელს, რომ ვახოს ოჯახს მის შესახებ რამე გაეგო.

— ჯერ არ მითქვამს — ვინ... ხომ იცი, სვანების ამბავი — დედაჩემმა რომ გაიგოს, განათხოვარ და შვილიან ქალზე ვაპირებ დაქორწინებას, შეიძლება, გაგიჟდეს. ამიტომ, მინდა, რომ ჯერ გაგიცნოს და შენით რომ მოიხიბლება, მერე ვეტყვი სიმართლეს.

ჯერ ჩემი პირობა ვერ შევასრულე, მაგრამ შორს არაა ის დრო, როცა გოჩას სისხლის წილ სისხლი დაიღვრება

აბულად დაწერილ ფურცელს დაჰყურებდა და ყბები უთამაშებდა.

ანამ საუბარი რომ დაასრულა, მამაკაცი ბრაზს ვეღარ მალავდა.

— დედა, ადექი და გაჰყევი, სადაც გეუბნება. მეც წამოვალ, — ყრუდ თქვა და წამოდგა.

თინა მის ნებას დაჰყვა...

შინ დაბრუნებული ანა გაღიზიანებული იყო. გადაწყვიტა, დაეძინა. დედას სთხოვა, არავინ შემაწუხოსო და თავის ოთახში გავიდა. დაღლილს მთელი ღამე ისე ეძინა, რომ გათენება არც გაუგია. მზემ მიანათა თუ არა, მაშინვე დაფეთებული წამოხტა. ახსოვდა, რომ იმ დღეს თურქეთიდან ბელა უნდა ჩამოეყვანათ და ეგონა, დააგვიანდა.

საათს რომ დახედა, მიხვდა, რომ ტყუილად შფოთავდა.

დღის განმავლობაში უამრავი საქმე მოასწრო — ორივე სამსახურში შეირბინა, ირაკლიც მოინახულა, საღამოს შეხვედრა საბლიანს დაუთქვა და 5 საათისთვის ნუგზართან და ადვოკატთან ერთად პოლიციაში მივიდა. შენობაში შევიდა თუ არა, ბელა მაშინვე შენიშნა, რომელიც გამომძიებელს მაგიდასთან დაესვა და ელაპარაკებოდა. ანას დანახვისთანავე გოგონა წამოხტა და მისკენ გამოიქცა. მკლავები კისერზე შემოხვია და გულში ჩაეკრო. ანამ გოგონას ხელი მოხვია, შემდეგ განზე გასწია და შეხედა.

— ხომ კარგად ხარ? — ჰკითხა მზრუნველად.

მხოლოდ ვკითხე, როგორაა, ხომ არაფერი აწუხებს ან ხომ არ შია. მეტი არაფერი.

— არ მშია, სახლში მინდა, — თქვა ბელამ.

— შინ მალე წავალთ, ახლა კი ცოტა ხანს ამ ბიძიას უნდა ესაუბრო, კარგი? თუ გინდა, გავალ და საჭმელს გიყიდი.

— არა, — თავი გააქნია გოგონამ, — მალე დაველაპარაკოთ და წავიდეთ.

— მოდი, ჩემთან დავსხდეთ, ოთახში, — გამომძიებელმა ერთ-ერთი კარი შეაღო და დანარჩენებს შეუძღვა.

— აბა, ბელა, რას გვეტყვი, როგორ აღმოჩნდი დედაშენთან? — დასვა პირველი კითხვა.

— სკოლიდან რომ მოვდიოდი, დედამ დამიძახა. ადრეც რამდენჯერმე შემხვდა და მომეფერა. მეუბნებოდა, ჩემთან უნდა წაგიყვანოო, მაგრამ მე არ მინდოდა. იმ დღეს კი რომ ველაპარაკებოდი, ჩვენ წინ მანქანა გაჩერდა. იმ მანქანაში ძალით ჩამსვა და წამიყვანა.

— იმ მანქანის საჭესთან ვინ იჯდა?

— გოდერძი ბიძია. ის დედაჩემის მეგობარია. ადრეც ბევრჯერ მყავს ნანახი.

— შემდეგ რა მოხდა?

— შემდეგ ძალიან დიდხანს ვიარეთ, მთელი დღე მივდიოდით, საღამოს დედამ უთხრა, ამაღამ აქ დავრჩეთო. ბათუმში ვიყავით. დილით თურქეთში წავედით.

— რა იცი, რომ თურქეთში იყავით?

— მე შენ „დიდი ბიჭი“ მეგონე, — გულიანად გაიცინა ანამ.

— რას იზამ, ასეთია ქართული სინამდვილე. ანა, ხომ გამომყვები ცოლად?

— ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს.

— ეს პასუხი არ მაკმაყოფილებს, მე მხოლოდ დადებით პასუხს მივიღებ!

— დადებითი პასუხი ჯერ არ არსებობს, ვახო... გადაწყვეტილი არ მაქვს. ხომ იცი, რომ არ მიყვარხარ...

— მოდი, მაშინ ასე მოვიქცეთ: არც მე ვარ პატარა ბიჭუნა და არც შენ ხარ 15 წლის გოგონა. ზრდასრული ადამიანები ვართ და ვიცით, რომ სექსი ქალსა და მამაკაცს შორის ბევრს ნიშნავს... დავახლოვდეთ, მომეცი შენი ალერსის საშუალება... დარწმუნებული ვარ, შეგიყვარდები.

— საოცარ რამეს ამბობ. თუ არ მიყვარხარ, სექსზე როგორ დაგთანხმდე? — გაოცდა ქალი.

— უშენოდ აღარ შემიძლია. რა გავაკეთო შენი გულისთვის, მითხარი და ყველაფერს შეგისრულებ.

— არაფერი მინდა, — თითქოს სინდისის ქენჯნა იგრძნო ქალმა.

— ანა, მინდა რაღაც გკითხო, — ვახომ პაუზა გააკეთა.

ანა დაიძაბა და სუნთქვა შეეკრა.

— გავიკითხე და გავიგე, რომ შენი მანქანის ნომერი — ULTRIX — ქართულად „შურის მაძიებელ ქალს“ ნიშნავს. ამ ნომერში საკმაოდ სოლიდური თანხა გაქვს გადახდილი... იქნებ ამიხსნა, რატომ აირჩიე ეგ სიტყვა? არა მგონია, რომ მისი მნიშვნელობა არ იცოდე...

ანამ მამაკაცს თვალებში ჯიქურ შეხედა და საკმაოდ დიდი პაუზა გააკეთა. თან ფიქრობდა, რა ეთქვა. თუმცა, ვერაფერი მოიფიქრა და ისევ სიტყვის ბანზე აგდება ამჯობინა.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მოდი, მომავალზე ვილაპარაკოთ.

— კარგი, — უცებ დაყაბულდა ვახო, — ისე, არც შენი წარსული იქნება უინტერესო. ხომ არ გინდა, რამე მომიყვე?

— წარსულზე ლაპარაკი არ მიყვარს... სურვილი მაქვს, რომ გონების „გადატვირთვა“ მოვახდინო და ამ დროს ყველა უსარგებლო ინფორმაცია „წავშალო“.

— ანა, მგონი, ჯობია, რომ წავიდეთ... აქვე ახლოს ერთი მყუდრო სასტუმრო ვიცი და იქ დავრჩეთ... თუ გინდა, ხვალ მსოფლიოს გავაგებინებ, რომ ცოლი მოვიყვანე.

— არა, — თავი გააქნია ანამ და გაახსენდა, რომ 2 დღის წინ იარაღი ვახოს მანქანაში დატოვა. ახლა მისი ამოღება იყო საჭირო და რამე უნდა მოეფიქრებინა, რომ ეს მოეხერხებინა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. გვ 61

ჩვრით გაუწმინდა და გიორგის დახმარებით საძინებლისკენ წაიყვანა.

— მოგეხმარები, — მაიკოს მეორე მხარეს გიზო ამოუდგა.

— თავი დაანებე, შენს სტუმრებს მიხედე, არ მოიწყინონ, — თამარმა ქმარი დატუქსა.

ისიც, მაშინვე უკან გაბრუნდა და მორიგი სადღეგრძელო წამოიწყო.

— თამარ, დღეს შენთვის არაფერი მიჩუქებია, — ძლივს აბრუნებდა ენას მაიკო.

— არა უშავს, ახლა ცოტას გამოგაფხიზლებ და საჩუქარზე დილით ვილაპარაკოთ, — გაუღიმა მეგობარმა.

მაიკო საძინებელში „გადაიტანეს“ და საწოლზე დაყრილ საჩუქრებსა და ყვავილებს შორის დააწვინეს. შეეტყო, რომ ცოტა უკეთ იყო. თვალებს უკვე ბოლომდე ახელდა და ცოტა აზროვნების უნარიც დაუბრუნდა.

— მინდა, რომ ახლა გაჩუქო, — საწოლზე ხელი მოაფათურა მაიკომ, — გია, მოიწი, რა! — ერთ-ერთ საჩუქარს ვარდისფერი ბაფთა მოხსნა და გიორგის მკერდზე მიამაგრა. — აი, ჩემი საჩუქარი. ის ძალიან კარგია და ერთგული... — მაიკომ გიას ლოყაზე აკოცა. — შენთვის მიჩუქებია.

— მაიკო, ნუ სულელობ, დაწექი და დაიძინე, — გაეცინა თამარს.

— მართლა გეუბნები, — ამოიოხრა მაიკომ, — იცი, რა მაგარი ვინმეა? შესანიშნავი წყვილი იქნებით, შენ მას მოსწონხარ. კარგ ოჯახს შექმნით, შვილებს გააჩენთ და ბედნიერად იცხოვრებთ.

— ახლავე გააჩუმე ენა, — თამარი გაბრაზდა, — ამაზე უკეთეს საჩუქარს ვერ მოიფიქრებდი!

— კარგი, მაშინ გაიწიეთ და მშვიდად სიკვდილის საშუალება მომეცით, — მაიკო კედლისკენ გადაბრუნდა და ასლუკუნდა.

— სულელი, — ჩაილაპარაკა თამარმა, — სიგარეტი ხომ არ გაქვს? — მიუბრუნდა გიას.

მამაკაცმა სიგარეტი მიაწოდა და ასანთიც გაკრა.

ცეცხლის შუქზე ქალმა შენიშნა, რომ გიორგი იღიმებოდა.

— სისულელეა, — თქვა მამაკაცმა.

-— რა არის სისულელე?

— ის, რომ ჩვენ ტრადიციებისა და წესების მონები ვართ. მაიკო მართალია, მე მართლა მომწონხარ, — გიორგიმ ქალის ხელი აიღო. თამარმა ხელი არ დაანება. შებრუნდა და ფანჯარაში გაიხედა.

მამაკაცმა სიგარეტი გამოართვა და საფერფლეში ჩასრისა. შემდეგ მოეხვია, თავისკენ შეაბრუნა ქალი და ტუჩებში აკოცა. ქალს წინააღმდეგობა არ გაუწევია. ოთახიდან სიცილის ხმა გაისმა. როგორც ჩანს, რომელიღაც სტუმარმა გააცინა ყველა. თამარი გამოფხიზლდა, მამაკაცს ხელი ჰკრა და თმა გაისწორა.

— არ წახვიდე, — სთხოვა გიამ.

ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— იცი, ადამიანებს ხშირად გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის ეშინიათ, — დაიწყო მამაკაცმა, მაგრამ თამარმა შეაჩერა.

— ეს ალბათ, ჩვევაა, — უთხრა და გაუღიმა...

— დავრჩები შენთან, — შესთავაზა მამაკაცმა, — და არასოდეს წავალ, ერთად ვიქნებით სიცოცხლის ბოლომდე, მე ხომ მიყვარხარ... დიდი ხანია, თვალყურს გადევნებ... ძლივს დავითანხმე მაიკო, რომ სტუმრად მოვეყვანე... თამარ, გთხოვ...

— არა, — თავი გააქნია ქალმა, რას იტყვის ხალხი?

— ხალხმა რაც უნდა, ის თქვას. მათ ხომ არ აწუხებს, შენ მარტო რომ ხარ? მათ ხომ ვერ აუხსნი, რომ გინდა, მარტოობას გაექცე... ნუთუ, ბედნიერების უფლება არ გაქვს?

— არა, არ შემიძლია, გია... შენ არ დაგინახავს, როგორ გვიყურებდა ჩემი ყოფილი ქმარი... თანაც, ჩემი შვილი უკვე დიდია, ის 16 წლისაა და არა მგონია, ამ ამბავს სიხარულით შეხვდეს. მე პირველ რიგში დედა ვარ, რომელსაც უნდა, რომ შვილს არ აწყენინოს... ჩემს ასაკში ხელმეორედ გათხოვებაზე არ უნდა ვიოცნებო... რას იტყვის ხალხი...

— ნუთუ ამას მნიშვნელობა აქვს?

— აქვს... ხალხის აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს...

გიზომ სტუმრების წასვლის შემდეგ სახლი მიალაგა, ჭურჭელიც დარეცხა.

— თამარ, თეთრეული ვერ ვიპოვე, — სააბაზანოს კართან გაჩერდა და ხმამაღლა დაუძახა ქალს, — თამარ, გესმის?

პასუხი რომ ვერ მიიღო, გიზომ კარს ყური მიადო და ხელახლა მიაკაკუნა. წყლის ხმაურში კარგად გაარჩია, რომ მისი ცოლყოფილი ხმამაღლა ტიროდა.

— ეეჰ, ბევრი დალიე, არა? — ჩაილაპარაკა თავისთვის, — რას ვიზამ, დავწვები უთეთრეულოდ, მთვრალ ქალს რა უნდა ელაპარაკო? — თქვა და ფლოსტების ფრატუნით საძინებლისკენ გაემართა.

■

ფეიკ ვნიულები

მარი ჯაფარიძე

მივესალმები მკითხველს და ბედნიერ კვირას ვუსურვებ. უკვე ტრადიციად იქცა, რომ შესავალში საინტერესო ამბებს გიყვებით ხოლმე. ჰოდა, დღესაც არ დავიზარებ და იმ ამბებს გაგაცნობთ, რომელსაც ინტერნეტში გადავაწყდი და ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე: ვლადიმირ დემიხოვმა, ქირურგმა, 1954 წელს მსოფლიოს თავისი შედევრი — ორთავიანი ძაღლი წარუდგინა. გერმანულ ნაგაზს მეორე ძაღლის თავი კისერი და წინა ორი თათი გადაუნერგა. ძაღლი რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. 15 წლის მანძილზე მეცნიერმა 19 მსგავსი ექსპერიმენტი ჩაატარა. იოსებ მენგლე ოსვენციმის ექიმი იყო, ბანაკში „სიკვდილის ანგელოზს“ ეძახდნენ. ძირითადად ექსპერიმენტებს ტყუპებზე ატარებდა. ზოგჯერ დაკვირვებისთვის იმდენჯერ იღებდა სისხლს, რომ პაციენტები სისხლნაკლულობისგან იღუპებოდნენ. ერთხელ ორი ბოშა ბიჭუნა ერთმანეთს მიაკერა, რათა სიამის ტყუპი მიეღო. ყასაბივით მოქმედებდა, ავადმყოფებს ანესთეზიის გარეშე კუჭსა და გულზე ოპერაციებს უტარებდა. მენიერი 1673 წელს, გერმანიაში, ფრანკენშტეინის სასახლეში დაიბადა. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ის მერი შელის ნაწარმოების „ფრანკენშტეინის“ პროტოტიპია. თეოლოგიის, ფილოსოფიისა და ალქიმიის შესწავლის შემდეგ მენიერმა „უკვდავების ელექსირი“ დაამზადა, რომელიც ცხოველების სისხლის, ძვლებისა და ორგანოებისგან შედგებოდა. სხვადასხვა ექსპერიმენტსაც ატარებდა: ხელოვნური არსების შესაქმნელად ადამიანის გვამებს ხარშავდა, ძაბრისა და ლანცეტის საშუალებით, ერთი გვამიდან მეორეში სულის გადანერგვას ცდილობდა. ჯოვანი ალდინი იტალიელი პროფესორის, ლუიჯი გალვანის დისშვილი იყო, რომელმაც გალვანიზმი აღმოაჩინა. ერთ-ერთი ექსპერიმენტის ჩატარებისას ელექტროსადენი დამხრჩვალ ბაყაყს მიადო. რეპტილიას კიდურები აუმოძრავდა, რის შემდეგაც ჯოვანიმ ექსპერიმენტების ჩატარება გვამებზე დაიწყო. ერთხელ მაყურებლები მოიწვია და სერიული მკვლელის გვამი ელექტროშოკის გამოყენებით აამოძრავა. რამდენიმე მაყურებელი ადგილზევე გარდაიცვალა.

კანფეტივით გოგო ანუ არ გაინძრე!

სევდიანი ამბავი

„საღამო იყო, ციოდა. უაზროდ ქროდა ქარი. კლდის ნაპირს გოგონა მიუახლოვდა. დაბლა აბობოქრებული ზღვის ტალღები ეხეთქებოდა კლდეს. გოგონა მუხლებზე დაეცა და ხმამაღლა ატირდა. ამ ტირილში აქსოვდა მთელ ემოციას. ტალღები უფრო აბობოქრდა, თითქოს გოგოს ტირილი გაეგო ზღვას და თვითონაც თავის ტკივილს უზიარებდა. ქარი თმას უწეწავდა, მისი სხეულის მხურვალებას ეკალივით ესობოდა, თუმცა ის ვერაფერს გრძნობდა, არაფერი ესმოდა, მხოლოდ ტიროდა. ჯიბიდან სურათი ამოიღო და მდუმარედ დააჩერდა. ქარმა გამოსტაცა ხელიდან. ერთადერთი რაღაც დარჩენოდა გოგონას და ისიც ქარმა წაართვა, ნივთშიც ვიღაც შეეცილა. გოგონა ისევ ატირდა, მაგრამ ცოტა ხნით. მერე წამოდგა და ზღვისკენ წავიდა. წამიერად შედგა. ტალღები უხმობდა. გოგონამ გაიღიმა და ნელა გადაეშვა მათკენ. ტოვებდა ტკივილსა და სევდას, ტოვებდა ცრემლსა და ბოღმას და ნეტარების ღიმილით ეშვებოდა ზღვისკენ. ცოტა ხანში ტკივილის ვნებით აღსავსე ორი სხეული ერთმანეთს სამუდამოდ შეერწყა. კლეოპატრა“.

დაუდგეს თვალები

„მოგეხსენებათ, ქართველ ხალხს, განსაკუთრებით — სოფელში და მით უმეტეს — მოხუცებს, სიახლესთან შეგუება ძალიან უჭირთ. თუ ქალი მოკლე კაბას, ამოღებულ მაისურსა და „შემოტკუცულ“ შარვალს ჩაიცვამს, ყველა ნაკვთი რომ ეტყობა, ისეთს, სიგარეტსაც თუ მოწევს და ამას გამომწვევ სიცილსაც დაურთავს, „ისეთნაირი“ ქალის სახელი გარანტირებული აქვს! ჩემი მეგობარი, რომელზეც მინდა მოგიყვეთ, არც დეკოლტეს სიღრმით და არც „შემოკრული“ შარვლებით არ გამოირჩევა. უბრალოდ, სიგიჟემდე უყვარს მოკლე კაბები და როგორც ამბობს, „უმოკლეკაბობას“, სიკვდილი ურჩევნია. სწორედ ამიტომაა ხოლმე, „ჭორბიუროს“ სხდომაზე მისი კაბის სიგრძე, ფეხების სისქე და ტრუსის ფერიც კი „დეპუტატთა“ განხილვის მთავარი თემა. გადაწყვეტილებასაც ერთხმად იღებენ: ეს გოგო გზას აცდება! ნელის კი მათი აზრი სულ მოშიშვლებულ ფეხებზე ჰკიდია (თვითონ ამბობს ასე). კახეთში, ერთი კვირა, გადაუღებლად წვიმდა, რამაც ელექტროგადამცემის ხაზები დააზიანა და უდენოდ დავრჩით მთელი 7 დღე. ქუჩები ჩაბნელდა.

ღამე ნელის აფთიაქში წასვლა დასჭირდა და დამირეკა, უკვე ძალიან ბნელა, ხომ გამომყვებიო? წავედით! უეცრად, მოპირდაპირე მხრიდან მომავალი ქალების ხმა შემოგვესმა, რომელთა დიალოგი დაახლოებით ასე ჟღერდა: გო, გუშინ დილითა არაა, ბაზარში გავრეკე ე ჩემი დედლები, კვერცხ ესენი არ მიდებენ და არაფერი, ვიფიქრე, „მივაპრადალებ“ და საქსოვ ძაფ მაინც ვიყიდი-მეთქი. როგორც იქნა, ავედი ამ „მარშრუტკაში“ და თელავში რომ შევედით, იცი რა დაინახა ჩემმა დასაბრმავებელმა თვალებმა? ნუღარ იტყვი, ქაააა... ჩვენი ქვეითა მეზობელი, ნელი ხო იცი, არა?! აი ისა გო, ბაყვებამოყრილი რო დადის-ხოლმე, სასტუმროსთან იდგა, ნახევარმტკაველისოდონა კაბითა, ქააააა! უიმე გოგოო, დაუდგეს თვალები მაგას აჰა, არადა, რა დედა, ბებია და დეიდები ჰყავს, ეგ ვის დაემსგავსა, აგრემც ეგ არ მაყრილიყოს ჩვენი ხნისა. კინაღამ გავსკდით, — მე სიცილით; ნელი — ბოღმით. საქმე ისაა, რომ ნელი სასტუმროს მენეჯმენტს სწავლობს და პრაქტიკაზე იყო „ჰოტელში“. ზაფხულში ხალხი სიცხეს სოფლებში აფარებს თავს და სანამ წამოხვალთ, გაითვალისწინეთ, აქ უამრავი „ფარული კამერაა“. :) P.S. მეორე დილით გულდაფუფქული ქალები ნელის დედას მიადგნენ, ახალთ-ახალი ამბით და გაწუწულები გაუდგნენ, სახლისკენ მიმავალ გზას. რუისპირი“.

არც ისე „პრილიჩნი“ კურიოზი

„ჰეეე... იცით, რა მაგარი რამე შემემთხვა? ერთი ღადო დაქალი მყავს, ყველაფერზე იკრიჭება. მინდა თუ არ, გადამდებს ხოლმე თავის განწყობილებას და დავდივარ მთელი დღე ყურებამდე პირგახეული. ჰოდა, ერთ დღესაც ახლობელთან მიდიოდა და გამომყევიო, მთხოვა. მეც, საწანწალო ვნახე და მეტი რა მინდოდა? გავყევი. თან ვიცოდი, მასთან არ მოვიწყენდი და დღე ისე არ ჩაივლიდა, რაიმე კურიოზი არ გადაგვხდენოდა. ავედით ავტობუსში, მაგარი ჭედვაა... სხვა რა გზა გვაქვს, მოგვიწევს ფეხზე დგომა. აქეთ ერთი კაცია საზურგეს მიყრდნობილი და სძინავს, არხეინად. იქით — ორი ქალი ზის და ჭორაობს. ვის სცალია ჩვენთვის... უცბად, ჩემმა დაქალმა ყურში რაღაც ჩამჩურჩულა და ორივენი ვუყურებთ მძინარე კაცს, რომელსაც შარვლის „ზმეიკა“ აქვს ღია და ვკვდებით სიცილით. როგორც ჩანს, იმ ორ ქალს ხელი შევუშალეთ ჭორაობაში და დაგვიბღვირეს. ვაიმე, არავინ გვცემოს-მეთქი, გავიფიქრე. ჩანთიდან ცხვირსახოცი ამოვიღე, პირზე მივიფარე და ისე გავაგრძელე სიცილი. ხმა იმდენად აღარ ისმოდა, მაგრამ მერე უარესი მოხდა: ცხვირსახოცი სიცილისგან გამივარდა და ჩემს ბედზე, ზედ იმ კაცს არ დაეცა გახსნილ „ზმეიკაზე“?! ვაიმეეე, ჩაბჟირდა ჩემი დაქალი. მე უარესად ვხარხარებდი. ახლა უკვე ყველა მგზავრი გვიყურებდა. თან ისეთი სახეებით, უეჭველი ფიქრობდნენ, ვაი თქვენს პატრონს, რა თაობა მოდისო. დავწყნარდით, როგორც იქნა, მე და ეიფორია (დაქალს შევარქვი), მაგრამ ახლა ამ კაცმა ჭყიტა თვალები. ეტყობა, მიხვდა, რაზეც ვიცინოდით და „ზმეიკის“ შეკვრა დააპირა ისე, რომ არ დაუხედავს. ხელში ჩემი ცხვირსახოცი შერჩა, მაგრამ არც მისთვის დაუხედავს, ისე შეიჩურთა შარვალში, „ზმეიკაც“ შეიკრა და ისევ წაუძინა. გაოცებული ვუყურებდი ხან ჩემს ჩაბჟირებულ დაქალს, ხან — იმ კაცს, ნეტავ, რას აკეთებს-მეთქი. გვიან მოვწვი, როგორც ჩანს, ჩემი ცხვირსახოცი თავისი „საროჩკის“ ბოლო ეგონა და შარვალში ჩაიტენა. მე და ეიფორია უკვე ისე ვიცინოდით, რომ მგზავრებისგან ოხრად მივიღეთ საყვედურები, ხოლო მძღოლისგან — მუქარა, რომ თუ არ მოვკეტავდით, გზაზე ჩამოგვყრიდა, მაგრამ აბა, რა გამაჩუმებდა, როცა თვალწინ მედგა იმ კაცის გაოცებული სახე, სახლში შარვალს რომ გაიხდიდა და ჩემს ცხვირსახოცს წააწყდებოდა. ვაიმე, იმ დღეს „კაკ მინიმუმ“, 10 წლის სიცოცხლე მომემატა. ტერეზა“.

ბედნიერი შემთხვევა

„გამარჯობა, მარი ჯაფარიძე. უთქვენოდ დეპრესია კი არა და, როგორც ჩემი საყვარელი მწერალი, ოტია იოსელიანი გვეუბნება, გამოთაყვანება დამეწყო. ეეჰ, მარი, უმცროსმა ბიჭმა მიმტყუნა და ახლა უფროსი ბიჭის თხოვნით ვამესიჯებ. „გზა“ ხომ საქართველოს მასშტაბით ყველგან ხელმისაწვდომია. ჰოდა, ამ ჩემ უმცროს, ბღვერია ლაშას თქვენი წყალობით ბავშვობის ამბავი მინდა გავახსენო, რომ კოპიანი შუბლი გახსნას. მაშ ასე, სოფლად ცხოვრების დროს ჩემს ეზოს ლამაზ-ლამაზი ქათმები ამშვენებდა. ყველას სახელებს ვარქმევდი და დასაკლავად ვერ ვიმეტებდი. ისევ გაყინული ქათმის ჩახოხ-

ბილს ვამზადებდი ხოლმე. ერთ საღამოს, სამსახურიდან მოსულს, ჩემი მაშო და მეგრულა თავწაჭრილები დამახვედრეს. — აი, დედი, — მეუბნება უფროსი. — აი, დედაა — აჰყვა უმცროსი. სიმონიკამ „ტრანგალეტკა“ დააჯახა დაა... ქათმები შევწვით და... ლაშამ „მოხია“ ბარკალი, თითქოს ღვინით სავსე ყანწი ეჭირა, ისე შემოსძახა: სიმონიკა, შენ გაგიმარჯოს შენი „მურავეთ“, კარგი ქენი, ქათმები რომ დაგვიხოცე, თორემ დედაჩემმა დამხრჩვალი ქათმის ჭამით სული ამომხადაო“.

თაფლობის თვე

„სკოლა რომ დავამთავრე, იმ ზაფხულს მამიდაჩემთან ჩავედი, სოფელ ტაშისკარში. იქ, ბებიასთან ერთი უკრაინელი გოგო, ეკა ისვენებდა. მთელი 3 თვის მანძილზე, დღე და ღამე სულ ჩვენთან იყო. ვთამაშობდით და ვერთობოდით. ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტეთ, მთაში წავსულიყავით კარვით, ერთი დღით, მაგრამ ერთი კვირა ვერ დავბრუნდით. გზა აგვერია და თურქეთის საზღვარს მივადექით. გადავიპარეთ ჩუმად ანტალიაში და მაგრად დავისვენეთ, თან 3 ათასი ევრო ვიპოვეთ ზურგჩანთაში და თაფლობის თვეც გამოგვივიდა მაგარი“.

არ გაინძრე!

„სურამში ერთი ფოტოგრაფი კაცი ცხოვრობს. დიდი თუ პატარა, ყველა მასთან მიდის სურათის გადასაღებად. ერთ დღეს, მიცვალებულზე დასჭირვებია სურათის გადაღება. ჰოდა, ეს შეჩვენებული მიცვალებულს ეუბნება თურმე, არ გაინძრე, არ გაინძრეო... იქ მყოფები დახოცილან სიცილით, ვერ ხედავ, მკვდარია, როგორ უნდა გაინძრეს, კაცოო. კი შერცხვენია ფოტოგრაფს, მაგრამ მერე თავადაც ბევრი უცინია საკუთარ ნათქვამზე. მას შემდეგ იმ კაცს ყველა „არ გაინძრეს“ ეძახის. ეს ამბავი კი თითქმის მთელ სურამს მოედო. აბა, სურამელებსაც გვესმის იუმორი! :) ლუნა“.

მშიერი

„ნინო კახეთში დაპატიჟეს, ქორწილში. წინა დღეს ეწვია ბიძაშვილებთან ერთად მექორწილეებს. ისე დაღამდა, მასპინძლებმა სტუმრები ვერ დააპურეს. ბიძაშვილები ერთ ოთახში მოათავსეს დასაძინებლად. ძალიან შიოდათ და ოთახში შესულებს, ნამცხვრის სურნელი ცარიელი კუჭის ფანტაზიის ნაყოფი ეგონათ. ცხვირში ულიტინებდათ „ნაპოლეონის“ და „რიჟიკას“ სუნი. ნინო წამოდგა და საწოლის ქვეშ უამრავი ნამცხვარი აღმოაჩინა. თითო ლანგარიდან ორ-ორი ნაჭერი აიღეს, რომ არ შეტყობოდა და პირი ჩაიკოკლოზინეს. მეორე დილით როცა ადგნენ, პირველ რიგში ისინი ასაუზმეს, თქვენ გუშინ არაფერი გიჭამიათო. :) ჭრიჭინა“.

სიზმარეთი

„გავიღვიძე თუ არა, საათს დავხედე, 12 სრულდებოდა. ის იყო, ადგომა დავაპირე, რომ ფიქრები შემომაწვა და ისე გადავეშვი ოცნებებში, ვერც გავიგე, როგორ ან როდის ჩამეძინა. არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა, მაგრამ როცა გავიღვიძე, გველნაკბენივით წამოვვარდი საწოლიდან იმის შიშით, რომ ისევ არ ჩამძინებოდა. გარეთ რომ გავედი, ისეთი კარგი ამინდი იყო, ვინანე კიდეც, ამდენ ხანს რომ მეძინა. ცოტა ხანში ჩემს პატარა ბიძაშვილ, ზიზისთან ერთად სასეირნოდ წავედი, თან მეზობლის გოგო, თამუნაც გავიყოლე. სეირნობისას ზიზის ჩაეძინა, მე და თამუნა კი ლაპარაკში გართულები უეცრად გავშეშდით და დაბნეულობისგან სიტყვის თქმაც ვერ მოვახერხეთ. ამის მიზეზი კი ჩვენკენ მომავალი, სიმპათიური ბიჭი გახლდათ. ლამის ბავშვი გამივარდა ხელიდან, მის დანახვაზე. ზიზი თამუნას მივაჩეჩე, იმ ყმაწვილს შემთხვევით ჩემი შვილი რომ არ ჰგონებოდა. თამუნა ეშმაკობას მიმიხვდა და შემომიბღვირა. მერე, უეცრად ყველაფერი ჩაბნელდა, თითქოს დაღამდა... ბიჭი მომიახლოვდა და ლოყაზე კოცნით, ქალთა დღე მომილოცა, სიყვარულით გამიღიმა და დამპირდა, რომ დაბრუნდებოდა. მერე, ყველაფერი წესრიგში ჩადგა. იმ ღამეს საერთოდ არ მძინებია, დილით კი ჩინებულად ვიყავი, იმ ბიჭის მოლოდინში... მერე, ისევ მოულოდნელად აისვეტა სიმპათიური ყმაწვილი ჩემ წინ... ისეთ ლამაზ სიტყვებს მეუბნებოდა, ზეზეულად ვდნებოდი. ხელი გამომიწოდა, მეც მაგრად ჩავეჭიდე და ის იყო, ნაბიჯი უნდა გადაგვედგა, რომ ნაცნობი ხმა ჩამესმა: — გაიღვიძე! გაიღვიძე! თვალები ძლივს გავახილე და დოინჯშემორტყმულ ჩემ დას დაბნეულმა ვკითხე, დღეს მართლა 8 მარტია? — შენ რა, სულ გაგიჟდი? რა დაგესიზმრა ასეთი? მიდი, სანამ წყალი მოდის, მოუყევი, — ირონიულად მითხრა ჩემმა დამ და ოთახიდან თავპირისმტვრევით გავარდა იმის შიშით, რომ რამე არ მოხვედროდა. აბა, ასეთ სიზმარს წყალს როგორ გავატანდი?! ნამდვილი სიზმარა ვარ, რა... ლუნა“.

„ატრაბოტკა“ და ეშმაკის ნაკვალევი

„ატრაბოტკა“ არის უვარგისი ზეთი, რომელსაც მანქანიდან იღებენ. ახალციხეში არის ერთი ფრიად კოლორიტული პიროვნება, რომელმაც ეს ამბავი მოგვიყვა: თურმე ზემოხსენებული „ატრაბოტკა“ „ატეკიდან“ მოატანინა. ჟანგიანი ხერხი ამ ზეთში ჩადო და სარდაფში დატოვა. რამდენიმე დღეში სარდაფში ჩასულმა, იატაკზე უცნაური ნაკვალევი აღმოაჩინა. გაოცებულს მაღაზიის ნოქრისთვის დაუძახია, რომელსაც ნაკვალევის დანახვაზე თვალებზე ხელები აუფარებია და ეშმაკის ნაკვალევიაო, უკივლია! ამ დროს მეზობლებიც მოსულან და ხმათა უმრავლესობით დაუმტკიცებიათ, რომ ეს ნამდვილად ეშმაკის ნაკვალევი იყო. გაბრაზებულა ჩვენი კოლორიტი და ნაკვალევს გაჰყოლია. რაღაც „ხარახურას“ მისდგომია, სადაც გაშავებული, ერთიანად „ატრაბოტკაში“ ამოსვრილი ვირთხა უპოვია. თურმე, ეს ეშმაკი, რომელმაც მთელი ასპინძის ქუჩა ააფორიაქა, იყო ვირთხა — „ატრაბოტკიდან“. გაკოცეთ. ელისო“.

მთვრალი ქათამი

„ბავშვობაში მეზობლის ბავშვებთან ერთად ვთამაშობდი და ხან რას ვაფუჭებდით, ხან — რას. ზეპირად ვიცოდით, ვის ბაღში რა ხილი იყო და მრავალჯერ მოგვიპარავს. თან სოფელში საეშმაკოს რა გამოლევს? ერთ დღეს მოვიფიქრეთ, ქათამი დაგვეთრო. დავიჭირეთ ბებიაჩემის შვილივით გაზრდილი დედალი და ვახუხიეთ და ვახუხიეთ არაყი. ისე, ძალიან ბევრი არ დასჭირვებია, მალე მითვრა და ცოცხლად გავპუტეთ. აი, მაშინ კი მივხვდით, რომ მოგვხვდებოდა და ქათამი ბუჩქებში დავმალეთ. თან ყველამ დავიფიცეთ, საიდუმლო არ გაგვეთქვა. მეორე დილით ბებიაჩემის კივილმა გამაღვიძა. ჯერ მეგონა, ვინმე მოკვდა და შეიცხადა-მეთქი, მაგრამ გარეთ გამოსულმა ჩვენი ნავაჟკაცარი დავინახე, პახმელიაზე დაბანდალობდა. საბედნიეროდ, ბებიაჩემი გაგიჟებას, ჩვენ კი გალახვას გადავურჩით. მიყვარხართო. ფლამინგო“.

მეორე

„ერთ დღეს მეგობართან ერთად მდინარეზე წავედი. ძალიან ბევრი ხალხი იყო, უმეტესობა — ბიჭები. ჩემმა მეგობარმა ერთი ბიჭი დაინახა, რომელიც ადრეც მოსწონდა. გაუხარდა, მაგრამ ის ბიჭი ყურადღებასაც არ აქცევდა. თიკომ მოიფიქრა, ვითომ ვიხრჩობი, ის ჩემს გადასარჩენად წამოვა და იქნებ რაღაც გრძნობა გაუჩნდესო, მაგრამ რად გინდა? თიკოს გადასარჩენად, ის კი არა, ჩვენი მეზობელი რომეო გადაეშვა წყალში. კუკუშა“.

კანფეტივით

„აუ, დღეს რაღაც დათარსული დღე მქონდა... რომ არ ამერიოს, მოყოლას თავიდან დავიწყებ... მოკლედ, ჩემი მეგობრებისა თუ ახლობლებისთვის ცნობილია, რომ ვარდისფერ და თეთრ ფერებზე უზომოდ, ავადმყოფურად ვარ შეყვარებული (ალბათ ფიქრობთ, ასათიანზე რომ მიგაბრძანებენ, არ მოგაკლდება თეთრი ფერების ჩაცმის ბედნიერებაო, ხომ?) კი, კი, ეგრეა... და ამიტომაც აქედანვე მშვიდად ვარ... გაზაფხულის მზის ამოცხუნვარებისთანავე, ამ ფერებით ვიმოსები. ჰოდა, მოვდივარ დღეს, ასე ავარდისფრებულ-„აბანტოჩკებული“ და არ მომდევს ვიღაც „პაცანა“? გინდა თუ არა, დაიცადეო... მეც, გონებაგაფანტული სიფათითა და უაზროდ აცეცებული თვალებით ნაბიჯს ავუჩქარე... ის კი არ მომეშვა... მისი საცოდაობით დამწვარ-დადაგულმა, იქვე მდგომმა კაცმა, ხმა შეაშველა და: ფოჩიანი კანფეტივით გოგო, შენ გეძახიანო... რააო, ფოჩიანი კანფეტივითოო?! ამის ხსენებაზე ამენთ-დამენთო თვალის „საცეცხლურები“ და სასწრაფოდ რომ არ ეთქვა, ვიხუმრეო, არ ვიცი, რას ვუზამდი (ნუ, ეს ისე რა, თორემ რისი მქნელი ვარ?!). თან რა იცოდნენ, რა ნიკი მაქვს, თორეემ... ფოჩიანი კანფეტები მერე გენახათ...

სერია მეორე: ამავე დღეს, ბლის საჭმელად ხეზე ამძვრალი, ღამის ჩამოვვარდი. ნუ, რაღა ღამის, გვერდები კი „დამიმასაჟდა“ დაა... მერე იყო და ვიღაცის ავსული ცუგრიკა გამომეკიდა, არც მოფერებამ უშველა და არც დაყვირებამ, სანამ ვიღაცის შეღებილი ღობე არ ამაზომინა, არ მომეშვა... იქ ასული კი გავბლატავდი და სულ მთელ-მთელი ბლის კუნწულები დავუშინე... არ ეკუთვნოდა? და აი, ასე ნამარნაფრონტალი, აგერ ა, გზავნილუკას „ვპრანჭავ“ შენთან გამოსაგზავნად... გამოვიდა ნეტავ რამეე? გაკოცეთ უტკბილესად... SWEET-GIRL“.

ჩემი სიხარული

ბავშვთა დღეს, 1-ელ ივნისს დიდი სიხარული მეწვია. გულწრფელი, დიდი მადლობა ჟურნალ „გზის“ ყველა თანამშრომელს, რედაქტორიდან — კარისკაცამდე, ენით გამოუთქმელი ბედნიერებისთვის.

რა სასიამოვნო დღე გამითენდა: შეუძლოდ გახლდით, ვიწექი. ტელეფონმა დარეკა. — მარი ვარ ჯაფარიძე! — უცებ ცა გაიხსნა, წამოვვარდი ფეხზე. თქვენთან მოვდივარო!.. არ დავიჯერე, — როგორ? მე თბილისში არ ვარ, მარტყოფში ვარ-მეთქი, ვუთხარი. მერე რა, გზა მასწავლეთ და მანდ გავჩნდებიო!.. წამეკიდა ცეცხლი. მარტო ვარ სახლში, ჩემები მასწავლებლები არიან, ორივე სკოლაშია. მანანა ბიოლოგია, მისი ქალიშვილი — მარიკა — სკოლის „სასაწავლო ნაწილი“. ნეტავ კარგად ავუხსენი ჩემი სოფლის გზა? რა ვქნა? გზა რომ აებნეს? ფიქრებმა შემჭამა. ღმერთო! მარი მოდის ჩემთან?! ვაშაა! მგზავნელებო, ალბათ თქვენც გამოგიცდიათ, როცა ვიღაცას აღმერთებთ, მასზე უკეთესი არავინ მიგაჩნიათ და ეს თქვენი ღმერთი მოდის თქვენთან! ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს... ეს რა ბედი მეწვიაااა?! ჩემებიც მოვიდნენ სკოლიდან. ვახარე, მანანა, იცი, ვინ მოდის ჩვენთან? უნიჭიერესი ჟურნალისტი, ძალიან, ძალიან კარგი ვიღაც... სიტყვებს ვერ ვპოულობ, მარის დასახასიათებლად და ვარ ერთ ამბავში. ამ დროს ეზოში „ოპელიჩი“ შემოვიდა. გადმოვიდა და რა გადმოვიდა?! ჩემი მარი... ჩემი ოცნება... ვენაცვალე, ისე შემხვდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით. ღამაზი თვალები უბრწყინავდა. გადამეხვია მარი, მარიკელა... თურმე მართლა რა საყვარელი ყოფილა. მგზავნელებო, როგორც მე, ალბათ თქვენც, ძალიან გაინტერესებთ მისი ნახვა. ღმერთმა თქვენც მოგცეთ მისი ნახვის ბედნიერება. ინტერვიუ მინდა ავიღო თქვენგან, — მომმართა მარიმ. რა ინტერვიუ? ისე ვიყავი სიხარულით დაბნეული, სიტყვა ვერ ვთქვი და საერთოდ, თუ რამ წარსული მქონდა ამ 81 წლის ქალს, ვის ახსოვდა? ჩემ წინ მარი ჯაფარიძე იჯდა, ჭკვიანი და მდიდარი სულიერი სამყაროს მფლობელი, ცოცხალი სამყაროს მშვენება. ნატვრად მქონდა გადაქცეული მის ჭკვიან თვალებში ჩახედვა. ჟურნალშიც ვწერდი, აღარ ვიცოდი, როგორი ეპიტეტებით შემემკო. ახლა ის ჩემ წინ ზის, შევყურებ პირდაღებული... ჩემი სათქმელი ამდენმა სიხარულმა დამავიწყა. ამისთანა რესპონდენტი დავხვდი ჩემს საყვარელ მარის, მაგრამ ვიცი, მაპატიებს. ყველაზე დიდი ბედნიერება მისმა მოსვლამ მომანიჭა. აი, ეს არის ჩემი სათქმელი. ცოტა რამ ჩემ შესახებ: მახსოვს, სტუდენტობის წლებში, შექსპირის სონეტებით ისე ვიყავი გატაცებული. სახლში დავიბარე, რომ მოვკვდები, ფალიაშვილის „დაისის“ უვერტიურა დააკვრევინეთ და დეპეშების ნაცვლად, შექსპირის სონეტები წაიკითხეთ-მეთქი. დღესაც ცოცხალი ვარ. ვწუხვარ, რომ თეატრალურ ასპარეზზე ჩემი ნიჭის რეალიზება ვერ მოვახერხე. ჩემმა მოზღვავებულმა და დაგუბებულმა ნიჭმა მხოლოდ ერთხელ, კულტორგანიზატორთა საკავშირო კონკურსზე ვულკანივით ამოხეთქა ისე, რომ საქართველოს გამარჯვება გადასწვდა მთელს საბჭოეთს. ჩემი სცენარი კომპოზიტორ ლაღიძის მუსიკაზე იყო აგებული, სახელწოდებით — „თბილისო, მზის და ვარდების მხარეო“, რომელიც რუსულ ენაზე მიმყავდა. ჟიურის თავმჯდომარე გახლდათ კომპოზიტორი, ვანო მურადელი. უნდა გენახათ მისი სახე, როგორი გახარებული და გაბადრული იჯდა. მთელ საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი ავიღე და ლაურეატის წოდება მომანიჭეს. ეს იყო და ეს. სხვა დიდი ნახტომი ცხოვრებაში არ მქონია. სიცოცხლეზე უხმოდ ვიყავი შეყვარებული. უმაღლესი განათლებიდან მხოლოდ ლოგიკური აზროვნების უნარი შემომრჩა. მგზავნელებო, ყველას მადლობას გიხდით ჟურნალში მოხსენებისთვის. მიყვარხართ! „სიყვარული სიკეთის ნიწილია, სიძულვილი კი ბოროტებისა!“ ეს ეკატერინე ჭავჭავაძის სიტყვებია. გვიყვარდეს ერთმანეთი, წუთისოფელი სიყვარულში და სიკეთის ქმნაში გავლიოთ. ნანი დუმბაძე“.

■

თქვენთვის საინტერესო თემაზე ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com

„ოჯახის დანგრევის უფლება არა გაქვს!“

„ბავშვი უმამოდაც გაიზრდება“

„გზის“ №24-ში დაიბეჭდა 25 წლის უცნობის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ 18 წლის იყო, როცა მომავალმა მეუღლემ მოტყუებით წაიყვანა. „არ მიყვარდა, უბრალოდ, მომწონდა და სახელი რომ არ შემერცხვინა, მასთან დარჩენა გადავწყვიტე. იმედი მქონდა, — შემიყვარდება-მეთქი, მაგრამ ვერ შევძელი... ახლა 5 წლის შვილი მყავს.“. გოგონა ამბობს, რომ ქმარი ვერ აძლევს იმას, რაც მას სჭირდება და ისინი გაუთავებლად ჩხუბობენ. „არ მინდა, საყვარელი გავიჩინო, ვინმეს შეყვარების მეშინია. რატომ? — საყვარელმა ადამიანმა რომ მიმატოვოს, ალბათ, მოვკვდები. მე სიყვარული და ბედნიერება მაკლია“...

ლიკა ქაჯაია



ტერეზა:

„ძნელია, იცხოვრო იმ ადამიანის გვერდით, რომელიც არ გიყვარს, მაგრამ სჯობს დამშვიდდე და სიტუაცია ობიექტურად შეაფასო. ქმარი შენგან სიყვარულს ვერ გრძნობს და ოჯახში კონფლიქტი ამის გამო ხდება. და კიდევ, იმიტომ, რომ არ გიყვარს, მის შეცდომებს არაკაცურ საქციელად მიიჩნევ. გირჩევ, შანსი მისცე. რა იცი, იქნებ მართლა შეიცვალოს“.

ხიშნიკი 18:

„უნდა გაშორდე! მართალია, შენი შვილი ჯერ პატარაა, მაგრამ მაინც გაგიგებს. ტანჯვაა მასთან ერთად წოლა, ვინც არ გიყვარს, ვის მიმართაც ვალდებულების გარდა, ვერაფერს გრძნობ. ალბათ, მისი დაპირება დაპირებადვე დარჩება, შენს ცხოვრებაში (ყოველ შემთხვევაში, უკეთესობისკენ) არაფერი შეიცვლება. თუ დაგჭირდები, ამ ნომერზე: 8(57) 23.64.23. მომწერე“.

პატარა ცრემლი:

„შენ გამო ვწუხვარ. ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა და ადრე თუ გვიან, ქმარი შეგიყვარდება. გირჩევ, ეკლესიური გახდე. იცოდე, ქმრის ღალატი არ გაბედო. მოძღვარი აიყვანე და ყველაფერი კარგად იქნება. ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს“.

ლილუ:

„ჩვენ კი გირჩევთ, მაგრამ საბოლოოდ, გადაწყვეტილებას ხომ მაინც, თავად მიიღებ? მე შემიძლია, უბრალოდ, ჩემი აზრი დავაფიქსირო: ადრე შეიძლება, განათხოვარ ქალს აუცილებლად, ცუდი რეპუტაციის მქონე ქალის იარლიყს აკრავდნენ, მაგრამ დღესდღეობით ხალხი ასე აღარ აზროვნებს. ქმრისგან რატომ არ მიდიხარ? მშობლების ან ახლობლების მხარდაჭერის იმედი არ გაქვს? იცი, რჩევა, პირველ რიგში, დედას უნდა ჰკითხო. პირადად მე, როცა რაიმე მიჭირს, ყოველთვის დედის იმედი მაქვს. დამიჯერე, ადრე თუ გვიან სიყვარულის შიში გაგივლის“.

ამატერასი:

„შენი წერილის წაკითხვის შემდეგ ერთ დასკვნამდე მივედი — ქმარს უნდა გაშორდე! ალბათ ბევრი გეტყვის, ამ ყველაფერს შვილის გამო უნდა გაუძლო და ოჯახი შეინარჩუნოო, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ბოლოს და ბოლოს, შენც ხომ გაქვს სიყვარულის, სითბოსა და ოჯახური ბედნიერების უფლება? ისეთ გარემოში ცხოვრება, სადაც ყოველდღე ჩხუბია, ბავშვის ფსიქიკას საფრთხეს უქადის. ჩემო კარგო, ქმარს გაშორდი და მერწმუნე, გამოჩნდება ადამიანი, რომელიც მთელი არსებით შეგიყვარებთ შენც და შენს პატარასაც. უფალი გფარავდეთ!“

პიდო:

„არ ვიცი, რა უნდა გირჩიო. ცხადია, ცუდ სიტუაციაში ხარ. როგორმე, ქმარს უნდა შეეგუო, მაგრამ თუ მან შენი გულისტკენა არ მოიშალა, მაშინ დაშორდი. წარმატებები! P.S. ლუნა, ასე ყველასი როგორ გესმის? (*მგონი, თუ ადამიანს ადამიანის ესმის, მისი გაგება შეუძლია, ეს ცუდი თვისება არ არის. — ავტ.*)“.

სოფო:

„ჩემი აზრით, ქმარს უნდა გაუგო. ეცადე, სხვა თვალით შეხედო და რა იცი, შესაძლოა, შეგიყვარდეს კიდეც. მთავარი მონდომებაა. ოჯახიდან თუ წამოხვალ, ეს ბავშვზე ძალიან ცუდად იმოქმედებს. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებ, იმაზეც დაფიქრდი, თუ რა ჯობია შენი შვილისთვის. ეგ ურთიერთობა შენ და შენმა მეუღლემ, წყნარად და მშვიდად უნდა გადაწყვეტოთ. ყველაფერი გაუმხილე, რაც კი გულში გაქვს. წარმატებები!“

ლალუშკი:

„ჩემო საყვარელო, გთხოვ, არ იდარდო, მხოლოდ შენი პატარის მომავალზე იფიქრე. ისიც არ ვიცი, რა გქვია. არ იფიქრო, რომ ოჯახის დანგრევას გირჩევ, მაგრამ თუ მეუღლის შეყვარებას ვეღარ შეძლებ, მისგან უნდა წამოხვიდე. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება და იქნებ, კიდევ შექმნა ლამაზი ოჯახი. ცუდ გზას ნუ დაადგები, გთხოვ, შვილზე მაინც იფიქრე“.

გიპი 25:

„ჩემი აზრით, ერთადერთი გამოსავალი განქორწინებაა. რა თქმა უნდა, ეს ადვილი არ იქნება, მაგრამ უსიყვარულოდ ოჯახის შენარჩუნებას დაშორება სჯობს. ჰოდა, მერე იქნებ, გამოჩნდეს ისეთი მამაკაცი, ვისთან ერთადაც ბედნიერ ოჯახს შექმნი. ყველაფერი უფლის ნებაა“.

ლუნა:

„დედა ყოველთვის მეუბნება: ცოლად ისეთ კაცს კი არ უნდა გაჰყვე, რომელიც მხოლოდ შენ გიყვარს, არამედ არჩევანი იმაზე უნდა შეაჩერო, ვისაც თავად უყვარხარო. ძალიან კარგია, როცა სიყვარულით თხოვდები, მაგრამ შენს შემთხვევაში ასე არ მოხდა და სინანულსაც აღარ აქვს აზრი. მერწმუნე, საშინელებაა ისეთ კაცთან ცხოვრება, რომელსაც არ უყვარხარ. ამდენი ხნის მანძილზე ნუთუ, ერთი კარგი თვისება მაინც ვერ აღმოაჩინე შენს ქმარში? წუთისოფელი ვირის კუდივით მოკლეა, ჩემო კარგო, შენ კი ათასი უაზრო ფიქრით იტანჯავ თავს. შენიც მესმის — ძნელია ისეთ ადამიანთან ცხოვრება, ვინც არ გიყვარს, მაგრამ ახლა, შენი შვილის გამო ოჯახის დანგრევის უფლება არა გაქვს. რატომ არ გინდა, ქმარს გაუგო? ვინ იცის, იქნებ, თქვენი ურთიერთობა მართლა უკეთესობისკენ შეიცვალოს. იცი, ქმართან დარჩენას რატომ გირჩევ? — ქმარს გაყრილ და შვილიან ქალს რომელი კაცი შემოგხედავას სერიოზული თვალით?! ჰოდა, მერე შენც დაიტანჯები, ქმარსაც უარესად გააგიჟებ და ბავშვსაც დაუმახინჯებ მომავალს. ღვთისგან ბოძებულ საჩუქარს — ოჯახს გაუფრთხილდი. გკოცნი“.

MR. PARDE:

„2 ვარიანტი გაქვს: ან ქმართან უნდა დარჩე იმ იმედით, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება, ან უნდა დაშორდე. თუმცა, ორივე ვარიანტში თქვენი შვილი უნდა გაითვალისწინოთ. იმედია, კარგ გადაწყვეტილებას მიიღებ და ცხოვრება უკეთესობისკენ შეგეცვლება“.

რეალელი:

„ოჯახი არავითარ შემთხვევაში არ დაანგრიო. შეიძლება მეუღლემ გაწყენინა, მაგრამ ალბათ, უკვე საკუთარ საქციელს ნანობს კიდეც. იქნებ ყველაფერი აპატიო. ხომ იცი, ამქვეყნად უშეცდომო არავინაა.

ნუ იქნები მის მიმართ აგრესიული. დაიმახსოვრე, ის შენი შვილის მამაა და ბავშვის ხათრით მაინც, უნდა მოითმინო — ბავშვს დედაც უნდა და მამაც. წინასწარ ნურაფერს იტყვი, იქნებ მართლა შეგიყვარდეს“.

ლიკი ანგელუშკა:

„თავს ნუ იტანჯავ. გაიჩინე კარგი ტიპი და მასთან იკონტაქტე. მენდე, ჯობია, ყველაფერი „დაიკიდო“. თუ გინდა, გამეცანი. ჩემი ნომერია: 8(92) 00.39.08“.

უცნობი:

„მართლა რთულია, უსიყვარულოდ იცხოვრო და ვიღაცას მსხვერპლად შეეწირო, მაგრამ შვილის უმამოდ გაზრდაც ძნელია. რატომ ფიქრობ, რომ თუ ვინმე გამოჩნდა, აუცილებლად მიგატოვებს? საკუთარ თავს ბედნიერების უფლებას არ აძლევ და ამიტომაც იტანჯები“.

ფაშისტა:

„ძალით ვერავის შეიყვარებ, მაგრამ ეტყობა, შენ ამის სურვილიც არა გაქვს. საყვარლის გაჩენას და თავის ორჯერ გატეხას სჯობს, მეუღლეს დაშორდე. დარწმუნებული ვარ, მასაც მალე მობეზრდება ჩხუბი და არაჯანსაღი ურთიერთობა. ალბათ, თქვენზე მეტად, თქვენი შვილი იტანჯება. შეეცადეთ, შვილს ბედნიერი ბავშვობა აჩუქოთ... ჩემო კარგო, რადგანაც ქმარი არ გიყვარს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიყვარული სხვაგან უნდა ეძებო და თან, გათხოვილი ქალის სახელი გერქვას. როცა უყვართ, მაშინაც იტანჯებიან. ჰოდა, რა სიყვარულით დატანჯულხარ და რა — უსიყვარულოდ?“

უგრალოდ თამ:

„ჩემო კარგო, ჯერ პატარა ვარ საიმისოდ, რომ რაიმე გირჩიო, მაგრამ შენ, ყველაზე დიდი განძი, შვილის სახით გყავს, რომელმაც მამის შეცდომებზე პასუხი არ უნდა აგოს. იხარე“.

თოლია:

„შვილი უფლის საჩუქარია, მაგრამ ამ შემთხვევაში, დაბრკოლებას გიქმნის იმაში, რომ ქმარს გაშორდე და ნორმალურად იცხოვრო. გაარკვიე, რას აპირებს შენი ქმარი, რისი იმედი აქვს და მერე იმოქმედე; ან იქნებ, ცოტა ხანი ერთმანეთისგან შორს იცხოვროთ და გაიაზროთ, შეძლებთ თუ არა ერთად ცხოვრებას. წარმატებები! P.S. ლიკა თქვენთან ერთი პატარა შენიშვნა მაქვს: როცა ვინმეს რჩევას ვაძლევ, ფრაზების ამოღებით ან სიტყვის შეცვლით ტექსტის აზრი იცვლება. ბევრჯერ მოხდა ისე, რომ ჩემ მიერ გამოგზავნილი და დაბეჭდილი ტექსტი ერთმანეთს არ დამთხვევა, რადგანაც შენ შეამოკლე და ამის გამო გული დამწყდა (*უპირველეს ყოვლისა, მადლობას გიხდი იმისათვის, რომ სხვებისთვის რჩევებს არ იშურებ. რაც შეეხება შენს შენიშვნას, მგონი, გული მაშინ უფრო დაგწყდება, როცა შენს „ესემესს“ საერთოდ ვერ ამოიკითხავ. ამას რატომ ვამბობ? — ჩვენ ძალიან ბევრი მგზავნელი გვყავს და შესაბამისად, ყველას სურს, მისი მესიჯი დაიბეჭდოს. სამწუხაროდ, უმეტესობას ან ვერ ვტევთ ან ვცდილობთ, თითოეულის რჩევა მოვათავსოთ, მაგრამ მცირეოდენი შესწორება-შემცირებით. თანაც, არა მგონია, თქვენს წერილებს ვამახინჯებდე. პირიქით, ბევრი მათგანის სტილისტურად გასწორებაც მიწევს, რადგანაც სხვანაირად, მათი დაბეჭდვა შეუძლებელია. მოკლედ, საყვარელო თოლია, თუ ჩვენი პირობები არ გაწყობს, მაშინ შევეცდები, შენი მესიჯები არ შევასწორო, მაგრამ თუ ამა თუ იმ კვირაში დაიჩაგრები და შენს წერილს ვერ იხილავ, პრეტენზიებს აღარ მივიღებ. შენს პასუხს ველოდები. — ავტ.*)“.

მის იტა:

„გირჩევ, კარგად დაფიქრდე. შეეცადე, ქმართან ურთიერთობა მოაგვარო და მას მხარში ამოუდგე. დარწმუნებული ვარ, შენ იმით ხარ უკმაყოფილო, რომ ის იმას ვერ გაძლევს, რაც გსურს. წარმატებებს გისურვებ! იმედი მაქვს, შვილის გამო მაინც შეინარჩუნებ ოჯახს“.

გილი:

„გეთანხმები, ასე ცხოვრება რთულია, მაგრამ ვფიქრობ, საკუთარ თავზე უნდა იმუშაო. მეუღლეში დადებითი თვისებები ეძებე, ქმარი დააფასე. დამიჯერე, ყველაფერი მოგვარდება“.

ანასტასია:

„თუ აქამდე ვერ შეიყვარე და თან, გული ბევრჯერ გატკინა, არაკაცურად მოგექცა, აწი მის გამოსწორებას აღარც ელოდო. სულ მალე მეტად დაგტანჯავს. ძნელია, იცხოვრო ისეთ მამაკაცთან, რომელიც არ გიყვარს. მას უნდა დაშორდე და ცხოვრება თავიდან დაიწყო. ბევრი ქალი შვილის გამო ერიდება ოჯახის დანგრევას და იმასაც ფიქრობს, — მერე ხალხი რას იტყვისო? ყურადღება არავის ნათქვამს არ მიაქციო. იცოდე, ბავშვი უმამოდაც გაიზრდება. ნუ გეშინია!“

გრუზინკა:

„7 წელი ძალიან ბევრია. თუ ამ დროის მანძილზე მეუღლე ვერ შეიყვარე, აუცილებელიც არის, გაეყარო. ვფიქრობ, მასთან მომავალი არა გაქვს. ოჯახი, სადაც პატივისცემა, ურთიერთგაგება და სიყვარული არ არსებობს, დასანგრევადაა განწირული. P.S. რაც შეეხება მისტერის რჩევებს, ამაზრზენია. ვფიქრობ, ის გაბოროტებული და გულქვა ადამიანია“.

გადარეული:

„უცნობო, საყვარელი კი არა, საყვარლები გაიჩინე და რასაც ქმარი ვერ გაძლევს, ისინი მოგცემენ. თანაც, ერთი თუ მიგატოვებს, მეორესთან იქნები, მერე — მესამესთან და ასე“...

ჯორდანო:

„შენ მეგობარი მამაკაცი გჭირდება, რომელიც თავს ქალად გაგრძნობინებს, არ გაგწირავს და არ მოგატყუებს. როგორც ვატყობ, შენი და მეუღლის ურთიერთობა არ გამოსწორდება. შემიძლია, დაგეხმარო. თუ სურვილი გექნება, ამ ნომერზე — 8(93) 32.10.23. შემეხმიანე“.

რუსპირი:

„შენი ბრალია, პრობლემები რომ გაქვს. ქმარს ხომ არ მოუტაცნიხარ? მოტყუებით წაგიყვანა კი არა, მისმა გარეგნობამ მოგხიბლა და როცა მიხვდი, არ გიყვარდა, უკვე გვიანი იყო. დროა, ქართველმა ქალებმაც შეიგნოთ, რომ „მობრუნებულის“ სტატუსი სჯობს მთელი ცხოვრება სინანულსა და ტანჯვას. თუ 7 წლის წინ განათხოვარის სახელმა შეგაშინა, საყვარლის გაჩენის შემთხვევაში ხვდები, რაც მოხდება? — ქუჩაში დარჩები, პატარა ბავშვით ხელში, მას კი ახლა ისე, როგორც არასდროს, მშობლები სჭირდება. და მაინც, თუ თვალი სხვა კაცისკენ გაგირბის, სჯობს ქმარს ახლავე გაეყარო. იცოდე, გაყრის მიზეზად საყვარელი არ აქციაო, ცხოვრებას საბოლოოდ ნუ დაინგრევ. P.S. ისე მართალი უთქვამთ, — უტვინო ქალი ტერორისტზე უარესიაო“. ■

„ზუსტად ვიცი, ჩემი დაიკო საფრთხეშია...“

მარიკა, *17 წლის:*

„არ ვიცი, რა წყალში გადავვარდე. რამდენიმე თვის წინ საყვარელი ადამიანი დავკარგე და მის გარეშე სიცოცხლეც აღარ მინდა. ჩემი დაიკო მთელ ქვეყანას მერჩივნა, მან კი მარტო დამტოვა. არ გეგონოთ, რომ გარდაიცვალა, ღმერთმა დაიფაროს ამისგან...

ნათია ჩემი ტყუპისცალია. ის უღირს ადამიანს გაჰყვა ცოლად და მთელ ოჯახს გული გვატკინა. ბიჭი „გაქანებული“ ნარკომანია და დარწმუნებული ვარ, ჩემს დას ჯოჯოხეთში აცხოვრებს. ჰოდა, ვინაიდან დამ მიღალატა, ის სამუდამოდ დავკარგე (მშობლებმაც ხელი აიღეს მასზე, ტელეფონითაც არ ელაპარაკებიან). მის გამო ძალიან ვწუხვარ. ცუდად ვარ, რადგან საკუთარ თავს ვადანაშაულებ იმაში, რომ დაიკოს ცხოვრებაში კარგად ვერ ჩავერიე, სისულელის ჩადენაში ხელი არ შევუშალე.... მიშველეთ და მირჩიეთ, როგორ უნდა მოვიქცე? მერწმუნეთ, მე მის ტკივილსაც და სიხარულსაც ვგრძნობ, ახლა კი ზუსტად ვიცი, რომ ნათია საფრთხეშია“.

P.S. მაშ ასე, თუ მარიკას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81 მას თქვენი დახმარების იმედი აქვს. ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო ახალგაზრდა მამაკაცი. მქვია ნატალია. დამიკავშირდით. დამირეკეთ მხოლოდ სერიოზულებმა. ვარ 26 წლის.

2. ვარ 35 წლის, გასათხოვარი, მშვიდი, სასიამოვნო გარეგნობის, დედისერთა, კარგი თვისებებით. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს თბილისელი, დასაქმებული, 35 წლამდე მამაკაცი.

3. ვარ 35 წლის, სიმპათიური ქალბატონი. გავიცნობ სერიოზულ, ყველანაირად უზრუნველყოფილ, 45-55 წლის, არისტოკრატ მამაკაცს.

4. ვარ 34 წლის, სიმპათიური და ტრადიციული მანდილოსანი. მსურს გავიცნო ჩემნაირი თვისებების მქონე, თბილი, მოსიყვარულე, მორწმუნე მამაკაცი, 42 წლამდე, ოჯახის შესაქმნელად.

5. გამარჯობა, მქვია ქეთინო. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო სერიოზული, მოსიყვარულე, გულთბილი მამაკაცი, რომელმაც იცის ქალის დაფასება და ოჯახის ფასი.

6. მხოლოდ დაოჯახების მიზნით გავიცნობ განქორწინებულ ან ქვრივ მამაკაცს, 35 წლამდე. გასართობად არც დრო მაქვს და არც სურვილი. ვარ განქორწინებული, მყავს ერთი გოგონა. ილონა.

კაცები

7. გავიცნობ თბილისელ, ლამაზ მანდილოსანს. ვარ თბილისელი, სიმპათიური, 29 წლის მამაკაცი. მომწერეთ თქვენ შესახებ.

8. გავიცნობ წესიერ მანდილოსანს, ზრდილობიანს, ოჯახის შექმნის მიზნით, მხოლოდ თბილისელს, 20-დან 28 წლამდე, თუ გინდ, განათხოვარსაც. ვარ 33 წლის, სიმპათიური, დასაქმებული ბიჭი.

9. გავიცნობ იმერეთიდან, თბილ და მოსიყვარულე მანდილოსანს, 25-40 წლამდე, სამეგობროდ. ვარ 35 წლის, საკმაოდ ჩამოყალიბებული მამაკაცი.

10. ვეხმაურები „გზა“ 24-ში გამოქვეყნებულ, მე-4 მესიჯის ავტორს. ვარ ტყიბულელი, 26 წლის, დასაქმებული.

11. ვარ 29 წლის, საშუალო სიმაღლის, უზრუნველყოფილი სამსახურით. გავიცნობ 25-დან 30 წლამდე მანდილოსანს, ოჯახის შექმნის მიზნით. სიმპათიურს, მხიარულს, წესიერს.

12. გავიცნობ კეთილი სულის მატარებელ ქალბატონს, 33 წლიდან, რომელსაც ნამდვილად სურს ჰქონდეს მყარი ოჯახი და ჰყავდეს შვილი. მსურველმა მომწეროს შაბათ-კვირას!

13. მინდა გავიცნო 38 წლამდე ასაკის, სულითა და სახით ლამაზი ქალბატონი. ვარ 39/175/80, დასაქმებული მამაკაცი. დანარჩენი — პირადად.

ვეძებ

14. ვეძებ გურიაში მცხოვრებ, 32 წლის ბექას, რომელსაც ჰყავს შვილი, 14 წლის ქრისტინა. დამიკავშირდი, გთხოვ, ეკა.

სხვადასხვა

• ილო, მოგიკითხავს შენი მზია. მოგვენატრე, გვიყვარხარ და გვენატრები. ბავშვები სულ შენს ხსენებაში არიან. გელოდებით.

• ჯეკი, ხათო ვარ. მენატრები. ბიჭებმა ოთხასი მომიტანეს. დოლარი ვიყიდე და მანანასთან გამოვაკელი პროცენტი. 50 დოლარი გადავდე. ბავშვები კარგად არიან. მეც ვჯახირობ. არ იდარდო. გაკოცე.

• კუტრინ, წინა ნომერში ჩემი მესიჯი შენთვის მხოლოდ „თანადამმესიჯებელომდე“ იყო განკუთვნილი, მაგრამ მესიჯმა რატომღაც ისეთი სახე მიიღო, თითქოს შეურაცხყოფა შენ მოგაყენე, რაც შენ მიმართ ნამდვილად არ ყოფილა განხორციელებული. ასე რომ, ამ ნომერში შენს ჩემ მიმართ ნათქვამ, არასასიამოვნო სიტყვებს, ავტომატურად გაბათილებულად ჩავთვლი. დაბოლოს, ვერ ვხედავ, საუბრის გაგრძელების მოტივაციას, ამიტომ... აბა, ჰე... შენ კი, შე აზროვნებით ინვალიდო, ჩემს შეურაცხყოფას ჩემივე ლანძღვის სტილით რომ ცდილობ, ეს შენს თავში ტვინის ნაცვლად ვუპი გოლდბერგის შავი საჯდომის არსებობაზე მიუთითებს. მე შენთანაც უკვე პას! (ნიკით) გომელაურის უნიჭოდ მბაძველო, უგვანო მისტერ.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

• პრივეტ, მარ, როგორ ხარ? პირველად გიმესიჯებ. „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ. იმედია, თქვენს გუნდში მიმიღებთ. ყველას მოკითხვას გიგზავნით.

• კოზანოსტრა, ნუ გეშინია, სიგიჟე არ გამირთულდება. კუტრინა, ფრთხილად იყავი, მარცხი არ მოგივიდეს... მეცოდებით, იდიოტებო... როკის გიჟუკა.

• kutrin,ar mivichnev yurad sagebad adamianis sityvebs,romlis mxolod niki vici,imedia ar gamagimeb da ar ifiqreb rom amit sheni gacnobis survils gamovtqvam. kargad iyavi tanadammesijebelo. perspeqtiulo chamouyalibeblobav ara sakaifebelze kaifi,cxovrebit dauni adamianebis damaxasiatebelia da sakutar tavs daunad miichneev? ise,shennairebi 4ze unda daayeno da ise unda gaapo she magal safexurze mdgomo bindzuro glexo shena. xom xvdebi rom magari qlesa gogo xaar? mister (ამ მესიჯს უცვლელად და ლათინური შრიფტით ვაქვეყნებ, რადგან საჭიროდ მივიჩნიე, თვითონ განსაზღვროს ყველამ, რას გულისხმობდა მისტერი. მინდა, კიდევ ერთი ბრალდება ავიცილო თავიდან. რადგან ყველაფერი მაინც მე მბრალდება).

• ისე გაყვითლდა თეთრი ვარდები, როგორც მზის სხივი აყვითლებს ქაღალდს, თან სადღაც გაქრა ჩუმი სტრიქონი, გულს რომ გითბობდა და ხან კი — არა, გახუნდა სველი იასამნიც, შენს ნაკვალევში წვიმაც კი გაქრა, უშენოდ ჩაქრა ძველი ქალაქი, ალბათ დავთვრები და სადღაც წავალ.

• ძალიან გთხოვთ, ეს მესიჯი დამიბეჭდეთ. აქ ერთი ადამიანის — სევდიანი ქალის გაცნობა მინდა. გული მეტკინა, როცა მისი მესიჯი წავიკითხე და მინდა, მასთან ვიმეგობრო. მარი.

• აქ საპურმარილე გახსნეს, არ იკითხავ, რა ჰქვია? „მოდი, გლიჯე“. :) რას არ მოიგონებენ რა�ა, ეგ სვანები. ეჰ... ეჰ... :) ფიფქია.

• მაიკო ლალიაშვილო, ძალიან სათნო და კეთილი ადამიანი ხარ. ყველასგან გამოირჩევი, შენი უბრალოებითა და სისადავით. ძალიან მიყვარხარ. მე.

• 9717, სად ხარ? წინა ნომერში ვერ გნახე და მოვიწყინე, რომ ვერ გიპოვე. შენი ჩანახატები და ლექსები კარგ გუნებას მიქმნის. ატარექსია, როგორ ხარ? ნუ იკარგები, რაა. SWEET-GIRL, არ მეგონა, თუ იტყოდი, ცხოვრება მოსაბეზრებლად მოსაწყენიაო. რამ გაიძულა კარგო ადამიანო, მაგის თქმა? ცხოვრება ძალიან მაგარი რამეა. მატიტელა.

• ეჰ, მარ, რა სამწუხაროა, რომ მგზავნელებში შური, ბოღმა და ტყუილიც არსებობს. გადაარჩინეთ სითბოთი ნაშენები და სიყვარულით შეზავებული ქალაქი. გთხოვთ. კლეოპატრა.

• ენიგმას და ბერბიჭას მჭამელებო, გაძეხით? აბა, გელოდებით ახლა, რას გვთავაზობთ მათზე უკეთესს? რით შეგიძლიათ მკითხველს ასიამოვნოთ: იუმორი, კაფია, ლექსი... ეგ იყავით, სულ? ბოღმისგან დაიცალეთ და დაიფუშეთ? ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევს. მე უფრო იმ ადამიანისგან მწყინს და მიკვირს, ვისაც შეეძლო თქვენი შეჩერება და ამის ნაცვლად, ზურგის ქარი მოგცათ. ძალიან მტკივა გული ამ უსამართლობის გამო. „მობილი-ზაციას“ ხალისი დააკლდა, რადგან ბერბიჭას ბევრი კარგი მგზავნელიც უკან გაჰყვა. მარ, ეს არ უნდა დაგეშვა. (ხომ ხედავთ, დამნაშავე ისევ მე ვარ... უფლება არ მაქვს, ფასიანი მესიჯები არ დავბეჭდო. მხოლოდ მათი შინაარსის შერბილების უფლებას ვაძლევდი თავს, ისევე, როგორც ბერბიჭას და ენიგმას მესიჯებში ვაკეთებდი. ყველამ თვითონ უნდა განსაზღვროს, რისი უფლება უნდა მისცეს თავს. თუ გახსოვთ, ჩემს სალანძღავ მესიჯებსაც კი ვბეჭდავდი იმის გამო, რომ მკითხველს მასში ფული ჰქონდა გადახდილი. ასე რომ, ვფიქრობ, ეს საყვედური უადგილოა. მე ხომ ყველა ნომერში მოვუწოდებდი მკითხველებს, არ ეჩხუბათ. თუმცა, იმის თქმაც მინდა ენიგმას, ბერბიჭასა და კიდევ მრავალთა გასაგონად, რომ „ბრძოლის ველიდან“ გაქცევა გამოსავალი სულაც არაა. „ყბედი ვინ მოღალა და მუნჯმაო“, ხომ გაგიგონიათ? ჰოდა, აგრესიული ადამიანისთვის იგნორი ყველაზე დიდი სასჯელია. გაქცევა — მისი გამარჯვება).

• ვიტირებ დიდხანს და ჩემს სხეულს ცოდვებს ჩამოვბან... ავიხდენ სიზმარს, დავუხუჭავ სამყაროს თვალებს... დავიწყებ ციდან ვარსკვლავების შენთვის ჩამოყრას და გაზაფხულის უნუგეშო ლოდინში გაგხვევ. და არ მოგძებნი, არც გიდარდებ, გინატრებ მხოლოდ! გინატრებ ურჩი, უსაშველო, უხორცო ნატვრით, მე სასწაულის მათხოვარი გავხდები ბოლოს, ვერმოხდენილი სასწაულით ვიქნები მკვდარი!.. მაცალეთ ცოტაც, ჩამოვბანო ცოდვები სხეულს, მაცალეთ ლოცვა, უსასრულო ძილის წინ მაინც! შეუნდეთ სნეულს, უსიტყვებო ლექსების ბოდვა, შეუნდეთ სულში სხვისი ხელის ფათურის დარდი... ვიტირებ დიდხანს, დავუხუჭავ სამყაროს თვალებს, დავიწყებ ციდან ვარსკვლავების შენთვის ჩამოყრას, თუ სასწაულის მათხოვარი გავხდები მალე, ამ სასწაულის ამოხდენის ზარებს ჩამოვკრავ! რუისპირი.

• ადამიანები ფერადი ფანქრებია... დადიან გულდასმით გათლილი წვერებით, დაეხეტებიან, დადიან, დადიან... და კი არ ხატავენ, მიწას ჯღაბნიან... რუისპირი.

• მე არსებობის მიზეზს ვეძებ, სხვა არაფერი, შენ კი არ გესმის და იმედის ხუხულებს მინგრევ, მერე ბუდიდან გადმოყრილი ბარტყებივით გიყურებენ ჩემი თვალები, შენ კი თავიდან, კაეშნიან სინანულს იწყებ... მე გადარჩენის მიზეზს ვეძებ, სხვა არაფერი, შენ კი არ გესმის და ტყუილად გეუცხოვები, ღმერთმა ნუ ქნას და ჩემთან ერთად შენც დამარცხდები და ვეღარ ახსნი სიჯიუტეს, შეუპოვრობით... მე ჩემი ყოფნის პირველ საწყისს შენში ხორცს ვასხამ და მაქვს ოცნება ჩემი სიცოცხლის გამართლების, შენ კი არ გესმის და უმთავრეს იდეას კარგავ, იქეთურობას მხოლოდ ერთად თუ გადავრჩებით. მე მინდა, მხოლოდ ხვალინდელის დადგომა ღირდეს და არსებობის მიზეზისთვის, ჩემებურ ვიბრძვი! მე მინდა, ატმის ყვავილების ტრფიალი მჭირდეს, შენ ამ სურვილებს არ აყრიდე იქედნურ სიცილს. ჩემი გაჩენის გამართლების აჩრდილებს დავდევ, შენ ამ ძიების პატიება უნდა ისწავლო, გადაშენებას გადარჩენილ ცხოველივით, სტიქიებს დავძლევ, ყოფნა-არყოფნის სიმბიოზში რომ გავიმარჯვო და არ გავხდე ისევ არყოფნა. მე არსებობის მიზეზს ვეძებ, სხვა არაფერი, შენ კი არ გესმის, იმედის ხუხულებს მინგრევ, მერე ბუდიდან გადმოყრილი ბარტყებივით გიყურებენ ჩემი თვალები, შენ კი თავიდან, კაეშნიან სინანულს იწყებ. რუისპირი.

• რა არის მეხსიერება? ჩემი წარმოდგენით, ადამიანის მეხსიერება ჰგავს ფუტკრის ფიჭასავით ერთმანეთში გადაბმულ პატარა, პლაზმურ ეკრანებს, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას მთელ ჩვენს განვლილ ცხოვრებაზე. ჩაბნელებულ პაწია ეკრანებში ჯერ არ ჩატვირთულა ინფორმაცია და ყოველი ახალი ცხოვრებისეული ეპიზოდის შემდეგ ისიც მხიარულად აციმციმდება. ეკრანები ზოგი კაშკაშაა, ზოგიც — ბუნდოვანი, მოგონების შინაარსის მიხედვით. ძილის დროს პაწია ეკრანების მკაცრი წყობა ირღვევა და ისინიც უწესრიგოდ ირევიან ჩვენს ცნობიერებაში. გამოღვიძებისთანავე კი ისევ ჯარისკაცებივით, მწყობრში დგებიან. აღსასრულის ჟამს კი ამ პაწიებისგან უზარმაზარი ეკრანი იქმნება და ელვისუსწრაფესად გვიჩვენებს ჩვენი სიცოცხლის თვითოეულ ეპიზოდს. იმასაც კი, რომლებიც გვეგონა, რომ აღარ გვახსოვდა. ამ ეკრანის პულტი ვის უჭირავს?

• დიდი ხანი ვფიქრობდი, დამეწერა თუ არა. ვიცი, გული გეტკინება, მაგრამ უნდა გითხრა. არ ვიცი, ამ ყველაფრის შემდეგ ჩემზე რას იფიქრებ. შეიძლება შემიძულო და გამრიყო, მაგრამ მაინც უნდა გითხრა ჩემი უდიდესი შეცდომა: გახსოვს, რომ მთხოვე, ჩაი დაადგიო? მე გავედი და ჩაიდანი დიდი მონდომებით შემოვდგი გაზქურაზე, ოღონდ შიგნით წყალი არ ჩამისხამს და აფეთქდა. აუ, ხომ მაპატიებ? ეს აღარ განმეორდება. ღმერთო ჩემო, რა სისულელეებს ვწერ ამხელა და ამოდენა ქალი? :) გზას ველოდები და კარგ ხასიათზე ვარ. სანტა (ფიფქია).

• მისტერ, უსამშობლო, უეროვნო და ურწმუნო არაადამიანო, შენი ახალი აზრით, ძველი ყველაფერი ცუდია, არა? მაგ ფშუტე აზრებს მხოლოდ იდიოტები შეგიფასებენ დადებითად. ოქრო და ღვინო ძველი უკეთესია, ფეკალური მასა კი (პირიდან რომ აფრქვევ), ახალი უფრო მეტად ყარს, ვიდრე ძველი. ასე რომ, ჯობია გაჩუმდე, თორემ ეგ სიმყრალე ბუმერანგივით მოგიბრუნდება, ეშმაკის მსახურო!

• არ ვიცი ის მგზავნელი ვინ არის, გზააბნეულმა და მისამართშელილმა სიკვდილმა მასთან უდროოდ, უტაქტოდ და დაუპატიჟებლად რომ მიუკაკუნა, მაგრამ მინდა იცოდეს, რომ მისმა მესიჯმა გული ძალიან მატკინა და მის გვერდით ვარ! ვეტყვი, რომ ამ რწმენით გააგრძელე გზა და უფალი დღეგრძელობას არ მოგაკლებს. უფალმა დაგლოცოს. დავიგრუზე. :(ჭრიჭინა.

• ტირიფს ვულოცავ იუბილეს და ვუსურვებ ყველაფერს კარგს, თავის ლამაზ ოჯახთან ერთად. ძალიან მიყვარხარ ჩემი განუყრელი მეგობარი და მესაიდუმლე ხარ. ღმერთმა დაგიცვას. გრუზინკა.

• მოიწყინა ზეცამ უნებურად, ჩემი სევდა გაიფანტა ნისლში, ერმანეთზე აღარავინ ზრუნავს, ტირის ზეცა, ყველაფერი იცის. გულგრილობის ნიღაბს ეფარება ყველა, უკვე არაფერი მართობს, ღელავს გული, უცნაურად ღელავს, სიმშვიდეს და მოთმინებას ნატრობს. მოლოდინით დაიფარა ქუჩა, მომენატრა საუბარი ღმერთზე, სინანულმა დაიბუდა გულთან, თვალები კი ძველებურად ეძებს. მოიწყინა ზეცამ უნებურად, ფიქრები კი გაიფანტა ნისლში და მეც უკვე არაფერზე ვბრუნავ. მხოლოდ ვზივარ და უჩუმრად გიცდი. ბეღურას. კლეოპატრა.

• ნურასოდეს შეგრცხვება შენი წარმომავლობის, შენი მრწამსის. უნდა იამყო იმით, რომ შენს ხელთ შენი რელიგია, კულტურა და ტრადიციებია, რომელიც თაობიდან თაობას უნდა გადასცე. იყავი მომთმენი, თავშეკავებული და მიმტევებელი. უსამართლოდ გესროლეს ქვა, მერე რა? ფეხი გაჰკარი, გაიღიმე და გადაბიჯე, შენ ხომ კეთილშობილი და მიმტევებელი ხარ? ნუ მოირგებ უაზრო, სასაცილო, დიდგულა ადამიანის ნიღაბს, შენი კომპლექსებისა და შიშის დასაფარავად, იყავი ჩვეულებრივ შენი შეგნებებითა და ადამიანური გაგებით. ადრე თუ გვიან, მოგიწევს ნამდვილი მე-სთვის თვალის გასწორება და შეიძლება შეგრცხვეს, ყველას და ყოველთვის ნაცარს რომ აყრიდი თვალებში. ტირიფი73.

• თქვენს ღიმილზე მიკვირს, რატომ ვთბები/ მიკვირს, რატომ ვერ გივიწყებთ ისევ/ დრო მიფრინავს ქარბორბალას ფრთებით,/ მიფრინავს და მიაქვს სიხალისე,/ ახლა, როცა ერთურთს ვხვდებით ისევ/ ვიბუზებით, როგორც ბეღურები/ მიხარია, ქვეყნად თქვენ რომ დახვალთ/ და იმედად მუდამ მეგულებით,/ ცივი ქარით განაწამებ ატმებს,/ გულში კვლავაც მოერიათ სევდა,/ რა ვქნათ, თუკი მანძილია შორი,/ სიყვარული სიყვარულად რჩება. მგზავნელებოო! ეს თქვენ გეძღვნებათ ჩემგან. დიდი სიყვარულით, ტერეზა.

• ლაშას: ძალიან მინდა, ეს მესიჯი მომდევნო ნომერში დაიბეჭდოს, რადგან ვისაც ვწერ, იმ ადამიანისთვის ბევრს ნიშნავს. ლაშა, მინდა იცოდე, რომ თამო სულ შენ სახელს იძახის და ძალიან ენატრები. მეც მენატრები და დიდი იმედი მაქვს, მალე გნახავ. ძალიან გთხოვ, ჩვენი იმედი გქონდეს და თავს გაუფრთხილდი. ბოლოს რომ ვიყავი მანდ, რაც მოგიტანე, თეას არჩეულია ყველაფერი. იცოდე, რომ მაგრად მომეწონა და შენი სჯერა. ერთი სული აქვს, როდის გნახავს. იმედი მაქვს, წაიკითხავ. იცოდე, რომ გვენატრები. ნინო.

• ჩემმა ყოფილმა ლოვემ დამირეკა და შერიგება მთხოვა. ნუ, ჯერ გავბრაზდი, როგორ ბედავს და შერიგებას მთხოვს, ეს სულელი-მეთქი? მაგრამ უცებ ვიფიქრე, რომ მასზე შური

უნდა მეძია. ჰოდა, დავთანხმდი და პაემანზე წავედი. შეეხვედით ერთ ძვირად ღირებულ რესტორანში (უბრალო რესტორანი არ მაკადრა ქალს). გადავხედე მენუს და რაც ძვირად ღირებული იყო, ის შევუკვეთე. როცა ყველა შეკვეთა მოვიდა, ტუალეტში გავედი და უცხო ნომრიდან ვიღაც გოგოს დავარეკინე, ვითომ სამსახურში რაღაც საბუთებს ვერ პოულობდნენ და აუცილებლად უნდა მისულიყო. როცა მაგიდასთან მივედი, სანყალი თვალებით შემომხედა და ამიხსნა, რომ უნდა წასულიყო. მეც დავამშვიდე, არა უშავს, წადი, მე ტაქსით წავალ სახლში, არ ინერვიულო-მეთქი. ჰოდა, როგორც კი გავაცილე, ჩემს სამეგობროს დავურეკე, დავპატიჟე რესტორანში და „ჯოკერში" წაგებული თავანი ჩავაბარე. ლოვეს კი სამუდამოდ დავემშვიდობე. ასეთი მწარე შურისძიება ვიცი. ბაჭია.

• „სინანული" რომ წავიკითხე, მიეხვდი, ადამიანს თუ საკუთარი თავის სჯერა, ის გამოსწორდება. მე მიხარია ბატონო გოგელ, თქვენნაირი ადამიანები რომ არსებობენ. ადუს მინდა ვუთხრა: ჩვენ მიგიღებთ ამ ლამაზ სამყაროში, რომელსაც გზავნილეთი ჰქვია. მისტერის ვერ გავიგე ვერაფერი. იეზდობა სათაკილო რატომ ჰგონია? მე მაგალითად, მეამაყება, მუსლიმანი რომ ვარ. ისევე, როგორც ქართველს ეამაყება ქართველობა. „გზაში" სულ არის ჩხუბი, რომელიც ბოლოს მთავრდება. რა გახდა მისტერი? არ დაიღალა, კაპასი გოგოსავით რომ წერს? გრუზინკა.

• ლაშას: ამ მესიჯს თუ წაიკითხავ, იცოდე, რომ ძალიან გვენატრები და მინდა, რომ მალე გნახოთ. თამოს ძალიან უყვარხარ. თეაც შენს ნახვას მთელი გულით ელოდება. ნინო.

• მოუთმენლად ველოდი ანასა და რამაზის შეხვედრას, სული კბილით მეჭირა. შენმა დიდებულმა ფანტაზიამ ჩემდა გასაკვირად, სულ სხვა მხარეს გამოანათა და გულიც დამშვიდდა. ყოჩაღ მარი ჯაფარიძე, მიშა კი არა, შენ ხარ მაგარი. შენი ნანი დუმბაძე.

• სიცივეა ირგვლივ... სიცივეა სულში... მარტოობაა კიდევ. ვტირი ჩუმად, ჩემთვის... არადა, გარეთ ცხოვრება ჩვეულებრივად გრძელდება. ზოგგან მდორედ... ზოგგან შფოთავს კიდეც. საოცრად მენანება ეს წლები... ტკივილამდე მენანება, რადგან ვიცი, აღარაფერი იქნება თქვენთან ყოფნაზე ლამაზი... ერთი დღეც მიიწურა მონასტრის კედლებში და შენზე ფიქრში... დილას არ ვიცი, ალბათ ძალიან მეძინებოდა, დილის 4 საათზე ლოცვის ზარებმა ვერ გამაღვიძა... თუმცა, გამაღვიძა შენმა ხმამ. არ მჯეროდა, მაგრამ მიეხვდი, შენ იქიდანაც ზრუნავ ჩემზე. ღმერთმა იცის, როგორ მიჭირს უშენოდ... მოვედი აქ, რომ ნუგეში მეპოვა და მაინც... ვხვდები, რომ იმ დღეს ვერაფერი დამავიწყებს. ესეც ჩემი მცირე რწმენის ბრალია, ალბათ. არასოდეს ამოვა გონებიდან კადრი, როგორ მედო კალთაში შენი სისხლიანი თავი და გთხოვდი, ერთხელ მაინც შემოგეხედა... თუმცა, უკვე ვიცოდი, არ შეგეძლო, მაგრამ მაინც გთხოვდი. ყოველდღე განტრობ, სალ... მენატრება არც ისე შორეული დრო... სამი ჭინკის ლაღი დღეები და ცუღლუტი თვალები და ვტირი, რადგან ვიცი, ეს აღარ განმეორდება და... აღარც შენ მოხვალ... წარმოსახვაში კი ყოველთვის არის და იქნება შენი მხიარული სახე და ის საყვარელი ღიმილი... ყველაზე, ყველაზე ჩემო სიი... ხომ იცი, მიყვარხარ — ეს ის სიტყვა არაა... მუდამ შენი ქეთუსა... P.S. სანამ დროა, ნუ დაიზარებთ, უთხრათ „მიყვარხარ".

• ცხოვრების სინათლეს, უვრცელეს სიცოცხლეს. ღმერთი გფარავდეს. ძალიან მენატრები. ათენი. ინგა.

• ლაშა, ეს მე ვარ გენაცვალე, იცი, როგორ მომენატრე? გავიგე, ნერვიულობ და გთხოვ არ იდარდო, იცოდე, სიურპრიზს გიწყობ და იმედია, გამომიცვა. აუ, გახსოვს, ადრე როგორ ჩამირბინე? ისე გინდოდა ჩემი ნახვა, რომ გვერდით არც მოიხედე. იცოდე, სიტყვაზე მყავხარ გამოჭერილი. მალე გნახავ და მერე მაგ დროზე გაგვეცინება. ჩემი სიხარული, შენ გვერდით ვარ, არ ინერვიულო არაფერზე, სულ გკითხულობ და იცოდე, მახსოვხარ. ადრე არ დავიჯერე, რომ მითხარი, ბოლოს რომ დამირეკე... აბა, წავედი და იცოდე, მენატრები ძალიან. გთხოვ, არ მოიწყინო, ერთი რაღაც მაქვს და როცა გნახავ, გაჩვენებ. გაკოცე უამრავი და დროებით. კარგად უნდა მყავდე. თავს გაუფრთხილდი. გაკოცე უამრავი, სიხარულო. კარგად, ლაშ.

• კაცი — კაცია, თუ მიატოვებ/ წამსვე იპოვის სხვას/ დაპირებებით ბევრს დაგპირდება/ კიდეც გადადგამს მთას.../ მაგრამ ვერასდროს ვერ შეასრულებს/ ნუ დაუჯერებ მას.../ შენს სიყვარულში ჩაიფერფლება/ და არც დაიკლებს სმას.../ დღეს შეგიყვარებს/ ხვალ გაგაღმერთებს/ ზეგ კი იპოვის სხვას.../ მისი სიტყვები ქვასაც დაადნობს/ ქალს გაახარებს და ბოლოს/ მაინც, მაინც დაჭკნობს/ არ დაუჯერო, კაცი — კაცია/ ქალის მახეა მისი გალიჟ/ და მაინც, ბოლოს მისი პატრონი/ მხოლოდ და მხოლოდ, ერთი ქალია... ლუნა.

• იცი, როგორ მიყვარს შენთან ყოფნა? როცა შენი სურნელება მათბობს. მიყვარს კიდევ შენს ხელებზე კოცნა, შენი მზერა მზის სხივივით მათბობს. მიყვარს, როცა მეფერები თმაზე, როცა უხმოდ გესმის ჩემი ფიქრი, მიყვარს, როცა ლაპარაკობ ღმერთზე, იფანტება სევდიანი ნისლი. მიყვარს, როცა შემოგვხარის ქარი, ვარსკვლავები გვიღიმიან ციდან, მიყვარს შენთან მე ყოველი წამი, უშენობა უკვე აღარ მინდა. ბელურას. P.S. რა მუზა ვიპოვე?! :) კლეოპატრა.

• მარ, როგორ ხარ? მე მზე მენატრება აქ, სულ წვიმს. მოვიწყინე თქვენ გარეშე. „გზა" ერთი კვირით აგვიანებს აქ ჩამოსვლას. დედაჩემს ვეუბნები, „გზა" მინდა-მეთქი, დამიბუზულე და მოგიტანო. :) დამიზარუნეს თქმა უნდოდა. :) დათოს სათვალე ეკეთა და მებლატავებოდა, ნახე, რა მაგარი არმანის „გლაზოკები" მაქვსო. :) მოკითხვა მგზავნელებს. სოფიმ დამივიწყა, ცუდო შენა. გაკოცეთ. სანტა.

• იცი, რატომ დაიბადა გრძნობა? იცი, რატომ ჩავიკარგე შენში? იცი, როდის გაჩნდა ჩემში ნდობა? იცი, რატომ მასაჩუქრებს ღმერთი? რას განვიცდი იცი, როცა გხედავ? ნეტარება როგორ დაძრწის ჩემში? იცი, გული მაშინ როგორ ფეთქავს? იცი? ამას ველარავინ შეცვლის. ბელურას. კლეოპატრა.

• იცით? ყველანი ძალიან მიყვარხართ, უფლისათვის საყვარელნო. უფალს ებარებოდეთ. კლეოპატრა.

• მარიიი, ბოროტი ხარ და იცი, რატომ? მაილზე 2-ჯერ მოგწერე, თან იმდენი, რომ თითები „ეუმტიანშიკს" წავუღე გასასწორებლად. დაგებეჭდა, რა მოგვიდოდა? იხალისებდა საქართველო და გამახარებდი მეც. არადა, გულის ყოველი ფეთქვა, ფილტვის ყოველი სუნთქვა ჩავაქსოვე და გაზეთის გამყიდველთან გავათენე ღამე, რომ მეყიდა ჟურნალი და — რა? დამარტყა ინფარქტმა, წნევამ ამიწია ისე, რომ ყურებით საბურავს გავბერავდი და ნაძლევიც წავაგე. მარ, იქნებ კნუტისთან დამაკავშირო? გთხოვ, რა, ადუ.

• განათლების სამინისტრო ორი თვით მიშვებს თურქეთში, სასწავლებლად. ძალიან მოვიწყინე. მარ, მინდა ჩემს მეგობრებს და თქვენ დაგემშვიდობოთ. ჩემო გიჟებო და მატრაკვეცებო, მომენატრებით. ჩემი მედუ, ჩემი ქეთუ (ჩიპი და დეილი). ლალუ, ლალუ, ჩემი ყველაზე ლამაზი თაკუ. ყველაზე ჭკვიანი სალო. კეკუ და ჩვენი თამო, მამა. პატუ, ნათი, მალე რომ დედა გახდება. ეს ის ხალხია, ვინც ყველაზე მეტად მომენატრება. მზეოს თქვენ უყვარხართ და თქვენთანაა.

• ძალიან გთხოვთ, თქვენი რჩევა მჭირდება. დაქალთან ვიყავი ძალიან ახლოს, მთელ დღეებს ერთად ვატარებდით, ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და პატივს ვცემდით. დღე არ გავიდოდა, ერთი სმს რომ არ მიგვწერა. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ დავშორდებოდით, მაგრამ ერთ დღესაც დამირეკა და მითხრა, ვერ გიტან, თავი დამანებეო. მიზეზი ვკითხე, გაწყენინე რამეთქი? არაო. მოკლედ, არ ამიხსნა არაფერი. თქვენი რჩევა ძალიან მჭირდება. გთხოვთ, დამიბეჭდეთ. ანასტასია, 18 წლის.

• მაარ, შენი ნომერი ფუნქციამოშლილია თუ ხშირად არ გაქვს ჩართული? წინა კვირას ხუთშაბათიდან მოყოლებული, კვირამდე, 10-ჯერ მაინც გამოგიგზავნე სმს მაგრამ არ მოგდიოდა. ნუ, მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ იქნებ ეგ ნომერი გამოგეცვალა და ბალის 3-ლარიანი კარტა მაინც დაგეთრია — უფრო სწორად — გეყიდა? რადგან ბალის კარტა ფართით სარგებლობს, ფართიზე კიდევ, უფასოა მესიჯები. უფასო კი ყველაფერი კარგია და უფასოდ სარგებლობის საშუალების მომცემი ადამიანი კეთილია. კეთილ ადამიანებს კი ჯიგრებს ვეძახი და არ გინდა, ჯიგარი დაგიძახო? :-) შეგვიწყვე რა, ხელი, ჩვენ ხომ რაღაცას წარმოვადგენთ შენთვის? მისტერ.

• იცრუო უფრო ძნელია, თუ ღმერთის გეშინია. სიმართლის თქმა ადვილია, თუ სული გაქვს სუფთა. შეცდომა დაუშვა — ძნელია, გამოსწორებაა ადვილი. გული ატკინო, ძნელია, თუ ადამიანს პატივს სცემ. მოფერებაა ადვილი, თუ ადამიანი გიყვარს. რაღაც არ გაიხსენო, ადვილია, რადგან ფარული ზრახვებით მალავ. დავიწყება კი ძნელია ტკივილის, სიცრუის, ღალატის. შენი ღალატი ძნელია, თუ ადამიანს სჯერა შენი. ერთგულებაზე რა დაგიწერო? იცი კი, რა არის ეს? უარის თქმა ძნელია, თუ სინდისი გაქვს ბნელი. პოვნა ძალიან ადვილია, თუ ადამიანს სულით ეძებ. დავიწყება ყველაზე ძნელია ღალატის, მონატრება კი არ იცი შენ. ეს — აჩრდილს. ასე უფრო სწორია და სიმართლეა.

• ჩემო ტკბილო და რიხრიხა CRAZY, ძალიან მომენატრე. ძალიან მიყვარხარ, სიხარულო. ჭრიჭინა.

• მოხუცო, გვარსა და სახელს მგზავნელებს რატომ ატყუებ? ლექსებით, თბილი სიტყვებით, ქალების გულებს ატყვევებ. გთხოვ, მოიშალე ტყუილები, დანარჩენით ხარ უნაკლო. სუყველას შუყვარდები, აფიორას თუ უარყოფ. მინდა, რომ ყველას უყვარდე, ისე, როგორც მე მიყვარხარ, შენ სიყვარულს და შენს სახელს, გულში სათუთად ვინახავ!... მარი, გთხოვ ეს მესიჯი დამიბეჭდე. წინასწარ გიხდი უღრმეს მადლობას.

• ჯობდა ალბათ, არ გეკოცნა/ ვყოფილიყავ ისევ წმინდა/ ამ თვალების შემოხედვა/ ვიცი, კვლავაც ძლიერ გინდა/ გგონებოდი ისევ ბავშვი.../ გყვარებოდი, როგორც ქალი.../ იქნებ ასე უფრო ჯობდა/ ჩადგებოდა კიდეც ქარი/ შემაჩვიე სევდასა და.../ უსაშველო ფიქრს/ იმ ზამთარსაც, შენზე ფიქრი/ გავუმხილე ჩუმად ფიფქს/ რა მინდოდა შენგან სხვა.../ სითბოსა და სიყვარულზე მეტი?/ შევცდი ალბათ, როცა პირველად/ შეგიყვარე, როგორც ღმერთი. ლუნა.

• მარიამუულ, რაფრა ხა�რ, რეიზა გქონდა სულ გამორთული ტელე, ჰა? :) 9717 ვარ. ბარათები არაა სოფელში და გწერ სახლისტელეფონან, მააშ. მაარ, არ ააგო ცათმფრენი, რა... :)

• არ შემიყვარეს? არც გეხვეწები, შენ ხომ წუთიერ გრძნობის მონა ხარ, ბავშვურ სიყვარულს რა ვუთხრა თორემ, შენზე უკეთესს ყველგან მოვნახავ. :) 9717.

• სხვის ომში ხშირად ვყოფილვარ ბრძენი, საკუთარ ბრძოლებს ზედიზედ ვაგებ და უკვე სახლში მომადგა მტერი. გვიანლა ვრეკავ, განგაშის ზარებს! ზღურბლს იქით, ალბათ ჯერ კიდევ სჯერათ ოლიმპიური ჩემი სიმშვიდის, კარგად შეფუთულ თოჯინას ვგავარ და კაცს, რომელიც აღარ იცინის. ნეტა ვიცოდე, სად არის ბოლო, ბოლო იმედიც ხომ აგერ კვდება და ბაბილონის დანგრეულ გოდოლს ისე მაგონებს ჩემი ოცნება... ეს არის ერთი შეცდომის ფასი — ერთი მოკვდავის სიცოცხლე მერგო, ღმერთო, დე, ვზიდო მე ჩემი ჯვარი, ოღონდ ბოლომდე მიტანა შევძლო.

• მაარ, მენთუშვილმა დამირეკა. ჰოდა, ასე თქვა, მე და ნაკრების ბიჭები 3-განზომილებიანი ტელევიზორით ვადევნებთ თვალს ამ მუნ-

დიალს და ისეა, თითქოს იქ ვიყოთო. 9717.

• მაარ, ერთი მგზავნელი უნდა მოოგვლااااა! :) ჰო, ნიკს ვიცვლი, სანტა აღარ ვიქნებიოო. ერთმა შტერუკამ მირჩია და დავუჯერე. სანტა (ფიფქია).

• მარადიულმა, დიადმა, ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე ღმერთმა ჩამიარა გვერდით. მე ვერ ვხედავდი მის სახეს, მაგრამ მისმა ათინათმა მთლიანად მოიცვა ჩემი სული და მოწიწებით აღავსო იგი და მე ყველგან ვხედავდი მის კვალს, თვით მისსავე ქმნილებაში. მთელ მის ქმედებაში თვით ყველაზე უჩინო და უჩინარ საქმეში. რა ძალაა, როგორი სიბრძნე, რა წარმოუდგენელი სრულყოფილება! მე ვხედავ მზეს და სხვა მნათობებს, ვარსკვლავთა მთელ სისტემას, უნაპიროს, უსაზღვროს და უკიდეგანოს... ამრიგად, მართებულია გვწამდეს, რომ არსებობს ღმერთი, დიადი და წარუვალი, დაუსაბამო და დაუბადებელი, რომელმაც შექმნა ეს უსასრულო სამყარო და ურყევი წესრიგი დაამკვიდრა მასში. ის დფარულია ჩვენი თვალისთვის, თუმცა, სინათლით კი ავსებს მას, მხოლოდ აზრი თუ შეაღწევს იმ გრანდიოზული ტაძრის სიღრმეში, მის სიდიადეს რომ გვიფარავს. ფლამინგო.

• ძალიან მიყვარხართ მგზავნელებო, დიდი ბედნიერებაა, რომ არსებობთ. შენც დიდი მადლობა, მარი.

• უჰ! უჰ! და უჰ! რა... ეი. ამ „მობილი-ზაციაში“ რით ვერ დაწყნარდა და დაშოშმინდა ხალხი? ვიტყვი, არიქა, არაფერი ისეთი არ წერია და მგონი დაავიწყდათ ლანძღვა-მეთქი, რომ ისევ თავიდან... რა სიამოვნებას პოულობთ ამ უაზრო კინკლაობაში, ვერ ვხვდები. ხომ შეიძლება, ერთ-ერთი მაინც გაჩერდეს? თუ ნათქვამზე პასუხის კვანტივით დახვედრება მაგარი საქმე გგონიათ? მე ძალიან დავიღალე და თქვენი არ ვიცი. ან ეს ეროვნულობის საკითხი რა თქვენი გასარჩევია? უბრალოდ, სირცხვილია მაგაზე ლაპარაკი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისტერს ჩემზე უკეთ აქ არავინ იცნობს და ასევე თამამად ვიტყვი იმასაც, რომ არა მგონია, ბევრმა ქართველმა შეძლოს მასზე გატოლება... ეროვნულობის საკითხის თუ ასაკობრივი განვითარების მხრივ და არც ისეთი ენაბილწია, როგორადაც აქ ჩანს. მისტერ, აზრზე მოდი! თქვით, რომ აღარ გასცემთ ერთმანეთს პასუხს და ამითი ყველაფერი დამთავრდება... თქვენც დაისვენებთ და ჩვენც... რას გამოვხტი ახლა მეც, მეცამეტე გოჭივით? მაგრამ შეწუხდი, ვაა... ან მოდი, დუელი მოვაწყოთ, კაცური საქმე მაინცაა და გაირკვევა ყველაფერი. ჰა, რას იტყვით? იარაღის შერჩევა ჩემზე იყოს. SWEET-GIRL.

• ეს ე.წ. „ძველი თაობა“ რომ ადგება და იტყვის, ახალი თაობა არ ვარგაო, პირდაპირ ენაზე უნდა გაუკეთო ნემსი. აი, ბავშვობაში ჩვენ რომ გვემუქრებოდნენ, სწორედ ისე. რატომ? ახლავე მოგახსენებთ. დღეს ერთ-ერთი მეტად გრძელვადიანი მგზავრობის დასაწყისში, მატარებელში ავცუნცულდი, თავისუფალ ადგილებს თვალი მოვავლე და 2 ადგილი მომხვდა თვალში. ერთზე, ვინაიდან ახალგაზრდა ბიჭი იჯდა და შესაძლო იყო, ზედმეტი შეკითხვითა თუ გაცნობის სურვილის გამოთქმით თავი მოებეზრებინა, აღარ დავჯექი და მეორე სკამი ვარჩიე, რომელზეც ერთი შეხედვით უწყინარი, ხანში შესული ადამიანი იჯდა და იქ დაიწყო, რაც დაიწყო. დამჯდარი არ ვიყავი და სახელი რა გქვიაო, მატკაკ. მერე გვარიო, სად იყავი და სად მიდიხარო და უკვე იმით შეშინებულმა, SKYPE და „ოდნო“ თუ გაქვს, არ მითხრას-მეთქი, ასაკით რომ დაინტერესდა, აი მაშინ ვიმარჯვე... აქ თუ დიდხანს ვიჯექი, 5 წლით დავბერდები და ასაკსაც მერე გეტყვით-მეთქი, წამოვხტი და პირველ სკამზე გადავნაცვლდი. ამის შემდეგ იტყვით რამეს, ახალგაზრდებზე? ჰმმ! სიმღერაში რომაა: „ახალგაზრდებს რანდაა უთხრა, ბებრებია ატეხილი,“ მგონი ეგრეა საქმე... SWEET-GIRL.

• „გზაც“ შემიყვარდა, მარიც და მგზავნელებიც. გულმა ვერარ დაიტია ამდენი სიყვარული და გადავწყვიტე, მომეწერა პირველად თქვენთვის და მოგფერებოდით.

• ჩემო უსაყვარლესო და ულამაზესო, იდუმალო ქალბატონო, მომენატრე ძალიან, არ გეგონოს დამავიწყდი, იმედი მაქვს, მალე გნახავ. მუდამ შენი თაყვანისმცემელი...

• აჰა, ცოტა დაწყნარდა ამბები და გადავწყვიტე, მოგწეროთ. იმის თქმა, რომ ყველანი კარგები ხართ, მგონი ზედმეტია, მაგრამ ზოგიერთების მფრინავი ფრაზები მაკვირვებს.

• გაუმარჯოოს... რაფერ ხართ, ჩემო ტკბილო და მურაბა ხალხო? ა? შემოგევლეთ ყველას გულებშიი... ლიმონო, უჯიგრესი და უუსაყვარლესი ხარ დაიკ, მაგრად მიყვარხარ! მჰუა. ტერეზა.

• მისტერ, ჩემი ენა ისეთი ბინძური ნაღდად არაა, ვიდრე შენი მოთუხთუხე, შავი უკანალი, შე დაბალ საფეხურზე მდგომო, მალაზიის შნირო. „ვოტ ტაკ!“ ვკაიფობ გოიმებზე, გოიმო.

• გამარჯობა მარი, როგორ ხარ? მე „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ მესამედ გწერთ. დღეს დიდი დღეა, დიდი! რადგან დაბადების დღე მაქვს და თან გზა დღეს გამოდის. ვინც ამ დღეს არის დაბადებული, მინდა მთელი გულით მივულოცო და რაც გასულ წელს ვერ შეისრულეს, ამ წელს ახდენოდეთ. მადლობა უფალს, რომ ერთი წელი გვაჩუქა. თეო.

• მისტერ, საპასუხო შეურაცხყოფას არ მოგაყენებ „გზაში“, რადგან მემეს დავპირდი, მაგრამ იმ გზავნილის წაკითხვის შემდეგ, რომელშიც მომიხსენიე, ჩათვალე, რომ მგელი გადაიკიდე! აგვისტოში თბილისში ჩამოსვლას ვაპირებ და მამაჩემის ხსოვნას ვფიცავ, თუ არ ჩაგთხარო ეგ სიტყვები პირში! კუტრინა.

• მგზავნელებო, კარგები ხართ. :-) ისე, ადუ, მეც მაგრად ვგიჟობდი, ოპერაცია რომ გავიკეთე. მაგარი იყო. მოკლედ, ვინც ბრაზილიას „ბალელშიკობთ“, გენაცვალეთ! დადუ.

• მიხო, მივიღე წერილი. როგორ ხარ? თავს გაუფრთხილდი. ვისზეც მომწერე, ყველას დავურეკავ. იმედი არ მაქვს არც ერთის, მაგრამ მაინც ვცდი, შენ არ ინერვიულო. ჩემო სიცოცხლევ, ძალიან მენატრები. ძალიან ენატრები ბავშვებსაც. ძალიან მიჭირს უშენოდ. მამაჩემიც ძალიანაა გასაცოდავებული. შენი ამბავი არ იცის. ვატყუებთ, გერმანიაშიაო. მიხო, ძალიან გვენატრები. არ დაიჯერო, თითქოს ან არ გკითხულობთ, ან არ გვიყვარხარ! მალე გამოხვალ! ბაბუა კარგადაა. ვალები დაგვედო და გიუბივით ვართ. მენატრები. თეკო.

• მამაშენი უკეთ არის. შენი ნათქვამი ვუთხარით და დარეკავს თავის ძმასთან. ბინა არ იყიდება, 73-ად თუ გაიყიდა, მაგარი იქნება. ფული არ გვაქვს, რით რა უნდა გადავიხადო, არ ვიცი. ამ ბინიდან უნდა წავიდე, მაგრამ არ ვიცი, სად. შენი და გამოჩნდა, მაგრამ ჯობდა, არ გამოჩენილიყო. დარეკა, მლანძღა, შეურაცხყოფა მომაყენა. ძალიან ბევრი ბოლმა და სიძულვილი აქვს. მერე, ვითომც არაფერი, შენს ბიძაშვილ ლევანთან ერთად მოვიდა, მერე ისევ დაიკარგა. მოკლედ, მაგის არც ნერვები მაქვს და არც გული. ისე გამამწარა ისედაც გამწარებული და დათრგუნული, რომ ლამის გავგიჟდი. უფალმა შეუნდოს. ძალიან ბევრი რამ ხდება და ბევრია სალაპარაკო. მამიკულას ძალიან ენატრები, შენზე რომ ვლაპარაკობთ, ცრემლები სდის. ნიკა სამსახურს ეძებს. მეც მინდა, რაღაც ვიშოვო. ვიცი, რასაც გირიცხავ ცოტაა, მაგრამ ამასაც ძლივს ვახერხებ. ჩემო სიცოცხლევ, თავს გაუფრთხილდი, მეც ვცდილობ, თავი ხელში ავიყვანო. შენთვის ვლოცულობ. ძალიან მიყვარხარ, ეს დღეებია, სულ სიზმარში გხედავ. მენატრები, გკოცნით ყველა. მარუსა.

დათო ბ-ს მარისგან! დათო, ჩვენ კარგად ვართ. მანდ რა ხდება, ვერ გავიგე. ორჯერ ვიყავი ჩამოსული, განცხადების ჩაბარება მინდოდა, მაგრამ — ტყუილად. აწი დაველოდები შენს ზარს. არ ინერვიულო, თავს გაუფრთხილდი. გკოცნით — მარი, ნიკა, მაკა.



გილოცავ!

• მაკა ჩახვაშვილო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. გაიხარე და გამრავლდი. მა-ლი.

• ჩემს მონატრებულ ძმისშვილს, თაკო ანანიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერ და ლამაზ სიცოცხლეს, წარმატებას, სწავლასა და ცხოვრებაში წინსვლას. გკოცნი. მამიდა.

• ნინო ქოქიაშვილს და ზურა გიორგობიანს ვულოცავ ქალიშვილის, მარიამის დაბადებას. ვუსურვებ ბედნიერ მომავალს. სახელოვანი გოგო გაზრდილიყოს, მშობლებისა და ახლობლების გასახარად. ძალიან მიყვარხართ და მენატრებით. გფარავდეთ ყველაწმინდა. როდის გნახავს ბებო, ჩემო ანგელოზო? თამილა ქოქიაშვილი.

• ახალციხეში, ჩემს 3 წლის, მონატრებულ შვილს, მარი აბრამიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 28 ივნისს. ჯამრთელი და ბედნიერი მეყოლე მთელი ცხოვრება. დედიკო.

• ჩემს პატარა შვილიშვილს, დაჩი დუგლაძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე, 29 ივნისი. გისურვებ ჩემო ლამაზო, გაზრდილიყავი ჯანმრთელი, სასახელო ვაჟკაცი. ასევე ვულოცავ დაბადების დღეს შენს მეორე ბებოსაც, დარეჯან დუგლაძეს. თქვენ ხომ ერთ დღეს ხართ დაბადებული. ორივე კარგად მეყოლეთ. თინიკო გონგაძე. გკოცნით ბევრს.

• ჩემ ლამაზ და პატენტ ნათლულს ვულოცავ გაქრისტიანებას. ნინი, უფალი იყოს შენი მფარველი, დედა ღვთისმშობელმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს. მენატრები. ჭრიჭინა.

• GREEN GIRL, ჩემო ტკბილო, როცა ეს მესიჯი დაიბეჭდება, უკვე მიჭყლეტილი მეყოლები. :) ერთი სული მაქვს, როდის ჩამოხვალ. ჭრიჭინა.

• ლიმონ, გილოცავ იუბილეს, უფალი გფარავდეს, დიდი გოგო გაიზარდე. რაჭველივით გვიან კი გილოცავ, მაგრამ მეპატიება, რაჭული გვარი მაქვს. :) გენათალე გულუნაში. ჭრიჭინა.

• მეგი კუპრაძე, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი დედასთან და ახლობლებთან ერთად, სიხარული და უფლის მფარველობა არ მოგკლებოდეს. გკოცნი. მზია ბებო.

• სალომე ნატრიაშვილო და სერგო გიორგიძე, გილოცავთ ბიჭის შეძენას. მარად ჯანმრთელები, ლამაზები და ბედნიერები იყავით, თქვენს შვილებთან ერთად. მანანა ბებო.

• დაბადების დღეს, 3 ივლისს ვულოცავ ჩემს უსაყვარლეს და-ძმას, ლელა და გლახუნა მიდელაშვილებს. ჩემი მარგალიტები ხართ. გკოცნით, მაია და მარიამი. ■

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **Guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე **8884**. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: **Guli 18-10** და გაგზავნეთ **8884**-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფაიმ-აუტი

ბესტსელერების ავტორების საიდუმლო ცხოვრება

✖ „და ვინჩის კოდის“ ავტორი დენ ბრაუნი პოპსიმღერებს წერს და მღერის. მან ალბომს პოპულარული ნაწარმოების „ანგელოზებისა და დემონების“ სახელი დაარქვა.

✖ ჯონ გრიშემი პროფესიით ადვოკატია. შემდეგ პოლიტიკამ გაიტაცა, მოგვიანებით — წერამ. მისი ნოველების მიხედვით რამდენიმე ცნობილი ფილმია (The Firm, The Pelican Brief, The Client, A Time to Kill, The Chamber, The Rainmaker) გადაღებული. 1996 წელს ცნობილ მწერალს დახმარებისთვის რკინიგზის გარდაცვლილი თანამშრომლის ოჯახმა მიმართა. გრიშემმა პროცესი მოიგო და დაზარალებულმა მხარემ კომპენსაციის სახით 650 ათასი დოლარი მიიღო.



სიდნი შელდონი

✖ სნორა რობერტსი დღეს პოპულარული მწერალია. „ნიუ-იორკ თაიმსმა“ რამდენჯერმე დაასახელა რომანტიკული ნოველების დედოფლად. პოპულარობამდე ქალმა ამერიკის ყველა გამომცემლობა მოიარა, საკუთარი რომანების დაბეჭდვას ითხოვდა. ერთ დღეს ბედმა გაუღიმა და დღეს ცნობილი და მილიონერია.

✖ დანიელა სტილის ცხოვრებაც რომანს ჰგავს. ქალი ხუთჯერ იყო გათხოვილი. მისმა მეორე ქმარმა ბანკი გაძარცვა, შემდეგ გაუპატიურებაში დასდეს ბრალი. მესამეც ქურდი იყო, მდიდრების ბინებს ტეხდა. „მიკვირს, როცა მეკითხებიან თუ საიდან ვიღებ რომანებისთვის საინტერესო სიუჟეტებს, — განაცხადა ერთხელ მწერალმა, — რა თქმა უნდა, ცხოვრებისგან თავგადასავლები არ მაკლია“.

✖ სიდნი შელდონმა წერა 50 წლიდან დაიწყო, მანამდე ტელეეთერში შოუები მიჰყავდა. ფილმის სცენარისთვის The Bachelor and the Bobby-Soxer „ოსკარიც“ კი მიიღო.

✖ ტრილერების ავტორ ჯონ სანდფორდს კოლეგები უნიჭოს ეძახიან. მისი შურთ, რადგან სანდფორდი „პულიტცერის“ პრემიის (აშშ-ის ერთ-ერთი პრესტიჟული პრემია უნგრელი მეცენატის იოსებ პულიტცერის ანდერძის თანახმად, 1917 წელს დააწესეს. პრემიით — 10 ათასი დოლარი — წლის საუკეთესო ლიტერატორებს, მწერლებს, თეატრისა და მუსიკის წარმომადგენლებს აჯილდოებენ. ცერემონია ყოველწლიურად, ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში, მაისის პირველ ორშაბათს იმართება) მფლობელია. ჯილდო მას 1986 წელს, მინესოტაში მცხოვრები ფერმერის ცხოვრების აღწერისთვის მიანიჭეს.



დენ ბრაუნი

ჯონ სანდფორდი

✖ ტომ კლანსკი ტექნოლოგიურ ტრილერებს წერს, რომლის მიხედვითაც ფილმებს იღებენ და კომპიუტერულ თამაშებს ქმნიან. წერის გარდა ტომი მუშაობს კიდეც. კალათბურთის გუნდის (Baltimore Orioles) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ვიცე-პრეზიდენტია. ■

კანონები და უცნაურობები

● ტაილანდის ფულის კუპიურაზე მეფეა გამოსახული. ამიტომ, მონეტასა და ქაღალდის კუპიურაზე დაბიჯება სასტიკად იკრძალება. თუ ციხეს გადაურჩით, ბრბო გადაგივლით, რომელიც საკუთარ მონარქს დიდ პატივს სცემს.

● ისრაელში როტვეილერის ჯიშის ძაღლის მოშენება აკრძალულია. ხელისუფლებამ ეს კანონი მას შემდეგ მიიღო, რაც ამ ჯიშის ძაღლმა ორი გოგონა დაგლიჯა.

● 1752 წელს ინგლისსა და მის კოლონიებში წელიწადის დღეების რაოდენობა 354 დღემდე შემცირდა. ეს ძველი კალენდრიდან გრიგორიანულზე გადასვლამ გამოიწვია. სექტემბრიდან 3 და 13 რიცხვი ამოვარდა.

● დოლარზე არსებული ფრაზა In God We Trust ყველასთვის ცნობილია. იგი ამერიკის ნაციონალური დევიზი 1956 წელს გახდა. მანამდე ამერიკელებს დევიზი არ ჰქონდათ.

● აშშ-ში, სამოქალაქო ომის დროს, მიმოქცევაში არსებული ქაღალდის ფულის ნახევარი ყალბი იყო.

● ჰავაის კუნძულებზე ბილბორდებისა და დიდი სარეკლამო აფიშების გაკვრა აკრძალულია, რადგან ტურისტებს ლამაზი ხედებით ტკბობაში ხელი არაფერმა შეუშალოს.

● ციფრები, რომელსაც ჩვენ არაბულს ვეძახით, სინამდვილეში ინდოელებმა მოიგონეს. არაბმა მათემატიკოსებმა კი ჩრდილოეთ აფრიკასა და ევროპაში გაავრცელეს.

● 1685 წელს ახალ საფრანგეთში (საფრანგეთის კოლონია ჩრდილოეთ ამერიკაში) ქაღალდის ფულის ნაკლებობის გამო, ბანქოს ქაღალდებს იყენებდნენ.

● 74 წელს სახელმწიფოში ფულის უკმარისობის გამო იმპერატორმა ვესპასიანემ ფასიანი ტუალეტები გახსნა. ტიტუსმა გააკრიტიკა მამის ქმედება, რაზეც იმპერატორმა უპასუხა: „ფულს სუნი არ უდის“. ■

რუბრიკა მოამზადა
რუსუდან გელაშვილმა

მსოფლიოში პირველი — თბილისის საბავშვო რკინიგზის იუბილე და „პიონერფილმელების“ ახალი ფილმი

თბილისის საბავშვო რკინიგზა 75 წლისაა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში არსებული კინოსტუდია — „პიონერფილმის“ ბავშვებმა საზეიმო საღამოს მოწყობა და ფილმის — „მსოფლიოში პირველი“ (ავტორები: ლევან დვალი, მინდია კანდელაკი, გიორგი კბილაშვილი, ნინო დოლიძე, ანა ივანიშვილი) გადაღება გადაწყვიტეს. მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა სწორედ თბილისში შეიქმნა. მუშთაიდის ბაღში ძველი ორთქლმავალი ახლაც დგას, რომელსაც სამოქალაქო ომისდროინდელი ნატყვიარები დღესაც ემჩნევა...

ეთო ყორღანაშვილი

გრიგოლ ჩიგოგიძე, *„პიონერფილმის“ ხელმძღვანელი:*

— თითქმის 30 წელია, რაც „პიონერფილმი“ და საბავშვო რკინიგზა მეგობრობს. მახსოვს, როცა აფხაზეთში პიონერთა რესპუბლიკური შეკრება ტარდებოდა, თბილისიდან სოხუმში მატარებლით გავემგზავრეთ. გამცილებლები, მემანქანეები, მატარებლის უფროსები საბავშვო რკინიგზის ბავშვები იყვნენ. გზადაგზა მატარებელში პატარები საქართველოს ყველა რაიონიდან გვემატებოდნენ. ფილმის გადაღების იდეა სწორედ მაშინ გაგვიჩნდა. პირველად ვესტერნი — „საბავშვო რკინიგზაზე თავდასხმა“ გადავიღეთ, შემდეგ — კორნეი ჩუკოვსკის ზღაპარი — „მუხა ცაკატუხა“ (1987 წ.). სოხუმისკენ მიმავალ პირველ დელეგაციაში იყვნენ: ქეთინო პატარაია, ლაშა ჟვანია, რეზო ცხვარაძე... გავიდა წლები. ბატონმა იგორ ნაგორნიმ (კინოოპერატორმა) ინფორმაცია მოგვაწოდა, რომ საბავშვო რკინიგზას 75 წელი უსრულდება. გადავწყვიტეთ, ფილმი გაგვეკეთებინა. ამ იდეამ ის გამოიწვია, რომ მუშთაიდის ბაღში ბავშვები ხშირად მოდიოდნენ და სარემონტო სამუშაოებში საკუთარი წვლილი შეჰქონდათ — „ვითომ“ ღებავდნენ რაღაცებს (*იღიმის*)... შემდეგ საიუბილეო საღამოს მოწყობაც გადავწყვიტეთ, რომლის წამყვანებიც „პიონერფილმის“ ბავშვები იქნებიან. ჩვენი თხოვნით, ანსამბლი „მზიური“ (ხელმძღვანელი — გურამ ჯაიანი) ძალიან ლამაზ სიმღერას შეასრულებს, რომლის ავტორიც მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის აღზრდილი — თამაზ სანებლიძე გახლავთ, მუსიკა კი კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ — კახა ცაბაძემ დაწერა. საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე: ელენა ცარციძე, რომელიც ოდესღაც საბავშვო რკინიგზის მატარებლის გამცილებელი იყო, ანსამბლი — „სიმი“, სტუდია „თელას“ მოცეკვავეები... ამჯერად, გამცილებლები, მეისრეები და თუ ნებას დართავენ, მემანქანეებიც

„პიონერფილმელები“ იქნებიან. სერგო ბუიღლიშვილი პატარებს ნაყინით გამასპინძლებას შეჰპირდა... ძალიან გვინდოდა, რომ ფილმში საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუც შესულიყო,

მაგრამ უარი მივიღეთ ჩვენ ინტერვიუებს არ ვიძლევითო! გავოცდი — „პიონერფილმელებისთვის“ საქართველოს რკინიგზის გარდა უარი არასოდეს არავის უთქვამს. ვისაც მივმართეთ, ყველა გვეხმარება, ხელს გვიწყობს, რომ ლამაზი საღამო მოვაწყოთ. ვფიქრობ, არ შეიძლება, დიდი რკინიგზა პატარას არ ჰპატრონობდეს. საბავშვო რკინიგზა მაშინ გაიხსნა, როცა ქვეყანას ძალიან უჭირდა. ფილმის გადაღებისას, ქალბატონი ეთერ კობიაშვილი მოვძებნეთ, რომელიც ერთ-ერთი სადგურის — „სიხარულის“ უფროსი იყო. 1937 წელს (როცა ნორჩი რკინიგზელები მოსკოვში მოგზაურობით დააჯილდოეს) 22-კაციანი დელეგაცია რკინიგზის სახალხო კომისარმა — ლაზარ კაგანოვიჩმა მიიღო, რომელსაც ეკუთვნის უკვდავი ფრაზა: „რკინიგზა — ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში“. სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ 400-მეტრიანი საბავშვო რკინიზა 1200-მდე დაეგრძელებინათ.

თუთა ბალარჯიშვილი, *16 წლის:*

— „პიონერფილმელებს“ ძალიან გაგვიხარდა, როცა შევიტყვეთ, რომ მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა სწორედ საქართველოშია. ამასთან დაკავშირებით, ფილმის გადაღება გადავწყვიტეთ. თითქმის მთელი თვის განმავლობაში, ჩვენი ბავშვები კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტების არქივში დადიოდნენ და ბევრი საინტერესო ინფორმაციაც მოიძიეს. ვიპოვეთ ადამიანები, რომლებიც საბავშვო რკინიგზის პირველი გამცილებლები, მემანქანეები იყვნენ...

მაგდა მითაიშვილი, *14 წლის:*

— ყველას გავესაუბრეთ, ინტერვიუები ჩავიწერეთ. უამრავი საინტერესო მასალა შევაგროვეთ.

ლუკა ახალაძე, *14 წლის:*

— ძველი „ნორჩი რკინიგზელები“ ისეთ საინტერესო ამბებს გვიყვებოდნენ, რომ სმენად ვიყავი ქცეული! ერთადერთი, რაც არ მომეწონა, საბავშვო რკინიგზის მატარებლის ვაგონებზე დახატული ცხვრები იყო. ახალი ვაგონები უკვე ლამაზი ფერისაა.

ნინო მღებრიშვილი, *16 წლის:*

— ფილმზე მუშაობის პროცესი ძალიან საინტერესო იყო — ბევრი რაღაც ვისწავლე. ვფიქრობ, რომ ეს „პიონერფილმელებისთვის“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრაქტიკაა.

თამარ უგუზაშვილი, *16 წლის*:

— ფილმზე მუშაობა შრომატევადიც იყო და სახალისოც. წელს „პიონერფილმის“ პრეზიდენტი მე ვარ. მიხარია, რომ ასეთი საინტერესო რაღაცები სწორედ ჩემი პრეზიდენტობის დროს ხდება!

3 წლის იგორ ნაგორნი საბავშვო რკინიგზის მატარებლის ერთ-ერთი პირველი მგზავრი გახლდათ. ბატონი იგორი ახლა 78 წლისაა და ღიმილით იხსენებს იმ დღეს, როცა ის და კიდევ ერთი დაგვიანებული მგზავრი — ქოლგიანი პატარა გოგონა მატარებელს სადგურ „სიხარულთან“ საბავშვო მანქანით დაეწივნენ:

— მამაჩემი — ნიკოლოზ ნაგორნი ცნობილი კინოოპერატორ-დოკუმენტალისტი იყო. საბავშვო რკინიგზის გახსნას იღებდა. რა თქმა უნდა, მეც დამპატიჟა. საბავშვო მანქანით მივედი, მაგრამ მატარებელზე დამაგვიანდა. კიდევ ერთი დაგვიანებული მგზავრი — ქოლგიანი გოგონა დავინახე. ჩემი პატარა მანქანით, მატარებელს ორივენი სადგურ „სიხარულთან“ (სულ 3 სადგური იყო: „პიონერული“, „სიხარული“ და „მზიური“) დავეწიეთ და მგზავრებს შევუერთდით... როცა გავიზარდე, საბავშვო რკინიგზის სამსახურში ვმუშაობდი კიდეც. როგორც ყველა ბავშვი, მეც მემანქანეობაზე ვოცნებობდი, მაგრამ მატარებლის უფროსი ვიყავი (*ილიმის*)... 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით, „ნორჩი რკინიგზის“ ვეტერანები შევაგროვე. ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ახალგაზრდობის წლები მახსენდება. ბერეტი და ყელსახვევი ახლაც კი თან მაქვს...

ავთანდილ რამაზაშვილი, *საქართველოს რკინიგზის ფილიალის — თბილისის საბავშვო რკინიგზის დირექტორი:*

— წლების განმავლობაში, თბილისის საბავშვო რკინიგზამ მოზარდების აღზრდის საქმეში თავისი როლი შეასრულა. აქ არაჩვეულებრივი ადამიანები გაიზარდნენ, რომლებიც შემდეგ დიდ სარკინიგზო მაგისტრალზე მუშაობდნენ. მეც „ნორჩი რკინიგზელი“ ვიყავი. ჩემი ოცნება იყო, პროფესიონალი „რკინიგზელი“ გამოვსულიყავი. დიდი რკინიგზის სამსახურში ვმუშაობდი — საღიანდაგო განყოფილების უფროსის მოადგილე გახლდით. შემდეგ ხელმძღვანელობამ საბავშვო რკინიგზის დირექტორად დამნიშნა. ძველი, ხის სადგურების რეკონსტრუქცია დავიწყეთ. 3 ახალი სადგური ავაშენეთ, მარმარილოს სვეტებითა და ბაზალტის ბაქნებით. შემდეგ ადმინისტრაციული შენობა ავაშენეთ, სადაც რკინიგზის პროფტექნიკუმისა და ინსტიტუტის გახსნა გვინდოდა. ჩვენთან ტექნიკური წრეებიც მუშაობდა (მაგალითად, საავიაციო მოდელირება). ბავშვებისთვის აუდიტორიები, მომსახურე

პერსონალისთვის კი კაბინეტები არსებობდა. „ნორჩი რკინიგზელები“ მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც მობილიზებული იყვნენ. მათ საზეინკლო „ცეხი“ მოაწყვეს, სადაც ცხენებისთვის და ჯარისკაცების ჩექმებისთვის ნალებს ამზადებდნენ. 10.000 მანეთი გამოიმუშავეს და დაჯავშნული მატარებლის

ასაშენებლად წითელ არმიას გაუგზავნეს. ეს ამბავი სტალინის ყურამდეც მივიდა. მან „ნორჩ რკინიგზელებს“ სამადლობელი წერილიც კი გამოუგზავნა, რომელიც ახლა ჩვენს მუზეუმში დევს...

— საბავშვო რკინიგზა დღეს როგორ მდგომარეობაშია?

— არ გააჩნია ადმინისტრაციული შენობა, რადგან ის რაიონებიდან ჩამოსულმა ხიზნებმა (და არა ლტოლვილებმა) დაიკავეს. ვის არ მივმართეთ — პოლიციას, ქალაქის მესვეურებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას, მაგრამ კაციშვილი ხმას არ სცემს. ადმინისტრაციულ შენობაში ხიზნები ცხოვრობენ, თანამშრომლები კი პატარა სადგურში ვართ „გამოკეტილები“, შესაბამისად — საბავშვო რკინიგზის ფუნქცია მოშლილია, მაგრამ იმედია, ეს გარდამავალი პერიოდია — ქვეყანას უჭირს, ტერიტორიები ოკუპირებულია... გამიხარდა, რომ პრეზიდენტის პროგრამაში პროფესიული ორიენტაციის დაწესებულებების აღორძინება შევიდა. თუკი 30-იან წლებში მოზარდებმა მოიფიქრეს, რომ მსოფლიოში პირველებს საბავშვო რკინიგზა აეშენებინათ, რატომ არ შეიძლება, მათი დანატოვარი მთელ მსოფლიოს გავაცნოთ?

■

WORLD CUP 2010

გაანხეთქილება „მამლაყინწათა“ ბანაკში

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე არაერთმა ფავორიტად მიჩნეულმა გუნდმა ქომაგებს იმედი გაუწბილა, მაგრამ მათ შორის ნამდვილად განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საფრანგეთის ნაკრები და მიუხედავად იმისა, რომ მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება, მკითხველის ყურადღებას მაინც 2006 წლის ვიცე-ჩემპიონ „მამლაყინწათა“ ბანაკში მიმდინარე სკანდალურ პროცესებს მივაპყრობთ.

ყველაფერი კი ნამდვილად წმინდა საფეხბურთო მიზეზების გამო დაიწყო. ჯერ კიდევ მუნდიალის დაწყებამდე სამფეროვანთა მთავარი მწვრთნელის — რაიმონ დომენეკის საჩემპიონატო სტრატეგიის მიმართ არაერთი ფრანგი საფეხბურთო ჟურნალისტი და მიმომხილველი უარყოფით განწყობილებას ვერ მალავდა. გარდა ამისა, მას იმთავითვე მოწინააღმდეგეები ჰყავდა თავად გუნდის შემადგენლობაში მოხვედრილ მოთამაშეთა შორისაც. ამას არ შეიძლებოდა, უარყოფითად არ ემოქმედა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა თამაშზე, მით უმეტეს, რომ ეს გუნდი ამჟამად თაობათა ცვლის პროცესშია.

მუნდიალის სასტარტო შეხვედრა ფრანგებმა ურუგვაელებთან უგოლოდ დაასრულეს (0:0), ხოლო მეორე ტურში მექსიკელებთან 0:2 წააგეს. ცხადია, წარუმატებლობამ გუნდის გასახდელსა და საწვრთნელ ბაზაზე კიდევ უფრო დაძაბა ვითარება. პირველი სკანდალი სწორედ მექსიკის გუნდთან გამართული შეხვედრის შესვენებისას სამფეროვანთა გასახდელში მომხდარ ფაქტს მოჰყვა. მაშინ ლონდონის „ჩელსის“ 31 წლის ფორვარდი — ნიკოლა ანელკა მისი თამაშით უკმაყოფილო რაიმონ დომენეკმა გააკრიტიკა. ვალში თავდამსხმელიც არ დარჩენილა, ნაკრების თავკაცი კი ურჩ შეგირდს სათადარიგოთა სკამზე დასმით დაემუქრა. ამით კიდევ უფრო გაცხარებულმა ანელკამ მწვრთნელს უცენზურო სიტყვებით მიმართა. „თავიდან მომწყდი, ბინძურო ძაღლისშვილო“ — მწვრთნელის მისამართით ნათქვამმა ამ სიტყვებმა მალე თითქმის ყველა ცნობილი გამოცემის გვერდები მოიარა, თუმცა ნიკოლა მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა და ისეთებიც მიაყოლა, რისი გამოქვეყნებაც ვერც ერთმა მედიაბრენდმა ვერ გაბედა. ფრანგული გაზეთების მიერ გავრცელებული ცნობით, ფეხბურთელს მწვრთნელისთვის ბოდიშის მოსახდელად დრო მიეცა, რაც ნიკოლას მაინცდამაინც ჭკუაში არ დაუჯდა. უფრო მეტიც, მას დომენეკის მისამართით „ქებათა ქების“ თქმა ჟურნალისტებთანაც სურდა, მაგრამ ამის უფლება საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ არ მისცა. მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის არსებული უაღრესად უარყოფითი დამოკიდე-



ბულება არც რაიმონ დომენეკის, პატრის ევრასა და თავად ანელკას შეხვედრას გაუუმჯობესებია. დომენეკსაც ისღა დარჩენოდა, რომ მუქარა აესრულებინა და მის მაგივრად მეორე ტაიმში მინდორზე ანდრე-პიერ ჟინიაკი შეეშვა.

მალე ანელკა ნაკრებიდან საერთოდ მოკვეთეს. ამ შემთხვევაში დომენეკის პოზიცია თავად საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამაც გაიზიარა. „შეურაცხყოფა, რომელიც ანელკამ მთავარ მწვრთნელს მიაყენა, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციისთვის აბსოლუტურად მიუღებელია, — ნათქვამია, სამფეროვანთა მმართველი ორგანიზაციის პრესრელიზში, — ფეხბურთელებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ახალგაზრდობისთვის მაგალითს წარმოადგენენ და შესაბამისად თავშეკავებისა და ღირსების გამოვლენა მართებთ“.

დომენეკის თქმით, მან გუნდიდან ანელკას მოკვეთა იმიტომ გადაწყვიტა, რომ ამ უკანასკნელმა მის წინაშე ბოდიშის მოხდა არ ისურვა: „მას მხოლოდ იმაში ვდებ ბრალს, რომ მეორე დღეს საჯაროდ ბოდიშის მოხდაზე უარი განაცხადა, თუმცა ამის შესაძლებლობა ნამდვილად ჰქონდა. ვერც კი წარმოიდგენთ, თუ როგორი ზეწოლაა ჩვენს გუნდზე. როდესაც მწვრთნელი ფეხბურთელს რაიმე სახის შენიშვნას აძლევს, მოთამაშემ შეიძლება, თავი დაკარგოს და შეურაცხმყოფელი სიტყვებით უპასუხოს — რასაც ჰქონდა კიდეც ადგილი. ამ ინციდენტს ასეთი გამოხმაურება იმიტომ მოჰყვა, რომ მასზე ბევრი დაიწერა პრესაში. მაგრამ ამჯერად პრობლემა გადაწყვეტილია — ანელკა გუნდიდანაა გარიცხული“.

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მასმედიის წარმომადგენლებს არც გუნდის მოთამაშეების მიერ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობისადმი მიწერილი ღია წერილი დაუმალა, რომელიც შემდეგი შინაარსისაა: „ამ წერილში ჩვენ, — საფრანგეთის ნაკრების თითოეულ ფეხბურთელს, — საკუთარი უკმაყოფილების გამოხატვა გვსურს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილების გამო, რომელიც გუნდიდან ნიკოლას ანელკას მოკვეთაში მდგომარეობს. ვწუხვართ, რომ ასეთი რამ მოხდა, მაგრამ ჩვენი გუნდის თხოვნით, ანელკა ვითარების განმუხტვას ცდილობდა, თუმცა მისი მცდელობა იგნორირებული იყო. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ პრესაში გამოქვეყნებული ცნობის საფუძველზე ფეხბურთელებთან შეუთანხმებლად მიიღო გადაწყვეტილება. ისიც კარგად გვესმის, რომ დიდი პასუხისმგებლობა გვეკისრება, რადგან ჩვენი ეროვნული ნაკრების ღირსებას ვიცავთ და ფრანგი ქომაგებისა და ბავშვებისთვის სამაგალითონი უნდა ვიყოთ. ჩვენი მოვალეობა არ დაგვვიწყებია და ყველაფერს გავაკეთებთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, რათა ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში მაინც მივაღწიოთ სასურველ შედეგს“.

მომხდარს გულგრილი არავინ დაუტოვებია. „მამლაყინწათა“ ბანაკის გარშემო აგორებულ სკანდალს თვით ფრანგული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა, ჟუსტ ფონტენიც გამოეხმაურა. „ყველაფერი, რაც საფრანგეთის გუნდს სჭირს — იდიოტიზმია, რომელიც თანაგრძნობასა და შეცოდებას იმსახურებს. ანელკას კი თავი მინდორზე უნდა გამოეჩინა“, — ამბობს იგი.

„მამლაყინწების“ რიგებიდან ნიკოლა ანელკას დათხოვნა მიუღებლად მიაჩნია ლონდონის „ჩელსის“ მცველ — ჯონ ტერის: „ანელკა სახლში იმიტომ გაამგზავრეს, რომ მან საკუთარი აზრი გამოთქვა. ანალოგიურ სიტუაციაში ალბათ სახლში აღმოჩნდებოდნენ ინგლისელი ფეხბურთელებიც. სიმართლეს გეტყვით: ნიკოლა ძალიან კარგი ბიჭია. ვიდრე ანელკა „ჩელსიში“ გადმოვიდოდა, მასზე ძალიან ბევრ ნეგატიურ სტატიას აქვეყნებდნენ, მაგრამ მე დავრწმუნდი, რომ ფეხბურთში ასეთი კარგი ადამიანი ბევრი არ მოიძებნება. ანელკა მშვიდი ბიჭია, რომელიც თამაშს დიდ დროს უთმობს. მას ჩემთვის რამე რომ ეთქვა, აუცილებლად მოვუსმენდი. იმიტომ, რომ ის დიდი ფეხბურთელია. ანელკას ნაკრებიდან მოკვეთა არასწორი გადაწყვეტილებაა“.

ანელკამ სანაკრებო კარიერის საერთოდ დასრულების შესახებაც გააკეთა განცხადება, თუმცა „მამლაყინწათა“ ბანაკში ამას ვითარება ნამდვილად არ განუმუხტავს. საფრანგეთის ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე მორიგი კონფლიქტი მოხდა. რაიმონ დომენეკს, გუნდის კაპიტან — პატრის ევრასა და ფიზიკური მომზადების მწვრთნელ — რობერტ დიუვერანს შორის მომხდარი ინციდენტის შემდეგ მოთამაშეებმა ვარჯიშზე უარი განაცხადეს.

მოთამაშეთა ასეთ საქციელს უმალვე გამოეხმაურა ფედერაცია: „საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ და მისმა პრეზიდენტმა, ჟან-პიერ ესკალეტიმ საგანგაშოდ აღიქვეს ნაკრების ფეხბურთელთა მიერ ვარჯიშზე უარის თქმა. მივიჩნევთ, რომ ეს დაუშვებელია. ნიკოლა ანელკას გარშემო შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების მიხედვით, გვინდა გიპასუხოთ, რომ გუნდიდან მისი მოკვეთის გადაწყვეტილება მასთან საუბრის შემდეგ მივიღეთ, რომელსაც კაპიტანი პატრის ევრაც ესწრებოდა. ჩვენი გუნდის მოთამაშეთა საქციელის გამო ბოდიშს მოვუხდით საფრანგეთის მოსახლეობას. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საფრანგეთის ნაკრების გამოსვლის დასრულების შემდეგ, სპეციალური შეკრება გაიმართება, რომელზეც აღნიშნული ინციდენტის შესახებ ვიმსჯელებთ“.

სწორედ პატრის ევრასა და საფრანგეთის ნაკრების ფიზიკური მომზადების მწვრთნელ რობერტ დიუვერნს შორის მომხდარი ინციდენტის გამო თანამდებობა დატოვა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მმართველმა მენეჯერმა, ჟან-ლუი ვალენტინმა, რომელიც ამავე დროს „მამლაყინწათა“ გუნდის დირექტორიცაა. „ჩვენს ფეხბურთელებს ვარჯიში არ სურთ, ეს უბრალოდ სირცხვილია. თანამდებობის დატოვებისა და პარიზში დაბრუნების გადაწყვეტილება მივიღე“, — დასძინა მან.

დაბოლოს, აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელებსა და ქომაგებში მეტისმეტად არაპოპულარული დომენეკი, მთავარი მწვრთნელის პოსტს მსოფლიო პირველობის დასრულებისთანავე დატოვებს, ხოლო მის ადგილს სამფეროვანთა გუნდის ყოფილი მოთამაშე და 1998 წლის მუნდიალის გამარჯვებული — ლორან ბლანი დაიკავებს.

■

ექსპონატი ხელოვნების სასახლიდან

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გურიის უკანასკნელი დედოფლის, სოფიო გურიელის საფლავის ამსახველი ფოტოა დაცული. აქვეა ჩანაწერები, რომელთა თანახმად, ზუსტად არის მითითებული ადგილი, სადაც გვირგვინოსანი ქალბატონი განისვენებს. არადა, წლების განმავლობაში მისი საფლავის ადგილსამყოფლის გარშემო რამდენიმე, ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსია ვრცელდებოდა.

სოფიო გურიელის აკლდამა დაკარგული ეგონათ

გიორგი კალანდია, *მუზეუმის დირექტორი:*

— ეს უნიკალური ფოტოა, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის პირველად ხდება ცნობილი. იგი საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ფოტო დიმიტრი ერმაკოვის მიერაა გადაღებული და შეტანილია მის კატალოგში. ფოტო განსაკუთრებულია იმითაც, რომ მასზე გურიის უკანასკნელი დედოფლის სოფიო გურიელის საფლავია გამოსახული. საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი: მინაწერში ზუსტადაა მითითებული აკლდამის მდებარეობის ადგილი, კერძოდ, ქალაქი უნიე. არადა, საფლავი დაკარგული ეგონათ. მეცნიერთა ნაწილი კი მიიჩნევდა, რომ განადგურებული განსასვენებელი, ქალაქ ტრაპიზონთან ახლოს, სოფელ აქჩააბადის ბერძნულ ეკლესიაში უნდა ყოფილიყო.

ამ სტრიქონების ავტორსაც ასე მიაჩნდა, როცა 2006 წელს თურქეთში ტელექსპედიცია მოაწყო და აქჩააბადის ღვთისმშობლის სახელობის ბერძნულ ტაძარს ესტუმრა.

ამდენად ფოტოს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება, მან შემოგვინახა როგორც აკლდამის იერი, ისე ცნობა ადგილმდებარეობის შესახებ.

რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებულმა გურიის დედოფალმა სოფიომ ოსმალეთს შეაფარა თავი. სოფიომ რამდენჯერმე სცადა, საკუთარი სამთავროდან რუსები გაეძევებინა და სამშობლოში დაბრუნებულიყო, მაგრამ უშედეგოდ. ქვრივმა დედოფალმა ვერც ტახტი დაიბრუნა და ვერც გურულებს მისცა შეპირებული თავისუფლება. სამუდამო განსასვენებელიც სამშობლოდან შორს, უნიეს ბერძნულ ეკლესიაში პოვა. ■



ეკა ტუსიაშვილი

„ოლღა ბებიასთან ვიმეგობრებდი“...

ამბობს, რომ ყველაზე აქტიური მკითხველი სტუდენტობისას იყო. ახლა წიგნისთვის დრო ნაკლებად რჩება. წაკითხულ ნაწარმოებებს ხელმეორედ არასდროს უბრუნდება. ყველაზე მეტად პიესები იზიდავს, ავტორებიდან — შექსპირი, ნოდარ დუმბაძე და გალაკტიონი; მიაჩნია, რომ მათ გამორჩეული ხელწერა აქვთ. წიგნი არასდროს მოუპარავს, არ უყვარს, როცა მას ამ ნივთს სთხოვენ; ამრიგად, „ერუდიტის“ სტუმარია მსახიობი — გიორგი კალანდაძე.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— გიორგი, როგორი მეხსიერება გაქვს?

— ვერ ვიტყვი, რომ კარგი მეხსიერებით გამოვირჩევი. ეს ალბათ ჩვენს ინტერვიუში გამოჩნდება. ვნახოთ, კითხვარს თავს როგორ გავართმევ.

— პროფესიით მსახიობი ხარ. ყველაზე მეტად რომელი პერსონაჟის განსახიერების სურვილი გაქვს?

— მართალია, ლიტერატურული პერსონაჟი არ არის, მაგრამ ძალიან მინდა, ადოლფ ჰიტლერის როლი ვითამაშო. შექსპირის იაგოსაც სიამოვნებით განვასახიერებდი, საინტერესო პერსონაჟია. ოტელო რომ ვთქვა, შეიძლება, თავხედობა გამომივიდეს. რამდენად შევძლებ, ეგ სცენაზე გაირკვევა.

— რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდი?

— ნოდარ დუმბაძის ოლღა ბებიასთან და ზურიკელასთან. ოლღა ძალიან ძლიერი პერსონაჟია.

— რით გხიბლავს?

— იუმორით, ცხოვრებისეული სიბრძნით, გულკეთილობით. ეს ცოტაა?

— დღეს ცხოვრებაში ასეთი პიროვნებები ხშირად გხვდებიან?

— ნაკლებად. ისე, მართლა მყავს ოლღას მსგავსი ბებია. მათ შორის ბევრ საერთოს ვპოულობ. ოღონდ ჩემი ბებია თბილისელია.

— გიორგი, ზაფხულში დასასვენებლად წასვლას სად აპირებ?

— სად წავალ, ზუსტად არ ვიცი. ალბათ მე და ნათია თურქეთში წავალთ. საქართველოში დასვენება არ მინდა.

— 1972 წელს ერთმა ახალგაზრდამ ჯონ ლენონს წერილი მისწერა, რომ იგი დედამიწის გარშემო მოგზაურობაზე ოცნებობდა, მაგრამ ფული არ ჰქონდა და სთხოვდა, მისთვის საჭირო თანხა გამოეგზავნა. „დაინტერესდი მედიტაციით და შენს წარმოდგენაში შეძლებ, ნახო მთელი მსოფლიო“, — ასეთი იყო ლენონის გაგზავნილი წერილის შინაარსი. მოგვიანებით ამ პიროვნებამ ოცნება მაინც აისრულა. როგორ იშოვა მან ფული?

— არ ვიცი, მედიტაციამ გაიტაცა?

— მან ლენონის გამოგზავნილი წერილი გაყიდა.

— ა! რა მაგარი კითხვა იყო, უნდა მივმხვდარიყავი.

— მსოფლიოს გარშემო მოგზაურობაზე შენც ხომ არ ოცნებობ?

— მაგაზე ვინ არ ოცნებობს...

— წერილი ხომ არავისთვის მიგიწერია?

— არა (*იცინის*), ისე აზია უფრო მიზიდავს. ევროპას თავისი ხიბლი და სილამაზე აქვს, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა ნახო, მაგრამ იაპონია, ჩინეთი, ინდოეთი უფრო მიზიდავს. 7 წლის წინ ავსტრიაში ვცხოვრობდი, მე და ჩემი და ნათლიასთან დასასვენებლად წავედით, მერე იქ ყოფნის პერიოდი 1 წელი გაგვიგრძელდა. ვენაში ვცხოვრობდით. კონსერვატული, წყნარი, მშვიდი ქალაქია. მუსიკის სამშობლოა.

— კარგი, მუსიკა ახსენე და შემდეგი კითხვაც ერთ-ერთი მუსიკოსის ბიოგრაფიიდან არის. იოჰან სებასტიან ბახს, როგორც კომპოზიტორს, მსოფლიო იცნობს. ის არა მხოლოდ ქმნიდა მუსიკას, კარგი შემსრულებელიც იყო, მაგრამ არანაკლებ განთქმული იყო სხვა სფეროში. ამ გატაცების შესახებ წიგნიც კი შექმნა, რომელმაც დახმარება გაუწია ბევრ რომანისტს და დრამატურგს თავისი გმირების ასეთივე გატაცების აღწერაში. რით იყო ბახი გატაცებული?

— (*ფიქრობ*) არ ვიცი.

— ბანქოს თამაშით.

— ეგ ვიფიქრე და არ ვთქვი. ბანალურად მომეჩვენა.

— აზარტული ადამიანი ხარ?

— არა, ბანქოს თამაში საოცრად არ მიყვარს.

— ამ ადამიანს კი ბანქოს სიყვარულმა ისეთი რამ გამოაგონებინა, რომლის ჭამის დროსაც შეეძლო, ბანქოც ეთამაშა და ხელიც არ დასვროდა. დაასახელე მისი გვარი.

— ე.ი. შეიძლება, ეს რაღაც ბანქოს თამაშის დროს მიირთვა (*ფიქრობს*), ვერ გიპასუხებ.

— სენდვიჩი. რომელ ენაზე წერდა და კითხულობდა ჩინგიზ-ყაენი?

— ალბათ ჩინურზე, არა?

— მან წერა-კითხვა საერთოდ არ იცოდა. მითოლოგიაში ერკვევი?

— მგონი, კი.

— ერთმა ნიმფამ არ მოინდომა ცოლად გაჰყოლოდა პოეზიისა და ხელოვნების ღმერთს და მისგან გაქცეული ხედ გადაიქცა. რა ხე იყო ის?

— დაფნა. დაფნის გვირგვინით თავდაპირველად მუსიკალურ და პოეტურ, შემდეგ სპორტულ ასპარეზობაში გამარჯვებულებს აჯილდოებდნენ.

— **რა არის რიფი?**

— წყალქვეშა კლდე.

— **რომელ მეფეზე წერდა ლეონტი მროველი: „მან განავრცო ენა ქართული და შექმნა მწიგნობრობაი ქართული?“**

— ფარნავაზზე.

— **FBI აშშ-ის უშიშროებას უზრუნველყოფს. როგორ იშიფრება ქართულად?**

— ზუსტად არ მახსოვს.

— **გამოძიების ფედერალური ბიურო. ფილმი „შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო“ ნანახი გაქვს?**

— რა თქმა უნდა, შემიძლია, შინაარსიც მოგიყვე.

— **არა, ეს საჭირო არ არის. მისი რეჟისორი დაასახელე.**

— სტენლი კრამერი.

— **რომელ კონტინენტზე ბინადრობენ ზებრები?**

— აფრიკაში.

— **ქართული ანდაზის მიხედვით, როგორი მეგობარია მტერზე უარესი?**

— არ ვიცი.

— **სულელი.**

— მე ასეთი მეგობრები არ მყავს...

— **რომელ წელს ეკურთხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია II?**

— გასული საუკუნის 70-იან წლებში. ზუსტი თარიღი არ მახსოვს.

— **1977 წელს. რომელ ქვეყანაში მდებარეობს ფერედიანი?**

— ირანში.

— **რომელმა დინასტიამ შეცვალა ვალუათა დინასტია საფრანგეთში?**

— ბურბონებმა, არა?

— **დიახ. რომელ მხარეს უწოდებენ მაშრიყს?**

— კითხვა ვერ გავიგე.

— **აღმოსავლეთს, დასავლეთს, ჩრდილოეთს თუ სამხრეთს?**

— არ ვიცი.

— **აღმოსავლეთს. რა ჰქვია ჯარისკაცების საცხოვრებელ შენობას?**

— ყაზარმა.

— **რამდენი შვილი ჰყავდათ ზაქარია ფალიაშვილის მშობლებს?**

— ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ ბევრი ჰყავდათ.

— **18. მითხარი, რომ ნოდარ დუმბაძე შენი საყვარელი ავტორია. გაიხსენე, რა ერქვა საზიარო ძროხას „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“?**

— (*იცინის*) ვერ ვიხსენებ.

— **ფაქიზო. ილიკოს როლს რომელი მსახიობი ასრულებს?**

— სანდრო ჟორჟოლიანი.

— **რომელი მდინარე კვეთს ეკვატორს 2-ჯერ?**

— ნილოსი, არა?

— **სწორი პასუხია — კონგო. რამდენლარიან კუპიურაზეა გამოსახული თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი?**

— ორლარიანზე.

— **ვინ თამაშობს პრინცესას როლს ფილმში — „რომაული არდადეგები?“**

— ოდრი ჰეპბერნი.

— **პორტუგალია, გერმანია, საფრანგეთი — რომელი ქვეყანა არ არის ესპანეთის მეზობელი?**

— გერმანია.

— **100000000-1. რამდენ 9-იანს მივიღებთ სხვაობის ჩანაწერში?**

— (*ანგარიშობს*) 8 ცხრიანი ჩაიწერება.

— **რა ჰქვია ბგერათა აღმავალ ან დაღმავალ თანამიმდევრობას ერთი ან რამდენიმე ოქტავის ფარგლებში?**

— გამა.

— **როგორ სჯიდნენ ათენელები არასამართლიან მმართველს?**

— არ ვიცი.

— **10 წლით ქალაქიდან აძევებდნენ. ტრადიციისამებრ, პაპის არჩევის ნიშნად, რა ნიშანს იძლევიან საკვამურიდან ტაძარში შეკეტილი კარდინალები?**

— საკვამურიდან თეთრ ბოლს ამოუშვებენ.

— **თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი — რობერტო ბაჯო მთელი სიცოცხლე 9 ნომრით თამაშობდა. როდესაც „ინტერში“ გადავიდა, იქ 9 ნომრით მოთამაშე რონალდო დახვდა, ბაჯოს მოედანზე მე-18 ნომრით გამოსვლამ მოუწია, მაგრამ საფეხბურთო ფორმაში ისეთი ცვლილება შეიტანა, რომლითაც დაამტკიცა თავისი ერთგულება ციფრი 9-ის მიმართ. რა გააკეთა მან?**

— (*ფიქრობს*) ეს ამბავი გამიგია, ზუსტად ვერ ვიხსენებ.

— **1-სა და 8-ს შორის ჩაწერა... „ვინც ბევრს გპირდება, იმას ნაკლებად უნდა მიენდო“. — ვინ არის ამ ცნობილი გამონათქვამის ავტორი?**

— არ ვიცი.

— **ჰორაციუსი. რომელი ქვეყნიდან იყო წარმოშობით ჩარლი ჩაპლინი?**

— ინგლისიდან.

— **საქართველოს რომელ მხარეს ეწოდებოდა ძველად თაკვერი?**

— მგონი, რაჭა-ლეჩხუმს, არა?

— **დიახ. საჰარის უდაბნოზე ამბობენ — „აქ უფრო მეტი ადამიანია წყლით დამხრჩვალი, ვიდრე წყურვილით დაღუპული“. მართალია?**

— არ ვიცი.

— **მართალია. უდაბნოში წვიმა თუ მოვიდა, დიდი რაოდენობით ნალექი მოდის. რომელი ცხოველი ზრუნავს თავის ნაშიერზე ყველაზე დიდხანს — დათვი, კატა, ძაღლი თუ სპილო?**

— დათვი.

— **ცდები, სპილო დედასთან თითქმის 10 წელიწადს რჩება. რა ერქვა მეფის მიერ ბოძებულ საბუთს ძველ საქართველოში?**

— სიგელი.

— **დაბოლოს დაასრულე კონფუცის ცნობილი გამონათქვამი — „შეგნებული გქონდეს მოვალეობა და არ შეასრულო — ეს...**

— ეს გამონათქვამი ზეპირად არ მახსოვს.

— **„...— ეს ლაჩრობაა“.**

■

ძალიან მინდა, ადოლფ ჰიტლერის როლი ვითამაშო

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რომელი ქალაქიდან იყვნენ შარლ აზნავურის მშობლები?

2. დაასახელეთ მწერი, რომელთა საერთო მასა დედამიწაზე ადამიანთა საერთო მასას აღემატება.

3. რა არის „ფართინგი?“

4. ყველა ზარი ადრე თუ გვიან, იბზარება. რა გზით ხდება მისი რესტავრაცია?

5. იაპონელი მწერლის, ხარუკი მურაკამის ნაწარმოების ერთი პერსონაჟი, რომელიც პირველად მეგობარს სახლში ეწვია, ღიმილით ამბობს, შენს სახლამდე გზის მოგნება რამდენიმე კოლოფი სიგარეტი დამიჯდაო. რატომ?

6. დაასრულეთ მიხაილ ჟვანეცკის ხუმრობა: „საბაკა ბასკერვილიი ეტა ვიპლივში...“

7. რა არის „ნავლი“?

8. რა არის „დაიმი“?

9. დაასრულეთ ზბიგნევ ხოლოდიუკის სიტყვები: „ისე არაფერი აშორებს ერთმანეთისგან ადამიანებს, როგორც საერთო ...“

10. ვისი შეძახილია „ხაბარდა!“ და რას ნიშნავს ეს სიტყვა?

11. ევრინომოსი ხრწნისა და ლპობის დემონი იყო ძველბერძნულ მითოლოგიაში. რით იკვებებოდა იგი?

12. კლინტ ისთვუდი 5 ოსკარისა და 90 საერთაშორისო ჯილდოს მფლობელია. დაასახელეთ ორად ორი ჟანრი, რომელშიც ამ მსახიობს იღებდნენ.

* * *

ახალგაზრდა ქალი ტირილით მივიდა დედასთან.

— რა მოხდა?

— ქმარმა მცემააა!..

— ქმარმა? შენი ქმარი ხომ გუშინ მივლინებაში წავიდა!

— მეც მასე მეგონააა!..

* * *

სიძე ეხვეწება სიდედრს:

— ნაბანები ნუ გახვალთ აივანზე, გალაკტიონოვნა, თორემ როგორც ყოველთვის, გაცივდებით და როგორც ყოველთვის, არ მოკვდებით!

* * *

— რატომ ხარ დაღონებული, ვლადიმიროვიჩ?

— აპა, რა დამემართება, სოფლიდან სიდედრი ჩამომივიდა და ცოლმა მითხრა, გაასეირნე სადმე, ქალაქი დაათვალიერებინეო. მეც ავდექი და ზოოპარკში წავიყვანე.

— მერე?

— არაფრით დაიტოვეს!..

* * *

სიდედრმა სიძეს სოკო შეუწვა. სიძემ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და პირველი ლუკმა კატას აჭამა. რამდენიმე წუთში კატამ ფეხები გაფშიკა. გაბრაზებულმა სიძემ სიდედრი მეათე სართულიდან გადააგდო. გახარებული კატა ფეხზე წამოხტა და შესძახა:

— „იეს“!

* * *

ქვრივი ქალი მეორედ გათხოვდა. დილით ქმარს სადილი გაუმზადა, მაგრამ ქმარმა პირი არაფერს დააკარა:

— ჩვენს ოჯახში ასეთი წესია, სანამ სექსი არ გვექნება, საუზმეს არ გავეკარები.

ქალი დათანხმდა. მოვიდა სადილის დრო. ქმარი ეუბნება:

— ჯერ სექსი, მერე სადილი, ჩემს ოჯახში ასეა მიღებული!

ვახშამზეც ისევ ოჯახური წესი გაიხსენეს და ასე ერთი თვე გაგრძელდა. ერთი თვის შემდეგ ქალი მეგობრებმა მოინახულეს.

— როგორ შეეწყვე მეუღლეს?!

— ცხონებული ოთარისნაირი განათლებული არ არის, მაგრამ ისეთი კარგი ოჯახის შვილია...

* * *

— რა განსხვავებაა ქმარსა და შვილს შორის?

— შვილი შეგიძლია, ძიძასთან მარტო დატოვო, ქმარი კი — არა!

* * *

ქალი პოლიციაში მივიდა, ქმარი დავკარგეო.

— შენი ქმარი როგორ გამოიყურება?

— სულ მთვრალია!

— მაგას არ გეკითხებით. „შრამი“ ან „სინიაკი“ ხომ არ აქვს სახეზე.

— არა, მაგრამ ორივეს გავუნაღდებ, თუ მოეთრა სახლში ცოცხალი.

* * *

— რატომ მიიღე მათემატიკაში ორიანი? — კახელი შვილს უყვირის.

— მასწავლებელმა მკითხა, ორჯერ ორი რამდენიაო და ვუთხარი, — ოთხი-მეთქი.

— მერე?

— მერე მკითხა, ორს მივუმატოთ ორი რამდენიაო?

— მერე ეგ ერთი ყ... არაა, შე შობელძაღლო, შენა?

— ჰოდა, მეც ეგრე ვუთხარი და ენდე, ხელში გიჭირამს ჩემი დღიური...

* * *

ველურებმა ცოლ-ქმარი ჩაიგდეს ხელში.

— ქალი შევჭამოთ და კაცი გავაუპატიუროთ! — ერთმანეთში ლაპარაკობენ.

— ეგ სადაური წესია?! — გადაირია ცოლი.

— სადაური წესია და აქაური წესია! — გაუხარდა ქმარს.

* * *

დევიდ კოპერფილდი კახეთში ჩავიდა. ძალიან უნდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობაზე შთაბეჭდილება მოახდინოს. ფეხები გაიქრო, მიხოსთან მივიდა და სიგარეტი სთხოვა. მიხომ სიგარეტი ისე მიაწოდა, წარბიც არ შეუხრია. კოპერფილდმა ხელებიც გაიქრო და მიხოსთან სიგარეტის სათხოვნელად ისევ მივიდა. კვლავ — არავითარი რეაქცია. ცოტა ხანში მხოლოდ კოპერფილდის თავი ეახლა მიხოს და კვლავ სიგარეტი სთხოვა. მიხომ მშვიდად ამოიღო კოლოფი ჯიბიდან:

— ჯო, განა მენანება სიგარეტი, მარა ხო ხედამ, გწყენს და მოეშვი, თუ კაცი ხარ...

* * *

— მამი, რა გესიზმრა წუხელ? — ეკითხება მამას პატარა მიხო.

— შენთვის მაგის მოყოლა 16 წლამდე არ შეიძლება...

* * *

კახელებმა ბურვაკი წამოაქციეს, ღვინო ჩამოასხეს და ქეიფი გახურდა.

— მოდი, ჯანზე ყოფნისა ვთქვათ.

— მოიცა, კაცო, ეს ბურვაკი რა, ჯანზე არ იყო?! მოდი, იღბალს გაუმარჯოს!

* * *

მიხო ხუთი გოგოს მამაა. ერთხელ, თავის მეზობელ მიტოს, სამი ბიჭის მამას ეუბნება:

— იქნებ მასწავლო, ბიჭებს როგო აკეთებ?!.

— როგო და ასე: თებრო კარგა აბანავე, ლამაზი ღამის პერანგი ჩააცვი, კარგი სუნამო დაასხი, ფუმფულა ლოგინში ჩააწვინე და... დამიძახეეე!..

* * *

მიხო მიტოს უყვება:

— გუშინ ზაქრუას სახლი დაეწვა. თავიდან ვიფიქრე, რა ჩემი საქმეა-მეთქი, მაგრამ გულის სიღმეში მაინც მესიამოვნა.

* * *

სვანმა ხეზე ქალი მიაბა და მხრები აიჩეჩა:

— ნეტავ, რატომ მითხრეს, ცხოვრებაში ქალს ვერ დააბამო?!



* * *

ცოლი სამსახურიდან დაბრუნდა, სავარძელში ჩაჯდა და ქმარს, რომელიც იმ დროს იატაკს ხეხავს, ეუბნება:

— დღეს უფროსმა გამომიცხადა, შენი გულისთვის მზად ვარ, ოჯახი დავანგრიოო. რა თქმა უნდა, ხუმრობს.

— იქნებ არ ხუმრობს? — საცოდავად ამოხედა ქმარმა.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ფრანგი მომღერლის მშობლები ერევნიდან იყვნენ.
2. ჭიანჭველა.
3. ყველაზე წვრილი ფული ინგლისში. პენის (პენსის) ერთი მეოთხედი.
4. გაბზარული ზარის შედუღება შეუძლებელია. იგი თავიდან უნდა ჩამოისხას.
5. ტაქტიანი იაპონელი სიგარეტს ზრდილობის გამო ყიდულობდა იმ კიოსკებში, სადაც გამყიდველებს გზის სწავლებას სთხოვდა.
6. „... მუმუ“.
7. „ფერფლი“ და „ნავლი“ სინონიმებია.
8. ასე ეძახიან ათცენტიან მონეტას შეერთებულ შტატებში.
9. „... საცხოვრებელი ფართობი“.
10. „ხაბარდა!“ მეეტლეების შეძახილია, „გზიდან გადადექის“ ნიშნავს.
11. მიცვალებულთა გვამებით. ხორცს ჭამდა, ძვლებს კი უკან ყრიდა. ძველი ბერძნები მას ბუზის სახით გამოსახავდნენ.
12. ვესტერნი და დეტექტივი.

ჩვენი ფოტო მაღლიერია

ჰოროსკოპი

24-30 ივნისი

ვეძერა

დასახული მიზნის მისაღწევად თამამად იმოქმედეთ. გახსოვდეთ, რომ ყველაფერი გამოგივათ და წარმატებას მიაღწევთ. ეს სამსახურსაც ეხება და პირად ცხოვრებასაც.

კუზრი

მოსაგვარებელი გექნებათ უამრავი საქმე. შესაძლოა, თანამშრომლის შეცვლამაც მოგიწიოთ. სახლში საოჯახო საქმეები, მშობლებისა და შვილების პრობლემები თქვენი მოსაგვარებელი გახდება.

ტყუპი

რომანტიკულმა ურთიერთობამ შესაძლოა, ისე გაგიტაცოთ, რომ დაქორწინებაც კი გადაწყვიტოთ. ყურადღება მიაქცეთ ჯანმრთელობას. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური გამოკვლევა.

კიბიზხიტი

პრობლემების მიუხედავად, ნუ ჩაიკეტებით. იმ ადამიანებს შეხვდით, რომელთა ნახვაც სიამოვნებას განიჭებთ. მათი ხელშეწყობით შესაძლოა, საკუთარი ბიზნესიც წამოიწყოთ.

ლომი

ახალი იდეებისა და პროექტების განხორციელების დროა. დაიხმარეთ თანამოაზრეები და საქმეს შეუდექით. შვილებს დაუმეგობრდით. საოჯახო წვეულება მოაწყვეთ.

ქალწუდი

გულის კარნახით იმოქმედეთ. ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინეთ იმ ადამიანის მიმართ, რომელიც მოგწონთ. შესაძლოა, ფლირტი უფრო სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზარდოს.

სასწორი

კვირა საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ. დასვენების დღეებში მეგობრებს შეხვდით. შესაძლოა, პრობლემები ელექტროხელსაწყოებთან შეგექმნათ.

ღრეჩილი

ახლობლების მიმართ მეტი ყურადღება და გულისხმიერება გამოიჩინეთ. საყვარელ ადამიანს რომანტიკული შეხვედრები მოუწყვეთ. გაანებივრეთ საჩუქრებით.

ღუმიდღიანსაფლი

დამატებითი შემოსავლების საკუთარი სიამოვნებისთვის დახარჯეთ. მეგობართან ერთად დილაობით ივარჯიშეთ. დასვენების დღეებში საჭეს ნასვამი ნუ მიუჯდებით.

ოხრა ჩუკა

ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეებს. ხელშეკრულებების გაფორმებისას, საკუთარი უყურადღებობის გამო, შეიძლება, წაგებული აღმოჩნდეთ. საიდუმლოს მეგობარს ნუ გაანდობთ.

ღეჩწუდი

საქმეების მოსაგვარებლად დიპლომატია გამოიჩინეთ. ნუ გახდებით საკუთარი თავის მსხვერპლი და ნუ გააბამთ რომანს თანამშრომელთან.

ოდეზეტი

გარშემო მყოფთა ჭორებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე. ნუ მიეძალებით ალკოჰოლს. კვირის ბოლოს პირად ცხოვრებაში ბედნიერებას მიაღწევთ.

რიცხვები განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას

1 — ამბიციური ადამიანი იბადება. ქორწინებაში იშვიათად უმართლებს, რადგან მთელ დროსა და ენერგიას კარიერას უთმობს.

2 — ქორწინებაში სულიერ მეგობარს ეძებს, რომელსაც მთელი სიცოცხლე უერთგულებს.

3 -— ცდილობს, საუკეთესო იყოს. მებრძოლია, მიზნის მისაღწევად მსხვერპლს გაიღებს.

4 — ფიცხი და იმპულსურია. საყვარელი ადამიანისგან მზრუნველობასა და ყურადღებას მოითხოვს.

5 — მდიდარ პარტნიორს ეძებს, რომელიც ყველა სურვილს აუსრულებს.

6 — პარტნიორს გააღმერთებს. მისი გულის დასაპყრობად მსხვერპლს გაიღებს.

7 — საუკეთესოა სასიყვარულო პარტნიორის ძიებაში, რამდენჯერმე ქორწინდება. თუ მეუღლე მის ღალატს ყურადღებას არ მიაქცევს, შესაძლოა, ოჯახი შეინარჩუნოს.

8 — მიზანსწრაფული პიროვნებაა. მისი გულის დაპყრობა რთულია, რადგან არავის ენდობა.

9 — კარიერასა და სიყვარულში გაუმართლებს, თუ ბიზნესპარტნიორად მეუღლეს გაიხდის.

10 — ლიდერია. კოლეგებისა და სასიყვარულო პარტნიორების დამორჩილება შეუძლია.

11 — საკუთარ გრძნობებში გარკვევა უჭირს, რის გამოც, ხშირად მარტო რჩება.

12 — მის გულს მზრუნველობითა და ტკბილი სიტყვით დაიპყრობთ.

13 — ბედნიერებას მატერიალურად და ფიზიკურად ძლიერ პიროვნებასთან მოიპოვებს.

14 — მომხიბვლელია და გარშემო მყოფთა ყურადღებას ადვილად იპყრობს, მაგრამ თავად, პარტნიორს გამოცდებს უწყობს.

15 — რომანტიკოსია. ბედნიერებას იმ ადამიანთან მოიპოვებს, რომელიც ოცნების კოშკებს არ დაუნგრევს.

16 — ემოციურია. წარმატებას გავლენიანი მეგობრების დახმარებით მიაღწევს.

17 — იდეალური პარტნიორის ძიებაში, შეიძლება, რამდენჯერმე დაქორწინდეს.

18 — უკონფლიქტო და გულისხმიერია. სხვის დასახმარებლად ყოველთვის მზადაა.

19 — ეგოისტია. მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს. შეუძლია, ადამიანი გამოიყენოს და მიატოვოს.

20 — გარეგნობაზე მეტად, პარტნიორის სულიერ მხარეს აქცევს ყურადღებას.

21 — გარეგნულად და სულიერადაც მშვენიერი პარტნიორები ჰყავს.

22 — თუ შეიყვარა, მთელი სიცოცხლე უერთგულებს. მზრუნველი პარტნიორი ესაჭიროება.

23 — ენერგიული და მომთხოვნია. მის გვერდით ბედნიერი იქნება ის, ვინც უსიტყვოდ დაემორჩილება.

24 — შეყვარებულის გაიდეალება სჩვევია. მისი გულის დასაპყრობად, სიგიჟეს ჩაიდენს.

25 — ფინანსური კეთილდღეობისთვის იბრძვის. შეყვარებულსაც ფინანსური მდგომარეობით ირჩევს.

26 — გარშემო მყოფებს პატივისცემითა და ყურადღებით ეპყრობა. იმავეს მოითხოვს სხვებისგანაც.

27 — არაორდინარული, საინტერესო პიროვნებაა. უყვარს ენერგიულ და ამყოლ ადამიანებთან ურთიერთობა.

28 — გაწონასწორებული, მზრუნველი და ნიჭიერი პიროვნებაა. რჩეულს გააბედნიერებს.

29 — თუ მორცხვობა დასძლია და თვითგამოხატვის საშუალება მიეცა, მწვერვალებს დაიპყრობს.

30 — საწადელს შრომით, ბედნიერებას კი მშვიდი, მეოჯახე ადამიანის გვერდით მიაღწევს.

31 — მძიმე ხასიათი აქვს. ყველა მის მოთხოვნას უნდა დაემორჩილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტს ვერ აიცილებთ. ■



1. ამერიკის შტატი
2. იაპონური ავტომობილი
3. ნაწილაკი — აღნიშნავს დასტურს
4. მღვდლის სამოსი
5. ფეხის თბილი სამოსი
6. რაიმე ადგილის საერთო ზედა
7. ტერორისტი თვითმკვლელი
8. უბანი თბილისში
9. შენობის შესასვლელის დასახური
10. ამერიკული, უგზოობის აუტომობილი
11. რძის ნაწარმი
12. ფასიანი ქაღალდი
13. თაქთაქიშვილის ოპერა
14. ქვეყანა აფრიკაში
15. მარცვლეულის ნათესი
16. უვარგისი ნარჩენები
17. ჰანგი, მელოდია
18. მწნილი
19. ფეხბურთელის ფეხსაცმელი
20. სპირტიანი სასმელი
21. ბოქლომი
22. ქართველი მომღერალი ქალი
23. ნაოსნობა
24. ცხენის ნაშიერი
25. ტიბეტური ხარი
26. ხორცის ნაწარმი
27. „პორშეს“ მოდელი
28. კითხვითი ნაცვალსახელი
29. შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი
30. დაბა სვანეთში
31. ყვავილი
32. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში
33. პირის ნაცვალსახელი
34. პარკოსანი კულტურა
35. სახოტბო შეძახილი
36. მარცვლეული კულტურა
37. შოტლანდიელ მამაკაცთა სამოსი
38. კავკასიელ მთიელთა სოფელი
39. აზერბაიჯანის დედაქალაქი
40. საზეიმო მისალმება ზალპით
41. ეთიოპიის ძვ. სახელწოდება

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. ქარიშხალი; 2. რენეტი; 3. შასი; 4. ხაწიწი; 5. ფლორენცია; 6. თანასწორი; 7. წონა; 8. კოლუმბია; 9. ურმული; 10. კუკარაჩა; 11. ბილ; 12. ბაგა; 13. კუ; 14. რაჭა; 15. ბოგოტა; 16. კობალტი; 17. კავკასია; 18. ტრადიცია; 19. ტრაქეა; 20. წურწუმია; 21. საია; 22. წრუწუნა; 23. ილინოისი; 24. ჰამამი; 25. მაროკო; 26. ანგარება; 27. თალგამი; 28. წიქარა; 29. საabი; 30. საუნჯე; 31. სეტერი; 32. ოკრიბა; 33. პერიფერია; 34. ინვალდი; 35. საბა; 36. რუ.

სურათებზე: 1. ქეთი მელუა; 2. სტინგი.

საფიერმო კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. ჯარის საუკეთესო, რჩეული ნაწილი; **ზ**. მეომრის რკინის ქუდი; **ა**. წერილობითი ძეგლებისა და ისტორიული საბუთების საცავი; **ვ**. ქალის პირბადე; **ი**. მდინარე, რომელშიც მოინათლა იესო ქრისტე; **ს*** ჩეხი კომპოზიტორი; **თ*** ივნისის თვის ძველი ქართული სახელწოდება; **ვ*** ბალტიისპირელი მომღერალი ქალი, ლაიმა ...; **ი*** ჰოლივუდის მსახიობი მამაკაცი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ბინძური ჰარი“; **ს*** შეჯიბრების დაწყების მომენტი; **ა*** რა ერქვა ყაჩაღს, რომელიც გიორგი კუჭატნელს შემოაკვდა; **ო*** ნიშნის მოგების გამომხატველი შორისდებული, რომელიც იხმარება პირის ნაცვალსახელთან ერთად (ხმარობდა ლუარსაბ თათქარიძე); **დ*** მცენარე, რომლისგან დაწნული გვირგვინითაც ძველ რომსა და საბერძნეთში გამარჯვებულს უმკობდნენ თავს; **ა*** ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის ძალით მიერთება, დაპყრობა; **მ*** ქალაქი იტალიაში; **კ*** ბრიტი, ვინი, ჩიკო, ჰარი, ლი, ორეული — ვინ აკლია? **ი*** შამილის ტიტული; **თ*** ხელსაწყო, რომლითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ამოწმებენ; **ხ*** რქიანი საქონლის ზოგადი სახელწოდება დასავლეთ საქართველოში; **ვ*** იტალიელი კომპოზიტორი; **ე*** საზოგადოების რჩეული ნაწილი; **ლ*** ალექსანდრე მაკედონელის კარის მხატვარი და მოქანდაკე; **ი*** უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **ს*** ინგლისელი მწერალი, „რობ როისა“ და „აივენჰოს“ ავტორი; **თ*** მხატვრული ფილმი იპოლიტე ხვიჩიასა და მედეა ჩახავას მონაწილეობით; **ვ*** რა ხელობის კაცი გახლდათ „ქეთო და კოტეს“ პერსონაჟი, ქეთოს მამა, მაკარი? **ი*** უნგრული საავტომობილო ფირმა, რომელიც ავტობუსებით ამარაგებდა საბჭოთა კავშირს; **ს*** ინგლისის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მეკარე; **ა*** ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა; **ო*** ხის, ქვის ბოძებზე დადგმული ფიცრული სახლი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ჟ. ჟამი; **უ**. ურჩხული; **რ**. რიხარდი; **ნ*** ნიანგი; **ა*** აკვანი; **ლ*** ლიახვი; **ი*** იანძი; **გ*** გლაზგო; **ზ*** ზიკო; **ა*** არარატი; **ს*** სატურნი; **ა*** აზატი; **უ*** ურთხელი; **კ*** კრატერი; **ე*** ენგური; **თ*** თავადი; **ე*** ეუსებიო; **ს*** სევანი; **ო*** ოფელია; **ა*** აბრაგი; **რ*** რადა; **ჩ*** ჩხა; **ე*** ეკიპაჟი; **ვ*** ვაჭარი; **ა*** ამერიკა; **ნ*** ნირვანა; **ი*** იასონი; **ა*** აკორდი.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

4	5	9	2	6	7	3	1	8
6	3	8	9	1	4	5	2	7
2	7	1	8	3	5	6	4	9
7	8	4	6	5	1	9	3	2
1	2	3	4	7	9	8	5	6
5	9	6	3	8	2	1	7	4
3	1	2	7	9	8	4	6	5
9	6	7	5	4	3	2	8	1
8	4	5	1	2	6	7	9	3

1	4	3	9	8	5	2	7	6
9	2	8	7	6	1	4	5	3
7	5	6	2	4	3	9	8	1
6	1	9	8	5	4	3	2	7
8	3	5	1	7	2	6	9	4
4	7	2	6	3	9	8	1	5
2	9	4	3	1	7	5	6	8
5	6	7	4	2	8	1	3	9
3	8	1	5	9	6	7	4	2

5	3	6	1	2	4	9	7	8
1	7	9	8	5	6	2	3	4
8	2	4	3	9	7	6	1	5
3	6	1	4	7	5	8	2	9
7	4	8	9	1	2	3	5	6
9	5	2	6	3	8	1	4	7
6	9	5	2	4	1	7	8	3
4	1	3	7	8	9	5	6	2
2	8	7	5	6	3	4	9	1

* მარტივი

4	7		5	8				2
	6				4		5	3
		1	9			4		
	1			4		9		
3		2	7			8		5
		5	3	1			2	
		6			2	3		
5	3		6				8	
1				9	3		4	6

** საშუალო

	7			9		2		
				4			6	
8					2	3		
6				7	1		3	
		7			8	6		
	1		3					2
		1	7					9
	5			3				
		4		1			2	

*** რთული

6			4			7		
1			5			2		
		3			2			
		2		8			4	9
		5		6		1		
8	6					5		
			9			4		
		4			1			5
		9			3			6

ფოტოკოლაჟები



როგორ იქმნება ელვა?

რა იწვევს ძლიერ ქარებს?

რა ზიანი მოაქვს სეტყვას?

გაიგეთ უფრო მეტი !

ტომი №5

28 ივნისიდან - 5 ივლისამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

სპეციალური ფასი 15 ლარი!

სამგანზომილებიანი (3D) გამოსახულებები

შეიძინეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!

წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს
ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

ES სამყარო

* - მალე

სერია „ეს სამყაროა“-ს I, II, III და IV ტომი „რაინდები და ციხე კოშკები“, „ეგვიპტე“, „მტაცებლები“ და „გამოგონებები“ გაყიდვაშია წიგნის მაღაზიებში!